

**ა. კორანეაშვილი**

**საქვებლარმოვანა  
და ცხოველთა კვება**

**„ტექნიკური ენვირონმენტი”**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ა. კორანაშვილი

საკვებწარმოება  
და ცხოველთა კვება



დამტკიცებულია სტუ-ს  
სარედაქციო-საგამოცემლო  
საბჭოს მიერ

თბილისი  
2009

მოცემულია აგრარული სექტორის ერთ-ერთი ძირითადი დარგის – მეცხოველეობის უზრუნველყოფა ცილოვანი საკვებითა და სხვა საყუათო ელემენტებით (დაბალანსებული საკვებით), რომელიც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დამზადებული საკვები საშუალებები ფიზიკურ მასასთან ერთად მაღალხარისხოვანიც უნდა იყოს, რისთვისაც აუცილებელია ზუსტად შეფასდეს დამზადებული საკვების ქიმიური შედგენილობა და უკათიანობა, მისი მონელებადობა და სარისხები მოქმედი ფაქტორები, ჩატარდეს გამოკვებისწინა შემზადება-დამუშავება შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. ამისათვის კი საჭიროა შევადგინოთ ზუსტი და სრულფასოვანი საკვები ულუფები, ვიცოდეთ პრაქტიკული საკითხები მდელოთსაკვებწარმოებაში, მინდვრისა და მთის საკვებწარმოებაში, შევისწავლოთ პერსონალური კომპიტერის საშუალებით ცხოველთა ულუფის შედგენის წესები, საკვების ხარისხის შეფასება თანამედროვე მეთოდებით, ცხოველთა სახეებისა და ასაკობრივი ჯგუფებისათვის რაციონის შედგენის ტექნიკა და ტექნოლოგია კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის. სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი პროექტიული და უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის, აგრეთვე ამ დარგის სპეციალისტებისა და ფერმერებისათვის.

**შემდგენელი ავთანდილ კორასაშვილი** საქართველოს აგრარული სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, მისი აგრობიომრავალფეროვნების სამეცნიერო საბჭოს და არასამთავრობო ორგანიზაცია – საქართველოს მესოიერაციის თავმჯდომარე. ევროპის გენეტიკური რესურსების საკვები და პარკოსანი კულტურების (ECP/GR), აგრეთვე ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს დაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფედერაციის (EFITA) ასოცირებული და ნამდვილი წევრი და მუშა ჯგუფების წარმომადგენელი საქართველოში. საქართველოს ორგანიზაციების – TACIS, GTZ, CGIAR, ICARDA, IPGRI, WB, IFAD, DAI, SNFA, USAID-ის სამეცნიერო საბჭოების წევრი, ექსპერტი, მრჩეველი, კოორდინატორი, კონსულტანტი და ანალიტიკოსი. საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი. 27 მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის მეცნიერ-ხელმძღვანელი, 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 8 მეთოდური მითითების, 9 ახალი პარკოსანი მცენარის ჯიშის, 2 პატენტის, 2 მონოგრაფიის, 9 სახელმძღვანელოს, საკვებწარმოებაში ინგლისურ-რუსულ-ქართული გლოსარიუმის, ექსენოვანი აგრარული ლექსიკონის, კომპიუტერული პროგრამისა და მრავალი პუბლიკაციის აგზორი ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში. დაჯილდოვებულია საშუალო სკოლის დამთავრების ოქროს მედლით (1967), კვების მრეწველობის წარჩინებულის გერცხლის მედლით (1979), UNESCO-ს კომფუციის ოქროს მედლით (1995), საქართველოს დირსების ორდენით (1999) და მალაიზიის HACCP-ის ოქროს მედლით (2005).

**რეცენზები** საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი გოგოთვა აგლამე

**რედაქტორი ნინო ლუდუშაური**

© საგამოცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009

ISBN 978-9941-14-761-6

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისკვება კანონით.

## შესავალი

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 70%-მდე ფართობი საკვებ სავარგულებს - სათიბ-საძოვრებს უკავია და საკვებწარმოებისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მეცხოველეობა სისტემატიურად განიცდის ხელმისაწვდომი ფასების სრულფასოვანი საკვების დეფიციტს. ამის მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილია საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე აგროწესები, კვების ულფების ცილებით, ცხიმებითა და მინერალური ნივთიერებებით დაბალანსება, გამოკვების თანამედროვე ტექნოლოგიები და სხვ. ბუნებრივ სათიბ სავარგულებზე თითქმის ყოველთვის ირდვევა ბალახების თიბების ვადები, ადგილი აქვს საკვების დამზადების, ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს უყაირათიანობას. დანაკარგების შესავსებად საკვების ბალანსში დიდი ხვედრითი წილი უკავია კომერციულ და ნაკლებყუათიან უხეშ საკვებს - ნამჯასა და ჩალას. ამის შედეგად მცირდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა, იზრდება პროდუქციის თვითლირებულება და ხშირ შემთხვევაში მეცხოველეობა დაბალრენტაბელურია, ხოლო წარმოებული პროდუქცია - საკვებიც და მეცხოველეობის პროდუქტებიც არაკონკურენტუნარიანი.

საკვებწარმოების კურსის შესასწავლად მდელოთსაკვებწარმოება და მინდვრის საკვებწარმოება დაყოფილია თემებად:

### I. მდელოთსაკვებწარმოების კურსი დაყოფილია ათ თემად:

1. სათიბებისა და საძოვრების მცენარეების ბიოლოგია; 2. სათიბებისა და საძოვრების მცენარეების ეკოლოგია; 3. ბუნებრივი საკვები სავარგულების მცენარეები; 4. მცენარეთა თანასაზოგადოებანი; 5. საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულები, მათი კლასიფიკაცია და განაწილება ბუნებრივი ზონების მიხედვით; 6. ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების სისტემა; 7. ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ძირეული გაუმჯობესების სისტემა; 8. საძოვრების რაციონალური გამოყენების ორგანიზაცია; 9. მრავალწლიანი ბალახთდგარის სათიბად გამოყენება. თივისა და სხვა საკვების დამზადება; 10. მრავალწლოვანი საკვები ბალახების მეთესლეობა;

### II. მინდვრის საკვებწარმოების კურსი დაყოფილია ექვს თემად:

1. საფურავე მარცვლეული კულტურები; 2. სასილოსე კულტურები; 3. ძირხვენა-ტუბერიანი და ბალჩეული კულტურები; 4. საკვები ბალახები; 5. საკვების კონკეირული წარმოება; 6. ერთწლოვანი საკვები კულტურების მეთესლეობის თავისებურებანი.

ამ კურსის შესწავლა უნდა ჩატარდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

1. ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ძირითადი საკვები მცენარეების შესწავლა (ჰერბარიუმის მიხედვით), მათი გავრცელება, საკვები ღირებულების, სამეურნეო მნიშვნელობისა და ბიოლოგიური თავისებურებებით. 2. მრავალწლოვანი ბალახების თესლების შესწავლა, ცალკეული სახეობის თესლების ფხვიერებისა და სხვა ტექნოლოგიური თავისებურებების განსაზღვრა; 3. ბალახნარევების და მდელოს ბალახების თესვის ნორმების გაანგარიშება; 4. სათიბებისა და საძოვრების ინგენტარიზაციის მასალების კამერული დამუშავების მეთოდიკა; 5. სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების, სისტემატიური მოვლის (განოყიერება, მორწყვა და ა.შ), ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენების სქემების შედგენა შესაფერისი ზონების, აგროტიპებისა და გეგმიური მოსავლიანობის მიხედვით; 6. ბუნებრივი

მდელოს სავარგულების სხვადასხვა ტიპის დეგრადირებულ ნაკვეთებზე ნათესი სათიბებისა და საძოვრების მოწყობის აგროტექნიკის დამუშავება, მათი გამოყენებისა და მოვლის ინტენსიურობის ზრდა; 7. თივის ბოტანიკური ანალიზი და მისი შეფასება, თივის ადრიცხვა; 8. ბალახების სათესლედ მოყვანის ორგანიზაციისა და აგროტექნიკის სქემების შედგენა. 9. საძოვრულ პერიოდში მწვანე საკვები ბალანსის შედგენა; 10. საძოვრების მოთხოვნილების გაანგარიშება ცხოველთა ჯგუფისთვის. ნაკვეთების რიცხვის განსაზღვრა და მათი ფართობები სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევებისათვის (სხვადასხვა სულადობა, სხვადასხვა ტიპის საძოვრები, სხვადასხვა გამოყოფილი საძოვრის ფართობები, საძოვართბრუნვის შედგენა); 11. საძოვრული ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის შედგენა და ფერმერულ მეურნეობაში საკვები ბაზის ორგანიზაცია ტექნოლოგიური და ტექნიკური ბიზნესგეგმის შედგენა; 12. საშუალო და მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსისა და აგროსაწარმოო გაერთიანების საკვები ბაზის ორგანიზაციის პროექტის შედგენა-ბიზნეს-გეგმის შედგენა კომერციული კრედიტის მისაღებად კომერციული ბანკიდან ან დონორი ორგანიზაციიდან.

საკვებწარმოების კურსის მიხედვით დამოუკიდებელი მეცადინეობისას, გარდა თითოეული თემის თეორიული მასალების შესწავლისა, უნდა გავეცნოთ ფერმის ადგილის მიხედვით, სათიბების და საძოვრების ძირითად ტიპებს (ფერმერულ მეურნეობაში, რაიონში, რეგიონში) და შეისწავლოს: а) გაბატონებული მცენარეულობა და მათი სამეურნეო ღირებულება, მდელოების კულტურულ-ტექნიკური მდგომარეობა, ტენიანობის პირობები, რელიეფი და ნიადაგები; б) სათიბებისა და საძოვრებზე ჩასატარებელი ან გათვალისწინებული ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი; გ) ბუნებრივი და ნათესი სათიბებისა და საძოვრების გამოყენება, დ) რეგიონში არსებული პირუტყვის სულადობის ადგილობრივი წარმოშობის საკვებით სრულად უზრუნველყოფის შესაძლებლობები.

გარდა ამისა, საჭიროების მიხედვით აუცილებელია გაეცნოს ნიადაგობრივი, გეობოტანიკური გამოკვლევების, მდელოების ინვენტარიზაციის, აგრონიადაგური გეგმებისა და რუკების მასალების, შეისწავლოს და გაანალიზოს მოწინავე კერძო ფერმერული მეურნეობების გამოცდილება, აგრეთვე გაეცნოს ადგილობრივი სამეცნიერო დაწესებულებების მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მიღწევებს საკვებწარმოებაში გავრცელებას სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებისათვის.

კურსის შესასწავლად საჭიროა შეგროვდეს 50-60 სახეობის ეველაზე გავრცელებული მდელოს მცენარე, პირველ რიგში მარცვლოვანი, პარკოსანი და შემდეგ ნაირბალახები და ისლისებრნი; შეადგინონ მათგან ჰერბარიუმი, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს: მცენარის სახეობა, მდელოს ტიპი, ადგილი სადაც იქნება მცენარე აღებული (მაგალითად, ჭალის მდელო, ჭაობის მდელო და ა.შ.) და როგორ გამოიყენება მოცემული საკვები (სათიბად თუ საძოვრად). აგრეთვე აუცილებელია აღებული იქნას ძირითადი თივის ტიპების ნიმუშები (არა უმცირეს 100 გ-სა).

## თავი პირველი. მდელოთსაკვებწარმოება

### I.1. სათიბებისა და საძოვრების მცენარეთა ბიოლოგია

მდელოს მცენარეების შესწავლისას კურადღება უნდა მივაქციოს იმას, რომ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ბალანსი უმთავრესად შედგება მრავალწლოვანი მცენარეებისგან. ამ მცენარეების თავისებურება ის არის, რომ ისინი ყოველწლიურად განახლდებიან კებებაზიურად. ამასთან ერთდროულად მდელოზე ადგილი აქვს მათი თესლით გამრავლებას. მიმდინარე წლის მოსავლიანობის

ფორმირებაში უმნიშვნელოვანებია მარცვლოვან მდელოს მცენარეულობის გეგმითაციური განახლება, მდელოს ბალახი იზრდება რა მდელოზე, გავლენას ახდენს ერთიმეორეზე, იმყოფება ბუნებრივი პირობების, ადამიანისა და ცხოველების გავლენის ქვეშ, ყველა ეს მომენტი თავს იჩენს მდელოს სხვადასხვა ბალახნარის ფორმირების, მრავალწლიანობასა და მათ მოსავლიანობაში.

მდელოს ბალახების ჯგუფების, ოჯახებისა და ცალკეულ სახეობათა ბიოლოგიურ თავისებურებათა ცოდნა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ უხეში (თივა, სენაჟი) და მწვანე მასის ღირებულება და მათი სამეურნეო-საწარმოო მნიშვნელობა. მდელოს მცენარეულობის ბიოლოგიური და თავისებურებებიდან გამომდინარე, ფერმაში წლის დასაწყისში დასახული და განხორციელებული უნდა იქნეს მდელოს მოვლისა და გამოყენების ლონისძიებები.

მდელოს ბალახების შესწავლისას საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჭამადი მასა იყოვა ოთხ სამეურნეო ჯგუფად: მარცვლოვნებად, პარკოსნებად, ისლებად და ნაირბალახებად. მარცვლოვნები ბარტყობის ტიპის მიხედვით იყოვა: ფესურიან-მეჩხერბუქებან, ბურქებუქებან და მკვრივბუქებან, ხოლო ფოთლის გაწყობის მიხედვით – მაღლარ, ნახევრადმაღლარ და დაბლარ მარცვლოვნებად.

ბალახდგარში გაბატონებული მარცვლოვნების ბარტყობის ტიპები ახასიათებს კორდისა და ნიადაგის მდგომარეობას მთლიანად და განსაზღვრავს მდელოს ხნოვანების სტადიებს (ფესურიანი, მეჩხერბუქებანი და მკვრივბუქებანი).

მდელოს ბალახები განსხვავდება განვითარების ტემპით, ადრეულობით, მომწიფებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობით, რასაც სათიბი და საძოვრული გამოყენების დადგენისას დიდი საწარმოო მნიშვნელობა აქვს. მაგ. მდელოს ტიმოთელა, უფხო შვრიელა, მაღალი კონდარი, ლერწმისებრი ჩიტიფეტვა და სხვები ითვლება მაღლარ მარცვლოვნებად, აქვთ კარგად შეფოთლილი ლერო და გამოიყენება როგორც სათიბი მცენარეები, ხოლო ისეთები, როგორიცაა მდელოს თივაქასრა, საძოვრების კონდარი, წითელი წივანა და სხვები, დაბლარი მარცვლოვნებია და გამოიყენება საძოვრად.

მდელოს გამოყენების სწორი რეჟიმის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრავალწლოვან მცენარეებში სამარაგო-საზრდო (პლასტიკური) ნივთიერებების დაგროვების დინამიკას, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ბალახნარის საგაზაფხულო აღმოცენებაში და აქვიტის უნარში.

## I2. სათიბებისა და საძოვრების მცენარეების ეკოლოგია

მდელოს მცენარეების ბიოლოგიურ თავისებურებათა ცოდნასთან ერთად, აუცილებელია ვერკევოდეთ მათ ეკოლოგიაში, ე.ი. გარემო პირობებში და მცენარეებსა და გარემოს შორის ურთიერთდამოკიდებულებაში, რომელშიც ისინი იზრდებიან. აუცილებელია ყურადღება მიექცეს ეკოლოგიური პირობების მცენარეს – ინდიკატორს (ედიფიკატორს).

მცენარესა და გარემოს შორის არსებული ურთიერთდამოკლიდებულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბალახნარის ტიპის ფორმირებაზე. ამიტომ მცენარის ეკოლოგიიდან გამომდინარე, საჭიროა გამოიყოს შემდეგი მცენარეები:

ა) წყლის რეჟიმზე დამოკიდებულების მიხედვით: მშრალი ადგილსამყოფელის მცენარეები – ქსეროფიტები, საშუალო ტენიანობის მცენარეები-მეზოფიტები და ჭარბებიან ადგილებში მოზარდი-ჰიგროფიტები; ბ) მცენარეები, რომლებიც იზრდებიან სხვადასხვა მუავე, მლაშობ, ნეიტრალურ და ტუტე რეაქციის მქონე ნიადაგებზე; გ) გვალვაგამძლენი, ტენგამძლენი და ზამთარგამძლენი (ყინვაგამძლენი); დ) მცენარეები, რომლებიც უძლებენ სხვადასხვა ხანგრძლივობით დატბორვას (ლიმანური მცენარეები); ე) მცენარეები, რომლებსაც ახასიათებთ ბიოტური და აბიოტური სტრუქტურის მიმართ განსაკუთრებული მდგრადდება უნდა ასევე ყურადღება უნდა

მიექცეს ტოპოგრაფიული (რელიეფის გავლენას) ბიოგრაფიული (ცხოველებისა და მიკროფლორის გავლენას) და აბიოგრაფიული (ნიადაგურ-კლიმატური პირობები), აგრეთვე ანთროპოგენური (ადამიანის გავლენა) ფაქტორების მნიშვნელობას მცენარეების სიცოცხლეში.

### I.3. ბუნებრივი საკვები საგარგულების მცენარეები

ამ თემის გაცნობისას ყურადღება უნდა მიექცეს მდელოს მცენარეების საკვებ თვისებებს, როგორიცაა: ქიმიური შედგენილობა, საკვების ენერგეტიკული ყუათიანობა, სხვადასხვა პირუტყვის მიერ ძოვნადობა, მონელობადობა, მცენარეთა შემხვედრიანობა, მოსავლიანობა და პროდუქტიული ღირებულება (მეცნიერების პროდუქტების გამოსავლიანობა, წველადობა, წონამატი და სხვ).

აუცილებელია საკვები მცენარეების შეფასების წესებისა და შედარებითი საკვები ღირებულების ცოდნა მცენარეთა ცალკეული ოჯახის მიხედვით: პარკოსნები, მარცვლოვნები, ისლისებრნი. ნაირბალახების ჯგუფის ოჯახებიდან: რთულყვავილოვანი, ნაცარქათამასებრნი, ჯვაროსნები, ვარდისებრნი, შროშანისებრნი, შვიტასებრნი, ქოლგოსნები და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარკოსნებისა და მარცვლოვნების ოჯახებს, რომელთაც ყველაზე მაღალი კვებითი ღირებულება აქვთ. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ მცენარეებზე, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი საკვები ღირებულება საქართველოს სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატურ ზონაში.

საჭიროა ვცნობდეთ მავნე და შხამიან მცენარეებს და ვიცოდეთ მათ წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებები. მდელოზე მოზარდი მარცვლოვანი და პარკოსანი მცენარეების ძირითადი სახეობების განსხვავება გენერაციული ორგანოების მიხედვით (ყვავილედით, თავთუნის აგებულებით, ყვავილებით, თესლებით), ბარტყობის ტიპითა და ვეგეტაციური ორგანოების მიხედვით და ფესვთანაური ფოთლით, ფოთლის კიდეებით, ენაკითა და სხვა ნიშნებით, მაგ.: ისლის დერო სამწახნაგოვანია და დაუმუხლავი, მდელოს წივანას ფოთლის ქვემო მხარე ბზინავს, თივაქასრების ფოთლების ბოლოები ნავისებრი ფორმის დაბოლოებით ხასიათდება, სათითურას ფოთლი ქედის ფორმისაა, იონჯის ფოთლის ზედა შესახედი ფირფიტა დაკბილულია, ხოლო ძირის ყველა ფოთლის ფირფიტების კიდეები დაკბილულია და ა.შ.

ბალახების ძირითადი სახეობები.  
მარცვლოვანთა ოჯახიდან:

1. მდელოს ტიმოთელა – *Phleum pratense L.*
2. მდელოს მელაკუდა – *Alopecurus pratensis L.*
3. თეთრი ნამიკრეფია – *Agrostis alba L.*
4. მაღალი (ფრანგული) კონდარი – *Arrhenatherum elatius (L.)*
5. საძოვრის (ინგლისური) კონდარი – *Lolium perenne L.*
6. მრავალსათიბი (იტალიური) კონდარი – *Lolium multiflorum Lam.*
7. მდელოს თივაქასრა – *Poa pratensis L.*
8. მდელოს წივანა – *Festuca pratensis Huds.*
9. წითელი წივანა – *Festuca rubra L.*
10. ჩვეულებრივი (თეთრი) ნამიკრეფია – *Agrostis vulgaris With.*
11. ლესინგის ვაციწვერა – *Stipa Lessingiana cel.*
12. წურწუმა – *Stipa capillata L.*

13. იოჯანის ვაციწვერა – *Stipa Joonis* L;
14. ქერი – *Festuca suloata* Huck;
15. უფხო შვრიელა – *Bromus inermis* Leyss;
16. სათითურა – *Dactylis glomerata* (L);
17. მხოხავი ჭანგა – *Agropurum repens* (L) P B;
18. ნაზი ჭანგა – *Agropurum tenerum* Vasey;
19. ციმბირული კაპუეტა – *Agropurum sebiricum* (Willa) P.B.;
20. სავარცხელისებრი კაპუეტა – *Agropirum pectim forme Rostnet*;
21. შვრიელა ბალახი – *Digraphis arundinocea* (L). et schult;
22. ხუჭუჭა – *Becmannia eruciformis* (L);
23. მახრჩობელა – *Deschampsia caspitosa* (L);
24. თავყვითელა – *Antohaxauthum odaratum* L;
25. ძიგვა – *Nardus stricta* L;
26. კავკასიური აეწეწურა – *Hoelerca caucasica*;
27. სისხლის შემაჩერებელი ურო – *Androgon ischaemum* L;
28. ბოლქვიანი თივაქასრა – *Poa bulbosa* L;
29. ბრძამი – *Calamagrostiz arundicacea* (L);
30. გლერტა – *Cynodon dactylon* (L);
31. ლელი – *Phragmitez communiz* Trin.

**პარკოსანთა ოჯახიდან:**

1. წითელი სამყურა (მდელოს) – *Trifolium pratense* L;
2. ვარდისფერი სამყურა (ჰიბრიდული) - *Trifolium hybridum* L;
3. თეთრი სამყურა (მხოხავი) - *Trifolium repens* L;
4. საოესი ანუ ლურჯი (ჩვეულებრივი) იონჯა – *Medicago satival*;
4. ნამგლისებრი იონჯა (ყვითელი) - *Medicago falcata* L;
5. ჩვეულებრივი ესპარცეტი – *Onobrychis sativa* Lam;
6. ქვიშის ესპარცეტი – *Onobrychis arenaria* D.C.;
7. კურდოლისფრჩხილა – *Lotus corniculatus* L;
8. ცერცველა (თაგვის ცერცველა) - *Vicia cracca* L;
9. მდელოს ცულისპირა – *Lathyrus pratensis* L;
10. თეთრი ძიძო – *Melilotus albus* Dess;
11. ყვითელი ძიძო – *Melilotus officinalis* (L) Lam;
12. ალპური სამყურა – *Trifolium alpertre* L;
13. კავკასიური გლერძი – *Astragalus caucasicus* Fall;
14. ხბოშუბლა – *Galega orientalis* Lam;
15. ძირტბილა – *Clycyrhiza glabra* L;
16. მდელოს მატკვარცვანა – *Lathyrus pratensis* L.

ფერმის მენეჯერი განსაკუთრებით უნდა შეჩერდეს პარკოსან და მარცვლოვან მცენარეთა სახეობებზე, რომლებიც გვხვდება როგორც ბუნებრივ, ასევე ნაოეს მდელოებზე, ამავე დროს ყურადღება უნდა მიაქციოს ერთსა და იმავე მდელოს სახეობრივ შედგენილობას გამოყენების პირობებში (სათიბი ან საძოვარი).

## I.4. მცენარეთა თანასაზოგადოებანი

უნდა ვიცოდეთ, რომ მდელოს მცენარეულობა მდელოთმცოდნეობაში ისწავლება გარემოსთან კავშირში, სადაც იზრდება. მდელოთმცოდნეობის საფუძველია მდელოს ფლორის არა ცალკეული წარმომადგენლობის შესწავლა, არამედ ბუნებრივი მდელოს მცენარეული თანასაზოგადოების გამოკვლევა, მათი თავისებურებების მთლიანი ერთობისა და განსხვავებულ ფაქტორებთან დაკავშირებით.

ადგილსამყოფელის განსაზღვრულ პირობებში მცენარეები ქმნიან ჯგუფებს, რომლებსაც მცენარეული თანასაზოგადოებები, ანუ ფიტოცენოზი ეწოდება. მასში იგულისხმება განსხვავებულ სახეობათა კანონზომიერი შერწყმა, ჩამოყალიბებული არსებობისათვის ბრძოლაში, გამოყენების რეჟიმის განსხვავებული პირობების შედეგად სახეობათა ბიოლოგიური და ეკოლოგიური თვისებებით.

ფერმის მენეჯერმა ერთმანეთისგან უნდა განსხვაოს მცენარეულობა და მცენარეული თანასაზოგადოება. მცენარეულობის მცნებაში იგულისხმება სხვადასხვა ტერიტორიაზე მცენარეული თანასაზოგადოების ერთობლიობა; თუ ვლაპარაკობთ ამა თუ იმ რეგიონის ან ქვეყნის მცენარეულობაზე, მასში იგულისხმება აგრეთვე მდელო, ჭალა, ტყე, ჭაობი და სხვა.

ტერმინი – მცენარეული თანასაზოგადოება, ანუ ფიტოცენოზი კლასიფიკაციური ერთეული არ არის და მისი ცნების აგებულებაში შედის: ფლორისტული შედგენილობა, ინდივიდთა რიცხვი და რაოდენობრივი შეფარდება სახეობებისა და სახეობათა ჯგუფებს შორის, მცენარეთა და მცენარეული ჯგუფების განაწილება სივრცისა და დროის მიხედვით (სუკრეციები), თითოეული სახეობის, ანუ ინდივიდის მდგომარეობა. აქვე საჭიროა ვიცოდეთ ისეთი საკითხები, როგორიცაა: გარემოსა და თანასაზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება, მდელოს გაკორდების პროცესი, მდელოს ასაკობრივი სტადიები, ბალახდგარის სტრუქტურის რეგულირება სამეურნეო გამოყენების წესთან დაკავშირებით.

## I.5. ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების სისტემა

ფერმის და ფერმისპირა ნაკვეთების ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციის საფუძველზე განსაზღვრავენ მდელოს ტიპებს, კულტურულ-ტექნიკურ მდგომარეობას, მის სამეურნეო და საწარმოო დირებულებას, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა საჭირო სისტემა; მდელოს მოსავლიანობის გასადიდებლად ისეთი ღონისძიებების გატარება, რითაც შენარჩუნებული იქნება ბუნებრივი ბალახნარის კორდი, მას ზედაპირული გაუმჯობესება ეწოდება.

მდელოების ზედაპირული გაუმჯობესების კომპლექსში შედის შემდეგი აგროტექნიკური ღონისძიებები:

1. კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები. ამ ღონისძიებების ძირითადი მიზანია შექმნას პირობები ბალახების უკეთ ზრდისათვის, მდელოს მოვლის ყველა პროცესების მექანიზაციისათვის, თივის აღებისთანავე მდელოს ზედაპირის გასუფთავებისა და გასწორებისათვის. მას აშორებენ ხეებს და ბუჩქნარებს, კოლბოხებს, ქვებსა და ნაგავს მექანიკური და ქიმიური წესების გამოყენებით, ბუჩქნარებს ტოვებენ არა მარტო სანაპიროებზე გადარეცხვისა და ქვემოთ დალექვის ადგილზე, არამედ ზოგჯერ სპეციალურ ნარგავებსაც ქმნიან.

ვიდრე კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოთა დაგეგმვას და შესრულებას დავიწყებდეთ, აუცილებელია ვიცოდეთ მდელოს კულტურულ-ტექნიკური მდგომარეობა, დაბუჩქნარებისა და დაკოლბოხების ხარისხი. სპეციალისტმა და ფერმერმა უნდა იცოდეს როგორ ვითარდება კოლბოხი და მისი ნაირგვაროვანი ხასიათი. იგი იყოფა ცხოველური და მცენარეული წარმოშობის კოლბოხებად,

აუცილებელია აგრეთვე ყურადღება მიექცეს მდელოებზე ქვების აკრებას, ერთ ადგილზე მოგროვებას და მათ გატანას სავარგულებთან მიმავალი გზების მოკირწყვლისათვის.

2. წყლის რეჟიმის გაუმჯობესებისა და მოწესრიგებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მდელოს ბალახები ტენიზე შედარებით უფრო მომთხოვნია, ვიდრე მინდვრის კულტურები. მათი ტრანსპირაციის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მაღალია. მდელოს ბალახი ვითარდება ნიადაგის საკმაო ტენიანობისა და ნიადაგის გრუნტის წყლების შედარებით ახლოს დგომის პირობებში.

სტუდენტმა უნდა შეისწავლოს მდელოს ბალახების ტენიზე მოთხოვნილება. მდელოს მცენარეების ოპტიმალური განვითარებისათვის ნიადაგის ზღვრული ტენივადობის (ზტ) % და ნიადაგის გრუნტის წყლების სიმაღლე.

ჭარბი ტენიანობა აუარესებს აერაციის რეჟიმს, რაც უარყოფითად მოქმედებს მდელოს ბალახების განვითარებასა და ბალახნარის სახეობრივ შემადგენლობაზე. ძვირფას მარცვლოვან ბალახებს ბალახდგარიდან აძვებს დაბალყუათიანი ისლები, მახრიობელა, ბარები და სხვა მცენარეები.

წყლის რეჟიმის მოწესრიგებისათვის იგება დასაშრობი სისტემა, ლია და დახურული არხების გაყვანით. ხშირ შემთხვევაში ჭარბი ტენიანობა შეიძლება მოწესრიგებული იქნეს ზედაპირული წყლის მოცილებით, დაბალი საწრეტი არხების ან გუთნის კვლების გავლებით. წყლის რეჟიმის მოწესრიგებისას არასასურველი ბალახები ვარდებიან ბალახნარიდან.

მძიმე მექანიკურ ნიადაგებიან მდელოზე, სადაც გაზაფხულის პერიოდში ხდება მდელოს წყლით დაფარვა, თხუნელასებრ დრენაჟს იყენებენ. ეს აუმჯობესებს ნიადაგის აერაციას, რაც დადგებითად მოქმედებს მიკრობიოლოგიურ პროცესებზე.

მდელოების ნაკლები ტენიანობისას, განსაკუთრებით გვალვიან რაიონებში, გამოიყენება მოწყვევა სპეციალური სარწყავი ქსელების შექმნით-ლიმანური რწყვით, თოვლის შეკავებით და სხვ.

3. სათიბებისა და სამოვრების გამოყენების საკითხის შესწავლისას უნდა გვახსოვდეს, რომ თივისა და სამოვრული მწვანე საკვების მაღალი მოსავლის მიღება დამოკიდებულია საკვებ სავარგულზე რეგულარულად მინერალური და ორგანული, ასევე ბაქტერიული და მიკროსასუქების შეტანაზე; უნდა გვახსოვდეს – მცენარის მინერალური კვების ელემენტების აუცილებლობა. სასუქების გამოყენების თავისებურებანი, ნიადაგის მრავალფეროვნების ბალახნარის ტიპებისა და გამოყენების რეჟიმის გათვალისწინებით. საჭიროა ვიცოდეთ სხვადასხვა ფაზებში სამოვრული ბალახის საზრდო ნივთიერებათა შემცველობა. მდელოზე სასუქის გამოყენებისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ სასუქების მოქმედება მქლავნდება არა მარტო მოსავლის მატებაში, არამედ ბალახნარის ბოტანიკურ შემადგენლობასა და საკვების ხარისხის გაუმჯობესებაში. ისინი დადგებითად მოქმედებენ ფიზიკური და ქიმიური თვისებების ცვლილებაზე და აძლიერებენ მის მიკროფლორის ცხოველმყოფელობას.

მდელოს გასანოენირებლად იყენებენ მინერალურ, ორგანულ, ბაქტერიულ და მიკროსასუქებს. სტუდენტმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მოქმედებს მდელოს ბალახებზე სხვადასხვა სახის სასუქი, განსაკუთრებით პარკსან და მარცვლოვან მცენარეებზე, უნდა იცოდეს ნორმები და სასუქების შეტანის წესები მდელოს ბალახნარის ტიპის, მდგომარეობისა და გამოყენების რეჟიმის მიხედვით.

აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს ჩამდინარე წყლების გამოყენებას, როგორც მდელოზე დამატებითი საბაზო ნივთიერებების წყაროს, მათ გავლენას მოსავლიანობის გადიდებასა და საკვების ხარისხზე.

სათიბებისა და სამოვრების ბალახნარის კორდის მოვლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეს სარეველა მცენარეულობასთან ბრძოლის სხვადასხვა ღონისმიებას, მათ შორის გვხვდება მრავალი მცენარე, რომელთაც არა აქვს საკვები მნიშვნელობა და ბალახს წარმოადგენს, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი მავნე და შეამიანია პირუტყვისათვის. ითვალისწინებენ რა ბალახნარის ტიპისა და მის

მდგომარეობას დასარევლიანების ხარისხის მიხედვით, საზღვრავენ სარეველებთან ბრძოლის პროფილაქტიკურ, არაპირდაპირ, მექანიკურ და ქიმიურ დონისძიებებს.

გარკვეული უნდა იქნეს მიზეზები, რომლებიც ამტკიცებენ ცალკეულ შემთხვევაში მდელოების დაფარცხვის და ფრეზირების დადებითი ეფექტურობის უარყოფას, საჭიროა ვიცოდეთ რომელ შემთხვევაში გამოვიყენოთ დაფარცხვა. აუცილებელია პირობების შესწავლა, რომლის დროსაც მიზანშეწონილია ჩატარდეს ბალანების გამოფარცხვა და ბალანსარის გაახალგაზრდავება.

ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესებისას ღონისძიებათა კომპლექსის გატარება აუცილებლად განხილული უნდა იქნეს როგორც განსაზღვრულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც გამოყენებულია მდელოზე კონკრეტული ფერმერული მეურნეობების პირობებში. აუცილებელია გაცნობა მოწინავე ფერმერულ მეურნეობებსა და ექსტენსიური მომსახურების ცენტრებში მეცნიერების უახლესი მიღწევებისა, ასევე აღნიშნული უნდა იქნეს დადებითი შედეგები და შემხვედრი წინააღმდეგობანი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებისას სამუშაოების განხორციელების დროს. ამავე დროს აუცილებელია ყურადღება მიექცეს მთის და ტყის საძოვრების გაუმჯობესებას, აგრეთვე მდელოპარკის საძოვრების მოწყობას, რომელსაც უნივერსალური გამოყენება აქვს.

## 1.6. ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ძირეული გაუმჯობესების სისტემა

ფერმის ინვენტარიზაციის მასალების საფუძველზე საზღვრავენ მდელოს ნაკვეთებს, რომელიც საჭიროებს ძირეულ გაუმჯობესებას და მათზე მაღალმოსავლიანი სათიბებისა და საძოვრების შექმნას. ნათეს სათიბებსა და საძოვრებს დიდი მნიშვნელობა აქვს მდელოს სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლებაში, ერთ-ერთი ყველაზე რაციონალური გზაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინტენსიფიკაციისა და რენტაბელური მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ძირეულ გაუმჯობესებას პირველ რიგში მიმართავენ ისეთ ნაკვეთებზე, რომელზეც ზედაპირულ ღონისძიებათა გატარება მცირე ეფექტური აღმოჩნდა. ასეთი ნაკვეთები შეიძლება იყოს ბუჩქნარიანი, კოლბოხებიანი, დაჭაობებული, მლაშობები, დეგრადირებული და სხვ. ძირეული გაუმჯობესების გეგმის შედგენისას აუცილებელია მელიორაციული ცოდნა, სახელდობრ: ამოშრობის, საშრობი ქსელისა და მორწყვის სწორი გამოყენება, ირიგაციისა და დრენაჟის თავისებურებანი.

მდელოს ძირეული გაუმჯობესებისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოებს. საეციალისტმა აუცილებელია იცოდეს როგორ ატარებენ კულტურულ-ტექნიკურ სამუშაოებს (ხე და ბუჩქნარი მცენარეებისგან გასუფთავებას, ხეების ამოძირვას, ნაკაფების საძოვრული მეთოდით ათვისებას, კოლბოხების მოსპობას და სხვ.).

აუცილებელია აგრეთვე ნიადაგის პირველადი დამუშავების მიხედვით ნიადაგის დამამუშავებელი მანქანა-იარაღების სისტემების სწორად გამოყენების ცოდნა, სათესი ტექნიკის, კულტურულ-ნიადაგობრივი პირობებისა და კულტურულ-ტექნიკურ მდგომარეობის გათვალისწინებით. უნდა დადგინდეს განოვერების სისტემა. ბუნებრივი ობიექტის დამოკიდებულების მიხედვით საზღვრავენ ნორმებსა და ვადებს სხვადასხვა სახის სასუქების შეტანისას. აუცილებელია ფერმერი კარგად ერკვეოდეს საკვები ოქსლბრუნვების ორგანიზაციაში.

კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, ფერმერმა დაახლოებით უნდა იცოდეს, ბალანსის რომელი სახეობაა უმჯობესი, რომ იგი გამოვიყენოთ. აუცილებელია გაერკვეს დაჩქარებული გამდელოების არსება და მის სამეურნეო მნიშვნელობაში. ცნობილია, რომ ბალანსარევები უფრო მაღალ მოსავალს იძლევიან, ვიდრე ბალანების ხალასი (წმინდა) ნათესები. ამ შემთხვევაში აუცილებელია

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბალახნარევების შერჩევას, რომელიც შედგენილი უნდა იქნეს მდელოს ტიპის, მდელოს ბალახების ბიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებების, შექმნილი ბალახნარევების მიზნობრივი დანიშნულების (სათიბი, საძოვრული, თუ სათიბ-საძოვრული), ბალახნარევების გამოყენების ხარგრძლივობის მიხედვით (მოკლე 2-3 წელი, გრძელვადიანი 4-6 წელი და მრავალწლიანი 8-10 წელი და მეტი).

აუცილებელია განისაზღვროს თესვის ნორმა და ბალახნარევში შემავალ კომპონენტთა რაოდენობა. მდელოს ბალახების თესლები განსხვავებულია აბსოლუტური წონით, ასევე სხვა ნიშნებით, ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ სხვადასხვა სახის თესლის ნიადაგში ჩათესვის სიღრმე, თესვის წესები, ტექნიკა. თესვის წესის განსაზღვრისას საჭიროა გავითვალისწინოთ საფარქვეშ და უსაფაროდ კულტურის თესვის დადებითი და უარყოფითი თვისებები. საჭიროა ნათესების მოვლის წესების ცოდნა და აგრეთვე გააზრებული და დასაბუთებული უნდა იქნეს ეროზირებულ მლაშობ ქვიშებზე, ქანობ და ჭალის ნაკვეთებზე სათიბებისა და საძოვრების მოწყობის პრინციპები. ამასთან ერთად აუცილებელია ნათესი მდელოების განოყიერების სისტემის ცოდნა, ელექტრომწყემის დამონტაჟება და სხვ.

ყურადღება უნდა მივაქციოთ მდელოს ბალახების თესვის მიზანშეწონილობას და თესვის ვადებს. უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ იქმნება თესლბრუნვის გარეშე კულტურული საძოვარი, დავადგინოთ მისი პროდუქტიულობა, ენერგეტიკული საკვები ერთეულისა (ესე) და ცილის თვითდირებულებები. ხანგრძლივი ან ცვლადი საძოვრების ორგანიზაციის საკითხები საკვების შესწავლისას, საჭიროა დასაბუთებულად შევარჩიოთ ამა თუ იმ კულტურული საძოვრის ტიპი და მისი მოწყობის წესები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სარწყავი კულტურული სათიბებისა და საძოვრების შექმნას. გარდა ამისა, საჭიროა ვიცოდეთ სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება კულტურული საძოვრების შექმნაზე. აუცილებელია ვიცოდეთ მოწინავე კერძო ფერმერული და სპეციალიზებული მეურნეობები, სადაც არის მაღალპროდუქტიული სათიბები და საძოვრები. აუცილებელია აგრეთვე ღონისძიებათა კომპლექსის გაცნობა, რომელიც ტარდება კულტურული სათიბებისა და საძოვრების მოსაწყობად ფერმის ადგილის მიხედვით.

## 1.7. საძოვრების რაციონალური გამოყენების ორგანიზაცია

აღსანიშნავია, რომ საძოვრული საკვები ცხოველებისათვის ითვლება სრულფასოვან და ყველაზე იაფ საკვებად. საქართველოში რძის წლიური წარმოების 60%-ზე მეტი მიიღება საძოვრული საკვების ანგარიშზე. მათზე განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს საქონლის სუქება, ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ საძოვრების ტერიტორიის ორგანიზაცია, საძოვრების გამოყენების ტექნიკა და საძოვრების მოვლის სისტემა; ასევე აუცილებელია ხანგრძლივი სარგებლობის კულტურული საძოვრების ორგანიზაცია, საძოვრული ბალახნარევების ჩამოყალიბება და მათი ტიპები გამოყენებისა და მოვლის მიხედვით, ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საძოვრის მოწყვის ორგანიზაცია.

საჭიროა წარმოდგენა გვერბობების საკვებ ბალახსში საძოვრული საკვების ყუათიანობაზე საქართველოს ბუნებრივი საძოვრების ტიპების და ზონების მიხედვით. საჭიროა ვიცოდეთ თუ როგორ გავლენას ახდენს პირუტყვის ძოვება საძოვრის მცენარეულობასა და ნიადაგზე (ნიადაგის გამკვრივება, კორდის ფორმირება და დაშლა, ბალახნარის სახეობრივი შედგენილობის შეცვლა, საკვების ხარისხის შეცვლა და სხვ.). თუ გვეცოდინება მდელოს ბალახების სამარაგო პლასტიკური ნივთიერებების და დანახარჯის რიტმი, მათი კვებითი ღირებულებისა და მოსავლიანობის დინამიკა, ადვილად დაგადგენთ გაზაფხულზე ძოვების დაწყებისა და შემოდგომაზე ძოვების დამთავრების ვადებს, სავეგეტაციო პერიოდში გაძოვების

რაოდენობას, გაძოვების სიმაღლეს საძოვრის ბალახნარის ტიპისა და ბუნებრივი ზონების მიხედვით.

საძოვრების რაციონალური გამოყენება დამოკიდებულია გაძოვების სისტემაზე. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უსისტემო ძოვების უარყოფით მხარეებს (თავისუფალი ძოვება), რომელიც იწვევს ბალახნარის გაუარესებას და ერთეულ ფართობზე მეცხოველეობის პროდუქციის შემცირებას, განსხვავებული უნდა იქნას ნაკვეთობრივი ძოვების უპირატესობა საძოვრის ბრუნვის სისტემაში.

საჭიროა გავიაზროთ, რომ საძოვართბრუნვა ბუნებრივი და კულტურული (ნათესი) საძოვრების რაციონალური გამოყენების მოვლის სისტემა, რომელიც მიმართულია მათი მწარმოებლობის გადიდებისაკენ. დიდი მნიშვნელობა აქვს საძოვრის მორიგეობით გაძოვებას საქართველოს სხვადასხვა ზონაში. აუცილებელია მდელოს ბალახების ბიოლოგიურ თავისებურებათა და მათი მოსავლიანობის ცოდნის საფუძველზე თეორიულად დასაბუთდეს ნაკვეთების რიცხვი ქვეყნის ზონების მიხედვით: განისაზღვროს ფერმის ნაკვეთების ფართობი და დატვირთვა. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზოოპიგიენური პროფილაქტიკა და ეპიზოოტია, რომელიც დამოკიდებულია ნაკვეთებზე ცხოველთა დგომის დღეთა რაოდენობაზე, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკვეთების ფორმასა და ნაკვეთების შიგნით გაძოვების ტექნიკას, აგრეთვე ელექტრომწყემის გამოყენების აუცილებლობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების აღჭურვას პირუტყვის წყალსაწყურებლებით, გადასარეკი ტრასების მოწყობას, ძოვებისას ელექტრომწყემის გამოყენებას და სხვა. საძოვრების მიმდინარე მოვლის სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს არაჭამად, გაუძოვებელ მცენარეთა გათიბვას, სასუქების შეტანას, ბალახების შეთევვას, ფრეზირებას და სხვ.

### **1.8. მრავალწლოვანი ბალახნარის სათიბად გამოყენება, თვისა და სხვა სახის საკვების დამზადება**

სათიბების რაციონალური გამოყენების საკითხის შესწავლისას პირველ რიგში დადგენილი უნდა იქნეს თივის მნიშვნელობა პირუტყვის კვებაში, მისი ხვედრითი წონა კვების რაციონში, კინაიდან ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვებია ზამთრის პერიოდში საქართველოს მეცხოველეობის თითქმის ყველა ტიპიურ ზონაში; დიდი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის თივის დამზადება ითვლება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ერთ-ერთ აუცილებელ რგოლად. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ თივის რაოდენობა და ხარისხი დამოკიდებულია დამზადების სწორ ტექნოლოგიაზე, თივის დროულად აღებაზე, მისი წარმოების ყველა იმ პროცესის კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებაზე, რომლებიც მიმართულია დანაკარგების მაქსიმალური შემცირებისაკენ.

მდელოს მცენარეების განვითარების ბიოლოგიურ თავისებურებათა-ყლორტების განვითარების რიგმის, მწვანე მასის ამოზრდისა და ზრდის, სამარაგო-საზრდო ნივთიერებათა დინამიკის ცოდნის საფუძველზე აღგენენ ბალახდგარის თიბვის ვადებს, სიმაღლეს და სხვადასხვა ტიპის სათიბი ბალახნარის თიბვის მორიგეობას.

სათიბბრუნვაში იგულისხმება ბუნებრივი მდელოების სათიბად გამოყენების სისტემა, რომლის დროს დაცულია განსაზღვრული მორიგეობა ბალახნარის თიბვისა და მცენარეთა განვითარების ფაზების მიხედვით, შენაცვლებული გამოყენება წლების მიხედვით. სათიბბრუნვების განსაკუთრებული ეფექტიანობა მჟღავნდება, როდესაც ის შესამებულია მდელოს მოვლისა და სასუქების გამოყენებასთან.

ამავე დროს ადგენენ განათიბის აქვიტის (წამონაზარდის) მიღების შესაძლებლობას და სათიბბრუნვებს. უნდა ავდნიშნოთ, რომ სათიბბრუნვის სისტემა განისაზღვრება ბალახნარის ტიპითა და მდელოს აღგილმდებარეობით, რელიეფის ელემენტებითა და სამეურნეო პირობებით (სასუქებისა და სხვათა არსებობით).

თივის აღების კომპლექსური მექანიზაციის გამოყენება საშუალებას გვაძლევს დამზადდეს მაღალი კვებითი დირებულების თივა შემჭიდროებულ ვადებში და გამორიცხული იქნეს ხელით შრომა შრომატევადი პროცესებიდან. ეს კი მოითხოვს თივის აღების ტექნიკის ცოდნას (თიბვა, შრობა, დაფოცხვა, დაპრესვა მართვულთხა და მრგვალ ტუკებად, დაზინვა ან ძირებად დადგმა). უნდა შეგვეძლოს თივის ამდები მანქანების მაღალი წარმადობის გამოყენება ტექნოლოგიური პროცესების სწორი დაცვით. ყურადღება უნდა მიექცეს თივის აღების თავისებურებას სხვადასხვა ბუნებრივ ზონებში.

აუცილებლად უნდა განვიხილოთ ბალახების შრობის თეორიული საფუძველი და ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ ამ დროს ბალახში, საჭიროა გაგებული იქნეს, რომ შრობის ამოცანაა არა მარტო თივის აღება, რომელიც შეიძლება შენახული იქნეს ხანგრძლივი დროით, არამედ საჭიროა შენარჩუნებული იქნეს მასში მაქსიმალურად მეტი საზრდო (საყუათო) ნივთიერებანი და ამასთან დაკავშირებით, თივის დროულად გათიბვით მიღებული იქნეს მაღალი ხარისხის საკვები კარგი გემოვნური თვისებებით. ეს მიიღება ბალახის შრობის წესების სწორი დაცვით (განათიბში, დვარეულებში, ბულულებში). უნდა ვიცოდეთ თივის დამზადებისა და შენახვის შემდგომი პროცესი (დაბულულება) დაწნებვა, დაზინვა ან ძირებად დადგმა.

ბოლო წლებში, ფართოვდება ბალახების ცილოვან-ვიტამინოვანი თივის ფქვილის წარმოება, ბალახების ხელოვნური შრომა და ბალახებიდან სენაჟის დამზადება. საჭიროა ვიცოდეთ ვიტამინოვან-ცილოვანი ფქვილის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი და გამოსაყენებელი მანქანები. ამასთანავე უნდა დავიმახსოვროთ უმთავრესი ბალახები, რომლებიც გამოიყენება ამ მიზნისათვის. აუცილებელია ვიცოდეთ, აგრეთვე სენაჟის დამზადების წესები და განსაკუთრებით, დამზადებისა და შენახვის ტექნოლოგიური პროცესები. საკვების წარმოებაში სილოსს დიდი ხვედრითი წონა უკავია, ამიტომ აუცილებელია ყურადღება მიექცეს დასილოსების ხერხების შესწავლას. ვიცოდეთ სასილოსე ნაგებობების მოწყობა, სილოსის დამზადება და შენახვა. სადღეისოდ ფართოდ არის გამოყენებული საკვების გრანულირება და ბრიკეტირება, ამიტომ ფერმერმა უნდა შეისწავლოს ასეთი საკვების დამზადების ტექნოლოგია.

მაღალი ხარისხის თივას იღებენ მისი იძულებითი ვენტილაციით შრობისას, რომელიც ყველაზე ფართოდ ინერგება კერძო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში; აუცილებელია ვიცოდეთ თივის შრობის ტექნოლოგია, მისი სწორად დაწყობა, სხვადასხვა სანიავებელი მოწყობილობა, ჰაერის მიწოდების სწორი რეგულირება. სილოსის, სილაჟის, სენაჟის, ბალახის ფქვილის დასამზადებლად საჭიროა შეიქმნას ნედლეულის ბაზა (სამრეწველო კონვეირი თითოეული მსხვილი ფერმისათვის).

აუცილებელად უნდა ავითვისოთ სენაჟის, სილაჟის, სილოსის, თივის ზვინებისა და ძირების მოცულობისა და წონის განსაზღვრა (იხ. ქვემოთ), საკვების აღრიცხვის კომპიუტერულ პროგრამაში ან უურნალში ჩაწერის და პერსონალურ კომპიუტერში შეტანის ტექნიკა. ასევე უნდა გავეცნოთ თივის ხარისხის შეფასების მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს (ISO). საჭიროა საეციალისტმა მენეჯერმა უნდა შეისწავლოს ბალახის მოსავლიანობის განსაზღვრა  $10 \text{ g}^2 \text{ m}^{-2}$  სააღრიცხვო ფართობებიდან, საიდანაც აიღება საშუალო სინჟი 1 კგ რაოდენობით გამოშრობაზე. ცალკე აიწონება და განისაზღვრება შრობის პროცენტი, რის საფუძველზეც ახდენენ თივის მოსავლის გადაანგარიშებას 1 ჰა-ზე (მოთიბვის მეთოდი). მოსავლიანობის აღრიცხვა შეიძლება ბულულების რაოდენობის დათვლით ჰა-ზე. მათგან ზოგიერთი ტიპიურის აწონვით გამოიანგარიშება თივის საშუალო საჟეტარო მოსავლიანობა.

## 1.9. მრავალწლოვანი საკვები ბალახების მეთესლეობა

ისეთ საკითხებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია სათიბებისა და საძოვრების მოსავლიანობასა და საკვებწარმოების კულტურის ამაღლებასთან, ერთ-ერთი პრიორიტეტულია მრავალწლოვანი ბალახების მეთესლეობა, ვინაიდან ასეთ თესლებზე სისტემატურად იზრდება მოთხოვნილება, ხოლო საკვები თესლბრუნვების სისტემის აუთვისებლობა ძირითადად ასეთი ბალახების თესლის უქონლობით არის განპირობებული.

ასეთი კულტურების თესლი აუცილებელია კულტურული სათიბებისა და საძოვრების შექმნისას. ბუნებრივ ბალახნარში ბალახების შეთესვისას საჭიროა გაირკვეს, რომ მდელოს ბალახების თესლის საჭირო რაოდენობა იფარგლება მათი სპეციალური სათესლე ნათესებში-სათესლეებში მოყვანის გზით. ბალახების თესლის უკმარისობისას გამოიყენება ბალახნარევების ნათესები.

მდელოს ბალახების მეთესლეობის საერთო საკითხებს შეისწავლიან საქართველოს ზონების მიხედვით. მეთესლეობის აგროტექნიკის შესწავლისას უურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:

1. ნაკვეთების შერჩევა მდელოს ბალახების სათესლეების მოწყობისათვის;
2. მდელოს საუკეთესო ბალახების დარაიონებული ჯიშების შერჩევა, რომლებიც შეგუებულია განსაზღვრულ ეკოლოგიურ პირობებს;
3. ნიადაგის დამუშავება და მისი მომზადება თესვისათვის;
4. თესლის დასათესად მომზადება;
5. თესლის ნორმების განსაზღვრა;
6. თესვის წესების, ვადებისა და ტექნიკის დადგენა საფარქვეშ თესვისას, საფარი კულტურის შერჩევა და მისი თავის დროზე აღება. თესვა ფართო ან ვიწრო მწკრივებში, გაზაფხულზე, ზაფხულში ან შემოდგომით;
7. სარეველა მცენარეებთან ბრძოლა და აპრობაცია სათესლეებზე, სხვა ბალახის სახეებისა და ჯიშების მინარევებისგან თესლის გაწმენდა სუფთად შენახვის მიზნით (ჯიშობრივი სიწმინდის დაცვა);
8. ბალახების სათესლეების მოვლის დონისძიებანი თითოეული კულტურის თავისებურებათა გათვალისწინებით. მაგალითად, ფართო მწკრივებში თესვისას რიგთაშორისწების თავის დროზე დამუშავება;
9. ბალახების სათესლე ნაკვეთების განოყიერება თითოეული მათგანის მოთხოვნილების გათვალისწინებით. სასუქების შეტანის დოზები და ვადები.
10. სათესლეების დროულად დამუშავება. აუცილებელია შევისწავლოთ თესლის მომწიფების მომენტის სწორი განსაზღვრა და აგრეთვე ვიცოდეთ მანქანების სწორად გამოყენება თესლის აღებისათვის;
11. თესლის აღების შემდგომი დამუშავება, მათი გასუფთავება, შენახვა. თესლის ტენიანობის დადგენა, ამისათვის უნდა ვიცოდეთ თესლებამსუფთავებელი მანქანების ("პეტკუს"-ი, "ვიზ"-ი და სხვ.), უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია აგროტექნიკურ დონისძიებათა კომპლექსის დაცვა, მიმართული მდელოს ბალახების თესლის მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

ამასთან ერთად უნდა ვიცოდეთ, რომ მდელოს ბალახების თესლი შეიძლება შევაგროვოთ ველურად მოზარდი ბალახების თესლის აღების გზითაც, აგრეთვე დაზვინული თივის აღების შემდეგ გაზაფხულზე, ზვინების ან ძირების ქვეშ დარჩენილი მინარევებიდან.

## თავი მეორე. მინდვრის საკვებწარმოება

### II.1. სამარცვლე საფურაჟე კულტურები

ცნობილია, რომ ფერმის მარცვლეულის მეურნეობა მაღალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია და სამარცვლე საფურაჟე კულტურების როლი საკვები ბაზის განმტკიცებაში მეტად მნიშვნელოვანია. ფერმის მენეჯერმა კარგად უნდა განასხვაოს ერთმანეთისგან მარცვლეული კულტურების ორი ძირითადი ჯგუფი: მარცვლეული პურეული და მარცვლეული პარკოსნები. პირველს ეკუთვნის სამარცვლე პურეულ მარცვლოვანთა ოჯახიდან: ხორბალი, ჭვავი, სიმინდი, ქერი, ტრიტიკალე, შვრია, სორგო. სამარცვლე პარკოსნებს კი მიეკუთვნება პარკოსანთა ოჯახის კულტურები: ბარდა, საკვები ცერცვი, უგრეხელი, სოია, ხანჭკოლა, ცულისპირა, მუხუდო, ვიგნა, დოლიხოსი და სხვა.

მარცვლოვანი მცენარეების უმრავლესობა გამოიყენება კომბინირებული საკვების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად. ღორისა და ფრინველის ულუფაში მას ყველა სახის საკვების 75%-ზე მეტი უჭირვას. ასევე დიდი ხვედრითი წონა აქვს ამ კულტურებსა და მათ ანარჩევებს მაღალპროდუქტიული ძროხების ულუფაშიც.

თემის შესწავლის ძირითადი მიზანია სამარცვლე საფურაჟე მარცვლეული კულტურების ნათესების სტრუქტურის სრულყოფა, აგრეთვე მათი ნარჩენების გადამუშავებულ საკვებად გამოყენება.

აქედან გამომდინარე, ფერმის მენეჯერმა კარგად უნდა იცოდეს მარცვლოვანი და საფურაჟე კულტურების კვებითი ღირებულება, მათი გავრცელების რაიონები, ბიოლოგიური თავისებურებანი (მოთხოვნილება სითბოს, ტენის მიმართ, ნიადაგის ძირითადი საზრდო ნივთიერებისადმი დამოკიდებულება) პოტენციური მოსავლიანობა, მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა, აგრეთვე ეკოლოგიურად სუფთა, ინტენსიური, ორგანული, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (კულტურების და ჯიშების მიხედვით) და ბიოლოგიური მიწათმოქმედების ტექნოლოგიები.

განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს საფურაჟე მარცვლეული კულტურების ეკონომიურ ეფექტიანობას, რომელიც სწორი აგროტექნიკის პირობებში შედარებით მაღალ მოსავალს და იაფფასიან ენერგეტიკულ საკვებ ერთეულს იძლევა. წარმოდგენა უნდა გვქონდეს მარცვლეული კულტურების შენახვის, მის კომბინირებულ საკვებად გადამუშავებისა და პირუტყვის საკვებად გამოყენების მნიშვნელობაზე.

სამარცვლე პარკოსნები პროტეინის, ცილისა და ამინომჟავეების შემცველობით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. მცენარეული ცილის პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო ცილით მდიდარი საკვები კულტურების ნათესების გაფართოება. მათ დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვისაც, ზოგიერთი მათგანი ნიადაგის აზოგის ფიქსაციით დაახლოებით 200 კგ-მდე აზოგს აგროგებს ჰა-ზე-ამიტომ, ფერმის მენეჯერმა კარგად უნდა იცოდეს სამარცვლე პარკოსანი კულტურების საერთო დახასიათება და მათი მოყვანის ძირითადი რაიონები. სამარცვლე პარკოსანი კულტურების ძირითადი წარმომადგენლები, მათი ბიოლოგია და თესვა-მოყვანის თავისებურებანი სამარცვლე საფურაჟედ გამოყენებისათვის, მათ შორის წვნიანი საკვების დასამზადებლად შუალედურ და ნარევ ნათესებში.

### II.2. სასილოსე კულტურები

მრავალწლოვანი და ერთწლოვანი საკვები კულტურები სრულფასოვან მწვანე და უხეშ საკვებთან ერთად გამოიყენება სილოსის დასამზადებლადაც, რომელიც ზამთრის პერიოდში პირუტყვის საკვებად გამოიყენება, სასილოსე ტრადიციულ კულტურებად ითვლება: სიმინდი, მზესუმზირა, სორგო, სუდანურა, ტოპინმზესუმზირა,

მიწავაშლა. ძირითად სასილოსე კულტურებად ითვლება სიმინდი, რომლის წილზე მთელი დამზადებული სილოსის რაოდენობის 80% მოდის. მისი ქიმიური შედგენილობა და შაქრის დაშლა მოცემულია # 1 სქემაში

კურადღებას იმსახურებს სასილოსე კულტურების ნარევი ნათესები პარკოსან მცენარეებთან ერთად, რომლებიც მონებებადი პროტეინით მდიდარ და უფრო ყუათიან სილოსს იძლევა. ფერმის მენეჯერი უნდა გაეცნოს ამ კულტურათა აგროტექნიკას, მათგან მიღებული მოსავლის რაციონალურად გამოყენების ხერხებს, კერძოდ, დაკონსერვებული საკვების-სილოსის, სილაჟისა და სენაჟის დამზადების ტექნოლოგიას. ტრადიციულ სასილოსე კულტურებთან ერთად საჭიროა გავეცნოთ პერსპექტიულ სასილოსე კულტურების – დიყის, სილფიას, ლაშქარას, მატიტელას, ჯიჯილაყას ბიოლოგიას და მოყვანის ტექნოლოგიას, მათ კუათიანობასა და დასილოსების თავისებურებებს.

სასილოსედ გამოიყენება აგრეთვე ერთწლოვანი საკვები კულტურები: კომბოსტო, რაფსი, მდობვი. ფერმის მენეჯერმა უნდა იცოდეს მათი მოვლა-მოყვანის თავისებურებანი, განსაკუთრებით შუალედური კულტურების სახით გამოყენების შემთხვევაში.

დასილოსების ტექნოლოგიის შესწავლის დროს განსაკუთრებული კურადღება უნდა მიექცეს მცენარეთა აღების ვადებს, აღების საუკეთესო ფაზებს, რომელიც სიმინდის შემთხვევაში ითვლება მარცვლის რძისებრ-ცვილისებრი ფაზა, მზესუმზირას შემთხვევაში სასილოსედ აღება უნდა მოხდეს ყვავილობის დასაწყისში, პარკოსანი კულტურებისათვის საუკეთესოდ ითვლება პარკების ქვედა ორ იარუსზე პარკების ცვილისებრი სიმწიფის ფაზა. უფრო ადრე მათი აღება დასაშვებია მხოლოდ ყინვების დაწყებამდე. ფერმერმა უნდა იცოდეს კომბინირებული სილოსის დამზადების ტექნოლოგია სხვადასხვა სახის პირუტყვისათვის, ხოლო სილოსის ხარისხის შეფასებისთვის უნდა ერკვეოდეს მისი ხარისხის შეფასების მეთოდებში – ვიზუალურად და ლაბორატორიული წესით განსაზღვრის მეთოდიკებში.

### II.3. ძირხვენა-ტუბერიანი და ბალჩეული კულტურები


წვნიანი საკვები მეტად მნიშვნელოვანია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის, განსაკუთრებით ლაქტაციის პერიოდში (305 დღე) წველადობის გაზრდისათვის.

ძირხვენა-ტუბერიან კულტურებს ეპუთვნის: ჭარხალი, თალგამი, თალგამურა, სტაფილო, მიწავაშლა, კარტოფილი, ტოპინმზესუმზირა და სხვა. ამ კულტურების ძირითადი საკვები ორგანოებია მიწისზედა მწვანე მასასთან ერთად ძირხვენა და ტუბერი. დამატებითი კი - ფოთოლი-კავლი. ძირხვენები და ტუბერიანები კვებითი ლირებულებით მაღალ შეფასებას იმსახურებენ, ვინაიდან ისინი ითვლებიან ზოოპიგინურ და სეკრეციის (რძის მომგვრელ) ხელშემწყობ საკვებად, ხელს უწყობენ პირუტყვის საერთო ჯანმთელობასა და მაღალპროდუქტიულობას.

ფერმის მენეჯერი ვალდებულია იცოდეს თითოეული ძირხვანა და ტუბერიანი კულტურის ბიოლოგიურ-მორფოლოგიური თავისებურებანი და მათი აგროტექნიკა, აღების, შემზადებისა და პირუტყვის გამოკვების ტექნოლოგია.

ბალჩეული კულტურებიდან საკვებად გამოიყენება: საკვები გოგრა, გორგულა, საკვები საზამთრო და სხვ., რომლებიც მაღალ აგროტექნიკურ ფონზე იძლევიან მეტად დიდ მოსავალს, უხვი და ადვილად შესათვისებელი ნახშირწყლებით. ისინი კუათიანობით უტოლდება და ზოგჯერ აჭარბებს კიდეც საკვებ ძირხვენებს.

ბალჩეული კულტურების შესწავლისას ფერმის მენეჯერმა კურადღება უნდა მიაქციოს მათ ბიოლოგიას, მოყვანის, მოსავლის აღებისა და შენახვის ძირითად ხერხებსა და მეთოდებს.



## II.4. საკვები ბალახები

მრავალწლოვანი და ერთწლოვანი საკვები ბალახები სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სრულფასოვანი მწვანე, წვითანი და უხეში საკვებით უზრუნველყოფის ძირითადი წყაროა. პირუტყვი ბალახს ზაფხულის პერიოდში მწვანე და საძოვრული საკვების სახით იყენებს, ზამთრის პერიოდში კი ბალახს აკონსერვებენ, მისგან ამზადებენ ვიტამინიზებულ ბალახის ფქვილს, ბრიკეტებსა და გრანულებს, თივას, სენაჟს, სილოს და სხვა სახის საკვებს.

ფერმის მენეჯერმა უნდა შეძლოს მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახების: წითელი სამყურას, სათესი (ლურჯი) იონჯის, ყვითელი იონჯის, ესპარცეტის, კურდღლისფრჩხილას, ძიძოს და სხვათა შეფასება მათი საკვებად გამოყენების თავისებურების ცოდნით, ხოლო მრავალწლოვანი მარცვლოვანი ბალახებიდან იცოდეს მდელოს ტიმოთელას, უფხო შვრიელას, მდელოს წივანას, სათითურას, კაბუეტების, მრავალსათიბ და მაღალი კონდარის გამოყენების თავისებურებანი, ერკვეოდეს მათი საკვებად გამოყენების მნიშვნელობაში, მაღალი მოსავლის მოყვანის ინტენსიურ ტექნოლოგიაში – თივის, სენაჟის, სილოსის, ბალახის ფქვილის, ბრიკეტების, გრანულების და მწვანე საკვების მისაღებად.

მრავალწლოვანი ბალახები ითვლება არა მარტო საუკეთესო საკვებად პირუტყვისათვის, არამედ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების კარგ საშუალებადაც. პარკოსანი ბალახები მათ ფესვებზე მოსახლე კოურის ბაქტერიების მეშვეობით ნიადაგს ამდიდრებენ მასში არსებული პარკის აზოტის ფიქსაციით, ხოლო მარცვლოვნები მათვის დამახასიათებელი კარგად განვითარებული ფუნჯა ფესვთა სისტემებით ადადგენენ ნიადაგს და ქმნიან ნიადაგის წვრილკოშტოვან სტრუქტურას.

მრავალწლოვანი ბალახების აგროტექნიკის შესწავლის შემდეგ უნდა გავეცნოთ ერთწლოვანი მარცვლოვანი კულტურების: სუდანურა, სორგო, ქვრიმა, საკვები ფეტვი, ხოლო ერთწლოვანი პარკოსანი კულტურებიდან: საგაზაფხულო და საშემოდგომო ცერცველა, ერთწლოვანი სამყურა (სერედალა) ნარევად და ხალასად თესვის თავისებურებებს, როგორც დამატებითი საკვების მიღების წყაროს.

## II.5. საკვების კონვეიერული წარმოება და საკვებზე მოთხოვნილების გაანგარიშება

ცხადია, ინტენსიური მეცხოველეობის პირობებში ბუნებრივი საძოვრები სეზონის ცალკეულ პერიოდებში ვერ უზრუნველყოფს პირუტყვს საკმაო რაოდენობის მწვანე ბალახით. მწვანე საკვების უკარისობა უარყოფითად მოქმედებს პირუტყვის პროდუქტიულობასა და ჯანმრთელობაზე. საძოვრულ პერიოდში პირუტყვის მწვანე საკვებით უზრუნველსაყოფად მიმართავენ მწვანე კონვეიერის ორგანიზაციას, რისთვისაც აწარმოებენ სხვადასხვა სავაგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის საკვები კულტურების ან ერთი და იგივე კულტურების სხვადასხვა ვაღებში თესვას, რითაც უზრუნველყოფენ პირუტყვს მწვანე საკვებით მაქსიმალური ვადით წლის სავეგეტაციო პერიოდში, ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ფერმის მენეჯერმა კარგად უნდა იცოდეს მწვანე კონვეიერის მოწყობის სახეები, ნედლეულის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი და სასილოსე კონვეიერის მოწყობის წესები.

პერსპექტივაში საკვებზე მოთხოვნილების გაანგარიშებისათვის ხელმძღვანელობებ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გეგმიდან. საკვების ხარჯვის ხორმატივები და მისი სტრუქტურა მოცემულია შემდეგ თავებში. საკვების მოთხოვნილების სწრაფად გაანგარიშებისათვის შეიძლება ვისარგებლოთ დანართში მოტანილი ციფრობრივი მასალით. როდესაც ცნობილია ფერმერულ მეურნეობაში არსებული პირუტყვის სულადობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და რაციონის სტრუქტურა, უნდა განისაზღვროს საკვებზე მოთხოვნილება საკვების სახეების მიხედვით. ამასთან, უხეში საკვების ჯგუფებში ცალკე უნდა გამოვყოთ თივა, ნამჟა,

ხოლო წვნიანი საკვების ჯგუფიდან – სილოსი, სილაჟი, სენაჟი და ძირხვენები. საკვებზე მოთხოვნილება გაანგარიშებული უნდა იქნას ფიზიკური წონით, ენერგეტიკულ საკვებ ერთეულებით ან მიმოცვლის ენერგიაში, აგრეთვე მონელებად პროტეინში საკვების სახეების მიხედვით. შემდეგ თავებში მოცემულია საკვების უუათიანობის საშუალო მონაცემები. საკვების უუათიანობის მონაცემები შეიძლება ავიდოთ ლიტერატურიდანაც, ამასთან, მიზანშეწონილია უუათიანობა გამოხატული იქნეს მიმოცვლის ენერგიით ცხოველებისა და ფრინველების სახეების მიხედვით.

## II.6. საკვები კულტურების ნათესების სტრუქტურის სრულყოფა

საკვები კულტურების ნათესების სტრუქტურის სრულყოფა უნდა ემყარებოდეს მათ ეკონომიკურ შეფასებას, სხვადასხვა სახის საკვებზე მოთხოვნილებას პირუტყვის სახეების და კვების რაციონის გათვალისწინებით.

ეკონომიკური შეფასების პირველ საფეხურს წარმოადგენს საკვები კულტურების საპექტარო მოსავლიანობა, გამოხატული ენერგეტიკულ საკვებ ერთეულებში ან მიმოცვლის ენერგიაში. საკვები კულტურებით დაკავებული ფართობების გამოყენების ინტენსიურობა გამოიხატება ეფექტიანობის კოეფიციენტით, ენერგეტიკულ საკვებ ერთეულებში ან მიმოცვლის ენერგიაში გამოხატული მიღებული პროდუქციის ხევდრითი წილის შეფარდება აღნიშნული კულტურით დაკავებულ ფართობთან, მაგ: საკვები ძირხვენები იძლევიან საკვები ერთეულების 20% და დაკავებული აქვს სახნავის 10% ფართობი. კოეფიციენტი (20:10) გამოხატავს ამ კულტურის მიერ სახნავის გამოყენების ინტენსიურობას.

საკვებზე მოთხოვნილების და მისი დანაკლისის შევსების წყაროების განსაზღვრის, სათესი ფართობების სტრუქტურის დაზუსტების შემდეგ საჭიროა დამუშავდეს ძირითადი საკვები კულტურების მოყვანის ტექნოლოგიები ფერმერული მეურნეობის მექანიზაციის, ქიმიზაციის, მელიორაციის და მეცხოველეობის დონის გათვალისწინებით. ამასთან, საკვები კულტურების დაგეგმილი (დაპროგრამებული) მოსავლიანობის დონე უნდა უზრუნველყოფდეს ფერმერული მეურნეობის საკვებზე მოთხოვნილებას სადაზღვევო ფონდის გათვალისწინებით. აქვე უნდა ვიცოდეთ ძირითადი საკვები კულტურების მოყვანის ტექნოლოგიები, ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული ან ძირეული გაუმჯობესების დონისძიებები. ძირეული გაუმჯობესების შემთხვევაში უნდა დაიგეგმოს კულტურული სათიბებისა და საძოვრების შექმნის ტექნოლოგიები, მათი რაციონალურად გამოყენების წესები და მეთოდები, გასაწევი დანახარჯების მოცულობა, მათი რენტაბელურობა.

საძოვრული პერიოდის თვეების მიხედვით ზოგადად უნდა შევადგინოთ მწვანე კონვეირი მხოლოდ ძირითადი კულტურების მოსავლიანობის და ფართობების ხარჯზე, საკვები თესლდარუნვების შესაძლებლობების განხილვის გარეშე. აგრეთვე უნდა გავიანგარიშოთ მოთხოვნილება ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახების თესლებზე, ბალახნარევების შესადგენად, კულტურული სათიბ-საძოვრების მოსაწყობად და ფინანსური სახსრების მოსაძიებლად.


## II.7. საკვების დამზადების, შენახვისა და გამოსაკვებად მომზადების ტექნოლოგიების სრულყოფა

ფერმის მენეჯერმა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის საფუძველზე უნდა დაამუშაოს საკვების დამზადების პროგრესული ტექნოლოგიები – დაჭრილი და დაპრესილი თვისის, ბალახის ფქვილის, გრანულების და ბრიკეტების, სენაჟის და სილოსის დამზადების ტექნოლოგიები აქტიური ვენტილაციის მეთოდით, ქიმიური კონსერვანტების გამოყენებით და სხვ. ფერმაში მრავალწლოვანი ბალახების

მრავალჯერადი თიბვის ტექნოლოგიის დანერგვით საადრეო თიბვებისა და სათიბების სასუქებით თიბვის შემდგომი სისტემატიურად გამოკვების გამოყენებით.

თუ ფერმერულ მეურნეობას აქვს ბალახის ფქვილის დასამზადებელი საშრობი აგრეგატები, უნდა გავიანგარიშოთ მათი ნედლეულით დატვირთვისათვის საჭირო კონვეიერი. აგრეგატების მუშაობის დაგეგმვა უნდა მოხდეს სეზონში 150 დღის განმავლობაში (საქართველოს მთისწინა ზონის ჩათვლით), მათი შეუჩერებლად შეუფერხებელი მუშაობისათვის. მაგ: ცნობარში უნდა მოვძებნოთ აგრეგატის მწარმოებლობა, ვთქვათ, აგრეგატის სადღედამისო წარმადობა შეადგენს 5 ტ-ს. 1 ტ ბალახის ფქვილის საწარმოებლად საჭიროა 4,0-5,0 ტ 75-80% ტენიანობის მქონე მწვანე მასა. სადღედამისო მოთხოვნა მწვანე მასაზე შესაბამისად ტოლი იქნება 25 ტ-ისა, ხოლო ზოგიერთი დანაკაბრგების გათვალისწინებით 24 ტ. თუ მწვანე მასის მოსავლიანობა შეადგენს 10 ტ/ჰ-ს და მისი გამოყენების პერიოდი 20 დღეა, მაშინ ყოველდღიური ფართობი ტოლია (24:10) 2,4 ჰა, სულ კი (2,4X 20 დღე) = 48 ჰა-ს. ამრიგად, 48 ჰექტარია საჭირო აგრეგატის 20 დღით შეუფერხებლად მუშაობისათვის, რომლის წარმადობა 5 ტ ბალახის ფქვილია დღე-ღამეში, მწვანე მასის 10 ტ/ჰ მოსავლიანობის შემთხვევაში. ამ მიზნისათვის შერჩეული უნდა იქნას საკვები კულტურები, რომლებიც მწვანე მასას იძლევიან მაისიდან ოქტომბრის თვემდე.

მაღალყუათიანი საკვების დამზადების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ტენიანობას. ამ ფაქტორს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაკონსერვებული საკვების (სენაჟი, სილაჟი, სილოსი) დამზადების დროს. სილოსის ხარისხი მცენარეთა აღების ფაზებისა და დასილოსების ტექნოლოგიის წესების დაცვის გარდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასილოსე მასის ტენიანობაზე, რომელიც 70-75%-ს არ უნდა აღემატებოდეს. თუ ტენიანობა უფრო მაღალია, დასილოსებულ მასას უნდა დაემატოს მშრალი მასა უხეში საკვების ჯგუფიდან (ნამჯა, თივა, ჩალა და სხვ.), რისთვისაც იყენებენ მართკუხედის მეთოდს



70% - სასურველი ტენიანობა  
80% - სასილოსე მასის ტენიანობა  
16% - მშრალი მასის ტენიანობა

დიაგრამაზე უდიდეს ციფრს უნდა გამოაკლდეს უმცირესი და დაიწეროს მართკუთხედის შეუვსებელ კუთხეში. ამ მონაცემების საფუძველზე საზღვრავენ მშრალი მასის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა დაემატოს ნედლ მასას.

ჩვენს მაგალითში ყოველ 54 წილ მაღალტენიან სასილოსე მასას უნდა დავუმატოთ 10 წილი 16% ტენიანობის ნამჯა, ანუ 100 ტ 80% ტენიანობის მასის 70% - მდე დასაყვანად საჭიროა 18,5 ტ მშრალი მასა:

$$\begin{array}{rcl} 54 - 10 & \quad X=100 \cdot 10 & = 18,5 \text{ ტ} \\ 100 - X & \hline & \\ & 54 & \end{array}$$

## II.8. საკვების აღრიცხვა, მისი ხარისხის და შენახვის პირობების განსაზღვრა

ყოველ ფერმაში უნდა ხდებოდეს ყველა სახის საკვების ზუსტი აღრიცხვა, რომელიც შეაქვთ საკვების აღრიცხვის უკრნალში. სხვა ფერმერზე ან პასუხისმგებელ

პირზე საკვების გადაცემის დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საბუთის შედგენა და გადაცემის ან გაყიდვის იურიდიულად დაფიქსირება.

ფერმერულ მეურნეობაში საკვების დამზადების დროს ხდება საკვების სასწორზე გატარება და დაბინავება. თუ სხვადასხვა მიზეზების გამო უხეში საკვების აწონვა დამზადების დროს ვერ მოხერხდა, მის რაოდენობას საზღვრავენ დადგენილი ზვინების ან ძირების მოცულობით, რისთვისაც სარგებლობენ შემდეგი ფორმულებით:

$$\theta = \frac{\delta - \text{სიგანე}}{4} \times \text{სიგრძ. (კონუსური ძირებისათვის)}$$

$$\theta = (0,56 \times \delta - 0,55 \times \text{სიგანე}) \times \text{სიგანე} \times \text{სიგრძე (ბრტყელი ძირებისათვის)}$$

$$\theta = (0,04 \times \delta - 0,012 \times \delta') \times \delta' \times (\text{მრგვალი ზვინებისათვის})$$

სადაც  $\theta$  არის ზვინის (ძირის) მოცულობა  $\text{მ}^3$ -ში; გ-გადანასროლის სიგრძე მ-ში;  $\delta$  – ზვინის სიგრძე მ-ში;  $\delta'$  – ზვინის გარშემოწერილობა.

მოცულობის მასაზე გადასაყვანად სარგებლობენ ცნობარით, რომელშიც მოცემულია 1  $\text{მ}^3$  უხეში საკვების მასის წონები სხვადასხვა დროით შენახვის მიხედვით, ან თვითონ ფერმერები წონიან სანიმუშო წესებს და ტოლობით გაიანგარიშებენ ფერმაში დამზადებული საკვების მოცულობით წონას. სენაჟისა და სილოსის წონის დადგენა ხდება აგრეთვე მათი მოცულობისა და ცხრილების საშუალებით, მასაზე გადაანგარიშებით. ფერმერმა უნდა ისწავლოს, თუ როგორ ხდება მიწისზედა და მიწაში არსებულ ორმოებში ჩადებული დაკონსერვებული საკვების მოცულობის წონაში გადაყვანა, კარგად დაიმახსოვროს საშუალო სინჯების აღების მეთოდიკა საკვების ხარისხის შესაფასებლად, საკვების ყუათიანობა, სახელმწიფო ან საერთაშორისო სტანდარტები ანუ კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტები: თივაზე, სენაჟზე, სილაჟზე, სილოსზე და ბალახის ფევილზე და სხვ. აღნიშნულ განაკვეთში ფერმის მენეჯერმა უნდა გაიანგარიშოს ორმოების ან კოშკების რაოდენობა სხვადასხვა სახის საკვების დასამზადებლად. უნდა დაუკავშიროთ საკვების რაოდენობა საკვების მოთხოვნილების ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში დამუშავებულია და წარმოებაში გამოიყენება საკვების ყუათიანობის განსაზღვერის არაპირდაპირი მეთოდები, რომლებიც ზოგიერთ საყუათო ნივთიერებათა ან მათ ჯგუფთა და საკვების ფაქტიური ყუათიანობის კორელაციურ ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრაზეა დამყარებული.

მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის მიღწვევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ საკვებმომპოვებლები აწარმოებენ მაღალი ხარისხის საკვებს საკმარისი რაოდენობით, რაც თავის მხრივ მოითხოვს, რომ ზუსტად და კომპლექსურად იქნეს განსაზღვრული დამზადებული საკვების ყუათიანობა მისი ხარისხის მაღალ დონეზე შემოწმების ორგანიზაციით. ხშირად მცირე და საშუალო საწარმოში ძნელია საკვების ყუათიანობის ზუსტად დადგენა, ვინაიდან არსებული რეგიონალური ექსტრიციური მომსახურების სამსახურები ვერ უწრუნველყოფენ ყუათიანობის ძირითადი ელემენტების ოპერატიულად განსაზღვრას და უკეთეს შემთხვევაში, იფარგლებიან საკვებში მშრალი ნივთიერების, ნედლი უჯრედანას და ნედლი პროცესის განსაზღვრით. დანარჩენ მონაცემებს იღებენ ცხრილებიდან, რაც იწვევს ფერმერულ მეურნეობაში საკვების ფაქტიური ყუათიანობის მაჩვენებლების არასწორად შეფასებას და შესაბამისად, შეცდომებს პირუტყვის საკვები რაციონების და ნორმატივების შედგენის დროს.

საკვების ყუათიანობას, გამოხატულს საკვებ ერთეულებში ან მიმოცვლის ენერგიაში, განსაზღვრავენ მასში ძირითადი საკვები ელემენტების არსებობით, კერძოდ, პროტეინის, ცხიმის, უჯრედანას და უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებების (უენ) შემცველობის მიხედვით, მათი მონელებადობის გათვალისწინებით. ამ

ნივთიერებათა შემცველობას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, პირველ რიგში აღებული საკვები კულტურების სავაგებზაციო ფაზები, გამოყენებული აგროტექნიკა, შეტანილი სასუქების დოზები, საკვების დამზადების და შენახვის ტექნოლოგია, მათი პირუტყვის გამოსაკვებად წინასწარი მომზადება. სწორედ ამაზეა დამოკიდებული სხვადასხვა სახეობის საკვების უუათიანობა. საკვების უუათიანობის შეფასება რომელიმე ერთი მაჩვენებლით შეუძლებელია, ვინაიდან იგი ვერ ასახავს მასზე პირუტყვის ორგანიზმის მოთხოვნილებას. ამისათვის ბოლო წლებში გამოიყენება კომპლექსური შეფასება საკვების ენერგეტიკული უუათიანობის, მასში მშრალი ნივთიერების, პროტეინის და მისი ხარისხის (ამინომჟაური შედგენილობა), ცხიმის და შეუცვლელი ცხიმოვანი მჟავების, შაქრების, სახამებლის, უჯრედანას, მაკრო და მიკროელემტების, ვიტამინების და კვების სხვა ელემენტების გათვალისწინებით, რომლებიც საჭიროა პირუტყვის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიღებისთვის.

## II.9. დაკონსერვებული საკვების დამზადება

საკვების დაკონსერვება დასილოსების გზით, დაფუძნებულია ბუნებრივ რძის მჟავა დუღილის პროცესზე. დაქუცმაცებული (5სმ) დასასილოსებელი ნედლეული ჩაიყრება შესანახად სრული ტენიანობის (სილოსი) ან ხანმოკლე გამოშრობის შემდეგ (სენაჟი). დუღილის დროს დანაკარგების შემცირების აუცილებელი პირობაა ნედლეულის დატკეპნით სწრაფი ჩაწყობა. დუღილის შედეგად წარმოქმნილი მჟავები იწვევენ წყალბადის იონების კონცენტრაციის გაზრდას, და ამასთანავე pH სიდიდის დაწევას (ცხრილი 1).

როდესაც წყალბადის იონების კონცენტრაცია გადააჭარბებს ანაერობულ პირობებში დადგენილ კრიტიკულ მნიშვნელობას, არ მიმდინარეობს შემდგომი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები. ასეთი სილოსი შეიძლება შენახულ იქნეს დიდი ხნით.

### ცხრილი 1

pH-ის კრიტიკული მნიშვნელობა სასილოსე მასაში მშრალი ნივთიერების შემცველობის მიხედვით.

მშრალი ნივთიერება, %	მოთხოვნილება pH-ზე საიმედო შენახვისთვის
15	4,10
20	4,20
25	4,35
30	4,45
35	4,60
40	4,75
45	4,85
50	5,00

დასილოსებისას მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები მცენარეებში. მწვანე საკვების მოთიბვის შემდეგ მცენარეში რამდენიმე ხანს მიმდინარეობს ასიმილაციის და დისიმილაციის პროცესი, საყუათო ნივთიერებათა გარდაქმნა, რომელთა ინტენსიურობა დამოკიდებულია მთელი რიგ ფაქტორებზე. გახლების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მცენარეებით, მით უფრო აქტიურია, რაც

მეტია მასის ტემპერატურა, შაქრის შემცველობა (განსაკუთრებით გლუკოზა და ფრუქტოზა) და წყალი, რაც უფრო ძლიერია უნგბადის ნაკადი. წყლის დანაკარგების გაზრდით გაშრობისას და pH მნიშვნელობის შემცირებით დასასილოსებელი მასის ჩაწყობის შემდეგ მცირდება მცენარეული ფერმენტების აქტიურობა, რომლებიც ხლების საყუათო ნივთიერებებს. მშრალი ნივთიერების კონცენტრაციის დონე, როცა 35%-ია, მკეთრად მცირდება უჯრედების სუნთქვითი აქტიურობა, რომელიც საერთოდ წყდება, როცა მშრალი ნივთიერების კონცენტრაცია აღწევს 40%. სუნთქვის პროცესში მცენარეული პროტეაზები შლიან პროტეინებს პეპტიდებამდე და ამინოჟენებამდე. იზრდება წყალში ხსნადი აზოტის შემცველი შენარევების კონცენტრაცია 70%-მდე, აზოტის საერთო შემცვლელობიდან. არასაკმარისი გაშრობისას შეიმჩნევა პროტეინის საგრძნობი დანაკარგები, მცენარის გამოყოფილ წვენთან ერთად. განსხვავებით სხვა მცენარეული ფერმენტებისგან, პროტეაზები აქტიურები არიან ანაერობულ არეში. თუმცა pH მნიშვნელობის 4,3-ზე ქვევით, მისი მოქმედებაც წყდება.

**ბიოლოგიური დუღილის წინაპირობები.** სასურველ პროცესს დასილოსებისას წარმოადგენს რძემჟავას დუღილი. ამ დროს ადვილად ფერმენტირებადი ნახშირწყლები, რძემჟავა ბაქტერიების (ლაქტობაქტერიები) მოქმედებით იშლებიან რძის მჟავამდე. ეს ბაქტერიები ინარუნებენ სრულ აქტიურობას ანაერობულ პირობებში. მათ აგრეთვე გადააქვთ უანგბადის მცირე რაოდენობა. წყლის საწყისი რაოდენობა სასილოსე მასაში ინახება, თუ ჩაწყობისას მ.ნ.-ს შემცველობა აღწევს 25%. საყუათო ნივთიერების დანაკარგის სიდიდე დამოკიდებულია საკვების სახეობაზე და მასის ჩაწყობის პირობებზე, დასილოსების მიმდინარეობის პროცესზე, აგრეთვე სილოსის საცავის გახსნის შემდეგ კონსერვირებული საკვების ტემპერატურაზე.

რძის მჟავა ბაქტერიები აწარმოებენ დამაკონსერვირებულ რძემჟავას, საყუათო ნივთიერებების მცირე დანაკარგებით. დუღილის პროცესში მონაწილეობას დებულობს სხვადასხვა სახეობის რძის მჟავა ბაქტერიების დიდი რაოდენობა (*Leuconostoc, Lactobacillus, Pediococcus, Streptococcus* და სხვა). ჰექსოზაზე, მოქმედების ტიპის მიხედვით რძემჟავა დედილის ბაქტერიებს ყოფენ ჰომოფერმენტაციულ და ჰეტეროფერმენტაციულ და. ჰომოფერმენტაციული ბაქტერიები შლიან ჰექსოზას რძის მჟავებამდე, იმავდროულად პენტოზის დაშლისას დამატებით წარმოქმნება ძმრის მჟავაც. ჰეტეროფერმენტაციული ბაქტერიები ძმრის მჟავასთან ერთად წარმოქმნიან დამატებით სხვა დუღილის პროდუქტებს (ჭიანჭველამჟავის, ერბოს და ვალერიანის მჟავებს, ნახშირორჟანგს, მეთანს, ეთინოლს და სხვა. რაც უფრო ნაკლებია თანმდევი პროდუქტების წილი, მით უფრო ნაკლებია დუღილისას ენერგიის დანაკარგები.

მცენარის შემადგენელი საქაროზა და პოლისაქაროზა საბოლოო გარდაქმნამდე მიკრობული და მცენარეული ფერმენტების მოქმედებით იხლიჩებიან მონოსახარიდებამდე. სუფთა ძმარმჟავა დუღილი არ არსებობს. თუ რძემჟავას შემცველობა აღწევს დუღილის მჟავების საერთო მასის 75%-ს, მაშინ ითვლება, რომ დუღილის პროცესი მიმდინარეობს ოპტიმალურად. მჟავათა შემადგენლობა არსებითად განაპირობებს სილოსის ხარისხს. ერბოს მჟავის ოუნდაც მცირეოდენი რაოდენობა სილოსში, ამცირებს მის ჭამადობას და შენახვის ხანგრძლივობას.

ჩადებისას, 1 გ. დასასილოსებელი ნედლეული შეიცავს არანაკლებ 1000 ლაქტობაქტერიას. პირველსავე დღეებში მიმდინარეობს მათი სწრაფი გამრავლება  $10^8$ - $10^9$  მიკრობულ უჯრედამდე 1 გ დასასილოსებელ მასაში. თუ დასილოსების პროცესი დამთავრდა, ბაქტერიების რაოდენობა კვლავ მცირდება. ლაქტობაქტერიების გამრავლების სიჩქარე, მაშასადამე დასილოსების ხარისხი, დამოკიდებულია ადვილად დუღებად ნახშირწყლების რაოდენობაზე (მონო და დისაქარიდები), მაკრო და მიკრო ელემენტების შემცვლელობაზე, ვიტამინსა და პროტეინზე. რძის მჟავის კონცენტრაციის გადიდება და შემდგომ pH-ის მნიშვნელობის შემცირება სილოსში ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ლაქტობაქტერიების გამრავლება. რძემჟავა ბაქტერიების კლასიფიკაციას ატარებენ, ხელმძღვანელობენ რა ტემპერატურის ცვალებადობით

დუღილის პროცესში. დუღილს ენერგიის მცირე დანაკარგებით უზრუნველყოფენ ის ბაქტერიები, რომელთა ცხოველმოქმედების ოპტიმუმი იმყოფება 20-30°C.

რძემჟავა ბაქტერიების კლასიფიკაცია ტემპერატურული ოპტიმუმის მიხედვით  
ცხრილი 2

რძემჟავა ბაქტერიების სახეობა	ტემპერატურული ოპტიმუმი, °C
სიცივის მოყვარული ბაქტერიები	20-30
სითბოს მოყვარული ბაქტერიები	35-40
თერმოფილური ბაქტერიები	>40

დუღილის სამი უმთავრესი მჟავას ურთიერთობაზეარდობის მონაცემთა საფუძველზე, შესაძლებელია სილოსის ხარისხის ზუსტი შეფასება ფლიგის მიხედვით. ამისთვის უნდა დადგინდეს რძის, ძმრის და ერბომჟავათა წილი, ხოლო სილოსის შეფასება წარმოებს ბალებით. ბალთა ჯამით ხასიათდება საკვების ხარისხი.

სილოსის მასა შეიცავს რიგ არასასურველ მიკროორგანიზმებს, რომლებიც აბრკოლებს ლაქტობაქტერიების განვითარებას. ეს მიკროორგანიზმები გაერთიანებულია დუღილისთვის საზიანო მიკრობთა ჯგუფში, რამდენადაც ისინი არამარტო ართმევენ რძემჟავა ბაქტერიებს საკვებ სუბსტრატს, არამედ გამოყოფენ ნივთიერებას, რომელიც აქვთ განვითარების ცხოველის პროდუქტიულობას და აუარესებს მის ჯანმრთელობას. დუღილისთვის საზიანო მიკრობთა ჯგუფს მიეკუთვნება აერობული ბაქტერიები, რომლებიც აქტიურობენ სასილოსე მასაში უანგბადის არსებობამდე. აერობული ბაქტერიები შეადგენენ მცნობის გაიფიტური მიკროფლორის ძირითად ნაწილს. ისინი იმყოფებიან ძირითადად, ნიადაგში, ამიტომ მათი შემცველობა მნიშვნელოვნად მატულობს ძალიან დაბინძურებულ სილოსში. აერობული ბაქტერიების უმეტესი სახეობა არსებითად იკვებება მონო და დისაქტორიული, აგრეთვე სახამებლით, რითაც უწევს კონკურენციას რძის მჟავა ბაქტერიებს საყუაოთ ნივთიერებებზე. ზოგიერთი სახეობა თავის მოთხოვნილებას ენერგიაზე უზრუნველყოფს მხოლოდ პროტეინის ხარჯზე.

სილოსის შეფასება დუღილის მჟავის თანაფარდობის მიხედვით (ფლიგის მიხედვით)

ცხრილი 3

რძე- მჟავა% ყველა მჟავას მასიდან	ბალი	ძმარმჟავა% ყველა მჟავათა მასიდან	ბალი	ერბომჟავა% ყველა მჟავათა მასიდან	ბალი
0-25	0	0-15,0	20	0-1,5	50
25,1-30,0	2	15,1-20,0	18	1,6-3,0	30
30,1-34,0	4	20,1-24,0	16	3,1-4,0	20
34,1-38,0	6	24,1-28,0	13	4,1-6,0	15
38,1-42,0	8	28,1-32,0	10	6,1-8,0	10
42,1-46,0	10	32,1-36,0	7	8,1-10,0	9
46,1-50,0	12	36,1-40,0	4	10,1-12,0	8
50,1-54,0	14	40,1-45,0	2	12,1-14,0	7
54,1-58,0	16	>45,1	0	14,1-16,0	6
58,1-62,0	18			16,1-18,0	4
62,1-66,0	20			18,1-20,0	2
66,1-70,0	24			20,1-30,0	0
70,1-75,0	28			30,1-40,0	-5
>75,0	30			>40,0	-10

ბალების ჯამი	საკვების ხარისხი
81-100	ბალიანი კარგი
61-80	კარგი
41-60	დამაკმაყოფილებელი
21-40	საშუალო
0-20	ცუდი

სილოსის მასაში გავრცელებულ ბაქტერიებს შორის არასასურველ ბაქტერიათა ჯგუფს ეკუთვნის *Coli-Aerogenes* (სახეობა *Aerobakter da Escherichia*). ესენია გრამ-უარყოფითი უძრავი ჩხირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ფაკულტატურ აერობებს და წარმოქმნიან მხოლოდ მმარმჯავას და ნახშირორჟანგს. თუ სასილოსე მასაში მათი კონცენტრაცია აღემატება  $10^4$  მიკრობული უჯრედს 1 გ მასაში, მაშინ ისინი პრაქტიკულად იყენებენ მთელი შაქრის მარაგს. მათი სწრაფი გამრავლებისას გამოიყოფა მნიშვნელოვანი რაოდენობის სითბო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სასილოსე მასის გადახურება  $60^{\circ}\text{C}$ -ზე ზევით. შაქრის არ არსებობის და მაღალი ტემპერატურის პირობებში, რძემჯავას დუღილის პროცესი წყდება. სასილოსე მასაში ტემპერატურის მატება, ასევე უარყოფითად მოქმედებს პროცესის მონელებაზე.

სილოსში არსებულ ბაქტერიათა სხვა ჯგუფს ეკუთვნის პიგმენტ წარმომქმნელი ჩხირები. მათ მიეკუთვნება შემდეგი რიგის ბაქტერიები – *Pseudomonas*, *Alcaligenes*, *Serratia*, *Flavobacterium*, რომლებიც ფაკულტატური ანაერობები არიან და ნახშირყლებთან ერთად შლიან ცილებსაც. მათ უწოდებენ აგრეთვე ლპობის ბაქტერიებს. თუმცა ისინი აქტიურები არიან მხოლოდ სუსტ მჟავე და ნეიტრალურ არეში (ცხრილი 4).

pH მაჩვენებელი სხვადასხვა სახეობის მოკროორგანიზმებისთვის.

#### ცხრილი 4

მიკროორგანიზმები	pH სიდიდე	
	ოპტიმალური ზრდისთვის	ზრდის ქვედა ზღვარი
რძემჯავა ბაქტერია <i>Coli-Aerojenes</i>	6,0-6,5 7,0	3,0-3,6 4,3-4,5
სხვა გრამ-უარყოფითი ბაქტერიები	6,5-7,5	4,2-4,8
კლოსტრიდი	7,0-7,5	4,2-4,4
ობის სოკოები	5,0-7,0	2,5-3,0
საფუარი	5,0-7,0	1,8-2,2
საფუარის ნალექი (თხლე)	4,0-6,0	1,3-1,6

სახეობა *Clostridien* მიეკუთვნება ჩხირის ფორმის ანაერობულ სპორაწარმოქმნელ ბაქტერიებს. იყოფიან საქართლიტური და პროტეოლიტურ სახეობებად.

საქართლიტური სახეობა იწვევს დიდი მოცულობით ნახშირწყლების დუღილს, მხოლოდ ერბოს მჟავამდე. უკვე წარმოქმნილ რძიმებავას გარდაქმნიან ერბომჟავად (2 მოლი რძის მჟავა მოლი ერბომჟავა  $\rightarrow 2$  მოლი  $\text{CO}_2$ ), თუმცა წარმოქმნილი ერბოს მჟავა pH-მნიშვნელობას ნაკლებად ამცირებს, ვიდრე რძემჯავა.

ბაქტერიათა პროტეოლიტური სახეობები შლიან ამინომჟავას და ანთავისუფლებენ ამიაკს ( $\text{NH}_3$ ), რომელიც ანეიტრალებს დუღილის მჟავეებს. ცვლის საბოლოო პროდუქტების სახით წარმოქმნება ტოქსინები – კადავერინი და პუტრესცინი. ამ შემთხვევაში სილოსის დუღილის ნორმალური მიმდინარეობის

დროსაც კი, ხდება პრაქტიკულად ტრიფტოფანის დაშლა. კლოსტრიდიების მაღალი შემცვლელობისას, სასილოსე მასაში pH უმნიშვნელოდ მცირდება, რის გამოც იქმნება ხელსაყრელი პირობები ლპობის ბაქტერიების გასამრავლებლად, რაც საბოლოოდ იწვევს სილოსის ხარისხის გაუარესებას. პრობლემა შემდგომში მდგომარეობს – კლოსტრიდიების სპორები ვრცელდება ძროხის ფექალთან ერთად, რომელმაც ასეთი სილოსი მიიღო. საბოლოოდ რძის სპორებით დაბინძურების შედეგად უგარგისი ხდება მაგარი ყველის წარმოებისთვის.

უარყოფითად მოქმედებს სილოსის შენახვაზე საფუარი. რამდენადაც საფუარი ვითარდება დაბალი pH-ის დროს, სილოსში არის მისი სიცოცხლისუნარიანობისთვის ოპტიმალური პირობები. ჟანგბადის დაბალი შემცვლელობის პირობებშიც სილოსის მასაში ისინი შლიან ნახშირწყლებს, რძემუავას და პროტეინს. ეს პროცესები მით უფრო ინტენსიურია, რაც მეტია ჟანგბადის შემცველობა. სასილოსე მასის არასაკმარისი გამკვრივებისას, სასილოსეში გამრავლების უნარის მქონე საფუარის კონცენტრაცია 1კგ მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით 3 დღის განმავლობაში იზრდება  $10^2$ -დან  $10^{12}$  უჯრედებამდე. არასაკმარისად შემკვრივებულ სილოსში განსაკუთრებით არაინტენსიური გამოყენების შემთხვევაში საფუარი ისევ აქტიურდება, რაც იწვევს სილოსის ძლიერ გადახურებას და ჭამადობის შემცირებას.

ობის სოკოები სახეობა *Penicillium*, *Aspergillus*, *Mucor* და სხვები მიეკუთვნებიან აერობულ მიკროორგანიზმებს. ისინი მრავლდებიან უპირველეს ყოვლისა ცუდად გამკვრივებულ სასილოსე მასაში, დახურულ ან დია სასილოსეში. შლიან პროტეინებს და ნახშირწყლებს და გამოყოფენ ამ დროს სხვადასხვა ტრქსინებს (ალფატოქსინები, არქატოქსინ - A), რომლებიც ცხოველებში იწვევს მაღის დაქვეითებას, საჭმლის მონელების აშლილობას, აბორტებს, თირკმლის ფუნქციის დარღვევას და სხვა.

**დასილოსებისას მიკროორგანიზმების რაოდენობის ცვლილება.** დასილოსების კარგ პირობებში მიკროორგანიზმების რაოდენობა სასილოსე ნედლეულის ჩაწყობისას მერყეობს  $10^6$ - $10^7$  უჯრედამდე 1 გრამში. ანაერობულ პირობებში მიკრობული რიცხვი რამდენიმე დღეში იზრდება 1-3  $10^9$  უჯრედამდე ერთ გრამში. დუდილის პროცესის ნორმალური მიმდინარეობისას, pH-ის დაწევის შემდეგ მათი რაოდენობა მცირდება  $10^8$  უჯრედამდე.

დუდილის პროცესის კარგი მსვლელობისას ითრგუნება მავნე მიკროორგანიზმები, რადგან მცირდება pH მნიშვნელობა და ჟანგბადის შემცველობა. ოპტიმალური რძემუავა დუდილისთვის pH საჭირო მნიშვნელობა მიიღწევა 1-3 დღის განმავლობაში. მავნე ბაქტერიების რაოდენობა მკვეთრად კლებულობს 3-6 დღე-დამის მანძილზე, უმრავლესობა შემდგომში საერთოდ ქრება. პაერის თავისუფლად შედწევისას რძემუავა ბაქტერიების განვითარება ნორმაზე 20%-ით ნაკლებია. პაერის მოწოდება ხელს უწყობს საფუარის და *E-coli* ბაქტერიების განვითარებას. ამიტომ აუცილებელია სასილოსე ნაგებობა, ნედლეულის ჩაწყობის შემდეგ, რომელიც 3 დღეზე მეტს არ უნდა გაგრძელდეს, სასწრაფოდ გადაიხუროს.

მაღალხარისხოვან სილოსში რძემუავა ბაქტერიების კონცენტრაცია რჩება მუდმივი –  $10^8$  1 გ. საკვებში. ერბომუავას კონცენტრაციის გაზრდით სილოსში კლებულობს ლაქტობაქტერიების რაოდენობა, რადგან ისინი მგრძნობიარე არიან ბუტილების მიმართ. შენახვის პროცესში მიმდინარეობს ლაქტობაქტერიების პოპულაციის შემადგენლობის ცვლილება. დასილოსების დასაწყისში ჭარბობენ პომოფერმენტაციული სახეობები, შენახვის პერიოდის დროს კი იზრდება იმ სახეობათა რაოდენობა, რომელიც მდგრადია აცეტატებისა პეტეროფერმენტაციული სახეობების მიმართ.

კლოსტრიდების განვითარება, ლაქტობაქტერიებისგან განსხვავებით, მიმდინარეობს თანდათანობით პირველი 2-3 კვირის განმავლობაში. ჩადებისას მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს  $10^3$  1 გ ნედლეულში. რძის მუავის არასაკმა

რაოდენობით წარმოქმნის და ანაერობულ პირობებში კლოსტრიდიების კონცენტრაცია იზრდება  $10^6$ – $10^8$ –მდე

**დუღილის პროცესი.** მცენარეული ფერმენტები წყვეტენ შაქრის დაშლას ნახშირორჟანგად და წყლად, თუ სასილოსე შენობა დახურულია, ჰაერის შეღწევა შეწყვეტილია და მთელი უანგბადი გამოყენებულია.

მიკროფლორის განვითარება იწყება ჯერ კიდევ მინდორში და მკვეთრად იზრდება მასის ჩაწყობის შემდეგ. თავიდან ჭარბობს აერობული მიკროორგანიზმები, შემდგომ იწყებენ გამრავლებას ანაერობული რძემჟავა ბაქტერიები. მცენარის სუნთქვის და აერობული ცვლის შედეგად, აგრეთვე სასილოსე მასაში შაქრის გახლების შედეგად წარმოქმნილი სითბოს მნიშვნელოვანი რაოდენობა არ სებითად აუარესებს სიცივის მოყვარული რძემჟავა ბაქტერიების სიცოცხლისუნარიანობის პირობებს, განსაკუთრებით ზაფხულში. შაქრის გახლების შუალედური პროდუქტებს წარმოქმნა დამოკიდებულია მიკროორგანიზმების სახეობაზე. მაღალი ტემპერატურა უზრუნველყოფს ერბომჟავას წარმოქმნელი მიკროორგანიზმების გამრავლებას.

რძემჟავა ბაქტერიების ოპტიმალური განვითარებისათვის აუცილებელია სასილოსე მასა სწრაფად ჩაიდოს, დაიტენიოს და შეიფუთოს, რომ შენახულ იქნეს წარმოქმნილი ნახშირორჟანგი და დაითრგუნოს აერობული მიკროორგანიზმების განვითარება. ამისათვის აუცილებელია საფარის მთლიანობის მუდმივად შემოწმება რათა დროულად აღმოვფხვრილ იქნას წარმოქმნილი დაზიანებები.

სასილოსე ორმოს დახურვის პირველსავე დღეებში მოკროფლორაში სჭარბობს ლაქტობაქტერიები. თუმცა შაქრის დეფიციტის ან სასილოსე მასის მაღალი ბუფერობის (პროტეინის დიდი რაოდენობით შემცვლელობა) დროს რძის მჟავა არასაკმარისი რაოდენობით წარმოიქმნება. ეს კი დუღილის პროცესის არასასურველი გზით მიმდინარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. სასილოსე მასაში ატმოსფერული ჟანგბადის მიწოდების შეწყვეტიდან 3-5 დღის განმავლობაში მთავრდება ძირითადად დუღილის პროცესი. იზოლაციიდან 5 დღის შემდეგ მიკრობიოლოგიური გარდაქმნები სასილოსე მასაში წყდება. დროის ამ მონაკვეთს დუღილის მთავარ ფაზას უწოდებენ. კარგ პირობებში სილოსში წარმოქმნილი რძის მჟავის კონცენტრაცია ნედლ მასაზე გადაანგარიშებით შეადგენს 2-3%, pH-ის მნიშვნელობა მცირდება და შეწყდება საქართვილიცური და პროტეოლიტური მიკროორგანიზმების გამრავლება. კლოსტრიდიები და ბაქტერია *Coli* არასიცოცხლისუნარი ხდებიან. უჯრედების კვდომის და უჯრედის წვენის გამოყოფის შედეგად მიმდინარეობს სილოსის ერთგვაროვანი მონოლითის წარმოქმნა.

მზა სილოსში დუღილის პროცესის დამთავრების შემდეგ არ მიმდინარეობს საყუათო ნივთიერებების შემდგომი გარდაქმნის პროცესები. საკვები რჩება სტაბილური სასილოსე ორმოდან ან კოშკიდან ამოღებამდე. სილოსის განუსაზღვრელი და ხანგრძლივი დროით შენახვა, თუნდაც მაღალხარისხოვანის, შეუძლებელია, რადგან გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ, მიმდინარეობს ორგანული მასის დაშლის ბუნებრივი პროცესები. ამიტომ სილოსი შეიძლება შევინახოთ მაქსიმუმ 2 წლის განმავლობაში.


**დუღილის არასასურველი ტიპები.** სილოსის ხარისხის სტაბილურობა განპირობებულია ანაერობული პირობებით და ლაქტო-ანიონების საკმარისი რაოდენობის არსებობით, რომლებიც ხასიათდებიან ბაქტერიოსტატიკური და ბაქტერიციდური თვისებებით. გარუფობენ, რომ რძემჟავა ბაქტერიების ცხველქმედების პროდუქტები თვისებებით ანტიბიოტიკების მოქმედების მსგავსია. თუმცა წარმოქმნილი რძის მჟავას არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში დუღილის პროცესი ირღვევა. ამასთანავე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პროცესები:

- მარმჟავა დუღილი, გამოწვეული პეტეროფერმენტაციული რძემჟავა დუღილის ბაქტერიებით;
- ერბომჟავური დუღილი, გამოწვეული კლოსტრიდიებით;

- დისიმილაციის პროცესი, გამოწვეული საფუარებით;

ძმარმჟავა დუღილის მსვლელობის პროცესში პეტეროვერ-მენტაციული ლაქტობაქტერიები შაქრის ნაკლებობის შემთხვევაში საყუათო სუბსტრატის სახით იყენებენ უკვე წარმოქმნილი რძემჟავას. ამასთანავე ისინი გამოიმუშავებენ ძმრის მჟავას, ნახშირორჟანგს და წყალს, რაც იწვევს pH მაჩვენებლის გაორმაგებას, რის საფუძველზე იქმნება ხელსაყრელი პირობები კლოსტრიდიების განვითარებისათვის.

რძემჟავას არასაკმარისი რაოდენობით წარმოქმნისას, როცა pH მნიშვნელობა აუცილებელ მინიმუმს ვერ აღწევს, ასევე იქმნება ხელსაყრელი პირობები კლოსტრიდიების გასამრავლებლად. *C.butyricum da C.thyrobutyricum*. რამდენადაც კლოსტრიდიები აქტიურები არიან ანაერობულ არეში ისინი იწყებენ არსებული რძის მჟავის გარდაქმნას ერბომჟავად ნახშირორჟანგის და წყლის წარმოქმნით:



ერთდოროულად პროცესილიტური კლოსტრიდიები შლიან პროცესის ამიაკამდებარია გარდაიქმნება ამონიუმად, რომელიც ანეიტრალური წარმოქმნილი ორგანული მჟავების ნაწილს. დუღილის მჟავების დაშლა და ნეიტრალური იწვევს pH მაჩვენებლის ზრდას სილოსში. ეს კი ხელს უწყობს პროცესინების შემდგომ დაშლას პროცესილიტური გრამუარყოფითი ბაქტერიებით. pH მაჩვენებლის მომატება ააქტიურებს პიგმენტარმოქმნებს ჩხირებს და ლპობის მიკროორგანიზმებს, რომლებიც შლიან პროცესის ამინად და დიამინად (პუტრესცინი და კადავერინი) უმაღლეს სპირტად, მეთანად, გოგირდწყალბადად და სხვა პროდუქტებად. ამ გარდაქმნების მსვლელობისას დიდი რაოდენობით გამონთავისუფლდება წყალი და წარმოქმნება სილოსის წვენი, რომელიც გამორიცხავს სილოსიდან საყუათო ნივთიერებებს. ასეთი ერბომჟავის მეორადი წარმოქმნა და ამასთან დაკავშირებული ცილის დაშლას უწყოდებენ სილოსის გაფუჭებას. დისიმილაციის პროცესი, რომელიც გამოწვეულია საფუარით, განსაკუთრებით აშკარად მჟღავნდება ნახშირწყლებით მდიდარ სასილოსე ნედლეულში, როგორიცაა სიმინდი, კარტოფილი, ჭარხალი და სენაჟი მშრალი ნივთიერებების მაღალი შემცვლელობით. საფუარს მცირე რაოდენობით შეიცავს ყველა სახის სილოსი და დაუზტკეპნავი მასაში, ჟანგბადის უმნიშვნელო ნაკადის შეღწევის შედეგად ნელა მრავლდებიან და ამისთვის იყენებენ შაქრის და რძემჟავის არსებულ ნალექს. ნახშირორჟანგთან ერთად საფუარი წარმოქმნის ძმარმჟავას და სპირტს. მათი აქტიურობიდან გამომდინარე მეტ-ნაკლებად ინტენსიურად მიმდინარეობს სითბოს წარმოქმნა. ეს პროცესები მკვეთრად იზრდება სილოსის ამოდების დროს, როცა ადგილი აქვს პაერის მოხვედრას. ამ პროცესს ხშირად მეორად დუღილს უწყოდებენ. დასახელებული პროცესების მიმდინარეობის შედეგად მკვეთრად იზრდება ტემპერატურა და დიდია საკვების საყუათო ნივთიერებათა დანაკარგები. ცხოველები უარს ამბობენ ასეთი საკვების მიღებაზე, ხოლო ჭამის შემთხვევაში აღენიშნებათ ტიმპანია, საჭმლის მონელების აშლილობები და სხვა.

დია სასილოსე ორმოში 2-3 დღე-დამის განმავლობაში იშლება 10-20% სილოსის მშრალი ნივთიერება. პროცესი ვითარდება გათბობის კერაში, რომელიც სილოსის მონოლითის სიმკვრივეზე დამოკიდებულებით შეიძლება გავრცელდეს სიღრმეში 80 სმ-მდე და მეტით (განისაზღვრება სიღრმეში ჟანგბადის შეღწევით). ანაერობული პირობების შექმნით წყდება საფუარის გამრავლება, ამიტომ სასილოსე ნედლეულში საფუარის მომატებებული შემცველობის დროსაც შესაძლებელია მივაღწიოთ რძემჟავის სასურველ ინტენსიურ დუღილს. მეორადი დუღილის თავიდან ასაცილებლად, სილოსის ჩაწყობა აუცილებლად უნდა დამთავრდეს 3 დღის განმავლობაში. ჩაწყობილი მასა სილოსის საცავში იზოლირებულ უნდა იქნეს ჰაერის მიწოდებისაგან. სასილოსე მასაში ჰაერის შემადგენლობის შემცირებას ხელს უწყობს ნედლეულის ოპტიმალური დაქცემაცება და მჭიდროდ დატკეპნა. არ შეიძლება ჩასაწყობი მასის გაშლა, გაფხვიერება, რამდენადაც ეს მხოლოდ აძლიერებს საფუარის და სხვა აერობული მიკროორგანიზმების განვითარებას.

თუ ბალახის სილოსს აწყობენ ნესტიან, ცივ ან ტენიან თბილ ამინდში და აგრეთვე ნედლეულმა განიცადა დაბალ ტემპერატურის ზემოქმედება (ყინვა), მიმდინარეობს საკვების ობის სოკოებით ძლიერი დაზიანება. სასილოსე მასაში უანგბადის თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობით შეღწევა, იწვევს მონოლითის ზედა ფენაში სოკოების გვარების – *Penicillium*, *Aspergillus*, *Minascus*, *Fusarium* და სხვათა გამრავლებას მათი ცხოველმოქმედების პროცესში მიმდინარეობს საყუათო ნივთიერებათა დაშლა და საკვების დაბინძურება სოკოების ცვლის პროდუქტებით, რომლებსაც გააჩნიათ ძლიერი ტოქსიკური მოქმედება და ამიტომ მათ მიკოტოქსინებს უწოდებენ. წარმოქმნილი მიკოტოქსინების სახეობა და რაოდენობა დამოკიდებულია ობის სოკოს გვარზე და სილოსის შენახვის პირობებზე. მიკოტოქსინების გამოყოფა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, ამიტომ დღეისთვის პრაქტიკაში მას არ იყენებენ. ობის სოკოების განვითარება იწყება სასილოსე ორმოდან სილოსის ამოდების შემდეგ, განსაკუთრებით თუ დღეში იღებენ 10 სმ-სისქის ფენას, ან ამოდება ხდება ფრონტალური ან გრეიფელური სატვირთოთ, რომელიც ძლიერად ქაჭავს სილოსის მონოლითს (ცხრილი 5).

#### ობის სოკოების დახასიათება

#### ცხრილი 5

სოკოს გვარი და სახეობა	დახასიათება და დაზიანების ობიექტი	ტოქსინები და მათი მოქმედება
1	2	3
<i>Fusarium tricictum</i>	სპორა ნაწილობრივ მოწითალოა. აზიანებს ძირითადად მარცვალს	ტრიქოტეცინები: დიზენტერია დაგულამის დაბალი წონამატი და ნაწველი ზეარელონი: ნაყოფიერების დაქვეითება, განსაკუთრებით დორებში დეოქსინიგალენოლი: უმაღობა ნაყოფიერების დაქვეითება, განსაკუთრებით დორებში.
<i>Fusarium graminearum</i>	აზიანებს მარცვალს	
<i>Gibberella zaeae</i>	ნარინჯისფერ-წითელი სპორები	
<i>Aspergillus flavus</i>	გეგეტაციური ზრდა არ შეიმჩნევა, წარმოქმნიან პუდრისებრ სპორებს	აფლატოქსინები B1, B2, G1, G2: იწვევს კიბოს, სისხლდენას, უმაღობას. იწვევენ ფაღარათს, ტოქსინი გადადის ხორცში, რძეში. ფუმინოზინები: აზიანებს ფილტვებს. აქვეითებს მაღას, ფაღარათს და აბორტს. ოხრატოქსინი A: აზიანებს თირკმელს დორებში. მოქმედებს მცონავებზე.
<i>Aspergillus fumigatus</i>	აზიანებს სიმინდის სილოსს	
<i>Penicillium viridicatum</i>	აზიანებს სიმინდის მარცვალს და სხვა მარცვლოვნებს. აგრეთვე მარცვლოვნებს ბალახებს სიმინდში და ახალგაზრდა მარცვლოვნებში და ბალახებში	ციტრინი: თირკმლის დაზიანება, წონის დაკარგვა, მაღის დაქვეითება. პატულინი: სისხლდენა ფილტვებში და ტვინში
<i>Penicillium citrinin</i>	სიმინდში და ნორჩ	

<i>Penicillium urticae</i>	მარცვლოვან ბალახებში	
<i>Rhizoctonia leuminicola</i>	ძირითადად, სამყურაში	სლაფრამინები: ნერწყვის გამოყოფა, ტიმპანია
<i>Claviceps purpurea</i>	ტოქსინი სანაყოფე სხეულში	ერგოტალკოლოიდი: ნეკროზი, აბორტი, კრუნჩევები

## II.10. საკვების დასილოსება

მნიშვნელოვანწილად დასილოსება დამოკიდებულია ჩასაწყობი მასის გაჭუჭყიანებაზე. ასეთი ნედლეული შეიცავს დიდი რაოდენობით მიკროორგანიზმებს, განსაკუთრებით კლოსტრიდის სპორებს. მწვანე მასაში, რომელიც ჩაწყობამდე რამდენიმე დღე მინდვრად იდო, ასევე შეიძლება სწრაფად განვითარდეს არასასურველი ბაქტერიები. ეს შეეხება, პირველ რიგში ჭარხლის ლერფოჩებს, რომელიც რამდენიმე სანს ნახნავზე გროვად ეყარა და ბალას, რომელიც უამინდობის გამო დიდხანს იტვირთებოდა სასილოსე ორმოში. ასეთ მასაში არა მარტო მომატებულია არასასურველ მიკროორგანიზმთა რაოდენობა, არამედ გამორეცხილია ადგილად ფერმენტირებადი ნახშირწყლები, რომელიც აუცილებელია რძემჟავა დუღილისთვის.

დუღილის პროცესი ნელდება სასილოსე მასაში მშრალი ნივთიერების შემცველობის გაზრდისას. ეს დაკავშირებულია შაქრის გახლების შემცირების და სილოსის მასის გამკვრივების პროცესის გაძნელებასთან. უჯრედანას მომატებული შემცველობა ასევე ართულებს დასილოსების პროცესს, რამდენადაც არ იძლევა სასილოსე მასის სასურველი დატკეპვნის საშუალებას, რის გამოც მასაში აღწევს ჰაერი. ხარისხიანი რძემჟავა დუღილის უზუნველსაყოფად გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ნედლეულში ადგილად ფერმენტირებადი ნახშირწყლების შემცველობა (ცხრილი 6).

### საკვების დასილოსების პროცესი

ცხრილი 6

საკვები	თანაფარდობა	თანაფარდობა
	ნ.პ. : უ.ე.ნ.	ნ.პ. : შაქარი
ადგილად სილოსდება	1:3,4-6,5	1: 0,8-ზე მეტი
კარგად სილოსდება	1:2,3-3,3	1:0,4-0,8
ძნელად სილოსდება	1:1,1-2,2	1: 0,4-ზე ნაკლები

რძემჟავა ბაქტერიებს, გარდა მონო და ოლიგოსაქარიდებისა შეუძლია გამოიყენოს აგრეთვე ადგილად ფერმენტირებადი ფრუქტოზანები. დანარჩენი ნახშირწყლები (სახამებელი, ჰემიცელულოზა) გამოიყენება მხოლოდ მცენარეული ფერმენტებით ან სხვა მიკროორგანიზმებით მარტივ ნახშირწყლებად გახლების

შემდეგ. საკვების სახეობის მიხედვით დუღილისთვის აუცილებელი ნახშირწყლების შემცველობა ძალიან ძლიერ იცვლება (ცხრილი 7).

**საყუათო ნივთიერებათა შემცველობა და  
საკვების დასილოსება**

ცხრილი 7

საკვები	1 კგ საკვები შეიცავს		თანაფარდობა ნ.პ. : უ.ე.ნ.
	ნ.პ.	უ.ე.ნ.	
<b>ადვილად დასასილოსებელი:</b> სასილოსე სიმინდი ტენიანი მარცვალი მზესუმზირა, ყვავილედის წარმოქმნამდე ჭარხლის ფოჩვი, თავაკებით მიწაგაშლა, ტოპინმზესუმზირა ჭარხლის ფოჩი, თავაკების გარეშე კომბოსტო	22 104 18 21 21 22 19	143 663 90 100 83 80 64	1:6,5 1:6,4 1:5,0 1:4,8 1:4,0 1:3,7 1:3,4
<b>კარგად დასასილოსებელი:</b> საკვები პარკოსნები მდელოს ბალახი, I ნათიბი სამოვრის ბალახი, I ნათიბი მდელოს ბალახი, 2-3 ნათიბი სამყურა-მარცვლოვანთა ნარევი, 1 ნათიბი სამოვრის ბალახი, 2-4 ნათიბი სამყურა-მარცვლოვანთა ნარევი, 2 ნათიბი	35 31 30 25 29 33 30	100 82 80 59 70 77 70	1:2,8 1:2,7 1:2,7 1:2,4 1:2,4 1:2,3 1:2,3
<b>ძნელად დასასილოსებელი:</b> წითელი სამყურა საკვები პარკოსნები, ყვავილობის დასაწყისში რაფსი, თალღამი, იონჯა, საკვები ცერცველა	32 29 28 38 35	69 60 48 51 45	1:2,2 1:2,1 1:1,7 1:1,3 1:1,3

მარცვლოვან და პარკოსან ბალახებში ვეგეტაციის პროცესში ასეთი ნახშირწყლების შემცველობა ყვავილობამდე მატულობს, შემდეგ კი სწრაფად კლებულობს. მარცვლოვანი ბალახები პარკოსნებთან შედარებით ერთნაირ ფიზიოლოგიურ ფაზაში შეიცავს მეტ ნახშირწყლებს. წვნიანი საკვების (ჭარხსალი, დაპრესილი ჟენერ) დასილოსება შეიძლება გაუარესდეს ადვილად ფერმენტირებადი ნახშირწყლების მომატებული შემცვლელობის გამო, რამდენადაც ეს ხელს უწყობს სპირტულ ან მმრისმჟავა დუღილს.

სასილოსე მასაში ცილის მომატებული რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს სილოსის ხარისხებზე. ნედლი პროტეინი ანეიტრალებს წარმოქმნილ მჟავეებს და ამით ანელებს pH-ის მნიშვნელობის შემცირებას. რაც უფრო ფართოა თანაფარდობა ადვილადფერმენტირებად ნახშირწყლებს (უ.ე.ნ.) და ნედლ პროტეინს შორის, მით უფრო ადვილად მიმდინარეობს საკვების დუღილი (ცხრილი 8).

უმთავრესი საკვები კულტურების  
ბუფერული ტევადობა

ცხრილი 8

კულტურა	1 გ რძემჟავის ბუფერული ტევადობა 1კგ მშრალ ნივთიერებაში		
	საშუალო მნიშვნელობა	მერყეობს	
სიმინდი	35		25-45
მწვანე შვრია	45		35-60
მარცვლოვანი			
ბალახები	50		30-75
მწვანე ჭვავი	55		30-75
შაქრის ჭარხლის			
ფოჩი	55		50-70
წითელი სამყურა	70		55-85
ოონჯა	80		70-95

ნიადაგის გასანოეურებლად გატარებული დონისძიებები ასევე ახდენს გავლენას საკვების დასილოსებაზე. აზოტის მაღალი დოზა იწვევს მწვანე მასაში წყლის და პროტეინის რაოდენობის მატებას, მაგრამ ამცირებს მასში შაქრის კონცენტრაციას. ხშირად არ ითვალისწინებენ ამინდის პირობების გავლენას მწვანე მასის სილოსის ხარისხზე. მზის ინტენსიური გამოსხივება ხელს უწყობს დუღილის ნახშირწყლების შემცველებლობის გაზრდას და იმავდროულად აქვეითებს იმ დაბალმოლეკულური პროტეინების რაოდენობას, რომელიც ამაღლებს საკვების ბუფერულ ტევადობას. სასურველია, მოთიბვის წინა ორი დღე იყოს მზიანი, რადგან ასეთი ბალახი შეიცავს ორჯერ მეტ შაქარს, ვიდრე ბალახი, რომელიც მოთიბული იყო წვიმიანი ამინდების შემდეგ.

თუ მწვანე მასა ჩაიწყობა სილოსად უშუალოდ აღების შემდეგ, მოთიბვა უნდა ჩატარდეს დღის მეორე ნახევარში. ამ დროს შაქრის შემცველობა მცენარეში მეტია, ვიდრე დილით, რაც გამოწვეულია ასიმილაციის მიმდინარე პროცესებით. მხოლოდ სენაჟისთვის ბალახი უნდა მოითიბოს დილით, რომ ბალახმა საღამოსთვის მოასწროს გაშრობა. ეს ამცირებს საყუათო ნივთიერებების დანაკარგებას, რაც გამოწვეულია მცენარის საკუთარი ფერმენტებით, დისიმილაციის დროს.

მწვანე მასის აღებას წვიმიან ამინდში სასილოსედ არასასურველი შედეგები აქვს. ამ დროს გამოირცხება საკვებიდან ადვილად ფერმენტირებადი ნახშირწყლები და იზრდება დუღილისთვის არასასურველი მიკროორგანიზმების რაოდენობა (ცხრილი 9).

იონჯის სენაჟის ხარისხი სხვადასხვა  
პირობებში ჩადებისას

ცხრილი 9

დასილოსების პირობები	მ.ნ. ჩადებისას, %	pH	რძე-მჟავა, %	ძმარ-მჟავა, %	ერბომჟავა, %	ბალიანობა (ფლიგის მიხედვით)
წვიმაში მშრალ ამინდში	30,42	5,32	0,78	0,74	1,21	27
47,68	5,41	1,67		1,67	0,23	75

მწვანე მასის გამოშრობა საშუალებას იძლევა შემცირდეს საყუათო ნივთიერებათა დანაკარგები და გაუმჯობესდეს საკვების დირებულება, რაც მცონევებში ხელს უწყობს საკვების ჭამადობას. მშრალი ნივთიერების შემცველობის

მომატებისას ბალანსის სილოსში 35-40%-მდე, მეწველი ფურის მასზე მოთხოვნილება იზრდება 0,1-0,2 კგ დღეში მ.ნ.-ს თითოეულ პროცენტზე გადაანგარიშებით. მშრალი ნივთიერების მაღალი შემცვლელობისას კლოსტრიდიების განვითარება, ლაქტობაქტერიებისგან განსხვავებით წყდება. ოუ მშრალი ნივთიერება 25-30%-ზე მეტია, არ არის აუცილებელი მივიღოთ ზომები, სილოსის წვენის გამოყოფის თავიდან ასაცილებლად. მწვანე საკედის ყველა სახეობა კონსერვირდება მით უკეთ, რაც მეტია ჩადების მომენტში მშრალი ნივთიერებების რაოდენობა. დუღილის მჟავათა საერთო რაოდენობა მატულობს მშრალი ნივთიერების დონის მატების პროპორციულად 35%-მდე. როდესაც მშრალი ნივთიერების შემცვლელობა 40-45%-ზე მეტია, სილოსის დანაკარგები სილოს საცავის გვერდებიდან და ზედაპირიდან იზრდება, რადგან მშრალი მასის დატეპვნა შედარებით ძნელია.

**ბალანსის სილოსში მჟავების შემცველობა  
მშრალი ნივთიერების სხვადასხვა დონის პირობებში**

ცხრილი 10

მშრალი ნივთიერე ბა, %	pH	მჟავა, %			სულ მჟავა, %
		რძე	მმარ	ერბო	
25-მდე	4,58	1,17	0,63	0,72	2,52
20-25	4,56	1,51	0,64	0,76	2,91
25-30	4,38	2,12	0,62	0,56	3,30
30-35	4,40	2,35	0,66	0,50	3,51
35-ზე მეტი	4,65	2,68	0,62	0,36	3,66

ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს სასილოსე მასის დაქუცმაცება. ამ მიზეზით უმჯობესდება ნახშირწყლების მისაწვდომობა და ადვილდება დატეპვნის პროცესი საცავში ჩაწყობის შემდეგ. დაქუცმაცებულ საკედში სწრაფად მცირდება მცენარეული უჯრედების სუნთქვითი აქტიურობა. ძნელად დასასილოსებელი საკედის დაქუცმაცება აუცილებელია. რაც უკეთ იქნება დაქუცმაცებული ნედლეული, როგორც წესი, უკეთესად მიდის დასილოსების პროცესი. ჭარხლის ფოს დაჭრა არ უნდა, რადგან ამ შემთხვევაში მასაში უფრო ადვილად მრავლდებიან არასასურველი მიკროორგანიზმები და გამორეცხავს საყუათო ნივთიერებებს.

სასილოსე მასის დაქუცმაცებასთან ერთად, აუცილებელია ჩატარდეს მისი დატეპვნა, განსაკუთრებით მიწის ზედა სასილოსე ორმოს გამოყენებისას, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი შეღწეული ჰაერის რაოდენობა. 8 მ სიმაღლის სასილოსე კოშკებში ნედლეულის საკუთარი წონის მოქმედება ვერ უზრუნველყოფს დატეპვნის აუცილებელ ხარისხს. განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა დაიტეპვნოს სასილოსე მასა საცავის კედლებთან, რადგან აქედან ადვილად ხვდება ჰაერი. მიწისქვეშა სასილოსებში დატეპვნას ახორციელებენ ტრაქტორით, რომელსაც აგრძელებენ მანამ, სანამ არ შეწყდება ტრაქტორის ჩაძირვა.

აუცილებელია აღვევეთოთ დუღილის პროცესში წარმოქმნილი ნახშირორჟანგის დანაკარგები. გაზთა ცვლის ინტენსიურობის შესამცირებლად საცავი საჭიროა მჭიდროდ უნდა შეიფუთოს პოლიეთოლენის აპსკით ჩაწყობის შუალედებში და მისი დამთავრების შემდეგ. შეფუთვის დროს საჭიროა ყურადღება მივაქციოთ, რომ აპსკი მჭიდროდ ეხებოდეს საცავის კედლებს. სასილოსეს საცავის გადასახურავად ნამჯის, ჭარხლის ფოსის, მიწის თხილის, ტრიტიკალეს, ჭვავის ან შვრის ნათესის გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ჰაერის სრულ იზოლაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სილოსის ხარისხის გაუარესება.

კონსერვანტების გამოყენება დასილოსებისას. დუღილის არასასურველი ტიპების თავიდან ასაცილებლად და სილოსის კვებითი დირექულების გასაუმჯობესებლად გამოყენებულია რიგი კონსერვანტები.

კონსერვანტები მოქმედების ტიპის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- დუღილისას რემუნგის რაოდენობის ამაღლების უნარის მქონე;
- pH მნიშვნელობის დამწევი, მჟავეების წარმოქმნის ხარჯზე;
- სასილოსე მასაში არასასურველი მიკროფლორის დამთრგუნველი.

ამჟამად გამოყენებული კონსერვანტები გამოიჩინან კომბინირებული მოქმედებით, ამიტომ მათ ხშირად იყენებენ პრაქტიკაში. გარანტირებული ზემოქმედებისათვის კონსერვანტი თანაბრად უნდა აირიოს სასილოსე მასაში. მათი დამატება მიზანშეწონილია დასილოსების არახელსაყრელი პირობების დროს ან ძნელად დასასილოსებული საკვების გამოყენებისას. ხარისხიანად გამშრალი მწვანე საკვები და სიმინდის მასა შეიძლება დასილოსდეს კონსერვანტების გარეშე, რადგან ეს ნედლეული აუცილებელი მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი სილოსის მიღებას. შეძლებისდაგვარად, დასილოსების კარგ პირობებშიც საყუათო ნივთიერებების დანაკარგების შემცირების მიზნით, სასურველია მასის ზედა ფენაში დამატებულ იქნას ორგანული მჟავები ან მათი მარილები.

სასილოსე მასაში ადგილადფერმენტირებადი ნახშირწყლების დამატება აუმჯობესებს რემუნგა ბაქტერიების განვითარების წინაპირობებს. დასილოსების პროცესის დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობისთვის ნედლეულში დუღებადი ნივთიერების შემცვლელობა უნდა იყოს 2-2,5%, ხოლო ოპტიმალური მიმდინარეობისათვის 3-4%. თუ შაქრის საჭირო რაოდენობა სასილოსე მასაში არ მოიპოვება, როგორიცაა ძნელად დასასილოსებელი კულტურები (იონჯა, ტურნეფის, რაფსი), მაშინ გონივრული იქნება დასილოსების პროცესში ყოველ 1მ<sup>3</sup> მასას დაემატოს 6-12 კგ შაქარი. ამასთანავე, მშრალი ნივთიერების შემცვლელობა ნედლეულში, არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები. საკვები შაქარი შეიძლება შეიცვალოს სხვა შაქარ შემცვლელი პროდუქტებით. (ცხრილი 11)

### სილოსში შაქარშემცველი კონსერვანტების დამატების ნორმები

ცხრილი 11

შაქრის შემცველი კონსერვანტები	დამატების ნორმა, % ნედლეულის მასის
საკვები შაქარი	1-2
ბადაგი	1-3
ჟენჟო, შაქრის ჭარხლის	0,8-3,0
მელასირებული ჟენჟო	5-8
მშრალი რძის შრატი	2-4
მარცვლოვანი პროდუქტები	2-15
საკვები ჭარხალი და კარტოფილი	20-მდე

გაყინვით გამომშრალი ლაქტობაქტერიების დამატება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს რემუნგას დუღილის წინაპირობებს, მიკროორგანიზმთა რაოდენობის გაზრდის ხარჯზე. ეს კულტურები უნდა იყვნენ აქტიურები დუღილის პირველი 3 დღის განმავლობაში. ამავდროულად ლაპარაკია პომოფერმენტაციულ რემუნგა ბაქტერიებზე (*Lactobacillus plantarum*, *Pediococcus acidophilus* და სხვა). აღნიშნული დანამატები აუმჯობესებენ არსებული ნახშირწყლების გამოყენებას, უზრუნველყოფს არასასურველი მიკროფლორის შევიწროებას და აჩქარებს დუღილის პროცესს. ლაქტობაქტერინის გამოყენებას აზრი აქვს, თუ შაქრის შემცველობა ნედლ საკვებში შეაღებენ 2% ან 25-45% მშრალ ნივთიერებაში. ძნელად დასასილოსებელ საკვებში ასევე საჭიროა შაქრის დამატება, რომელიც თანაბრად შეაქვთ დოზირებული

ხელსაწყოთი. რძემუავა ბაქტერიის სიცოცხლის უნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ პრეპარატებს ინახავენ მაცივარში ჰერმეტულ ჭურჭელში.

სასარგებლოა აგრეთვე ფერმენტული დანამატები, ის ხსნის უჯრედულ გარსებს, რომელიც შედგება ცელულოზისა და პემიცელულოზისგან. ეს ზრდის ადვილად ფერმენტირებადი ნახშირწყლების მისაწვდომობას რძის მუავა ბაქტერიებისთვის. უჯრედის კედლის გამხლები ფერმენტები განსაკუთრებით აქტიურდებიან, სასილოსე მასაში მშრალი ნივთიერების დაბალი კონცენტრაციის და 20-50°C ტემპერატურის პირობებში. მათთვის pH ოპტიმალური მნიშვნელობაა 4-5. ხშირად ფერმენტებს ამატებენ ბაქტერიალურ კულტურებთან კომბინაციაში. ფერმენტული დანამატები აგრეთვე აუმჯობესებებს სილოსის მონელებადობას, უზრუნველყოფენ დასილოსების დროს მცენარეული უჯრედების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფაშვში ე.წ. „პირველად მონელებას“. pH მნიშვნელობის შესამცირებლად დასასილოსებელ ნედლეულში ფართოდ გამოიყენება ორგანული მჟავეები (ჭიანჭველის, პროპიონის, მმრის, ბენზოინის), აგრეთვე მათი ნარევები. ისინი თრგუნავენ არასასურველ მიკროფლორას და ააქტიურებენ რძემუავა დუღილს.

მაქსიმალური დაკონსერვირებადი ეფექტი მიიღება ჭიანჭველმჟავას გამოყენების დროს, რომელიც ამცირებს pH-ის მნიშვნელობას და ახასიათებს სელექტიური (გამორჩეული) ბაქტერიოციდული მოქმედება. ამასთანავე გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ ჭიანჭველმჟავას ახასიათებს ძლიერ კოროზირებადი კონტაქტური მოქმედება. კონსერვანტის აუცილებელი დოზა მატულობს 0,5-დან 1%-მდე მშრალი ნივთიერების შემცველობის შემცირების და გამოყენებული ნედლეულის ბუფერული ტევადობის მატების მიხედვით.

სხვა ორგანული მჟავებისთვის აუცილებელი დოზა შეადგენს ნედლეულის მასის 0,5-2%. სილოსის ამოღებისას გახურების თავიდან ასაცილებლად, ატარებენ მოჭრილი ადგილის პროპიონის მჟავით წვრილწვეთოვან შესხეულებას ( $1\text{ლ}/\text{მ}^2$ ).

სილოსის დასაკონსერვებლად იყენებენ აგრეთვე არაორგანულ მჟავეებს (მაგალითად ფოსფორის, გოგირდის) აგრეთვე მათ შენაერთებს. მათი გამოყენების საფუძველზე სილოსის pH მნიშვნელობა მცირდება 3,0-3,6-მდე. მჟავათა ნაერთებს ანზავებენ წყალში თანაფარდობით 1:6 და ამატებენ დასასილოსებელ ნედლეულს, მთლიანი მასის 7-11%. pH მნიშვნელობის მკვეთრი შემცირება სილოსის ჭამადობას აუარესებს, არაორგანული მჟავების რაოდენობის გაზრდის გამო, აგრეთვე იწვევს ცხოველის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესების არევას. ამიტომ ასეთი სილოსის სადღედამისო ნორმა არ უნდა აღემატებოდეს 1კგ მშრალი ნივთიერება 100 კგ ცოცხალ წონაზე. ამასთანავე მიზანშეწონილია ცხოველების ბუფერული ნივთიერებების სახით მიეცეს ნატრიუმის ჰიდროკარბონატი.

სილოსის ჩადების დროს გამოიყენება ორგანულ მჟავათა მარილები სუფთა ან მათი ნარევის სახით. უფრო ხშირად ეს ნატრიუმის და კალციუმის ჭიანჭველმჟავას მარილებია, ან ამონიუმის ტეტრაფორმიატი. გამოიყენება აგრეთვე ნატრიუმის და კალციუმის მარილები სხვა ორგანული მჟავებთან, ნიტრატები, ნიტრიტები, შარდოვანა, ნატრიუმის ქლორიდი. რეკომენდებულია ორგანული მჟავეების და ნიტრიტების კომბინაცია. ეს მარილები, განსაკუთრებით ნიტრიტები სელექციურად მოქმედებენ მავნე მიკროფლორაზე, ისე, რომ პრაქტიკულად არ აყენებენ ზიანს რძემუავა ბაქტერიებს. ნიტრიტები აჩერებენ კლოსტრიდიების და ენტერობაქტერიების გამრავლებას, აგრეთვე მოქმედებენ საფუარის ვეგეტაციური განვითარების სტადიაზე.

დასახელებული მარილების დანახარჯი შეადგენს ნედლეულის მასის 0,3-0,6%-ს. თუ გამოიყენება მხოლოდ ნატრიუმის ქლორიდი, დაკონსერვების ეფექტის მისაღწევად შეჰყავთ მთელი მასის არანაკლებ 2%-ის რაოდენობით. შარდოვანას აუცილებელი დოზა შეადგენს 0,5%. ყველა ამ კონსერვანტს გააჩნია რიგი უპირატესობა – დაბალი კოროზიული მოქმედება და ფხვიერი სახე მოხმარების დროს. აუცილებელია სასილოსე მასაში კონსერვანტი თანაბრად იქნას განაწილებული. დასილოსების კარგ

პირობებში რეკომენდირებულია ბაქტერიული კულტურების და ფერმენტების გამოყენება. მუცელი და მარილები კი პირიქით, უნდა დაემატოს დასილოსების არახელსაყრელ პირობებში ან ცილებით მდიდარ ნედლეულს, რამდენადაც ამ შემთხვევაში შეიმჩნევა რძის მუცელის მცირე რაოდენობით წარმოქმნა.

### კონსერვანტების დამატების საორიენტაციო სქემა

ცხრილი 12

მშრალი ნივთიერე- ბა %	საწყისი მასალის დასილოსება		
	კარგი	საშუალო	ცუდი
20-25	ქიმ – ბიოლ.*	ქიმიური	ქიმიური
25-30	ქიმ – ბიოლ.	ქიმიური	ქიმიური
30-35	ბიოლ.	ქიმ-ბიოლ.	ქიმიური
35-40	-	ბიოლოგიური	ქიმ-ბიოლ.
40-45	-	-	ბიოლოგიური
45-50	-	-	-

\* კონსერვანტები: ქიმ-ქიმიური, ბიოლ-ბიოლოგიური.

## II. სილოსის საცავები

კაპიტალური სასილოსე ორმოს ან კოშკის დაგეგმვის დროს და ნაგებობის ტიპის შერჩევისას საჭიროა მათი სიმტკიცის და გამოყენების ხანგრძლივობის გათვალისწინება. გამოყენებული მასალა მუცელის ზემოქმედებაზე ნეიტრალური უნდა იყოს, ხოლო კედლები კი წყალ და ჰაერ გაუმტარი. ისინი სრულად უნდა უძლებდნენ სითხის წნევას. უცილებელია აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს გამოყოფილი სილოსის წვენის შესაგროვებელი რეზერვუარი – საცავი გამოყოფილი წვენის შესაგროვებლად. საცავის სიღიდე განისაზღვრება ცხოველთა რაოდენობიდან გამომდინარე. ნედლეულის ჩაწყობისას აუცილებელია სილოსის საცავი ამოივსოს 2-3 დღის განმავლობაში. სასილოსე კოშკებმა ჩატვირთვის მოწყობილობის სიმძლავრიდან გამომდინარე, შეიძლება მიაღწიონ 15 გ. სიმაღლეს. ის შენდება ლითონისაგან, ხისგან, ხელოვნური, სინთეთიკურ-ბოჭკოვანი მასალისაგან, ან ბეტონისგან. სასილოსე კოშკს, როგორც წესი აქვს ცილინდრული ფორმა, თუმცა გვხვდება ოთხ ან მრავალკუთხა. საცავი, დაფარული დამცველი შემადგენლობით, ან ალუმინით, აბსოლუტურად შეუღწევადია – ამაშია მათი უპირატესობა. თუმცა, ითხოვენ სპეციალურ ტექნიკას სილოსის ამოსაღებად (ზევით ან ქვევით მჭრელი ფორმები), რაც მნიშვნელოვნად ზრდის კაპიტალურ დანახარჯებს. საცავი ივსება, როგორც წესი, გრეიფერით, პნევმატური ან ლენტისებრი – ტრანსპორტიორით. სილოსის კოშკის ჩატვირთვა გაცილებით რთულია, ვიდრე მიწისქვეშა სილოსესაცავის, თუმცა მათში უკეთესი ხარისხის სილოსი მიიღება. საკუთარი წონის მოქმედებით მიმდინარეობს სასილოსე მასის სწრაფი დატკეპვნა და მასში არსებული ჰაერის გამოდევნა. სასილოსე კოშკი სასურველია (საჭიროა) უზრუნველვყოთ პრესით და ჰერმეტულად იქნეს დახურული. მასში აუცილებელია სილოსის წვენის მოსაცილებელი არხის გაყვანა, რომელშიც გათვალისწინებულია სიფონი, რათა არ დავუშვათ ამ გზით ჰაერის შეღწევა და აცილებულ იქნას კოშკიდან ნახშირორჟანგის გადინება.

მიწისქვეშა სასილოსეს აქვს თავისი უპირატესობები. სხვა სახეობის საცავთან შედარებით, მისი ნაგებობის უბრალოების გამო. სასილოსეს მინიმალური მოცულობა უნდა შეადგენდეს 80 მ<sup>3</sup>, ხოლო მისი მინიმალური სიგანე უტოლდება სატკეპნელას ორჯერად სიგანეს. რაც მეტია სასილოსე ორმოს ზედაპირის სიღიდე, მით მეტია, როგორც წესი, სილოსის დანაკარგები და უარესია ხარისხი.

დასილოსების პროცესის ოპტიმალური მიმდინარეობისთვის, სასილოსეს ჩატვირთვა უნდა დამთავრდეს მაქსიმუმ 3 დღის განმავლობაში. უნდა უზრუნველყოთ ასევე დასასილოსებელი საკვების ტკეპვნა, რადგანაც მიწისქვეშა სასილოსეში დატკეპვნა საკვების საკუთარი მასის დაწოლით არასაკმარისია. სასილოსე მასა კარგად უნდა დაქუცმაცდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია სილოსის ხარისხიანი დატკეპვნა. რაც უფრო მშრალია დასასილოსებელი ნედლეული, მით უფრო უნდა დაქუცმაცდეს იგი.

დამხმარე საცავებიში სილოსის ზეინებს აწყობენ იმ დროს, როცა არ ყოფნით სილოსის კაპიტალური ნაგებობები. ისინი არ არის განკუთვნილი ხანგრძლივი გამოყენებისათვის, რამდენადაც საკვების ხარისხი მათში ნაკლებია, დანაკარგები კი დიდი, ასეთ ზეინებს ათავსებენ წყალგაუმტარ მიწის ნაკვეთებზე, წყალსაცავებიდან მოშორებით, რათა თავიდან აიცილონ მათი დაბინძურება სილოსის წვენით. მინიმალური დაშორება წყალსაცავიდან შეადგენს 8-10მ. თუ მასას იყენებენ მრავალჯერადად, აუცილებელია მოეწყოს ბეტონის მოედანი სილოსის წვენის გამოსაყვანად და შესაგროვებლად. იატაკი და კედლები ყველა სილოსსაცავში, განსაკუთრებით ბეტონის, უნდა იყოს მჟავების მიმართ მდგრადი. მჟავების და მარილების ზემოქმედება მცირდება იატაკის დაქანებისას 0,5-1,0<sup>0</sup>-ით. მიწისქვეშა საცავებში – ღერძის გასწვრივ, კოშკებში – სილოსის წვენის საგდები არხისკენ. ბეტონის სილოსსაცავში კედლელი და იატაკი აუცილებელია დაიფაროს ბითუმით, სხვადასხვა სინთეტიკური ნივთიერებით, ქლორკაუჭუკით, პოლიურეტანით და ეპოქსიდის ფისით. დაფარვის სისქე მერყეობს 0,1-დან 2,0 მმ-მდე. საფარველის ყოველგვარი დაზიანება უნდა აღმოიფხვრას ყოველი ამოვსების წინ. ასფალტირებული იატაკი არ მოითხოვს დამცველ საფარველს. საიზოლაციო მასალა არ უნდა შეიცავდეს პოლიქლორიდ ბიფენილებს და სხვა ხსნად ნივთიერებებს, რადგანაც ისინი ხვდებიან საკვებში, შემდგომ რძეში და ხორცში. ასეთი პროდუქტები უვარგისია საკვებად.

ნის სილოსსაცავში სოგმანი და ჭრილი უნდა შესრულდეს დიდი სიზუსტით. გარედან კედლები იცავს სილოსსაცავს წყლისგან. ნის სასილოსე შეესების წინ უნდა შემოწმდეს გამტარებლობაზე, ხოლო ცილინდრს შიგადაშიგ გადაუჭრებნ სალტს. სასილოსეში ნის კედლებზე აღმოჩნდებს გმანავენ და სადაც ეს შეუძლებელია – ავსებენ სილოსის საფარით.

ბოლო პერიოდში გამომშრალი მწვანე მასისგან ამზადებენ სენაჟის საკვებ რულონებს. მასა იტკეპნება რულონპრეს – შემგროვებლით და სპეციალური მანქანის დახმარებით შემოახვევენ აპს. მშრალი ნივთიერებების შემცველობა მწვანე მასაში უნდა იყოს 35-40%-ის დონეზე. ხოლო დატკეპვნის ხარისხი ძალიან მაღალია. დაპრესვის შემდეგ რულონები 2 სთ-ის განმავლობაში უნდა იქნეს შეფუთული აპკით. შეფუთვის შემდეგ რულონები უნდა დათვალიერდეს, დაზიანებული აპკი მოშორდეს, რათა აცილებულ იქნას ნახშირორუჟანგის გაუონვა და იმავე გზით პარის შეღწევა, რაც გამოიწვევს საკვების გაფუჭებას. უკეთესია რულონები შეიფუთოს შენახვის ადგილას, როცა საჭირო არ იქნება მათი ტრანსპორტირება.

მიწისქვეშა სილოსსაცავი ჰერმეტულად გადასახურავად ფართოდ გამოიყენება პოლიოლენის აფსკი. უკანასკნელის არჩევისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის სიმტკიცეს და ულტრააისფერი სხივებისადმი მდგრადობას და აირშეუღწევადობას. აპსკის სისქე უნდა იყოს 0,15-0,20 მმ, სიმტკიცე გახევაზე, არა ნაკლებ  $17H/m^2$ , წელვადობა 400%-მდე. დიდი ოდენობით უანგბადის შეღწევის თავიდან ასაცილებლად აირშეღწევადობა არ უნდა აღემატებოდეს 250 სმ<sup>3</sup>/მ<sup>2</sup>. აპსკი ასევე უნდა იყოს მდგრადი მჟავეებისადმი. ჩვეულებრივად იყენებენ თეთრი ან შავი ფერის აპსკს. შავი აფსკის ქვეშ სილოსის ზედა ფერა ძლიერ ხურდება, თუმცა ამას ხარისხის გაფუჭებამდე არ მივყავართ. აპსკის შეღებვა შავი ფერით ყველაზე უკეთესია მურით, რადგან ეს ეკოლოგიური თვალსაზრისით მეტნაკლებად უსაფრთხოა, ვიდრე ტიტანის ოქსიდით შეღებვა. მიწისქვეშა სილოსსაცავის

გადახურვისას, აფსკი მჭიდროდ უნდა ეხებოდეს კედლებს, რომ არ წარმოიქმნას სიცარიელე რძის მუკა დუღილის პროცესში სილოსის მასის დაჯდომის შემდეგ. ამისათვის იყენებენ სპეციალურ დამცველ ბადეს, რომელიც იცავს აპსკს გარეგანი დაზიანებებისგან.

აფსკის და შესაბამისად ბადის საცავის გვერდებზე მჭიდროდ მისაჭყლებად გამოიყენება სილით ავსებული კაპრონის ტომრები. შუაში აფსკის მისაწებებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძველი მანქანის, ან ტრაქტორის საბურავები. უურადლება უნდა მიექცეს იმას, რომ აფსკი არ დაზიანდეს, რადგან დაზიანების ადგილიდან შეიძლება მოხვდეს პაერი და გამოიწვიოს სილოსის დიდი დანაკარგები. უარი უნდა ითქვას აფსკის მისაჭყლებად ნაკელის გამოყენებაზე. რადგან მასში ვირთები და თაგვები სახლდებიან, რომლებიც ღრღნიან აფსკს. თუნდაც აფსკის უმნიშვნელო დაზიანებაც კი უნდა იქნას აღმოფხვრილი.

საყუათო ნივთიერებათა დანაკარგები სილოსის დამზადებისას ჯერ კიდევ მინდორში იწყება და გარკვეულ წილად დამოკიდებულია საკვების სახეობაზე, აღების ტექნიკაზე, ამინდის პირობებზე. სილოსის დამზადება დამოკიდებულია აგრეთვე გაშრობის ხანგრძლივობაზე და ხარისხზე, რაც განპირობებულია მცენარეული ფერმენტების მოქმედებით. მინდვრად კარგ პირობებშიც მწვანე საკვების მშრალი ნივთიერების 2-6% იკარგება, ცუდ პირობებში კი – 10%-მდე და მეტიც. სიმინდის მასის დანაკარგები მინდორში დაშვებულია 3%-მდე, ჭარხლის ფოჩისთვის 20%-მდე.

დუღილის დროს დანაკარგები აიხსნება მცენარეული უჯრედების მილევადი სუნთქვით, საყუათო ნივთიერებების დაშლით და სილოსის წვენის გამოდინებით. სილოსის ხარისხზე დამოკიდებულებით მშრალი ნივთიერების დანაკარგები შეიძლება აღწევდეს 5-20%. დუღილის მიმდინარეობისას გამოიყოფა ნახშირორჟანგის გარკვეული რაოდენობა, რომლის მოცულობამ შეიძლება დასასილოსებელი მასის ათჯერად მოცულობას მიაღწიოს. სილოსის გადახურვისას საჭიროა შეიქმნას პირობები ჭარბი ნახშირორჟანგის გამოსაყოფად. სასილოსე მასაში მშრალი ნივთიერების წილის გაზრდით, მცირდება დუღილის გაზების წარმოქმნა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საყუათო ნივთიერებათა დანაკარგებს სილოსის წვენიდან. ამ დანაკარგის სიდიდე განისაზღვრება მშრალი ნივთიერების შემცვლელობით სასილოსე მასაში. წვენით გამორეცხავს უმეტესწილად აღვილად ფერმენტირებად ნახშირწყლებს, მინერალურ ნივთიერებებს და ვიტამინებს და ართმევს ლაქტობაქტერიებს საყუათო სუბსტრატს. გარდა ამისა, ტენიან მასაში მეტია არასასურველი დუღილის რისკი. ზედმეტად ტენიანი ნედლეულის ჩადების შემდეგ მშრალი ნივთიერების დანაკარგები აღწევს 10%, იმავდროულად, როცა მშრალი ნივთიერების შემცველობა 30% და მეტია, დანაკარგები წვენიდან პრაქტიკულად არ არის. შენახვის დროს საცავში შეიმჩნევა საკვების დანაკარგები მონოლითის ზედაპირზე და გვერდებზე დაობებული სახით. რაც ნაკლებ ჰერმეტულია საცავი, მით მეტია საკვების დანაკარგი. ეს დანაკარგები დამოკიდებულია ზედაპირის ფართობზე, საცავის კედლების სიმტკიცეზე, აგრეთვე სილოსის გადახურვის ხარისხზე. მიწისქვეშა სილოსსაცავის ზედა ფართობი დამოკიდებულია მის სიმაღლეზე. ყოველგვარი სახის საცავში მონოლითის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლემ 2 მ. კაპიტალურ სილოსსაცავში მშრალი ნივთიერების დანაკარგები შეადგენს 5%, სილოსის ზვინებში ეს დანაკარგები, როგორც წესი, მეტია და შეიძლება მიაღწიოს 25%-მდე.

ცხრილი 13

სილოსის საცავის ტიპების მიხედვით მშრალი ნივთიერების დანაკარგები

სილოსსაცავის სახეობა	მშრალ ნივთიერებათა დანაკარგები, %
----------------------	--------------------------------------

პატარა – ზეინი (ბურტი)	35-40
დიდი – ზეინი (ბურტი)	25-35
პატარა კაპიტალური საცავი საფარის გარეშე	25-35
დიდი კაპირალური საცავი საფარით სილოსის ორმო აპკისებრი საფარით	20-25
პატარა სასილოსე კოშკი საფარის გარეშე	15-20
დიდი სასილოსე კოშკი საფარით	15-20
ჰერმეტული სილოსის კოშკი	10-15
ჰერმეტული სილოსის კოშკი	4-12

მეორეული დუღილი, რომელიც წარმოიქმნება ნივთიერების სოკოების ცხოველქმედების შედეგად დია სილოსსაცავში, ასევე იწვევს საყუათო ნივთიერებათა დანაკარგს. ინტენსიური მეორული დუღილისას კი ყოველდღიურად მშრალი ნივთიერების დანაკარგი შეიძლება აღწევდება აღწევდება 2,5%.

სილოსის წვენის გამოყოფა დასილოსების დროს. საკვების დასილოსებისას, უჯრედების დაშლის და ფერმენტაციის პროცესში გამოყოფა სილოსის წვენი. მისი რაოდენობა დამოკიდებულია დასასილოსებელ მასაში მშრალი ნივთიერების შემცველობაზე და დასილოსების პროცესის ხასიათზე. როცა მშრალი ნივთიერების შემცველობა 30% და მეტია, წვენის გამოყოფა პრაქტიკულად შეწყვეტილია. წვეულებრივ ჩაწყობიდან 10 დღეში გამოყოფა სილოსის წვენის საერთო რაოდენობის 2/3, აქედან 1/3 - პირველ სამ დღეში.

საკვები, რომელიც ჩაწყობისას შეიცავს არანაკლებ 25% მშრალ ნივთიერებას, პირველ 10 დღეში გამოყოფს სილოსის წვენის საერთო რაოდენობის 80%-ს.

#### ცხრილი 14

##### სილოსის წვენის ქიმიური შედგენილობა

მაჩვენებელი	შედგენილობა, გ/ლ
მშრალი ნივთიერება	30-100
ორგანული ნივთიერება	20-85
წყალში ხსნადი ნახშირწყლები	3-40
რძემჟავა	50-30
ძმარმჟავა	50-15
ერბოს მჟავა	0-15
სპირტი	3-6
კალიუმი	0,3-0,5
ფოსფორი	0,4-0,6
კალციუმი	0,2-3,0
საერთო აზოტი	0,1-2,00
NH <sub>3</sub>	0,1-2,0
NO <sub>3</sub>	0-0,2
pH	3,8-5,5
ბ.მ.ჟ. 5, გ O <sub>2</sub> /ლ*	50-100

\*ბ.მ.ჟ. – ბიოლოგიური მოთხოვნა ჟანგბადზე 5 დღის განმავლობაში

ვინაიდან სილოსის წვენით გამოირეცხება საყუათო ნივთიერებების მნიშვნელოვანი რაოდენობა, სასურველია თავიდან ავიცილოთ ეს პროცესი. წყალსაცავში სილოსის წვენის მოხვედრისას, მისი გამპონებელი მოქმედების შედეგად, წვენი სწრაფად მოხდება წყლის ზედაპირს, ამცირებს მასში ჟანგბადის რაოდენობას და იწვევს თევზის სიკვდილს. სილოსის წვენის მოხვედრა გრუნტის წყლებში, იწვევს სასმელი წყლის დაბინძურებას. ყოველივე ამის თავიდან

ასაცილებლად, სილოსის წვენი აუცილებელია შეგროვილ იქნას ორმოში ან თხელი წუნწუხის ან სპეციალურ რეზერვუარში, რომლის მოცულობას ანგარიშობენ წვენის სავარაუდო გამოსავლიანობის მიხედვით. სენაჟისთვის, რომელიც შეიცავს მშრალ ნივთიერებას 25%-მდე და სიმინდის სილოსისთვის, შემგროვებლის მინიმალური მოცულობა უნდა შეადგენდეს სილოსსაცავის მთლიანი მოცულობის 3%-ს. შესაძლებელია სილოსის წვენის გადადენა წუნწუხის შემგროვებელში. მაგრამ წვენის გამოტანა საკანალიზაციო მილით არასასურველია რამდენადაც დუღილის მუვეების არსებობის გამო პარტი გამოყოფა გოგირდწყალბადის მომეტებული რაოდენობა.

გამოყოფილი წვენის რაოდენობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია სასილოსე მასაში წყლის შემცველობაზე.

### წყლის სხვადასხვა შემცველობის დროს სილოსის წვენის გამოყოფა

ცხრილი 15

მაჩვენებელი	წყლის შემცველობა სასილოსე მასაში, %				
	90	85	80	75	70
საერთო მასა, კგ/ მ <sup>3</sup>	900	800	700	600	500
წვენის გამოსავალი, ლ/მ <sup>3</sup>	725	400	200	75	0

ტენიანი მასის დასილოსებისას გამოყოფილი წვენის რაოდენობის შესაბამისად საყუათო ნივთიერებების დანაკარგების შემცირება შესაძლებელია დაქუცმაცებული ნამჯის დამატებით. თუ დასასილოსებელი ნედლეული შეიცავს 20% მშრალ ნივთიერებას, მაშინ თანაფარდობა მწვანე მასა : ნამჯა შეადგენს 5 : 1.

დამატებითი დასილოსება. თუ აუცილებელია სილოსსაცავის გახსნა, საკვების დამატებით ჩასაწყობად, საჭიროა გავითვალისწინოთ ზოგიერთი თავისებურებანი. სილოსსაცავის გახსნისას სილოსის მასაში ხედება უანგბადი და იწვევს მასში არასასურველ პროცესებს. უანგბადის მიწოდება იწვევს არასასურველი მიკროფლორის გააქტიურებას, რომლებიც შლიან ადრევე წარმოქმნილ რძემუავას. დესტრუქციული პროცესები მიმდინარეობს ნაკლებ ინგენსიურად თუ დასილოსება დამთავრებულია და სილოსის მონოლითი საკმაოდ გამკვრივებულია. პირველ კვირას, პერმეტული შეფუთვის პირველ კვირას, ე.ო. დუღილის მთავარი ფაზის დროს, სილოსსაცავის გახსნა არ შეიძლება. დამატებითი დასილოსების პროცესი საჭიროა მაქსიმალურად მოკლე დროში ჩატარდეს, რათა სწრაფად შეწყდეს მასისთვის უანგბადის მიწოდება. დამატებითი დასილოსებისთვის შეიძლება ნედლეულის გამოყენება, რომელიც შეიცავს მშრალ ნივთიერებას 30%-მდე. ასეთი საკვები არ გამოყოს სილოსის წვენს. თუ იდება ტენიანი საკვები, წვენის გამოყოფის შედეგად სილოსის ქვედა ფენებიდან გამორეცხავს ადრე წარმოქმნილი დუღილის მუვეებს. ამ მიზეზით დამატებითი დასილოსებისთვის არ გამოიყენება რაფსი და შაქრის ჭარხლის ფორი. pH-ის მნიშვნელობის ზრდისას კლოსტრიდიები იწყებენ სახამებლის და პროტეინის გახლებას ერბომუავას წარმოქმნით. ხშირად ზედაპირზე არსებულ ნედლეულს შეაფრქვევენ პროპანის მუვას (1 ლ/მ<sup>2</sup>), რათა თავიდან აიცილონ უკვე ჩადებული სილოსის მასის ხარისხის გაფუჭება.

### II.12. ტენიანი მარცვლის დაკონსერვება

ხშირად, ამინდის პირობების გამო, საჭიროა მარცვლის აღება, რომლის ტენიანობა 16%-ს აღემატება. ასეთი ტენიანობა სრულიად საკმარისია ობის სოკოების

გამრავლებისა და რიგი მიკოტოქსინების წარმოშობისთვის, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ცხოველის პროდუქტიულობაზე და ჯანმრთელობაზე. მარცვლის ნორმალური შენახვისთვის, მისი ტენიანობა უნდა იყო 14%-ზე დაბალი, ხოლო მარცვლისთვის, ცხიმის დიდი შემცველობით 12%-ზე ნაკლები. ამას აღწევენ მარცვლის გამოშრობით და გაცივებით. ალტერნატივის სახით, გამოიყენება ქიმიური დაკონსერვება რომლის დროსაც მარცვლის მიკრობული გაფუჭება აცილებულია სპეციალური დანამატების შეტანით.

საფურაუე მარცვლის ნაყარით შენახვისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის ტენისგან იზოლაციას, არ უნდა დავუშვათ მარცვლის დაყრა პირდაპირ ბეტონზე. იგი ძლიერ პიგროსკოპიულია და იწვევს მარცვლის ქვედა ფენაში ტენიანობის ზრდას. თუ საცავი არ არის უზრუნველყოფილი სავენტილაციო მოწყობილობებით, მაშინ ნაყარის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1 მ-ს. ისეთი მარცვლის შენახვისას, რომლის ტენიანობა 16%-ზე მეტია, ნაყარის ასეთი სიმაღლის შემთხვევაში ადგილი აქვს მომატებულ მიკრობიოლოგიურ აქტიურობას და წარმოიშობა მიკოტოქსინები. იგივე პროცესი მიმდინარეობს, თუ მარცვლის ტენიანობა 16%-ზე ნაკლებია, მაგრამ ნაყარის სიმაღლე 1 მ-ზე მეტია. ამ შემთხვევაში მიკროფლორის აქტიურობას განაპირობებს წყალი, რომელიც გამოიყოფა ნივთიერებათა ცვლის პროცესების მიმდინარეობის შედეგად. ნაყარის დიდი სიმაღლის შემთხვევაში წყალი ვერ ორთქლდება, რაც ქმნის მიკროორგანიზმების განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

მარცვლის ნორმალური ტენიანობისას (16%-ზე ქვევით) შესანახად, ჩაყრის პირველ დღეებში უნდა ჩატარდეს მისი გაცივება. დაბალი ტენიანობის პირობებშიც საყუათო ნივთიერებების უმნიშვნელო გარდაქმნების შედეგად, რომელიც გამოწვეულია ფერმენტებით და მიკროორგანიზმებით, ხდება მარცვლის გათბობა. გაცივება საშუალებას იძლევა შეჩერდეს ტემპერატურის მატება განსაზღვრულ ფარგლებში და ამით აცილებულ იქნეს თავიდან საყუათო ნივთიერებათა დაშლა. ამისთვის გამოყენებული უნდა იქნეს არსებული ვენტილიაციური მოწყობილობა ან ჩატარდეს მარცვლის არევა. უფრო საიმედოა მარცვლის შრობა 14% ტენიანობამდე, სპეციალურ საშრობ დანადგარში. ამისთვის დამუშავებულია პერიოდული და უწყვეტი შრობის ტექნოლოგიები. ამასთანავე, აუცილებელია შრობის ტემპერატურა არ აღემატებოდეს  $60^{\circ}\text{C}$ , წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეითდება საყუათო ნივთიერებათა მონელება, განსაკუთრებით ნედლი პროტეინის. დანადგარში სითბოს წყაროდ გამოყენებულია ცხელი ჰაერი, მისი ტემპერატურა შეიძლება იყოს  $400\text{-}900^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში. აუცილებელია საშრობში მარცვლის არევა. ყოველივე ეს ძნელად შესასრულებელია, ამიტომ პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება. ძირითადად, იყენებენ საშრობ მოწყობილობებს თბილი ჰაერით  $80^{\circ}\text{C}$ . მათი უპირატესობაა ისიც, რომ არ ხდება მარცვლის განუწყვეტელი არევა და მარცვლის გადახურება არ ხდება ისე სწრაფად, როგორც ცხელი ჰაერის დანადგარებში

### მარცვლის შრობისას ტემპერატურის დასაშვები მნიშვნელობები

ცხრილი 16

სამეურნეო დასახელება	შრობის ტექნოლოგია	
	კონვეირულ საშრობზე	ცირკულარულ საშრობზე
თესლი და სალუდე ქერი (გაღივების უნარის შენარჩუნებით)	40-50	45-55
ხორბალი (მარცვალი)	50-60	55-65
საფურაუე მარცვალი (მელისა)	55-65	70-80

ზოგჯერ მინდვრიდან მოტანილი მარცვლის გაშრობა მარცვლის აღებიდან 2-3 დღეში არ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია ჩატარდეს წინასწარი ციკი ვენტილაცია ან გაყინვა, რისთვისაც მარცვალს ანიავებენ ატმოსფერული ან გაცივებული ჰაერით. ამ მეთოდით აცილებული იქნება მისი მიკრობიოლოგიური გაფუჭება. ტენის შემცვლელობა ნედლ მარცვალში არის არანაკლებ 20%. 18% ტენიანობის მარცვლისათვის საკმარისია ჰაერის მიწოდება 30 მ<sup>3</sup>/სთ 1 მ<sup>3</sup> მარცვალზე ნაყარის სიმაღლე 175 სმ-მდე. 18-20% ტენიანობის მარცვლისათვის საჭიროა 70 მ<sup>3</sup> ჰაერის მიწოდება და 50სმ-მდე ნაყარის სიმაღლე. მაღალი ტენიანობისას ჰაერის მიწოდების მნიშვნელოვანი გაზრდაც არ უზრუნველყოფს მარცვლის საიმედო შენახვას. მარცვალში მჟავების დამატება სპობს ან ასუსტებს არსებულ მიკროორგანიზმებს. ამის წინაპირობას წარმოადგენს მარცვლის მჟავებთან ჰომოგენური არევა. ასეთი დამუშავება უზრუნველყოფს ჰიგიენურად ხარისხიან მარცვალის მიღებას. ძირითადად გავრცელებულია პროპიონის მჟავას გამოყენება. მჟავის ხარჯვის ნორმა დამოკიდებულია მარცვლის ტენიანობაზე და მისი შენახვის ხანგრძლივობაზე. მარცვალსაცავი უნდა დამუშავდეს მჟავების კოროზიული ზემოქმედებისაგან დამცველი საფარით (როგორც სილოსსაცავში). პროპიონის მჟავით დაკონსერვებული მარცვალი, შეიძლება მიეცეს ყველა სახეობის ცხოველს. მისი დამატება ზრდის საკვების ენერგეტიკულ ყუათიანობას. პროპიონის მჟავა მეწველი ფურის ორგანიზმში გარდაიქმნება გლუკოზად.

მარცვლის დასაკონსერვებლად გარდა პროპიონის მჟავისა შეიძლება გამოყენებული იქნეს ნატრიუმის ან კალციუმის მარილები. იონური ცვლის საფუძველზე მარილები გარდაიქმნებიან მჟავებად, რომლებიც უზრუნველყოფენ დაკონსერვებას.

მარცვლის დასაკონსერვებლად გარდა პროპიონის მჟავის აუცილებელი რაოდენობა  
ტენიანობისა და შენახვის ხანგრძლივობის მიხედვით, ლ/100 კგ  
ცხრილი 17

მარცვლის ტენიანობა, %	დაკონსერვებული მარცვლის შენახვის ხანგრძლივობა, თვე			
	1-მდე	1-3	4-6	7-12
16	0,35	0,45	0,50	0,55
18	0,40	0,50	0,55	0,65
20	0,45	0,55	0,65	0,75
22	0,50	0,65	0,75	0,85
24	0,55	0,70	0,85	0,95
26	0,60	0,80	0,95	1,05
28	0,70	0,90	1,05	1,15
30	0,80	1,00	1,15	1,30

თუ მარცვალი საკვებად გათვალისწინებულია მხოლოდ მცონნავეი პირუტევისათვის, მაშინ კონსერვირება შესაძლებელია ნატრიუმის ტუტის წყალსნარით. სუფთა NaOH რაოდენობა აუცილებელი გარანტირებული ეფექტისათვის შეადგენს 3,5-4,0%. რეკომენდებულია კონცენტრირებული ხსნარის გამოყენება – 350-400 გ NaOH 1 ლ წყალში. დოზირება 3,5-4% ხიშნავს, რომ 10 ლ კონცენტრირებული ხსნარი შეაქვთ 100 კგ მარცვალში. II ვარიანტი – საჭირო რაოდენობის ნატრიუმის ტუტის გრანულებს აურევენ 100 კგ მარცვალს და შემდგომ ასველებენ 20 ლ წყლით. ორივე შემთხვევაში უნდა მოხდეს მარცვლის ინტენსიური არევა, თითოეული მარცვლის ტუტით დასანამად. ჩაყრის პირველსავე დღეებში უნდა მოხდეს მარცვლის ხელახალი არევა, რათა აცილებული იქნას გუნდების წარმოქმნა. ასეთი მარცვლით კვება შესაძლებელია 10 დღის შემდეგ. თუ მარცვალი განკუთვნილია მცონნავების

საკვებად, მისი დამუშავება შესაძლებელია შარდოვანათი, რომელიც შემდგომ ცხოველის ფაშვში გამოიყენება მიკრობულიპროტეინის წარმოსაქმნელად. ფერმენტული პიდროლიზის შედეგად შარდოვანისგან გამონთავისუფლდება ამიაკი, რომელიც ორგუნავს ბაქტერიების, საფუარის და ობის სოკოების მოქმედებას. შარდოვანით (კარბამიდით) დამუშავებული მარცვალი ღებულობს მოყვითალო-ყვისფერ შეფერილობას. სტაბილური ეფექტის მისაღწევად ტენიანობისგან დამოუკიდებლად, ყოველ 100 კგ მარცვალს ემატება 2,25 კგ შარდოვანა. 18%-ზე ნაკლები ტენიანობის დროს შარდოვანას სწრაფი მოქმედების უზრუნველსაყოფად შეიძლება დაემატოს 0,5 წყალი 100 კგ მარცვალზე. შარდოვანით დამუშავებული მარცვალი შემდგომ მჭიდროდ უნდა შეიფუთოს ამიაკის აქროლების თავიდან ასაცილებლად. ამ მეთოდით დაკონსერვებული მარცვალი ადვილად იტკეპნება, ამიტომ შეუძლებელია მისი თვითდაცლა სატვირთო მანქანიდან.

მარცვალი, რომლის ტენიანობა არანაკლებ 20%-ია, შეიძლება დასილოსდეს. დასილოსების წინ მისი ხანგრძლივი შენახვა არ შეიძლება, რადგან დიდი ტენიანობის შემცველობის გამო მიმდინარეობს მიკროფლორის სწრაფი განვითარება, რომელიც შემდგომ დუღილის არასასურველ ტიპს იწვევს. საფუარის ცხოველუნარიანობის აქტივირების საფუძველზე, დიდია საყუათო ნივთიერებების დანაკარგები. დასილოსების წინ მარცვალი უნდა დაიღეროს ან დაიჭყლიტოს (სიმინდის მარცვალი) სამსხვრევ აგრეგატზე. ტენიანი, დამსხვრეული მარცვალი შეიძლება ჩაიდოს როგორც სასილოსე ორმოში, ასევე სასილოსე კოშკში. მიწისქვეშა სილოსსაცავის გამოყენებისას, მარცვლის დატკეპნა უნდა მოხდეს ტრაქტორით, საცავი უნდა იყოს ჰერმეტული. მოლიანი მარცვლის შენახვა ჰერმეტულ კოშკი თხოულობს დიდ დანახარჯებს. საცავად ხშირად იყენებენ უშანებავი ფოლადის, ალუმინის სინთეთიკური მასალებით დაფარულ ჰერმეტულ კოშკებს. მარცვლის დაკონსერვება მიმდინარეობს იმ ნახშირორჟანგის ხარჯზე, რომელიც წარმოიქმნება მცენარეული ფერმენტებით და აერობული მიკროორგანიზმებით, აგრეთვე ამ პროცესში წარმოქმნილი რძის მეავის უმნიშვნელო რაოდენობით. ნახშირორჟანგის გაზის აირის შესანარჩუნებლად, მიმოცვლითი ტემპერატურის პირობებში, აუცილებელია გავითვალისწინოთ სისტემა – „სასუნთქი ტომარა“, რომელიც იკავებს კოშკის მთელი მოცულობის 10-15%-ს. მარცვლის გადმოტვირთვისას საჭირო ყურადღება მიექცეს კოშკში ნახშირორჟანგის შენარჩუნებას.

### **თავი მესამე. საკვებწარმოებისა და ცხოველთა კვების პროგრამული უზრუნველყოფა**

#### **III.1. პროგრამირება საკვებწარმოებასა და ცხოველთა კვებაში**

თანამედროვე პირობებში გავრცელებულია სოფლის მეურნეობის გაძლიერების მეთოდოლოგიის სრულიად ახალი ეტაპი, რომელიც დაფუძნებულია საინფორმაციო და ნანოტექნოლოგიებზე, წარმოების დაგეგმვის და ახლებურად მართვის სისტემაზე – მათემატიკური მეთოდების და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების – ჰერსონალური კომპიუტერების ქსელურ (ინტერნეტი) გამოყენებაზე. ამ სისტემების უპირატესობა პროცესების კომპლექსურ აღრიცხვასა და შესწავლაში მდგომარებს, ისინი განსაზღვრავენ წარმოების განვითარების შედეგებს.

საკვებწარმოებაში და ცხოველთა კვებაში სისტემური პრინციპის ყველაზე დიდი უპირატესობა ის არის, რომ მისი გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო სრულად გავითვალისწინოთ მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებანი, ასევე საკვები კულტურების მოსავლიანობაზე მოქმედი ნიადაგური, კლიმატური, აგროტექნიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორები. სისტემური მიდგომის პოზიციიდან

მოსავლიანობის პროგნოზირებასა და პროგრამირებისათვის უნდა დავამუშაოთ და გამოვიყენოთ მათემატიკური მოდელები და კომპიუტერული პროგრამები. ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფართოვდება კომპიუტერების გამოყენება, რაც აჩქარებს ამ პროცესების წარმოებაში დანერგვას.

**პროგრამირება** ჩვენ უნდა გავიგოთ, როგორც მეცნიერული მეთოდი ოპტიმალური გეგმური და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შერჩევისა რთულ პირობებში ცალკეულ მინდორზე ან მთელ სავარგულზე მაქსიმალურად მაღალი მოსავლის მიღებისათვის. მათემატიკური მოდელების და გამოთვლითი ტექნიკის ზუსტი გაანგარიშება უზრუნველყოფს რესურსების ყველაზე ეფექტურ გამოყენებას ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისა და გარემო პირობების დაცვის გათვალისწინებას. ამასთან მატულობს ობიექტურობა, იზრდება ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტის სიზუსტე, პრაქტიკულ გამოცდილებასა და ინტუიციაზე დაყრდნობილ ტრადიციულ გადაწყვეტილებებთან შედარებით.

ვერმის მენეჯერმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საკვებწარმობაში და ცხოველთა კვებაში მართვის მეცნიერული მეთოდები შეიცავს შემდეგ ელემენტებს: საკვები კულტურების მოსავლიანობის და ცხოველთა პროდუქტიულობის პროგნოზირებას, დაგეგმვას, პროგრამირებასა და წარმოების ორგანიზაციას.

### III.2. პროგნოზირება და წარმოების ორგანიზაცია საკვებწარმოებაში

**პროგნოზირება** ითვალისწინებს პროგნოზის დამუშავებას თეორიულად მოსალოდნელი მოსავლიანობის და პროდუქტიულობის შესაძლებელ წარმოდგენას, უზრუნველყოფის კლიმატის, ნიადაგის ნაყოფიერების, სასუქების სახეებისა და რაოდენობის, რწყვის და სხვა ფაქტორების რესურსებით, რაც დაგეგმვის პირველ ეტაპს წარმოადგენს.

ცალკეული საკვები კულტურების მოსავლიანობა და პროდუქციის საერთო გამოსავალი საკვები კულტურებით დაკავებული მთელი ფართობიდან იბეგრება პროგნოზის საფუძველზე ლიმიტირებული ფაქტორის დონის მიხედვით მართვისათვის შეუძლებელი აგროკლიმატური ფაქტორების განაწილების კანონის გათვალისწინებით. გეგმური მოსავლიანობის დადგენა ხდება აგროკლიმატური ფაქტორების საშუალო მრავალწლიანი მონაცემების დონის მიხედვით. ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ საკვები კულტურების მოსავლიანობის პროგრამირება ეგმ-ის გამოყენებით.

**პროგრამირება** ითვალისწინებს პროგრამის დამუშავებას, ე.ო. სამართავი ფაქტორების ოპტიმალურ რაოდენობრივ თანაფარდობას სამართავად შეუძლებელი ამინდის ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესების სისტემაში უზრუნველყოფენ დაგეგმილი მოსავლის მიღებას არსებული რესურსების ყველაზე ეკონომიკური გამოყენებით.

**წარმოების ორგანიზაცია** არის დასამზადებელი საკვების მოყვანის, აღების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესის ყველა რგოლის მოწესრიგება.

საკვებწარმოების და ცხოველთა გამოკვების სისტემური მართვის უპირატესობა პროდუქციის წარმოებისათვის ეფუძნება მოდელირების მეთოდებს, იმას, რაც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა პროდუქციის ფორმირების პროცესებზე. ამასთან, იქმნება უკეთესი გაგმური და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მოქების შესაძლებლობა ყველა ძირითადი ფაქტორის ზუსტი გათვალისწინებით, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ცალკეული საკვები კულტურების მოსავლიანობაზე კერძო, და მეცხოველეობის პროდუქტიულობის საბოლოო შედეგებზე ზოგადად.

### III.3. მოდელირება საკვებწარმოებასა და ცხოველთა კვებაში

მოდელირება საშუალებას იძლევა განვიხილოთ აგროფიტოცენოზების გარემო პირობებთან ურთიერთდამოკიდებულების მრავალი ვარიანტი, შევისწავლოთ სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმდება საკვები კულტურების მოსავლიანობაზე, პროდუქციის გამოსავალზე, კომპიუტერული პროგრამების საშუალებით დაყენებული იქნას ისეთი ექსპერიმენტები, რომლის ნატურაში გატარება შესაძლებელია ან მათი ცხოვრებაში გატარება მოითხოვს დროისა და მატერიალურ საშუალებათა დიდ დანახარჯებს. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა საკვებწარმოების სისტემა აშენებული იქნეს რაოდენობრივ საფუძველზე, გავითვალისწინოთ მოსავლიანობაზე მოქმედი ყველა ფაქტორი, მოვახდინოთ აგროტექნიკური წესების დიფერენცირება ყოველი მიწის ფართობის კონკრეტული პირობების შესაბამისად, უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ ყოველი პა მიწის პოტენციური შესაძლებლობები, ყოველი კილოგრამი მინერალური და ორგანული სასუქი და პირუტყვის საკვები. საბოლოოდ, საქმისადმი ასეთი მიღგომა საშუალებას იძლევა დაგაპროგრამოთ და მივიღოთ დაგეგმილი მოსავალი და პროდუქტიულობა არსებული ალბათობის ზღვარში, ავამაღლოთ ნიადაგის ნაყოფიერება ეკოლოგიური მოთხოვნილების გათვალისწინებით, გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, ავამაღლოთ ცხოველების მოვლის ტექნოლოგიური დისციპლინა, უფრო ზუსტი კონტროლი დავაწესოთ ტექნოლოგიური პროცესების ძირითად ეტაპებზე, უფრო მეტი დასაბუთებით და ზუსტად განვხაზღვროთ როგორც კერძო ფერმერული მეურნეობების, ასევე სახელშეკრულებო – დაქირავებული ბრიგადებისა და რგოლების საწარმოო გეგმები.

ისეთი რთული ბიოლოგიური სისტემების კვლევა და მართვა, როგორიცაა აგროფიტოცენოზი (მცენარეთა თანასაზოგადოება) და პირუტყვის სუქება, შესაძლებელია მხოლოდ მოდელირების საფუძველზე. მოდელირების არსში იგულისხმება რაიმე რეალურად არსებული სისტემის ცვალებადი მოქმედება, ანუ გამარტივებული სქემატური ან მათემატიკური პრინციპების ორგანიზაციული და ფუნქციონირებული კვლავწარმოება. ერთი მხრივ მოდელი წარმოგვიდგება როგორც კვლევის რაღაც განზოგადოებული შედეგი, ხოლო მეორე მხრივ – საშუალება, რომლის დახმარებითაც მიიღება ახალი მონაცემები. მოსავლიანობის ფორმირების პროცესების მათემატიკური მოდელირების მეთოდი საშუალებას იძლევა დავაყენოთ ციფრობრივი ექსპერიმენტები და გამოკვლევები იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებს პირობების ცვალებადობა სისტემაზე: ნიადაგი-კლიმატი-მცენარე-საკვები-ცხოველი-პროდუქცია. კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით შესაძლებელია გარკვეულ ფარგლებში აგროფიტოცენოზების ცხოველმოქმედების შეცვლაზე კონტროლის დაწესება, მცენარეთა პოტენციური პროდუქტიულობის დადგენა და მისი გამოყენებით პროდუქციის მისაღებად საჭირო ყველა პირობის მაქსომაღური სიზუსტით განსაზღვრა.

მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ელემენტარული დაბალანსების მოდელი წარმოადგენს ნიადაგის და ცხოველების ნაყოფიერების განტოლებით კავშირს აგროკლიმატურ და ნიადაგურ მონაცემებთან, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მიახლოებით განვხაზღვროთ პროგნოზის სახით საკვები კულტურების ნაკვეთების შესაძლებელი მოსავლიანობა და პროდუქტიულობა დიდ ფართობზე.

პოტენციური ბიოლოგიური მოსავლიანობა, რომელიც უზრუნველყოფილია სინათლის რესურსებით (მQ), მიახლოებით განისაზღვრება თანაფარდობით:

$$\theta_Q = \frac{\Sigma Q \cdot k}{q}$$

სადაც  $\Sigma Q$  არის ვეგეტაციის პერიოდში გამოსხივებული ფიზიოლოგიურად აქტიური რადიაციის (ფარ) ჯამი (მილიარდი კგალ) პა-ზე,  $k$  – ფარ-ის გამოყენების

კოეფიციენტი. ე-მცენარეთა ბიომასის კალორიულობა (კკალ/გ), რომელიც გამოვლებით მიღებულია 400-450 ათას კკალ. ამ ფორმულის არსებით ნაკლად ითვლება ის, რომ ფარ-ის გამოყენების კოეფიციენტი არ წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს. ის იცვლება იმ მიზეზებით, რაც განაპირობებს მოსავლიანობის სიდიდეს, ამიტომ გამოვლებული უფლებამოსილი ვართ გამოვიყენოთ თეორიულად შესაძლებელი ფარ-ის გამოყენების კოეფიციენტის მხოლოდ თეორიულად მაქსიმალური მნიშვნელობა, ტემპერატურით, ტენით და საკვები ელემენტები უზრუნველყოფის ოპტიმალურ პირობებში.

საერთო ბიომასის შესაქმნელი ფარ-ის გამოყენების თეორიულად შესაძლებელი კოეფიციენტი საქართველოში საშუალოდ შეადგენს 9,5-10,5% -ს, მ.შ. მიწისზედა ბიომასაში შეიძლება დაგროვდეს ფარ-ის 5-7%.

ტემპერატურული რესურსებით შესაძლებელი რაოდენობის მოსავლის მიღების გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მოსავლის დამოკიდებულება პიდროთერმულ პოტენციალთან, რომელშიც შედის სინათლის, სითბოსა და ტენის ურთიერთდამოკიდებულება.

$$K_p = \frac{W \cdot T_v}{36R}$$

სადაც  $K_p$  – პროდუქტიულობის ბიოპიდროთერმიული პოტენციალია (ბალები),  $W$  – პროდუქტიული ტენიანობა (მმ),  $T_v$  – ვეგეტაციის პერიოდი (დეკადების რაოდენობა),  $R$  – ამ პერიოდში რადიაციული ბალანსი (კკალ/სმ<sup>2</sup>). ბალებიდან მოსავლიანობაზე გადასვლა შეიძლება შემდეგი ფორმულით:

$$\delta\theta = B \cdot K_p$$

სადაც  $\delta\theta$  – ბიომასის მოსაგალია (გ/ჰა),  $B$  – ემპირიული კოეფიციენტია, რომელიც დამოკიდებულია მცენარის სახეობაზე ან ჯიშზე, აგროტექნიკის დონეზე და სხვა ფაქტორებზე.

ანალოგიური წესით ხდება მოსალოდნელი მოსავლიანობის განსაზღვრა პიდროთერმიული მონაცემებით (ჰომ), რომელიც დაფუძნებულია საგეგმებაციო პერიოდის ტემპერატურით უზრუნველყოფაზე და ტენიანობის პირობებზე.

ჰომ= $A \cdot K_t \cdot n$ , სადაც  $n$  – აღნიშნული კულტურის სავეგეტაციო პერიოდის დეკადების რიცხვია,  $K_t$  – ტენიანობის კოეფიციენტი,  $A$  – ემპირიული კოეფიციენტი

$$K_t = \frac{0,06W}{R}$$

სადაც  $W$  არის ვეგეტაციის პერიოდის პროდუქტიული ტენიანობა (მმ),  $R$  – რადიაციული ბალანსის ჯამი (კკალ/სმ<sup>2</sup>). მოსავლიანობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$\theta = b \cdot \text{ჰომ} - a$$

სადაც  $b$  და  $a$  ემპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც დამოკიდებულია განტოლებაში დაუზუსტებელ ფაქტორებზე. იმ შემთხვევაში, როცა  $K_t > 1$  (ჭარბი ტენიანობა), გამოვლებაში ის უნდა მივიჩნიოთ 1-ის ტოლად.

მოსალოდნელი მოსავლიანობის განსაზღვრის მეთოდი პროდუქტიულობის ბიოკლიმატური მონაცემებით (ბმ) შემდეგ სახესაც დებულობს:

$$\delta\theta = K_n \cdot \frac{\sum t > 10^0}{1000^0}$$

სადაც  $K_n$  არის მცენარის ბიოკლიმატური პროდუქტიულობის კოეფიციენტი,  $\Sigma t > 10^0 - 10^0$ -ზე მეტი ტემპერატურის ჯამი,  $1000^0 - 10^0$ -ზე მეტი ტემპერატურების ჯამი საქართველოში.


### III.4. საკვები კულტურების მოსავლის მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელები

მოსავლის პროგნოზირებისა და პროგრამირების მეთოდების დამუშავების პარალელურად, რომელიც ემყარება აგროკლიმატური და ნიადაგური მონაცემის განზოგადებას, მიმართავენ მათემატიკურ მოდელირებას. პირველ ეტაპზე საკვებწარმოებაში ფართოდ გავრცელდა მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელები, რომელთა ძირითად კლასს წარმოადგენს საწარმოო ფუნქციები. ეს ფუნქციები წარმოადგენს რეგრესულ მოდელს, რომელიც გამოხატავს მოსავლიანობის კავშირს წარმოების ფაქტორებთან, რომლებსაც ეკუთვნის მატერიალურ-ტექნიკური და ეკონომიკური რესურსები, ასევე აგროკლიმატური და ნიადაგური მონაცემები.

გამოკვლეული მოსავლიანობის დასაკავშირებლად აგროკლიმატურ, ნიადაგურ და აგროტექნიკურ ფაქტორებთან გამოიყენება ფუნქციათა სხვადასხვა სახეები.

გარკვეული ტექნიკური პოტენციალის მქონე კულტურის მოსავლიანობის დამოკიდებულებას გარემო ფაქტორებზე: სინათლეზე, სითბოზე, ტენიანობაზე, საკვებ ელემენტებზე და ა.შ. ( $x_1, x_2, x_3 \dots \dots \dots x_n$ ) - აქვს არახაზობრივი, ექსპერიმენტული ხასიათი (ნახ. 1) და საერთო სახით დებულობს განტოლების შემდეგ ფორმას:

$$\theta = \theta_n [1 - e^{-F(x_1, x_2, x_3, \dots, x_n)}]$$



ნახ. 1. მოსავლიანობის დამოკიდებულება გარემო პირობებზე

ნახაზიდან და მოცემული განტოლებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ფაქტორების დოზების გადიდებასთან ერთად მატულობს მოსავალიანობაც, მაგრამ გარკვეულ ზღვარამდე, რის შემდეგ მათი ზრდა ვერ უზრუნველყოფს მოსავლიანობის ზრდას და ზოგჯერ შეიძლება მოსავალი კიდევაც შემცირდეს (წყვეტილი მრუდი). ბიოლოგიური პროცესების აღწერისათვის, რომელთა სიდიდე დროში გარემო პირობებზე დამოკიდებულებით დებულობს S-ისებრ მაგვარ მრუდის ფორმას, უფრო ხელსაყრელია ლოგისტიკური ფუნქცია

$$\theta = \frac{a}{1 + be^{-cx}}$$

მოსავალზე სასუქების მოქმედების შესწავლისას ფაქტიურ მონაცემებთან კარგ მიახლოებას იძლევიან კვადრატული ( $\theta = b + bx + cx^2$ ) და კუბური ( $\theta = a + bx + cx^2 + dx^3$ ) ფუნქციები, სადაც  $a, b, c, d$  კოეფიციენტებია,  $x$  - გარემოს ფაქტორი, აგრეთვე

სპილმანის ფუნქცია ( $\hat{M} = M \cdot AP^X$ ), სადაც  $M$  – მაქსიმალური მოსავალია ფაქტორ  $X$  –ის ოპტიმალური მნიშვნელობის შემთხვევაში,  $A$  – მოსავლის ნამატი, რომლის მიღება შესაძლებელია  $X$  –ის მნიშვნელობის გადიდებით,  $P$  – მუდმივი სიდიდეა, რომელიც განსაზღვრავს მოსავლის შემდგომი შემცირების ცვალებადობის სიდიდეს; ხარისხობრივი ( $\hat{\alpha} = \alpha X^1$ ) და ექსპონენციალურ-ხარისხობრივი ( $\hat{\alpha} = \alpha_0 + \alpha_1 X_1 + \alpha_2 X_2 + \dots + \alpha_n X_n$ , სადაც  $\alpha_0, \alpha_1, \dots, \alpha_n$  – კოეფიციენტებია,  $X_1, \dots, X_n$  გარემო პირობები).

მოსავლიანობის გარემო პირობებზე დამოკიდებულების აღწერის დროს (მრუდი უწყვეტი ხაზი, ნახ. 1), გამოიყენება წრფივი ფუნქცია ( $\hat{M} = \alpha_0 + \alpha_1 X_1 + \alpha_2 X_2 + \dots + \alpha_n X_n$ , სადაც  $\alpha_0, \alpha_1, \dots, \alpha_n$  – კოეფიციენტებია,  $X_1, \dots, X_n$  გარემო პირობები).

ზემოაღნიშნული, ეგრეთწოდებული წარმოებითი ფუნქციები წარმოადგენს რეგრესიულ მოდელებს, რომლებიც გამოხატავენ მოსავლის რაოდენობრივ კავშირს წარმოების ფაქტორებთან. მათი დამუშავებისათვის (მოდელის სტრუქტურის და კოეფიციენტის განსაზღვრა) გამოიყენება სამეცნიერო დაწესებულებების, ჯიშთგამოცდის სადგურების, აგრეთვე ფერმერულ მეურნეობათა თემატური და საფინანსო ანგარიშები, ბიზნეს-გეგმები, პროექტების ანალიზები.

მარტივი და კომპლექსური სტატისტიკური მოდელების გამოყენება, რომელიც ემყარება საბალანსო და რეგრესულ დამოკიდებულებას, მოსავლის პროგნოზირებისა და ოპტიმიზაციის მიზნით მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როცა რაოდენობრივი მოსავლიანობა განისაზღვრება ფაქტორთა შეჯამებული მნიშვნელობით, რომლებიც წინასწარ გაანგარიშებულია დაგეგმილი მოსავლის მიღებისათვის, ხოლო მართვას დაქვემდებარებული ფაქტორების განაწილება დროში წარმოებს არაფორმალურ საფუძველზე, ამ ფაქტორების ცვალებადობის ხასიათის მიხედვით. მისადები მოსავლის გაანგარიშება ხდება საშუალო წლიური მონაცემების მიხედვით დაგეგმილი მოსავლიანობის მიღების ერთდროული განსაზღვრით.

სასურველია საკვების დამზადების პროცესში ფერმერმა ისარგებლოს თავისი მეურნეობის პერსონალური კომპიუტერებით, რაც საშუალებას მისცემს დაეუფლოს გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას და სწრაფად გაიანგარიშოს ცხოველების და ფრინველების ულუფები.

მსხვილი ფერმერული მეურნეობის საკვებწარმოების სპეციალისტები, რომელთაც სამუშაო ადგილზე ექნებათ პერსონალური კომპიუტერები, მზად უნდა იყვნენ ასეთ გამოთვლით ტექნიკასთან მუშაობისათვის, უნდა იცოდნენ პერსონალური კომპიუტერის მუშაობის პრინციპები, მათი ტექნიკურ-საქესპლუატაციო მონაცემები და შესაძლებლობანი, კომპიუტერების რაციონალური გამოყენება, პროგრამების პროფესიონალური მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული კომპიუტერული უზრუნველყოფა ფერმის მეტად ეფაქტური გაძლოლის საშუალებას იძლევა, სამწუხაროდ, კომპიუტერების უქონლობის გამო, საჭიროდ ჩავთვალეთ საინფორმაციო მასალა ფერმერების მენეჯერებისათვის ცხრილების სახითაც წარმოგვედგინა.

### III.5. საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი საკვებწარმოების მდგრადი განვითარებისათვის

თანამედროვე სამყაროში გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექნოლოგიური განვითარება, რომელმაც ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელება გამოიწვია, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ განაპირობა წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის ამაღლება, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის შექმნა და განვითარება. ამთგან ყველაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე უფექტური ინფორმაციების მართვის სფერო, სტრატეგიული დაგეგმვისა და კრიზისული მართვის საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც ყველაზე ქმედით პრაქტიკულ შედეგებს იძლევა ეროვნული და საერთაშორისო კორპორატიული კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში. უახლესი ინფორმაციის უსწრაფესი და იაფი გადატანა ჩვენი დროის ყველაზე აქტუალური პრობლემა. ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრესი უკვე გახდა ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის ამაღლების მესამე ფაქტორი, კაპიტალსა და შრომასთან ერთად. დღეს კაცობრიობისათვის მეტად მნიშვნელოვანია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტენსიფიკაცია, რაც მჭიდროდ უკავშირდება ბუნებრივი რესურსების გამოვლენას და ოპტიმალურად გამოყენებას, პლანეტის მოსახლეობის სწრაფ ზრდას და ამასთან დაკავშირებულ ეკოლოგიური გარემოს ცვლილებებს.

21-ე საუკუნეში, ეკონომიკური ძლიერებისა და სიმდიდრის აქმდე არსებული ტრადიციული საფუძვლები, რაც საუკუნეების განმავლობაში განისაზღვრებოდა ბუნებრივი რესურსებით - მიწების ფართობით და მათი ნაყოფიერებით, ძვირფასი ქვებისა და ლითონების საბაზოებით, ნავთობით და ენერგოშემცველების ამოღებით, წარსულს ჩაბარდა. ამჟამად უფრო მნიშვნელოვანი ხდება ცოდნისა და ინტელექტის საფუძველზე შექმნილი მაღალი ტექნოლოგიები. ამის მაგალითად და დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ამერიკის კომპიუტერული ტექნოლოგიების მაგნატი, მილიარდელი ბილ გეიტსი, რომელიც ფლობს არა ბუნებრივ წიაღისეულს, არამედ ინტელექტუალურ საკუთრებას, გამოხატულს საინფორმაციო ტექნოლოგიებში.

როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, ჩვენს საუკუნეში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ეკონომიკა შემდეგი 5 ძირითადი მიმართულებით უნდა განვითარდეს: მიკროელექტრონიკა, კომპიუტერული ტექნიკა, ტელეკომუნიკაციები, კომპოზიტიური მასალები, ნანო და ბიოტექნოლოგიები. ქვეყნები, რომლებიც ვერ შეძლებენ ამ მიმართულებით სწრაფ რეაგირებას, აღმოჩნდებიან მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში. საქართველო, მიუხედავად აგრარული კადრების შედარებით მაღალი ინტელექტუალური პოტენციალისა, სამწუხაროდ, იმ ქვეყნების სიაშია, რომელთა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში აქტიურად ჩასართავად შეზღუდული სასტარტო ბაზისი აქვს.

დღემდე საქართველოს სოფლის მეურნეობა, მ.შ., საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის განვითარება მიმდინარეობს ძირითადად ენერგეტიკულ-ტექნიკური ბაზის შეცვლის, ტექნოლოგიების სრულყოფის, გენეტიკის მიღწევების, ცხოველთა კვების რაციონის გაუმჯობესების, მინერალური და ორგანული სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების ოპტიმიზაციის გზით. მიწნეულია, რომ ჩვენი საუკუნე იქნება ენერგეტიკიდან ინფორმატიკაზე გადასვლის დასაწყისი. მსოფლიო მასშტაბით იგი ხასიათდება რესურსების მნიშვნელოვანი გადანაწილებით სრული გლობალური ინფორმატიკის სასარგებლოდ. მაგალითად, მოსალოდნელია, რომ მატერიალურ წარმოებაში შრომითი რესურსების თანაფარდობა ინფორმაციის სფეროსთან შედარებით, რომელიც XX საუკუნის შუალედში შეადგენდა 3:1 – თან, ძირეულად შეიცვალა უკვე ამ საუკუნის დასაწყისში, როგორც 1:3 -თან.

მეტად მნიშვნელოვანია საკვებწარმოებაში და მეცხოველეობაში ტექნიკოგენური დაწოლის შემცირების აუცილებლობა, გამოყენებული ტექნოლოგიების უარყოფითი

ზემოქმედება ეკოლოგიურ გარემოზე, აგრეთვე წარმოებული სასურსათო პროცესების უვნებლობის დონისა და ხარისხის ამაღლების აუცილებლობა მათი წარმოების პროცესში და მიკვლევადობის პროცესში. ამისათვის კი შეიქმნა უვნებლობის სისტემები: საფრთხის შეფასების კრიტიკული საკონტროლო წერტილები-HACCP, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ქსელი - INFOSAN, ევროპის სასურსათო უვნებლობის წარმომადგენლობა - EFSA, სწრაფი განგაშის სისტემის კავშირების დამყარება - RASFF და მისი სისტემის სწავლება-გავრცელება სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაცია-ISO და სხვ., ზემოჩამოთვლილი წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ზრდის საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობას სოფლის მეურნეობაში ზოგადად და კვების გადამამუშავებელ მრეწველობაში, ამ პროცესით ვაჭრობაში. ასეთ პირობებში დიდი დატვირთვა ენიჭება აგრეთვე მეტად ეფექტურ დონისძიებებს - რისკების შეფასებას, მათ კომუნიკაციას და მართვას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების რეალიზაცია, როგორც წესი, ხორციელდება კომპიუტერების მეშვეობით, პროგრამული უზრუნველყოფით ინფორმაციის შესაგროვებლად, სისტემატიზაციისათვის, ანალიზისათვის, შესანახად და გადასაცემად. ამჟამად საინფორმაციო ტექნოლოგიები ძირითადად საბუღალტრო აღრიცხვის და სასოფლო-სამეურნეო პროცესების ავტომატიზაციისათვის გამოიყენება, კერძოდ, ყველაზე მეტად კომბინირებული საკვების მრეწველობაში, მეცხოველეობაში და სასათბურე მეურნეობებში. საქართველოს ფერმერების (გლეხების) საინფორმაციო ტექნოლოგიებისადმი ინტერესის არქონა აიხსნება მათი უმრავლესობის დაბალი განათლების დონით და ხანდაზმულობით, თუმცა მრავალი სპეციალისტი ამას ხსნის მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორით და პროგნოზირების სისტემის დაუხვეწავობით. ამიტომ, პრაქტიკაში ფერმერები უპირატესობას ანიჭებენ საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის და ცხოველთა კვების ჩვეულებრივ, სტანდარტულ ტექნოლოგიურ ოპერაციებს, მცხნარეთა და ცხოველთა დაავადებებისა და მავნებლებისაგან დაცვის შედარებით დაბალფასიან საშუალებებს, რომლებიც მათ მიაჩნიათ მოგების მიღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად.

ტრადიციული მეთოდებით მუშაობისას, ფერმერები იყენებენ მომავალი შედეგების აღთქმის ალბათობას, გამომდინარე ეკონომიკურად გამართლებული გადაწყვეტილებიდან, შესაძლო რისკების შესაბამისად და მათ შესამცირებლად, წარმოების სისტემების გამარტივებითა და საბრუნავი საშუალებების (პესტიციდები, სასუქები, მედიკამენტები) გამოყენებით. მაგალითად, ფერმერები ქიმიკატებს იმ რაოდენობით იყენებენ, რათა მინიმუმადე შეამცირონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დანაკარგების რისკი, რომელიც გამოწვეულია არასაკმარისი გამოკვებით, დაავადებებით და მავნებლებით. ასეთი მიღვინა არ ითვალისწინებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ეკოლოგიური კატასტროფა.

ფერმერულ მეურნეობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პირველი ნიშანი არის პერსონალური კომპიუტერების არსებობა. დადგენილია, რომ განვითარებულ ქვეყნებს შორის კომპიუტერებს ყველაზე ინტენსიურად იყენებნ სკანდინავიის ქვეყნებში. კომპიუტერების გამოყენებაში იგულისხმება ისიც, რომ ისინი ჩართულია ინტერნეტის ქსელში. ინფორმაციების მიწოდების და სისტრაფის ზრდასთან ერთად, იზრდება მწარმოებელთა სტაბილური მომარაგება მონაცემთა ბაზით. საჭიროა ამ მონაცემების ინტეგრაცია ბიოლოგიურ თავისებურებებთან და ფიზიკურ სისტემებთან ანუ გარემოს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან იმისათვის, რომ მოღებული იქნას სასარგებლო ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე და მოსალოდნებლი გადაწყვეტილებების შედეგების პროგნოზირება. მეცნიერულად დამუშავებული ტექნოლოგიების გავრცელება ინტერნეტის გამოყენებით განსაკუთრებით მნიშვნელივანია საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალური შესაძლებლობების გასაფართოებლად.

ცნობილია, რომ მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში სწრაფი რეალიზაციის უნარი კონკურენტუნარიანობის ძირითადი წყაროა. ამჟამად ცოდნა განიხილება როგორც ეკონომიკური რესურსი. ცოდნის გადაცემა და მისი მართვა წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე სისტემების გასაღებს. ის საწარმოები, რომლებსაც აქვს ცოდნის მიღებისა და გადაცემის ეფექტური საშუალებები, ყველაზე პროდუქტიული და კონკურენტუნარიანი არიან. ცოდნის მართვა არის პროცესი, რომლის დახმარებითაც ქმნიან, აგროვებენ, ადარებენ, ამჟავებენ, ანაწილებენ, გადასცემენ და ინახავენ ამ ცოდნას.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ახალი ინფორმაციები აუცილებელი იყო წარმოების პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. თანამედროვე პირობებში ასეთი ცოდნა საჭიროა ორგანიზაციის ეფექტურობის (დანახარჯების შემცირების) და ეკოლოგიურად უკნებელი პოდუქტების წარმოების ასამაღლებლად.

ინფორმირებულ საზოგადოებაში ფერმერს საშუალება აქვს ჩაერთოს ინტერნეტში მსოფლიოს ნებისმიერი გეოგრაფიული წერტილიდან მძლავრი უკაბელო კომუნიკაციური კავშირის საშუალებებით. მას შეუძლია თვალყური ადეგნოს ფერმის ფუნქციონირების ძირითად ასპექტებს, შესაბამის ადგილებზე დამონტაჟებული სხვადასხვა ტიპის მგრძნობიარე ხელსაწყოების საშუალებით, რომლებზეც კონტროლს განახორციელებს ნებისმიერ დროს. მაგალითად, ჰოლანდიაში, პირველად ევროპაში, დამჟავდა საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით მეცხოველეობის ფერმის მართვა, ამასთან, მართვის გამოყენებული კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც არეგულირებდნენ შენობაში მიკროკლიმატს, ჩართული იყო ინტერნეტში, რაც საშუალებას აძლევდა ფერმერებს მიკროკლიმატის მართვა განეხორციელებინათ დისტანციური მართვით. ამჟამად ფერმერებს საშუალება აქვთ ნათესების მონიტორინგი აწარმოონ რამოდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით და მართონ სამელიორაციო სისტემები ატმოსფერული ნალექებისა და ნიადაგის ტენიანიბის მიხედვით.

სოფლის მეურნეობის ნებისმიერი დარგის გაძლოლა ინფორმირებულ საზოგადოებაში ითვალისწინებს ინფორმაციების პერმანენტულ მოღებას გარე სამყაროდან, დროის ნებისმიერ მომენტში და ნებისმიერი ადგილიდან. მაგალითად, სინოპტიკოსთა მონაცემების სისტემატიური განახლება ხელმისაწვდომია ფერმერებისათვის მთელი დღის განმავლობაში, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს პერიოდების საკვებ კულტურებში და ანტიბიოტიკების ცხოველებში გამოყენების ეფექტურობა, შემცირდეს გარემოს და პროდუქციის დაბინძურება. დამჟავებულია სისტემები, რომლებიც ფერმერებს წინასწარ აფრთხილებენ მავნებლებისა და დაავადებების გაჩენის შესახებ. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ფერმერებს საშუალებას აძლევს მიიღონ ოპერატიული ცნობები, რჩევები, რეკომენდაციები მათი ადგილსამყოფელისა და დროის მიუხედავად. ფერმერებს შეუძლიათ აღწერონ თავიანთი პრობლემები სიტყვიერად, დაურთონ მათ ციფრული კამერით გადაღებული ფოტოსურათები და ვიდეოჩანაწერი, ამასთან დროის და ფერმერის ადგილმდებარეობის განსაზღვრა ხდება ავტომატურად. ამის შემდეგ, მას შეუძლია ელექტრონული ფოსტის დახმარებით დაუგზავნოს თავისი მასალა მხარდაჭერის სამსახურებს (Extension officer), მათი მომსახურების ცენტრებს (Extension Service) და მიიღოს პასუხი მოკლე დროში ან გადაჭრას თავისი პრობლემა დიალოგის რეჟიმში (Chat) უშუალოდ ინტერნეტის საშუალებით. ამასთან, საწყისი ინფორმაცია უნდა იყოს მოსახერხებელი ბიოლოგიური და ფიზიკური სისტემების შესაფასებლად და სასარგებლო ცოდნის გამოსამუშავებლად ფერმერული მეურნეობის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე შედეგების პროგნოზირებისათვის სხვადასხვა სცენარების ცხოველებაში გატარებისათვის. მრავალი წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კვლევების შედეგად მიღებული ცოდნა გამოყენებული უნდა იქნეს პრაქტიკულად სასარგებლო ინფორმაციის მისაღებად მონაცემთა ბაზის გადამჟავებით. ეს ნიშნავს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს

აუცილებელ წყაროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად მიღებული შედეგების ცხოვრებაში გასატარებლად.

### III.6. ნანოტექნოლოგიები საკვებწარმოებაში და ცხოველების კვებაში

მოწინავე სახელმწიფოების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ის ქვეყნები იქნება წარმატებულები ამ საუკუნეში, რომლებიც განავითარებენ საინფორმაციო, ბიო და ნანოტექნოლოგიებს.

სიტყვა ნანო ნიშნავს მემილიარდე ნაწილს  $10^{-9}$ , მაგალიად, ეს არის მეტრი, გაყოფილი მილიარდზე. ამჟამად ამ ტერმინში იგულისხმება იმ მეთოდებისა და სერხების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფებ კონტროლის საშუალებით შექმნან და შეცვალონ 100 ნანომიკრონზე (ნმ) მცირე ზომის ობიექტები თავისი კომპონენტებით, რომლებსაც ახასიათებთ პრინციპურად ახალი თვისებები და წარმოუდგენლად პატარა ზომისანი არიან. შედარებისათვის ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც განსხვავება ჩოგბურთის ბურთსა და ჩვენი პლანეტის ზომებს შორის.

სოფლის მეურნეობაში, კერძოდ მეცხოველეობისათვის საკვების წარმოებაში, ნანოტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა წარმოიქმნას ამ პროდუქციის სრულიად ახალი კლასი, რომელიც დროთა განმავლობაში გამოდევნის სამომხმარებლო ბაზრიდან არა მარტო რეგულარულ ანუ ტრადიციულ, არამედ გენმოდიფიცირებულ პროდუქტებსაც. თვით მანქანა-დანადგარები, რომლებიც ამ სფეროებში გამოიყენება, მასიურად დამზადდება ისეთი ლითონებისაგან, რომლეთა ნანონაწილაკების ტოქსიკურობა რამოდენიმეჯერ უფრო ნაკლებია ვიდრე ამჟამინდელი ლითონების ტოქსიკურობა – მაგალითად, სპილენძისა 7-ჯერ, თუთიისა 30-ჯერ, რკინისა 40-ჯერ ნაკლები.

ამჟამად ნანოტექნოლოგიები და ნანომასალები გამოიყენება საკვებისა და სურსათის წაროების მრავალ სფეროში. საკვებწაროებაში ნანოპრეპარატების - მიკროსასუქების გამოყენებით იზრდება მოსავლიანობა და მცენარეთა მდგრადობა არახელსაყრელი კლიმატური პირობებისადმი თითქმის ყველა საკვებ, სასურსათო და ტექნიკურ კულტურებში. აქ ეფექტი მიიღწევა მიკროელემენტების მცენარეებში უფრო აქტიური შეღწევის და მათი ნეიტრალური სტატუსის ხარჯზე. მაგალითად, ნანომაგნიუმის გამოყენებით დადებითი ზემოქმედება ფიქსირდება მცენარეთა დაჩქარებულ ზრდაზე, გაძლიერებული ფიტოსინთეზის შედეგად, ნანოპრეპარატები გამოიყენება აღებული საკვების (თივა, ნამჯა, სილოსი, სილაუი, სილოსი) და მინდვრის კულტურების მოსავლის (ხორბალი, სოია, სიმინდი, კარტოფილი, მზესუმზირა, თამბაქო) დასამუშავებლად, საკვები ძირხევების, ბოსტნეულის რეგულირებად გარემოში შესანახად ოზონირებული ჰაერის პირობებში, რაც გამორიცხავს პესტიციდების გამოყენების აუცილებლობას იგივე მიზნებისათვის და სხვ.

მეცხოველეობის და მეფრინგელეობის საკვების წარმოებაში ნანოტექნოლოგიების შედეგად მიღებული პრეპარატების გამოყენებით მიღწეულია არა მარტო პროდუქტიულობის, სტრესებისა და ინფექციებისადმი გამძლეობის ამაღლების უნარი, არამედ შემცირებულია დაცემები 2-ჯერ. ნანოტექნოლოგიები და ნანომასალები (ნანოვერცხლი და ნანოსპილენძი) ფართოდ გამოიყენება საკვების შესანახი საწყობების და შენობა-ნაგებობების და დანადგარების, აგრეთვე ინსტრუმენტების დეზინფექციისათვის, საკვებისა და სურსათის შეფუთვისა და უვნებლად შენახვისათვის. საკვებწარმოებასა და სურსათის მრეწველობაში ნანოტექნოლოგიების გამოყენებას (მარცვლეულის და ბოსტნეულის მოყვანა, მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და გადამუშავება) მივყავართ სრულიად ახალი კლასის საკვებისა და სასურსათო პროდუქციის-ნანოპროდუქტების

“დაბადებამდე”, რომლებიც დროთა განმავლობაში გამოდევნიან ტრადიციულ და გენერაციულ პროცესებს.

ნანოსაკვები ცხოველებისათვის და და ნანოსურსათი ადამიანებისათვის ის პროცესებია, რომელთა წარმოებისათვის გამოიყენება ნანოტექნოლოგიები, ანუ ტექნოლოგიები, რომლებიც დაფუძნებულია ცალკეული ატომებისა და მოლეკულების მანიპულიაციებზე როლი სტრუქტურების შესაქმნელად. ნანოსაკვებს მიაკუთხებენ ისეთ საშუალებებსაც, რომლებსაც მხოლოდ შესაფუთი მასალები აქვს დამზადებული ნანოტექნოლოგიით, ვინაიდან კარგად არის ცნობილი, რომ ზოგიერთი საკვებისა და სურსათისათვის შეფუთვას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. რამოდენიმე ათწლეულში არა მარტო ცხოველების საკვები და სურსათი იქნება ნანოტექნოლოგიებით გადამუშავებული, არამედ სოფლის მეურნეობაშიც დაიწყება ნანოდანამატებიანი მინერალური სასუქების, აგროქიმიკატების და სათესლე მასალების გამოყენება.

ნანოპროდუქტები შეიცავენ სახეშეცვლილ მოლეკულებს, რომლებიც საკვებს აძლევენ უჩვეულო თვისებებს- მაგ. ცხოველთა საკვები ან ადამიანების სურსათი შეიძლება იყოს უჩვეულო ფერის და დამე ანათებდეს. უკვე არსებობს მუქი მწვანე ფერის ნანოხორცი, რომლის ძირითადი მიზანია ხორცის კვებითი ღირებულების, გემოს და უჟათიანობის გაუმჯობესება, გადამუშავების დროს დანაკარგების და მავნე ბაქტერიების რეაგენტების წაროშობის შემცირება, დიაგნოსტიკაში ნანოსენსორების გამოყენება, ისეთი ხორცპროდუქტების და ხილ-ბოსტნეულის დამცავი ნანოაფსეკტით შეფუთვა, რომელთა შენახვის ვადა განსაკუთრებული გარემოს შექმნის გარეშე 8-10 წლამდე გაიზრდება და სხვ.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების - სილიციუმის სილაციანის საკვებწარმოებაში გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს უჯრედოვან წარმონაქმნეს და ფიზიოლოგიურად მოქმედებს მცენარეებზე მათი განვითარების ყველა სტადიაზე. მისი შემცველი ბიოსტიმულატორების მოქმედება საკვებ კულტურებზე იწვევს ყინვაგამძლეობის და გვალვაგამძლეობის, ბიოტური სტრესებისადმი (ავადმყოფობები და მავნებლები) მდგრადობის ამაღლებას. ამჟამად უკვე მიმართავენ სასილოსე და სასენაჟე კულტურების მწვანე მასის ელექტროკონსერვირებას, რომლის დროსაც გამოიყენება ეკოლოგიურად სუფთა აქტივირებული ნანოტექნოლოგიური კონსერვანტები, რომლებიც ცვლიან ჩვენ დროში ფართოდ გავრცელებულ, მაგრამ ძვირადირებულ ორგანულ ქავებს. ასეთი მეთოდით დამზადებული დაკონსერვებული სილოსი და სენაჟი პრაქტიკულად არ ფუჭდება, რაც მინიმუმადე ამცირებს დანაკარგებს. მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში ასეთი ტექნოლოგიებით დამზადებული საკვებით მათი პროდუქტიულობა თითქმის 3-ჯერ მაღლდება, რაშიც თავისი წვლილი მიუძღვის ბიოტურ და აბიოტურ სტრესებისადმი მდგრადობის გაზრდას, რის ხარჯზეც მარტო დაცემები 2-ჯერ მცირდება.

საფურაჟე მარცვლის შრობისა და შენახვისათვის გამოიყენება ახალი ნანოელექტროტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს მარცვალში ტენის ზედმეტი წნევის წარმოქმნას, წყლის დუდილის ტემპერატურაზე დაბალი ტემპერატურის პირობებში. ამის შედეგად, ფილტრაციული ტენის გადატანას მარცვლიდან მის ზედაპირზე კაპილარულ-წვეთოვან მდგომარეობაში და ამ დროს ტენი ზედაპირიდან ორთქლდება ცხელი ჰაერის საშუალებით. ამ შემთხვევაში ენერგოშემცველების დანახარჯები 1,3-ჯერ მცირდება, 6%-ით მცირდება მარცვლის მიკროდაზიანებები, 5%-ით იზრდება თესლის აღმოცენების უნარი. შრობისას ოზონის შერევით 24-ჯერ მცირდება მავნე ბაქტერიების რაოდენობა და 1,5-ჯერ ენერგოდანახარჯები.

წვნიანი, უხეში და დაკონსერვებული საკვების აღების, დამზადების და დასაწყობების პროცესში, კლიმატური პირობების ცვალებადობის გამო, მწვავდება საკვების მიკოტოქსინებით დასნებოვნების პროცესში, რომელსაც საკვებწარმოების სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ უვნებლობის თვალსაზრისით. მიკოტოქსინები წარმოიშვებიან საკვების სოკოვანი დასნებოვნებით,

რომლებიც მცენარეებზე ვითარდებიან. წარმოშობილი მიტოტოქსინების სახეობა დამოკიდებულია მცენარის სახეობაზე, მასზე წარმოშობილ სოკოებსა და კლიატურ პირობებზე. პირუტყვზე მიკოტოქსინების ზემოქმედება ჯერ-ჯერობით საკმარისად შესწავლილი არ არის. მოწამვლის სიმპტომებიდან აღსანიშნავია:

- ცხოველის იმუნიტეტის შემცირება
- ცხოველის პროდუქტიულობის დაცემა
- საკვების მოხმარების შემცირება
- დაავადებებისადმი მგრძნობიარობის გადიდება
- ქრონიკული ინფექციების გამწვავება
- რეპროდუქციული აპარატის მოშლა
- ფერმენტების ფუნქციონირების გაუარესება
- სათესლე სითხის ხარისხის დაქვეითება
- საფურაჟე მარცვლის ყუათიანობის შემცირება

ამ ანომალიების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ნანოთხა, რომელიც საკვებში შეჭყავთ დეზაქტივატორის სახით ცხოველების საკვების მომნელებელ ტრაქტში მიტოტოქსინების აბსორბციის შესამცირებლად. ეს ადსორბენტები საკვებში მცირე რაოდენობით შეაქვთ მიკოტოქსინებისაგან პროფილაქტიკური დაცვის მიზნით. ასეთი ნანომოდიფიცირებული თიხა შეიცავს ნანონივთიერებას -ფენოვან თიხას ანუ ამადენტს.

## თავი მეოთხე. საკვების ხარისხის შეფასება

### IV.1. საკვების ხარისხზე მოქმედი ფაქტორები

საკვების ხარისხის გაუმჯობესებისას ვლინდება ისეთი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ტრქსიკურობის სინდრომების წარმოქმნას, იწვევს პირუტყვის ზრდის შენელებას, რეპროდუქციული ფუნქციის მოშლას ან მიუხედავად საკვების კარგი ხარისხისა, მათზე მოთხოვნილების დაქვეითებას. ბოლო დროს, პირუტყვის გაუმჯობესებული ჯიშების, მაღალმოსავლიანი საკვები ბალახების სახეობებისა და მინერალური სასუქების ერთობლივმა გამოყენებამ გამოამჟღავნა დამზადებულ საკვებში არასასურველი ნივთიერებები, რომლებსაც ადრე ყურადღება არ ექცეოდა.

საკვების უხარისხობის ფაქტორები ეკუთვნის ალელოქიმიის დარგს, რომელიც შეისწავლის ერთი ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ნივთიერებით მეორე ორგანიზმის სტიმულირებას ან დაჩაგვრას. საკვები მცენარეები წარმოქმნიან ნივთიერებათა მთელ რიგს, რომლებიც მოქმედებენ ყველა ტიპის ორგანიზმზე – უმაღლესი ცხოველებიდან – მწერებამდე, სოკოებამდე, ბაქტერიებამდე და სხვა. ზოგიერთი ასეთი ნივთიერებები წარმოადგენენ ბუნებრივი შერჩევის შედეგს და წარმოქმნიან მექანიზმის ნაწილს საკვები მცენარეების არსებობის შენარჩუნებისათვის. უფრო ხშირად ისინი წარმოადგენენ ევოლუციურ ჩიხს, რომელსაც მცენარისათვის არავითარი ღირებულება არა აქვს. ასეთებია მეორეული მეტაბოლიტები- მაგ. დეზოქსირიბონუკლეინმჟავა (დნმ), რომელიც სინთეზისათვის შეუცვლელი პირველადი ნივთიერებაა, იგი გამოიყენება ენერგიის მისაღებად, უჯრედის სტრუქტურის ფორმირების ან რთული ცილოვანი მოლექულების აშენებისათვის, და მეორადი მეტაბოლიტები, რომლებიც არავითარ როლს არ ასრულებენ მცენარის ცხოვრების მნიშვნელოვან პროცესებში, დაყოფილნი არიან 5 ძირითად ჯგუფად. ამ ჯგუფებში ნივთიერებები განხილულია იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მოშლილობას იწვევენ ისინი პირუტყვის ორგანიზმში.

**ციანოგენური გლუკოზიდები.** ეს ნივთიერებები თავისთავად უვნებელნი არიან და იშლებიან ციანწყალბადმჟავას (HCN) ზემოქმედებით. ამ მჟავას კონცენტრაცია 100მგ-ზე მეტი 100გ მცენარის მშრალ ქსოვილზე, სახიფათოდ ითვლება.

ციანწყალბადმუავა იწვევს სიკვდილს ასფიქციისაგან, რომელიც გამოწვეულია უჯრედების დაღუპვის შედეგად, მუავა ადვილად გადადის სისხლში, ედება პირუტყვის მთელ ორგანიზმს, წარმოქმნის პასიურ კომპლექსს, უჯრედის სუნთქვისათვის შეუცვლელ ფერმენტ ციტოქრომოქსიდაზასთან ერთად.

ციანწყალბადმუავა შეიძლება წარმოქმნას ციანოგენური გლუკოზიდებიდან ორი გზით: ფაშვის მიკროფლორით ან მცენარეული ფერმენტებით, როცა მცენარის ქსოვილები ზიანდება მოთიბვის, გაძოვების, ჭკნობის ან გაყინვის შედეგად. ასეთ პირობებში ფერმენტი ბეტა-გლუკოზადა ართმევს შაქრის კომპონენტს ციანოგენური გლუკოზიდის მოლეკულიდან, რის შემდეგ, მეორე ფერმენტი - ოქსინიტრილაზა - დარჩენილ მოლეკულას გარდაქმნის გლოკაზად და ციანწყალბადმუავად. ციანოგენური გლუკოზიდების შემცველობის დონე ახალგაზრდა მცენარეებში იზრდება აზოტოვანი სასუქების დიდი დოზებით შეტანის, აგრეთვე არახელსაყრელი გარემო პირობების შედეგადაც მცენარეებში სტრესებს იწვევს. საბედნიეროდ, ყველა საკვები კულტურა არ შეიცავს პოტენციურად სახიფათო კონცენტრაციის ციანოგენურ გლუკოზიდებს, მათი შემცველობა დიდია სორგოში, სუდანურაში და სხვა. სორგოს პიბრიდებში გლუკოზიდების შემცველობა ნაკლებია, ვიდრე დედა მცენარეებში. პარკოსნებიდან ასეთ ნივთიერებებს შეიცავს თეთრი სამყურა და კურდფლისფრჩხილა, რომლებიც ციანოგენური გლუკოზიდის შემცველობას კონტროლს უწევს ერთეული გენი, ამიტომ შედარებით იოლია გამოყვანილი იქნას ისეთი ჯიშები, რომლებიც ამ ნივთიერებას არ შეიცავენ.

**საპონინები.** ეს ნივთიერებები ისევე, როგორც გლუკოზიდები, შეადგენენ სტეროიფული ჯგუფის ნაწილს. ისინი წყლის ზედაპირზე წარმოქმნიან საპნის მსგავს ქაფს და იწვევენ სისხლის წითელი უჯრედების პემოლიზს. ცივსისხლიანი ცხოველებისათვის ტოქსიკურნი არიან, ისინი აჩერებენ ფრინველის ნაწილების ზრდას და კვერცხის დებას. ასეთივე ტოქსიკურნი არიან ზოგიერთი მცენარეების მიმართ, ან აფერხებენ მათ ზრდას (მაგალითად, თოგუნავენ ბამბის თეხლის აღმოცენებას) და ფაქტიურად აქტივობის უნარი გააჩნიათ.

იონჯის საპონინები ცნობილია, როგორც ტრიტერპენოლური საპონინები, რომლებსაც ამ მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს.

**ტიმპანია.** მცენარეული საპონინები იონჯაში საქმაოდ კარგადაა შესწავლილი, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ისინი ტიმპანიას იწვევდნენ. მწვანე მასის მიკრობული დუღილი ფაშვში იწვევს გაზების დიდი რაოდენობით წარმოქმნას, რომელიც შემდგომში შთანთქმება ფაშვის კედლების მიერ და ამობოყინების დროს გადადის წიგნარაში. გაზის ასეთი ამობოყინება იწვევს მდგრადი, წებოვანი ქაფის შექმნას, რომელსაც გაზის შენარჩუნების უნარი აქვს დიდ ჯიბეებში (ტიმპანია თავისუფალი გაზით) ან პატარა ჯიბეებში (ქაფიანი ტიმპანია, რასაც იწვევს პირუტყვის მაღალკონცენტრირებული საკვებით გამოკვება სასუქებელ მოედნებზე, ასევე მათი კვება პარკოსნებისაგან დამზადებული თივით, ან უფრო ხშირად პირუტყვის ძოვება ბალახნარში პარკოსნების დიდი რაოდენობით შემცველობის დროს. ქაფში არსებული გაზის გამოშვება შეუძლებელი ხდება, რაც ფაშვის ისეთ გაბერვას იწვევს, რომ ის დიაფრაგმას აწვება, რის შედეგად სისხლის მიმოქცევა გულისაკენ და გულიდან - ფერხდება. ნებისმიერ შემთხვევაში პირუტყვის დაღუპვა ასფიქციითაა განპირობებული, ამიტომ ტიმპანიას მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს მეცხოველეობაში.

საპონინთან ერთად ტიმპანიის მეორე გამომწვევ მიზეზად ითვლება მცენარეული ცილა, რომელიც ქაფის წარმოქმნელი აგენტის როლს ასრულებს. ტიმპანიის შემთხვევაში მჭიდროდაა დაკავშირებული ზოგიერთ პარკოსნებში მცენარეული ცილების მაღალ შემცველობასთან. მაგ, იონჯა მას შეიცავს 4.5-5.2%-ის რაოდენობით. თითქმის ასეთივე რაოდენობით შეიცავს მას სხვა ტიმპანიის გამომწვევი პარკოსანი ბალახებიც: თეთრი, წითელი და პიბრიდული სამყურა, ძიძო და სხვა. პარკოსნები, რომლებიც ტიმპანიას არ იწვევენ (კურდფლისფრჩხილა და ესპარცეტი) მცენარეულ ცილებს შეიცავენ 1%-ზე ნაკლებს. ამ ცილოვანი შენაერთების

მოლეკულური წონა 500 000 და რამდენადაც ისინი ციტოპლაზმის ერთ-ერთი ცილაა, ადვილად მონელებადია. გარდა ამისა, ცილების ამ შენაერთების ნებისმიერი შემცირება იწვევს ფიტოსინთეზის ინტენსიურობას, ვინაიდან იგი შედგება რიბულეზის 1.5 დიფოსფატ კარბოქსილაზასაგან. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ბადურაში მდგრად ქაფს წარმოქმნიან ბურთულისებრი ფორმის ცილის მოლეკულები. მათზე მიკრობები არ მოქმედებენ, არ იშლებიან და ფაშვის წვენის კედლებამდე ვრცელდებიან. ასეთ პირობებში მოლეკულები არახსნადი ხდებიან და ხელს უწყობენ ქაფის შენარჩუნებას. ტანინების განსხვავებული სახეები მოქმედებს ქაფში არსებულ ტიმპანიის გამომწვევ ასეთ ცილებზე. ბევრი პარკოსანი ბალახი, რომელიც ტიმპანიას არ იწვევს, შეიცავს ასეთი ტანინების დიდ რაოდენობას. მოზარდ მცენარეებში ტანინები ვაკულებშია, რათა თავიდან აიცილონ საკუთარი ცილების შემოტევა. მსოფლიოში არსებული არც ერთი იონჯის ჯიში არ შეიცავს ტანინებს დიდი რაოდენობით, ამიტომ ტიმპანიის თავიდან ასაცილებლად საჭირო ძოვების სწორი ორგანიზაცია და რეგულირება და არა მცენარის სელექციური გზით გაუმჯობესება, რაც ძალზე ზეირი ჯდება.

ტიმპანიის თავიდან ასაცილებლად, საძოვართმეურნეობის სისტემების სრულყოფასთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს ღონისძიებები, რომლებიც ხელს უშლიან ქაფის წარმოქმნას პირუტყვის ფაშვში. ტიმპანიის გამომწვევი პარკოსნების ხვედრითი წილი, საძოვარზე ბალახდგარში არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს. პარკოსნებით მდიდარ საძოვრებზე გაყვანის წინ, პირუტყვები უნდა მივცეთ მარცვლოვნები, მათი თივა ან სხვა საკვები, რომლებიც ტანინებს შეიცავენ, მაგ, სუდანურა. ამავე მიზნებით გამოიყენება ანტიბიოტიკები და მცენარეული ზეთები – სოიას, სიმინდის, არაქისის ან ზეითუნის ზეთი. ეს ნივთიერებები ფაშვში მაღალ იშლებიან, ამიტომ მათი მიღება უნდა ხდებოდეს ხშირ-ხშირად, პატარა დოზებით, თუ ეს დიდ დანახარჯებთან არ იქნება დაკავშირებული.

**ტანინები.** ტანინები წარმოადგენენ აცეტოგენინებს – მეოთხე ჯგუფს მეორადი მეტაბოლიტების ბიოსინთეტიკური კლასიფიკაციით. ეს არის პოლიმერული ფენოლის შენაერთები, რომლებიც სხვა პოლიფენილური შენაერთებისაგან განსხვავდებიან ცილების შებოჭვის გადიდებული უნარით. ისინი განაპირობებენ მრავალი საკვები მცენარის მწარე გემოს, რაც ამცირებს მათზე მოთხოვნილებას. ტანინები ამცირებენ აგრეთვე საკვების მონელებადობას, რაც აიხსნება მათ მიერ ცელულიტიკური და პექტინოლიტური ფერმენტების მოქმედების დათრგუნვით.

ტანინების უნარი, შებოჭოს ცილები, იცავს რაციონის ცილოვან ნაწილს, ზღუდავს ფაშვში ბაქტერიულ დეზამინირებას. ამის შემდეგ ცილები ადვილად შეითვისება პირუტყვის მომდევნო საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. ამრიგად, მცოხნავი პირუტყვის რაციონში ტანინების დამატებამ შეიძლება დადებითად იმოქმედოს – გაზარდოს აზოგის გამოყენება. ამგვარი პრაქტიკა ხელს უწყობს ბატკების ზრდას და მათი წონამატის გადიდებას.

**ფლავონოიდები.** ფლავონოიდები ტანინებთან ერთად ეკუთვნიან მეორადი მეტაბოლიტების ჯგუფს და იწვევენ პირუტყვის რეპროდუქტიულობის მოშლას. ფლავონოიდი კუმესტროლი, რომელიც იონჯისაგან გამოჰყვას, 30-ჯერ უფრო ძლიერმოქმდი ნივთიერებაა, ვიდრე იზოფლავინის ესტროგენები. კუმესტროლი უფრო ნაკლებად აქტიურია, ვიდრე პირუტყვის მიერ გამომუშავებული ბუნებრივი ესტროგენული ნივთიერებები და სინთეტიკური დიეთილსტილესტროლი.

მცენარეებში, რომლებიც დაავადებულნი არიან ესტროგენული ფლავონიდებით, ეს ნივთიერებანი შეიძლება დაგროვდეს ფიზიოლოგიურად აქტიურ კონცენტრაციამდე. ფოთლის ლაქიანობის გამომწვევი სოკოები ყველაზე გავრცელებული მიზეზია მათი დაგროვებისათვის. ესტროგენური ფლავონოიდების წილი საკვებ მცენარეებში ფაქტიურად დამოკიდებულია გარემო პირობების სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის: წლის დროზე, ტემპერატურაზე, ზრდის სტადიაზე და დეფოლიაციის ტემპის სიდიდეზე.

ფლავონოიდებს მარტო ზიანი როდი მოაქვს. დამტკიცებულია, რომ სამყურას ფლავონოიდები ადიდებენ წვრილფეხა პირუტყვის ზრდის ტემპს, რაც აიხსნება ამ ნივთიერებათა ესტროგენური აქტივობით.

ძნელი დასადგენია, ფლავონოიდებს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ, თუ ზიანი. მაგალითად, ამ ნივთიერებების შემცველი საკეთი დედა ცხვრის გამოკვების დროს ხშირად ადგილი აქვს ადრეულ მშობიარობას ან ბერწობას. პირუტყვის ასეთი გაბერწება ძნელი დასადგენია, აქვს გარდამავალი ხასიათი და მასზე აღარ მოქმედებს საძოვრების ან კვების რაციონის შეცვლა.

**ალკალოიდები.** ცნობილია ალკალოიდების 200 სახეობა, რომელებსაც ჭურჭელბოჭკოვანი მცენარეების 10-15% შეიცავს. ისინი წარმოქმნიან საკმაოდ მრავალფეროვან ჯგუფს, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთს გვანან იმით, რომ შეიცავენ აზოტს და უველა მცენარეული წარმოშობის არიან. აქვთ რთული აგებულება და ფარმაკოლოგიური აქტივობა. უველაზე კარგად შესწავლილია მცენარეული წარმოშობის ის ალკალოიდები, რომლებიც აღმოჩენილია უხეშ საკვებში. ეს არის რვა შენაერთი, რომელსაც შეიცავს შრიალი ბალახი. ეს მარცვლოვანი ბალახი მაღალ მოსავალს იძლევა ტენით კარგად უზრუნველყოფილ ნიადაგებზე, მაგრამ ამ დროს მისი კვებითი ლირებულება ეცემა მასში ალკალოიდების შემცველობის გადადებით. ასეთი შრიალი ბალახიდან ორგანული გამხსნელით მიღებულ ალკალოიდებს თუ შევაფრქვევთ ალკალოიდების ნაკლებად შემცველ მცენარეულ ყუათიან მასას, მისი მსხვილფეხა პირუტყვის მიერ ჭამადობა და მონელებადობა მკვეთრად დაეცემა.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ შრიალა ბალახში ალკოლოიდების კონცენტრაცია განპირობებულია გენეტიკურად. ალკალოიდების კონცენტრაციაზე მოქმედებს გარემო პირობებიც. იგი მატულობს ნიადაგის ნაყოფიერებასთან ერთად. განსაკუთრებით კი აზოტით მდიდარ ნიადაგებზე. ალკალოიდების კონცენტრაციის ზრდა კიდევ უფრო მატულობს ჰიდროფიტებსა და ქსეროფიტებში. როდესაც ერთ შემთხვევაში ჭარბი ტენის, ხოლო მეორეში – ნაკლები ტენისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში სტრესულ ზემოქმედებას განიცდიან მცენარეები. ამას გარდა, რაც უფრო მაღალგანვითარებულია მცენარე, მით უფრო მეტია მასში ალკალოიდების კონცენტრაცია. შრიალა ბალახში აღმოჩენილია ორი ტრიპტამინური ალკალოიდი, რომლებიც წვრილფეხა პირუტყვში ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, ტვინისა და გულის მუშაობას აჩერებს, რაც პირუტყვის უეცარ სიკვდილს იწვევს. ალკალოიდები მოქმედებენ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზეც, მაგრამ დაცემის შემთხვევები იშვიათია.

**ნიტრატული მოწამვლა.** ნიტრატულ მოწამვლას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა პირუტყვის საკვებში ნიტრატების შემცველობა 0.35-0.45%-ზე მეტია. ასეთი კონცენტრაციის დროს ნიტრატები ფაშვში ნიტრიტებად იქცევა. ნიტრიტი გადადის სისხლში, ჰემოგლობინის მეტკემოგლობინად გადააქცევს, რომელსაც ჟანგბადის გადატანის უნარი არა აქვს. თუ მოწამვლა სასიკვდილო არ არის, ნიტრატულ მოწამვლას პირუტყვი გადაჰყავს სუბკლინიკურ მდგომარეობაში, ეცემა პროდუქტიულობა და უარესდება საერთო მდგომარეობა. პირუტყვის რეაქცია ნიტრატულ მოწამვლაზე დამოკიდებულია რაციონის სხვა კომპონენტებზე: კერძოდ, ნახშირწყლების მონელებადობაზე.

მცენარე ნიტრატებს აგროვებს იმის გამო, რომ ცილის სინთეზის პირველ ეტაპზე ხდება ამ ნივთიერების გამოყენება სინთეზის პროცესში, შესაბამისად, ყველაფერი, რაც მოქმედებს მეტაბოლიზმის ურთიერთგადაცემა-მოხმარებაზე, ცილის წარმოქმნასა და ნიტრატების დაგროვებაზე, მოქმედებს მცენარის ქსოვილებში ნიტრატების შემცველობაზეც.

საკვები მცენარის ქსოვილებში ნიტრატების გადიდებული შემცველობა შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

1. აზოტოვანი სასუქების დიდი დოზებით გამოყენება ან ნიადაგის მაღალი ნაყოფიერება;
2. გვალვა;
3. მცენარის ქსოვილების დაზიანება (დეფოლიაცია, დაზიანება გაძოვებით ან სეტყვით და სხვა), ორმელიც აჩერებს, ან ზღუდავს ფიტოსინთეზის პროცესს;
4. ცუდი განათებულობა;
5. მცენარის სახეობა (ზოგიერთი მცენარე საკმაოდ ნელა გარდაქმნის ამინმჟავებს ცილებად);
6. არასწორი გაძოვება (თუ პირუტყვი ხანგრძლივად ძოვს ერთსა და იგივე საძოვარზე, დიდი რაოდენობით ხდება მცენარის ქსოვილების ქვედა ნაწილების ძოვა).

აზოტოვანი სასუქების ხშირი გამოყენების შედეგად, ხშირია პირუტყვის ნიტრატებით მოწამვლის შემთხვევები. გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ ნიტრატული მოწამვლა შედეგია მხოლოდ ერთწლოვანი საკვები ბალახების გამოყენებისა, სინამდვილეს არ შეესაბამება. მრავალწლოვანი საკვები ბალახებიც ასევე აგროვებენ ნიტრატებს ისეთ საძოვრებზე, სადაც გამოიყენება აზოტოვანი სასუქები მაღალი დოზებით.

**ჰიპომაგნეზემია** (ბალახის ტეტანია). ბალახის ტეტანიას, ანუ ჰიპომაგნეზემიას იწვევს პირუტყვის სისხლში მაგნიუმის დაბალი შემცველობა. მაშინაც კი, როცა ბალახში მაგნიუმის შემცველობა საკმარისია, მისი პირუტყვის ორგანიზმში შეღწევა შეიძლება დაბალი იყოს. ცხვრები და თხები ბალახის ტეტანიის მიმართ შედარებით ნაკლებად მგრძნობიარენი არიან, ვიდრე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს ჰიპომაგნეზია მაკე პირუტყვზე, როდესაც ბალახში კატიონების თანაფარდობა  $K^+$ ( $Ca^+$  და  $M_2^+$ ) მაღალია 2.2-ზე, პირუტყვის ჯანმრთელობისათვის სახიფათო პირობები იქმნება. კატიონების თანაფარდობაზე დიდ გავლენას ახდენს განოყიერების სისტემა, ან ნიადაგის ნაყოფიერება. საკვები ბალახების ზოგიერთ სახეობებში, როგორიცაა მდელოს თივაქასრა, სავარცხლისებრი კაპუტა, უფესურო ჭანგა, მდელოს მელაკუდა, კატიონების თანაფარდობა შედარებით დაბალია, ვიდრე სხვა საკვებ კულტურებში. ჰიპომაგნეზემიას განსაკუთრებით ხშირად აქვს ადგილი მცოხნავ პირუტყვში, როცა ძოვება მიმდინარეობს გარემო ტემპერატურის დიდი მერყეობის პირობებში.


## IV.2. საკვების ყუათიანობის კომპლექსური შეფასება

საკვების ყუათიანობა არის საკვების თვისება, უზრუნველყოს პირუტყვის ორგანიზმი მისთვის საჭირო ნივთიერებებით, საკვები ელემენტებითა და ენერგიით.

საკვების ყუათიანობის შეფასება და პირუტყვის გამოკვების ნორმირება ცხიმწარმოქმნის სუფთა ენერგიით – საკვები ერთეულით (1 კგ შვრიის მარცვლის ყუათიანობის ექვივალენტი), რომლიც 1933 წელს შემოიღეს, ძალზე რთულია, ვინაიდან საფუძვლად უდევს ქიმიური შედგენილობის დადგენა სრული ზოოტექნიკური ანალიზით და მონელებადობის კოეფიციენტების სუბიექტური შერჩევით ცნობარებში მიახლოებით მოცემული ქიმიური შედგენილობის საშუალებით.


თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დამუშავებულია და წარმოებაში გამოიყენება საკვების ყუათიანობის განსაზღვრის არაპირდაპირი მეთოდები, რომლებიც ზოგიერთ საყუათო ნივთიერებათა ან მათ ჯგუფთა და საკვების ფაქტიური ყუათიანობის კორელაციურ ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრაზეა დამყარებული (სქემა #2). მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის მიღწევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ საკვებმომპოვებლები აწარმოებენ მაღალი ხარისხის საკვებს საკმარისი

## სილოსში შაქრის დაშლა



რაოდენობით, რაც თავის მხრივ მოითხოვს, რომ ზუსტად და კომპლექსურად იქნეს განსაზღვრული დამზადებული საკვების ყუათიანობა, მისი ხარისხის მაღალ დონეზე შემოწმების ორგანიზაციით.

პირუტყვის პროდუქტიულობაზე მოქმედი ფაქტორიალური დიაგრამიდან (ნახ. 2) ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის განვითარებისათვის საკვებს, მის ხარისხს და გამოკვებას ზუსტად შედგენილი ულუფების მიხედვით.



ნახ. 2. პირუტყვის პროდუქტიულობაზე მოქმედი ფაქტორიალური დიაგრამა, %-ით

1. პირუტყვის შესანახი შენობა-ნაგებობათა მდგომარეობა და პირობები;
2. სელექცია, ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურება;
3. საკვები, მისი ხარისხი და გამოკვების ტექნიკა.

ხშირად ფერმაში ძნელია საკვების ყუათიანობის ზუსტად დადგენა, ვინაიდან არსებული აგროქიმიური სამსახურები ვერ უზრუნველყოფს ყუათიანობის ძირითადი ელემენტების ოპერატიულად განსაზღვრას და უკეთეს შემთხვევაში, იფარგლებიან საკვებში მშრალი ნივთიერების, ნედლი უჯრედანას და ნედლი პროტეინის განსაზღვრით. დანარჩენ მონაცემებს იღებენ ცრილებიდან, რაც იწვევს ფერმერულ მეურნეობაში საკვების ფაქტიური ყუათიანობის მაჩვენებლების არასწორად შეფასებას და შესაბამისად, შეცდომებს პირუტყვის საკვები რაციონების და ნორმატივების შედგენის დროს.

საკვების ყუათიანობას, გამოხატულს ენერგეტიკულ საკვებ ერთეულებში ან მიმოცვლის ენერგიაში, განსაზღვრავენ მასში ძირითადი საკვები ელემენტების არსებობით. კერძოდ, პროტეინის, ცხიმის, უჯრედანას და უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებების (უენ) შემცველობის მიხედვით მათ ურთიერთდამოკიდებულებას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, პირველ რიგში: საკვებად აღებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავაგეტაციო ფაზები, გამოყენებული აგროტექნიკა, შეტანილი სასუქების დოზები, საკვების დამზადების და შენახვის ტექნოლოგია, მათ პირუტყვის გამოსაკვებად წინასწარი მომზადება. სწორედ ამაზეა დამიკიდებული სხვადასხვა სახეობის საკვების ყუათიანობა და მონელებადობა.

საკვების ყუათიანობის შეფასება რომელიმე ერთი მაჩვენებლით შეუძლებელია, ვინაიდან იგი ვერ ასახავს მასზე პირუტყვის ორგანიზმის მოთხოვნილებას. ამისათვის ბოლო წლებში გამოიყენება ყუათიანობის კომპლექსური შეფასება. საკვების ენერგეტიკული ყუათიანობის, მასში მშრალი ნივთიერების, პროტეინის და მისი ხარისხის (ამინომჟავური შედგენილობა), ცხიმის და შეუცვლელი ცხომოვანი მჟავების, შაქრების, სახამებლის, უჯრედანას, მაკრო და მიკროელემენტების, ვიტამინების და კვების სხვა ელემენტების გათვალისწინებით, რომლებიც საჭირო პირუტყვის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ 1963 წლიდან, საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით ჩვენს ქვეყნაში საკვების ყუათიანობა და მასზე პირუტყვის მოთხოვნილებების შეფასება უნდა ხდებოდეს ცალკე პირუტყვის სახეების მიხედვით (მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, ცხენი, ღორი, ქათამი და სხვ) ენერგეტიკულ საკვებ ერთეულებში (ГОСТ-9867-61), საქართველოში ყუათიანობის ასეთი შეფასება დღემდე ნები ტემპით ვრცელდება, რაც ნაწილობრივ განპირობებულია საკვებწარმოებისა და აგროქიმიის დარგების სპეციალისტთა დაბალი კვალიფიკაციით.

#### IV.3. ენერგეტიკული ყუათიანობა.

ენერგეტიკულ საკვებ ერთეულად (ესე) მიჩნეულია 10 მჯ მიმოცვლის ენერგია (მე), 1 მჯ = 1000კჯ, 1 კ = 0.2388 კალ, ანუ 1 კალ = 4.1868 კ, პრაქტიკული მიზნებისათვის კი 1კ = 1000კ.

ენერგეტიკული საკვები ერთეული ტოლია 2500 კკ (2.5 მკ მიმოცვლის ენერგია), 2.5 მკ = 10.46 მჯ, ხოლო 1975 წლიდან პრაქტიკული გაანგარიშების გამარტივების მიზნით ეს ციფრი დამრგვალებულად იხმარება, ე.ი. I ესე = 10 მჯ. ეს სისტემა გამოიყენება არა მარტო საკვების, არამედ პირუტყვის მიმართაც, მაგალითად, ესე ღორი, ესე მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ესე ქათამი და სხვა.

ამჟამად დამუშავებულია მეთოდური მითითებანი საკვების ყუათიანობის ასეთი მეთოდით შეფასებისათვის. საერთო ენერგიას (სე) საზღვრავენ საკვების კოლორიმეტრში დაწვით, ხოლო კოლორიმეტრის უქონლობის შემთხვევაში ანგარიშობენ ფორმულით:

$$\text{სე} = 23.95 \cdot \text{ნა} + 29.77 \cdot \text{ნცხ} + 20.05 \cdot \text{ნუჯ} + 17.46 \cdot \text{ნუენ}$$

სადაც ნა – ნედლი პროტეინია, კგ ; ნცხ – ნედლი ცხიმი, კგ ; ნუჯ – ნედლი უჯრედანა, კგ ; ნუენ – ნედლი უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებებია, კგ ;

საყუათო ნივთიერებების მონელებად ენერგიას (მოე) და მიმოცვლის ენერგიას (მე) საზღვრავენ პირუტყვის სახეების მიხედვით, მაგალითად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის:

$$\text{მოე} \text{ მრკ} = 24.24 \cdot \text{მკ} + 34.12 \cdot \text{მცხ} + 18.51 \cdot \text{მუჯ} + 17.0 \cdot \text{მუენ},$$

$$\text{მე} \text{ მრკ} = 17.46 \cdot \text{მკ} + 31.23 \cdot \text{მცხ} + 13.65 \cdot \text{მუჯ} + 14.78 \cdot \text{მუენ},$$

სადაც მკ, მუჯ, მცხ, უენ არის შესაბამისად: მონელებადი პროტეინი, უჯრედანა, ცხიმი და უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებები, კგ-ში.

საკვების ენერგეტიკული ყუათიანობა გამოიხატება მიმოცვლის (ფიზიულოგიურად შესარგ) ენერგიაში, კილოკალორიებში (კკბ), ან კილოჯოულებში (კჯ). მიმოცვლის ენერგიის რაოდენობა 1 კგ საკვებში (რაციონში) იანგარიშება პირუტყვის სხვადასხვა სახეობისათვის შემდეგი რეგრესიის განტოლებით:

$$\text{მე} \text{ ხვრისათვის} (\text{ცხ}) = 17.71 \cdot \text{მკ} + 37.89 \cdot \text{მცხ} + 13.44 \cdot \text{მუჯ} + 14.78 \cdot \text{მუენ};$$

$$\text{მე} \text{ ცხენისათვის} (\text{ც}) = 19.96 \cdot \text{მკ} + 35.93 \cdot \text{მცხ} + 15.95 \cdot \text{მუჯ} + 15.95 \cdot \text{მუენ};$$

$$\text{მე} \text{ ღორებისათვის} (\text{ღ}) = 20.85 \cdot \text{მკ} + 36.63 \cdot \text{მცხ} + 19.27 \cdot \text{მუჯ} + 16.95 \cdot \text{მუენ};$$

$$\text{მე} \text{ ქათმებისათვის} (\text{ქ}) = 17.84 \cdot \text{მკ} + 39.78 \cdot \text{მცხ} + 17.71 \cdot \text{მუჯ} + 17.71 \cdot \text{მუენ};$$

**მაგალითი:** გამოვიანგარიშოთ ესე-ს რაოდენობა სიმინდის მარცვალში მცოხნავი პირუტყვისათვის. პირველად, ქიმიური შედგენილობის მონაცემებითა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მიერ სიმინდის მონელების კოეფიციენტით ვსაზღვრავთ მონელებად საყუათო ნივთიერებათა რაოდენობას. სიმინდის ქიმიური შედგენილობისა და მონელებადობის კოეფიციენტის საფუძველზე ვსაზღვრავთ მონელებად საყუათო ნივთიერებათა რაოდენობას 1 კგ სიმინდში, რომელიც ამ შემთხვევაში ტოლია:

მონელაბადი პროტეინი – 85.9 გ, მონელებადი ცხიმი – 37.9 გ, მონელებადი უჯრედანა – 14.3 გ, მონელებადი უენ – 617.5 გ. შემდეგ, ამ ციფრებს ჩავსვამთ რეგრესულ განტოლებებში: მე მრა =  $17.46 \times 85.9 + 31.33 \times 37.9 + 13.65 \times 14.3 + 14.78 \times 617.5 = 12005$  კჯ ან 1.2 ესე მრა.

ქიმიური შედგენილობისა და ლორის მიერ სიმინდის მონელებების კოეფიციენტის მონაცემებით (პროტეინი 80%, ცხიმი 70%, უჯრედანა 60% და უენ 95%) იანგარიშება მონელებად საყუათო ნივთიერებათა რაოდენობა 1 კგ სიმინდში: მონელებადი პროტეინი ( $113 \times 80 : 100$ ) = 90.4 გ; მონელებადი ცხიმი ( $46 \times 70 : 100$ ) = 33.6 გ; მონელებადი უჯრედანა ( $25 \times 60 : 100$ ) = 15 გ; მონელებადი უენ ( $650 \times 95 : 100$ ) = 617.5 გ. ამ მონაცემების რეგრესიულ განტოლებაში ჩასმით, მივიღებთ: მე (ლ) =  $20.85 \times 90.4 + 36.63 \times 33.6 + 14.27 \times 15 + 16.95 \times 617.5 = 1884.84 + 1230.77 + 214.05 + 10466 + 10466.62 = 13796.28$  კჯ, ანუ 1.38 ესე.

#### IV. 4. პროტეინური, ამინომჟავური, მინერალური, ვიტამინური, ნახშირწყლებისა და ლიპიდური ყუათიანობა.

პროტეინი (საკვების აზოტი  $\times 6.25$ ) წარმოადგენს საკვების, ანუ რაციონის შეუცვლელ შემადგენელ ნაწილს. ის საჭიროა პირუტყვის ორგანიზმის ცილოვან ნივთიერებათა განუწყვეტელი შევსებისათვის, ცილის სინთეზისათვის მის ქსოვილებში, რძეში, კვერცხში და სხვა (სქემა #3).

პროტეინული ყუათიანობა ფასდება 1 კგ საკვებში ნედლი პროტეინის და მონელებადი პროტეინის რაოდენობით, აგრეთვე, მონელებადი პროტეინის რაოდენობით 1 ენერგეტიკულ საკვებ ერთეულში, პროტეინის სიდიდე რაციონში განისაზღვრება აგრეთვე პროტეინის თანაფარდობით, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი წილი მონელებადი უაზოტო ნივთიერებები (მონელებადი ცხიმი  $\times 2.25$ ) მოდის ყოველ ერთ წილ მონელებად პროტეინზე. კოეფიციენტი 2.25 მიუთითებს, თუ მონელებადი ცხიმი ენერგეტიკული ღირებულებებით რამდენჯერ მაღლა დგას სხვა დანარჩენ უაზოტო ნივთიერებებთან შედარებით.


თუ საყუათო ნივთიერებათა თანაფარდობა I:6-1:8 ფარგლებშია, მათ საშუალოს უწოდებენ. I:6-ზე ნაკლების შემთხვევაში – ვიწროს და I:8-ზე მეტის დროს – ფართეს. მსხვილფეხა რქოსანი პრუტყვის მოზარდისათვის სასურველია ვიწრო პროტეინული თანაფარდობა, პროდუქტიული პირიტყვისათვის – საშუალო, ხოლო სუქებაზე მყოფი პირუტყვისათვის – ფართო. ფრინველის გამოკვების დროს ენერგიისა და პროტეინის თანაფარდობის დასახასიათებლად ანგარიშობენ ენერგოპროტეინულ თანაფარდობას (ეპთ), რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი მიმოცვლის ენერგია (კჯ 1 კგ საკვებში) მოდის საკვებში შემავალ 1% ნედლ პროტეინზე.

მაღალპროდუქტიული ძროხების, ხბოების, ბატკნების, გოჭების და წიწილებისათვის პროტეინის შემცველობის გარდა უნდა ვიცოდეთ შეუცვლელი ამინომჟავების რაოდენობა (გ. 1 კგ საკვებში, ან % საკვების პროტეინთან).

შეუცვლელ ამინომჟავებს (მათი სინთეზი პირუტყვის ორგანიზმში არ ხდება) ეკუთვნის: ლიზინი, მეთიონინი, ტრიპტოფანი, ვალინი, ლეიცინი, იზოლეიცინი, ფენილალანინი, ჰისტიდინი, არგინინი, ტრეონინი, ამ 10 შეუცვლელი ამინომჟავიდან პირველი სამი წარმოადგენს კრიტიკულს, ვინაიდან მარცვლოვანი კულტურებიდან დამზადებულ საკვებში მათი შემცველობა საკმარისი არ არის.

მრეწველობა უშვებს სინთეტიკურ მეთონინს და ლიზინს. ეს უკანასკნელი გამოდის ლიზინის საკვები კონცენტრატის სახით.

**მინერალური ყუათიანობა.** მინერალურ ნივთიერებებს ეკუთვნის მეტად დიდი როლი როგორც სამშენებლო მასალას პირუტყვის ორგანიზმისათვის (განსაკუთრებით მვლების და კბილებისათვის) და როგორც ორგანიზმის ფიზიოლოგიური პროცესების რეგულატორს. მათი საშუალებით ხდება უჯრედებისა



და ქსოვილთა კოლოიდური სისტემების ოპტიმალური მდგომარეობის შენარჩუნება. ისინი უზრუნველყოფენ უჯრედებში საკვებ ნივთიერებათა და მიმოცვლის პროცესებთა შედწევადობას, მონაწილეობას დებულობენ ნერვული და კუნთოვანი სისტემების ცხოველმოქმედებაში, განაპირობებენ ფერმენტა სისტემების, ზოგიერთი პორმონებისა და ვიტამინების ნორმალურ ფუნქციონირებას.

ყველა აუცილებელი მინერალური ელემენტი დაყოფილია მაკროელემენტებად (ორგანიზმში მათი შემცველობა მერყეობს მეასედი ნაწილიდან 1 პროცენტამდე): კალციუმი, ფოსფორი, კალიუმი, ნატრიუმი, გოგირდი, ქლორი, სილიციუმი და მიკროელემენტებად (მემილიონედიდან – პროცენტის მეასედ ნაწილამდე): რკინა, კრისტალები, სპილენდი, თუთია, მარგანეცი, იოდი და სხვა.

მცოხნავი პირუტყვის რაციონში სინთეტიკური აზოტის შემცველელი ნივთიერებათა შეტანის გაზრდასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცხოველეობაში გოგირდის შემცველელი შენაერთების გამოყენებას. ამ სახეობის პირუტყვი ფაშვის მიკროფლორის საშუალებით აღადგენს გოგირდმჟავას მარილებს და გოგირდს იყენებს ამინომჟავების – მეთიონინის და ცისტინის სინთეზისათვის. გოგირდი აუმჯობესებს ცელულოზას მონელებადობას. როცა გოგირდის კონცენტრაცია ფაშვში 0.15-დან 0.24%-მდეა, ამ დროს ცელულოზას დაშლა ოპტიმალური რაოდენობით მიმდინარეობს, ამასთან, ყველაზე კარგი შედეგებია მიღწეული რაციონში ნატრიუმის სულფატის (გლაუბერინის მარილი) დამატების შემთხვევაში, რომელიც 10%-მდე გოგირდს შეიცავს.

**ვიტამინოვანი ყუათიანობა.** ვიტამინები ხელს უწყობენ საყუათო ნივთიერებათა შეთვისებას, ნივთიერებათა ნორმალურ ცვლას, აუმჯობესებენ პირუტყვის ჯანმრთელობის მდგომარეობას, სტიმულს აძლევენ მოზარდის ინტენსიურ წონამატს, ზრდიან პროდუქტიულობას და პირუტყვის თვითწარმოების ფუნქციებს.

ერთად-ერთი ნიშანი, რომლის მიხედვითაც ხდება ვიტამინების ორ ჯგუფად კლასიფიკაცია – ეს არის ხსნადობა. ვიტამინების დიდი რაოდენობა წყალში ხსნადია, მეორე ნაწილი კი იხსნება ცხიმებში და ცხიმოვან გამხსნელებში (ცხელ სპირტში, ეთერში, ქლოროფილში). ამის შესაბამისად ყველა ვიტამინი დაყოფილია ორ ჯგუფად: წყალში ხსნად და ცხიმში ხსნად ვიტამინებად.

**ნახშირწყლების ყუათიანობა.** ნახშირწყლები ცოცხალ ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ორგანული შენაერთებია: მათ წილად მოდის მცენარეთა ორგანული ნივთიერებების 2/3-ზე მეტი, პირუტყვის ორგანიზმში კი ნახშირწყლების შემცველობა ბევრად ნაკლებია. მათი მთავარი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მოლეკულების დაყოფის დროს წარმოქმნას ენერგია (1 გ იძლევა 17.17 კჯ), რომელიც საჭიროა პირუტყვის ცხოველმოქმედებისათვის.

ზოოტექნიკურ ანალიზში არჩევენ ნივთიერებათა კიდევ ორ ჯგუფს: უჯრედანას და უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებებს (უენ). მოზარდი მცოხნავი პირუტყვის რაციონში უჯრედანა ითვლება აუცილებელ კომპონენტად საკვების ნორმალური მონელებისათვის. მისი შემცველობა უნდა აღწევდეს 14-დან 30%-მდე (მშრალი ნივთიერებიდან), მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობის მიხედვით, რაც მეტია პროდუქტიულობა, მით ნაკლები უნდა იყოს რაციონში უჯრედანა.

უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებებიდან მცენარეულ საკვებში დიდი რაოდენობითაა სახამებელი და შაქარი, რომლებსაც პირუტყვის კვებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საკვების ნორმალური მონელებისათვის მცოხნავი პირუტყვისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ რაციონში შაქრის პროცესითან თანავარდობა. დამტკიცებულია, რომ ფურებისათვის ის უნდა იყოს 0.8-1.2, ე.ი. ყოველ ერთ წილ მონელებად პროტეინზე საჭიროა 0.8-1.2 წილი შაქარი. საკვებში შაქრისა და სახამებლის უკმარისობა იწვევს ცილოვან-ცხიმოვანი მიმოცვლის მოშლას და აციდოზს, რის შედეგად სისხლში მატულობს კეტონური სხეულები.

**ლიპიდური ყუათიანობა.** საკვების შემადგენლობის ანალიზის დროს საზღვრავენ ნედლ ცხიმს – ნივთიერებას, რომელსაც გამოყოფენ საკვების ეთერით დამუშავების დროს. პირუტყვის საკვებში ცხიმები შედიან მცენარეული ზეთებისა და ცხიმისებრი ნივთიერებების სახით.

საკვების უმრავლესი სახეობები დარიბია ცხიმებით. ნამჯაში 2%-მდეა, იონჯის თივაში 2.5%, სიმინდისა და შვრის მარცვალში – 6%-მდე. ცხიმები მეტად მცირე რაოდენობითაა ძირხვენა-ტუბერიანებში – 0.1-0.2% და მწვანე ბალახში – 1%-მდე. ცხიმი ბევრია სოიას მარცვალში (16-17%-მდე), ზეთოვან კულტურებში: სელში – 47%-მდე, კანაფში 32%-მდე, რაფსში – 43%-მდე, საკვების ცხიმი პირუტყვის ორგანიზმის მიერ გამოიყენება სითბური ენერგიის წარმოქმნისათვის, აგრეთვე, ცხიმის დასაგროვებლად სამარაგო ნივთიერებების სახით და როგორც ცხიმის წყაროს ძროხების რძეში. გარდა ამისა, ცხიმების არსებობის შემთხვევაში მიმდინარეობს ვიტამინების A,D,E,K უკეთ შეთვისება, საკვების ცხიმის ხარისხი მოქმედებს პირუტყვის სხეულში დაგროვილი ცხიმის ხარისხზე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ღორების სუქების დროს.

#### IV.5. საკვებდანამატები

მინერალურ ნივთიერებებთან და ვიტამინებთან ერთად არსებობს მთელი რიგი ნივთიერებები, რომლებსაც საკვებს უმატებენ ცხოველების ჯანმრთელობის განსამტკიცებლად და პროდუქტიულობის ასამაღლებლად, აგრეთვე საყუათო ნივთიერებების მონელების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მათ მიეკუთვნება: ანტიბიოტიკები, პრობიოტიკები, ფერმენტები, ანტიოქსიდანტები, ემულგატორები, ორგანული მჟავეები.

ფრინველისთვის გამოყენებულია კოკიდიოსტატიკები, აგრეთვე დანამატები, რომლებიც განაპირობებს კვერცხის გულის პიგმენტაციას.

ანტიბიოტიკები – არის სოკოების ცხოველმყოფელობის პროდუქტი, რომელსაც ამატებენ საკვებს ავადმყოფობის გამომწვევი მიკროფლორის დასათრგუნად.

საკვები ანტიბიოტიკები გამოიყენება უფრო მცირე დოზებით, ვიდრე მედიცინაში. ამასთანავე, გამოყენებულია ისეთი ანტიბიოტიკები, რომელიც არ გამოიყენება ადამიანის სამკურნალოდ. შემდგომი კრიტერიუმი, ანტიბიოტიკების გამოყენების განსასაზღვრავად – არის მათი მეცხოველეობის პროდუქტში დაგროვების თვისება. ამ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ იმ შენაერთებს, რომლებიც არ ან უმნიშვნელო რაოდენობით აბსორბციოდებიან მეცხოველეობის პროდუქტებში. ანტიბიოტიკების გამოყენება ცხოველთა საკვებად შესაძლებელია სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

გამოყენებული საკვები ანტიბიოტიკების ნორმები, მგ/კგ კომბისაგებში (88% მ.ნ.)

ცხრილი 18

დასახელება	გოჭები 4 თვემდე	ღორები სუქებაზე (6 თვემდე)	ხბო 16 კვირამდე	მსხ. რქოსანი სუქებაზე	ბროილერები 16 კვირამდე
1.ავილამიცინი	20-40	10-20	–	–	2,5-10
2.ფლავოფოსფო-ლიპოლი	10-25	1-20	8-16	2-10	1-20
3.ნატრიუმის მონენზინი	–	–	–	10-40	–
4.ნატრიუმის სალინომიცინი	30-60	15-30	–	–	–

ანტიბიოტიკები არასასურველ მიკროორგანიზმებზე შერჩევითი მოქმედების ხარჯზე აუმჯობესებენ საყუათო ნივთიერებათა მონელებას საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. უმჯობესდება საკვებმომნელებელი ფერმენტების სეკრეცია და ბევრ შემთხვევაში, ფადარათი მცირდება. ანტიბიოტიკების დადებითი ზემოქმედება ზრდის ტემპზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა შენახვის არახელსაყრელი და არასაკმარისად ბალანსირებული კვების პირობებში.

მცონავებისთვის საკვები ანტიბიოტიკების ჭმევისას ხდება ფერმენტების მიმართულების არევა. იზრდება პროპიონის მჟავის და მცირდება ძმრისა და ერბოს მჟავების წარმოქმნა, ასევე მცირდება მეთანის და ნახშირორჟანგის წარმოშობა. ეს კი აუმჯობესებს ცხოველის უზრუნველყოფას საყუათო ნივთიერებების მისაწვდომი ენერგიით.

ანტიბიოტიკების დოზირება წარმოებს მათი გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად. ამასთანავე, ანტიბიოტიკის დოზა არ უნდა იყოს მინიმალურ დასაშვებზე ნაკლები, რადგან არასაკმარისი დოზირების დროს დადებითი ეფექტი არ მეღავნდება. სხვადასხვა ანტიბიოტიკების კომბინაცია მიუღებელია.

**პრობიოტიკები.** საკვების ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ ცოცხალ ბაქტერიულ ან საფუარის კულტურებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჭმლის მონელების პროცესის სტაბილიზებას ორგანიზმში. ესაა უჯრედები ან სპორები, დაბალ ტემპერატურაზე გამომშრალი. უჯრედებში ნივთიერებათა ცვლის პროცესი აქტივირდება, როგორც კი მოხვედებიან წყალთან კონტაქტში, სპორები თავდაპირველად უნდა გაღივდეს აქტივირებულ უჯრედში. თუ საკვები გრანულირებულია, მაშინ უპირატესობა ეძლევა სპოროვან პრეპარატს, რადგან ისინი უფრო თერმომდგრადები არიან, ვიდრე გამომშრალი უჯრედები, რომლებიც სიცოცხლისუნარიანობას კარგავენ  $60^{\circ}\text{C}$ .

დღეისთვის ურჩევენ სპოროვან მიკრობულ პრეპარატებს, რომელსაც დებულობენ რძემჟავა პროდუქტების და საფუარის უჯრედების დაბალ ტემპერატურაზე გამოშრობით. პრობიოტიკების დოზები, პრეპარატზე დამოკიდებულებით მერყეობს საზღვრებში:  $10^8\text{-}10^9$  მიკრობული უჯრედი 1გზ კობისაკვებზე (88% მ.ნ.). პრობიოტიკების უჯრედები ქმნიან ბიოლოგიურ აფსეს ნაწლავის კედლებზე, რომელიც თავის მხრივ აბრკოლებს პათოგენური მიკროორგანიზმების გამრავლებას. ისინი აგრეთვე გამოიმუშავებენ ბაქტერიოციდულ, ბაქტერიოსტატიკურ ნივთიერებებს, რითაც მცირდება ცხოველის ორგანიზმი დამცველობითი ფუნქციების დაძაბულობა. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ცხოველის პროდუქტიულობის მატებას, რადგან პათოგენები წარმოადგენენ საყუათო ნივთიერებების ცუდი შეთვისების მიზეზს. პრაქტიკაში შესაძლებელია ანტიბიოტიკების და პრობიოტიკების კომბინირება.

**ორგანული მჟავები.** სხვადასხვა ორგანულ მჟავებს (ფუმარის, ჭიანჭველმჟავა, პროპიონი, ლიმონმჟავა), აგრეთვე მათ მარილებს (ნატრიუმის და კალციუმის ფორმიატი, ნატრიუმის და კალციუმის პროპიონატები) უმატებენ საკვებს დამაკონსერვებელი ნივთიერებების სახით. ეს შენაერთები ამაღლებენ ცხოველის პროდუქტიულობას, განსაკუთრებით მოზარდისათვის, მჟავები დაბლა სწევენ საკვების pH-ის მნიშვნელობას, რაც თავის მხრივ აფერსებს მიკროორგანიზმების გამრავლებას, ზრდის ეფექტის გასაძლიერებლად ორგანული მჟავების და მათი მარილების აუცილებელი დოზა შეადგენს საკვების მასის 1,0-2,5%-ს. ორგანული მჟავების ანიონთა ბაქტერიოსტატიკური ზემოქმდება აქვეითებს მიკროორგანიზმების რაოდენობას ცხოველის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. რაც აუმჯობესებს საყუათო ნივთიერებების შეთვისებას და აქვეითებს ფადარათის რაოდენობას. ასეთ ურთიერთქმედებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მოზარდ ცხოველებში, რადგან კუჭის წევნის გამომუშავება სათანადოდ არ აქვთ განვითარებული. ბუფერული შენაერთების (პროტეინი, კარბონატები) მაღალი წილი მოზარდის საკვებში ორგანული მჟავათა დანამატების არ არსებობისას, სწევს საკვების pH, რის შედეგადაც წარმოიშობა საფრთხე ცხოველის კუჭ-ნაწლავის აშლილობისა-ფადარათი.

**ანტიოქსიდანტები.** სინთეტიკურ ანტიოქსიდანტებს ამატებენ ძირითადად ისეთ საკვებს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ადვილად ამჟავებად ნივთიერებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი დაუანგვა და დაშლა. ამას პირველ რიგში ექვემდებარება უჯერი ცხიმოვანი მჟავები (ლინოლინის და ლინოლევის) და ვიტამინები. მრავალი საკვები შეიცავს ბუნებრივ ანტიოქსიდანტებს (ტოკოფეროლი და ასკორბინის მჟავა). სინთეტიკური ანტიოქსიდანტების სახით ხშირად გამოიყენება ეტოქსინი და ბუთილირებული ოქსიტოლუოლი, რომლებსაც იყენებენ კომბინაციების წარმოებაში მალფუჭადი საკვების დამძღვების თავიდან ასაცილებლად. ბუნებრივი ანტიოქსიდანტები ორგანიზმში შეწოვის შემდეგაც აგრძელებენ ანტიდამჟანგველ მოქმედებას, ხოლო სინთეტიკური შენაერთები ამ თვისებას არ ფლობენ. ანტიოქსიდანტს უმატებენ საკვების 150 მგ/კგ (88% მ.ნ.) რაოდენობით.

**ემულგატორები.** ემულგატორები – ესაა ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობს ემულსის (ერთი სითხე მეორეში) წარმოქმნას. ემულგატორს საკვებს უმატებენ ზედაპირული დამაბულობის შესამცირებლად წყალსა და ცხიმს შორის, ერთგვაროვანი სტაბილური ნარევის მისაღებად (ემულსია). ბუნებრივ ემულგატორებს მიეკუთვნება ნაღველის მჟავეები (ცხიმის მონელების დროს), აგრეთვე პროტეინი, ქოლესტერინი და ფოსფოლიპიდები (ლიმფაში და სისხლში ცხიმის ტრანსპორტირება) მცენარეები შეიცავს ლეციტინებს და საპონინებს, რომლებიც ასევე ამჟღავნებენ ემულსირების თვისებებს. ლეციტინი და სინთეტიკური ემულგატორები გამოიყენება ცხიმით მდიდარი საკვები ნარევის წარმოებისათვის, ცხიმის მონელების გააღვილების მიზნით. რძის შემცვლელებში ემულგატორები აუმჯობესებენ შერეული, მცენარეული და ცხოველური ცხიმების, აგრეთვე ცხიმში ხსნადი ვიტამინების გადანაწილებას.

**კოკციდიოსტატიკები.** მათ მიეკუთვნება ნივთიერება, რომელსაც ამატებენ მცირე რაოდენობით საკვებს, ძირითადად ფრინველების კოკციდიოზის ასაცილებლად. კოკციდიოზი – ესაა წვრილი და მსხვილი ნაწლავების დაავადება, რომელსაც იწვევს უმარტივესები, ზოგიერთი *Eimeria*. კოკციდიოსტატიკების დამატება აუცილებელია გამოზრდის ინტენსიური (განსაკუთრებით გალიური) მეთოდის გამოყენების დროს, დახოცვის და პროდუქტიულობის შემცირების თავიდან ასაცილებლად. პრაქტიკაში საჭიროა რეგულარულად შეიცვალოს პრეპარატები უმარტივესის ადვილად წარმოშობადი მდგრადობის თავიდან ასაცილებლად. კოკციდიოსტატიკების დამატებას საკვებში წყვეტენ დაკვლამდე 3-5 დღით ადრე. კვერცხმდებელი ქათმის ულუფაში დანამატის შეტანა არ არის რეკომენდებული, რადგან იგი იწვევს კვერცხის ყვითრის სიმკრთალეს.

საკვების სხვადასხვა სახეების ქიმიური შედგენილობა და ენერგეტიკული ყუათიანობა, კრიტიკული ამინომჟავების, მაკრო და მიკროელემენტების და ვიტამინების შემცველობა მოცემულია ცხრილებში 19-26.

საკვების ხარისხი განისაზღვრება მასში საყუათო და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობით. ეს განპირობებულია ტოქსიკური ნივთიერებების არსებობით ან არარსებობით, აგრეთვე საკვების პიგიენური თვისებებით, რომელიც იცვლება შენახვის პერიოდში. საკვების შენახვის მომზადების პერიოდში ერთ-ერთი უმთავრესი ოპერაციაა საკვების შრობა, რომელიც იცავს საკვებს ფერმენტული და მიკრობული გაფუჭებისაგან. საკვების ტენიანობის მნიშვნელის ოპტიმალურამდე დაყვანა ამცირებს ან პრაქტიკულად სრულიად გამორიცხავს მისი გაფუჭების შესაძლებლობებს. არასწორი შენახვის დროს საკვები ითვისებს ტენს პარიდან, (პიგროსკოპიული საკვებისთვის) იატაკის ზედაპირიდან და კედლებიდან. საკვების ფერმენტული და მიკრობული გაფუჭების ალბათობა იზრდება შემდეგი ფაქტორების მოქმედებით:

- გარემომცველი პარის მაღალი ტემპერატურა;
- საწყისი ნედლეულის მაღალი ბაქტერიული მოთესვა;

## საკვების შემადგენლობა და ყუათიანობა (1 კგ ნატურალურ საკვებში)

კომპონენტები	ბუნებრივი და ნათესი საკვები კულტურების მწვანე მასა											
	კვანძის მთის მდებლოს	კალიბრირ მდებლოს	მშრალობის მარც. ნაირბალახების	სამყურა დიმოულების საძოვოზოს	ნაირბალახები	ტენისპირა საძოვების	სათომურას	სიმინდის რძისებრ- ცვლისებრ სიმინდები	საშემოდგრმო ჭვევი	სუდანურა	ტიმოფელა	
საკვები ერთეულები	0.19	0.23	0.24	0.24	0.24	0.31	0.19	0.23	0.21	0.18	0.20	0.25
მიმოცვლის ენერგია, მრპ, მჯ.	2.4	2.87	2.93	3.23	2.8	4.0	2.5	2.95	2.34	2.05	2.16	3.26
მიმოცვლის ენერგია, ლ. მჯ.	-	-	-	-	-	-	-	-	2.48	2.10	-	-
მიმოცვლის ენერგია ცხვ. მჯ.	2.6	3.51	2.85	3.42	3.0	4.3	2.6	3.26	2.48	2.11	2.2	3.38
მშრალი ნივთიერება	278	320	311	390	307	440	255	312	249	200	200	379
ნედლი პროტეინი, გ	33	45	39	40	42	43	33	33	21	31	28	31
მონელებადი პროტეინის, გ.	18	30	26	24	29	28	20	21	14	21	18	18
ნედლი ცხიმი, გ.	11	13	10	13	9	17	10	12	6	8	6	10
ნედლი უჯრედანა, გ.	95	108	86	135	95	140	81	111	55	58	55	128
უენ, გ.	127	126	150	164	147	205	108	135	151	86	91	185
სახამებელი, გ	96	6.4	6.3	7.8	4.8	5.1	5.7	4.5	3.8	3.8	2.0	5.5
შაქარი, გ	28	24	24	25	25	24.5	19	22	40	14	18	25
<u>ამინომჟავები</u>												
ლიზინი	0.9	2.0	1.7	0.6	1.4	1.4	0.8	1.7	0.9	1.0	1.5	1.8
მეთიონინი+ცისტინი	0.4	1.1	1.1	0.7	1.2	1.4	1.4	0.8	0.5	1.1	0.9	0.9
B <sub>2</sub> , მგ.	-	-	-	-	-	-	-	2.34	1.67	2.7	3.5	2.8
B <sub>3</sub> , მგ.	-	-	-	-	-	-	-	7.8	5.58	5.35	5.4	9.5
B <sub>4</sub> , მგ.	-	-	-	-	-	-	-	273	44.6	75.5	80	75.8
B <sub>5</sub> , მგ.	-	-	-	-	-	-	-	6.24	4.42	7.5	8.1	11.9
B <sub>6</sub> , მგ.	-	-	-	-	-	-	-	3.1	2.3	1.9	2.1	3.8

კომპონენტები	მწვანე მასა							თივა				
	აფექტები	აჯერი	ლანგის რაოდებები	-ლანგის რაოდებები	აფექტები	ბალანსურებული	საფლავ-გვერდები	საფლავ-გვერდები	ინტენსიური	ინტენსიური	ინტენსიური	
საკვები ერთეულები	0.20	0.22	0.12	0.12	0.18	0.16	0.16	0.63	0.44	0.46	0.42	0.38
მიმოცვლის ენერგია, მრა, მჯ.	1.87	1.75	1.52	1.61	1.58	1.90	1.84	7.88	6.49	6.23	6.85	5.81
მიმოცვლის ენერგია, ღ, მჯ.	2.13	1.99	-	-	2.10	2.00	-	-	-	-	-	-
მიმოცვლის ენერგია ცხვ. მჯ.	2.41	1.98	1.10	1.10	1.84	2.05	2.05	8.39	6.92	6.61	7.28	6.20
მშრალი ნივთიერება	235	250	120	110	200	200	200	853	898	828	857	835
ნედლი პროტეინი, გ	39	50	26.7	20.4	34	35	30	121	88	85	97	97
მონელებადი პროტეინის, გ.	27	38	22	17	24	25	18	77	48	37	55	44
ნედლი ცხიმი, გ.	8	7	5.6	7.3	7	7	7	31	28	27	25	26
ნედლი უჯრედანა, გ.	61	68	36.2	24.7	58	52	59	217	266	241	263	253
უენ, გ	108	100	46.8	55.5	82	88	98	420	387	410	414	399
სახამებელი, გ	4	3	-	-	2.3	2.5	2.4	19	23	18	20	15
შაქარი, გ	12	14	2.8	3.4	23	32	27	-	-	-	-	-
<b><u>ამინომჟავები</u></b>												
ლიზინი	1.5	1.9	-	-	2.0	1.1	1.3	3.2	2.5	5.0	4.2	2.0
მეთიონინი+ცისტინი	0.7	1.1	-	-	1.3	1.1	1.0	2.8	4.1	3.4	3.7	0.7
<b><u>მაკროელემენტები</u></b>												
კალციუმი	3.7	4.5	2.9	2.7	2.0	1.8	1.8	6.0	5.0	5.0	7.2	2.8
ფოსფორი	0.6	0.7	1.3	0.8	1.1	1.0	0.6	1.0	1.6	2.7	2.2	2.4
მაგნიუმი	0.6	0.6	-	-	0.7	0.4	0.3	1.6	1.5	2.0	1.7	2.1
კალიუმი	2.1	8.3	4.1	3.2	4.3	3.2	3.1	32.3	11.9	9.5	16.7	22.4
ნატრიუმი	0.5	0.1	0.4	0.6	0.4	0.3	0.2	0.4	1.9	1.0	0.4	5.7

ქლორი	0.4	1.0	0.6	0.8	0.9	1.9	0.8	2.3	1.7	2.8	6.8	0.4
გოგირდი	0.5	1.0	1.0	0.57	0.7	0.5	0.3	1.4	1.2	1.4	1.8	1.2
<b>მიკროელემენტები</b>												
რკინა	99	34	38	40	47	168	42	510	340	950	188	400
სპილენბი	2.0	2.6	0.7	1.91	1.0	0.9	1.4	4.9	1.6	4.8	5.6	2.4
თუთია	11.9	6.1	2.4	2.5	3.2	3.2	6.8	24	9.5	14.5	21.2	8.9
მარგანეცი	16.4	8.3	5.1	14.8	20.7	8.5	32.9	61	138	54	94	159
კობალტი	0.08	0.05	0.04	0.15	0.16	0.19	0.19	0.3	0.29	0.12	0.10	0.18
იოდი	0.02	0.02	0.12	0.04	0.04	0.05	0.05	0.05	0.15	0.05	0.04	0.02
<b>ვიტამინები</b>												
კაროტინი, გ	40	44	26	26	49	45	37	30	15	27	15	5
D, ME	2.3	2.5	-	-	2.6	4.6	3.7	110	170	80	150	150
E, მგ.	40	50	-	-	20	55	38	100	45	50	60	8.7
B <sub>1</sub> , მგ.	1.5	1.5	-	-	3.1	2.5	2.3	2.0	2	3	2	0.5

ცხრილი 21

კომპონენტები	თივი								ბალანსის ფქვილი				
	გრძელობის ნაირდებაზე	სერვისის საშუალებაზე	მანქანის მანქანის მდგრადი	კავშირის მანქანი	სარეზონი	სამუშაო	გამოყენების მდგრადი	გამოყენების მდგრადი	გამოყენების მდგრადი	გამოყენების მდგრადი	გამოყენების მდგრადი		
საკვები ერთეულები	0.48	0.46	0.5	0.47	0.57	0.68	0.52	0.44	0.47	0.46	0.66	0.66	0.72
მიმოცვლის ენერგია, მრპ, მჯ.	6.60	6.91	6.8	6.8	7.4	6.87	7.23	6.72	6.76	6.76	8.0	8.41	8.62
მიმოცვლის ენერგია, ღ. მჯ.	-	-	-	-	-	-	6.94	5.23	6.67	6.61	7.24	7.98	7.73
მიმოცვლის ენერგია ცხვ. მჯ.	7.03	7.41	7.3	6.85	7.9	7.12	7.59	6.95	7.07	7.27	8.57	9.01	9.24
მშრალი ნივთიერება	859	966	880	830	665	830	830	830	844	900	900	900	900
ნედლი პროცესი, გ	75	75	83	98	121	85	127	144	98	116	165	171	189

მონელებადი პროტეინის, გ.	40	43	43	59	74	69	78	102	53	76	106	94	119
ნედლი ცხიმი, გ.	28	25	26	24	25	22	25	22	25	24	33	31	29
ნედლი უჯრედანა, გ.	257	325	279	267	226	269	244	253	265	275	244	207	211
უქნ. გ	236	373	434	385	424	418	367	330	388	362	407	392	362
სახამებელი, გ	-	-	-	8	12	15	8	9	11	15	27	22	26
შაქარი, გ	20	10	9	34	18	35	25	20	26	27	70	20	40
<b><u>ამინომჼევები</u></b>													
ლიზინი	2.0	3.0	5.0	2.4	5.5	4.4	6.8	7.3	2.9	5.9	6.2	8.7	10.6
მეთიონინი+ცისტინი	4.3	3.5	2.1	1.5	2.5	7.4	2.9	5.5	1.9	3.1	5.6	4.8	6.4
<b><u>მაკროელემენტები</u></b>													
კალციუმი	5.7	3.6	5.0	5.2	6.0	3.9	9.2	17	7.6	7.0	12.3	14.0	17.3
ყველა ტიპის, ქვეტიპისა და კლასის თივას ვიზუალურად სინჯავენ და საზღვრავენ ტენიანობას, ფერს, სუნს, მტვრიანობას, ბზინვარებას და სხვა. თივის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს. ასეთი თივა გადაღუნვით იმტვრევა, დაგრეხის დროს ფოთლები და ლეროები გამოყოფს ტენს, ხელზე იგრძნობა სიგრილეც. ასეთი თივა რბილია და სიღრმიდან ნიმუშების ხელით აღების დროს გვაქვს სითბოს შეგრძნება.

თივის ფერს ადგენენ ბლუჯების გასინჯვით, რომელიც აიღება ძირების ან ზვინის სიღრმიდან. ყოველი ტიპის, ქვეტიპისა და კლასის თივას ახასიათებს თავისი ფერი. ხარისხოვანი თივა მწვანე ფერისაა, აქვს გარდამავალი ფერებიც. სამყურას თივა მორუხო ფერისაა, იონჯის – ღია მწვანე, პარკოსნების თივა – მორუხო-მომწვანო. გადამხმარი ან ჩახურებული თივა ღია ყვითელი ფერისაა. ხანგრძლივი წვიმების ქვეშ მოხვედრილი კი რუხი ფერის (გარდა სამყურასა), ასეთი თივის დეროებზე და ფოთლებზე შეიმჩნევა სხვადასხვა ფერის სოკოვანი ფიფქები.

თივის სუნი დამოკიდებულია მის ტიპზე, ქვეტიპზე და კლასზე, აგრეთვე ბოტანიკურ შემადგენლობაზე, ვინაიდან შესაბამის ბალახებს აქვთ სპეციფიკური სუნი (ძიძო, გვირილა, ავშანი და სხვა). ხანგრძლივად შენახული თივა თანდაოთან კარგავს სუნს. ტენიანი თივის შენახვის დროს ადგილი აქვს თვითჩახურებას და მისი ხარისხის გაუარესებას, შესაბამისად იგი იძენს ობის ან სიდამპლის სუნს.

თივის ბზინვადობა განისაზღვრება მისი გამუქებით და თაფლოვანი არომატის შეძენით. თივის დამტვერიანება არის შედეგი მისი გადახმობისა და სოკოებით დაზიანებისა, რომელსაც ადგენენ ბლუჯის დაბერტყვით ან სუფთა წყალში ამოვლებით.

### V. 2. ნამჯის ხარისხის შეფასება

ნამჯის ხარისხის შეფასება თითქმის იგივე მეთოდით ხდება, როგორც თივისა. ნამჯის ფერი დამოკიდებულია თავთავიანი პურეულის სახეობაზე, მათი აღების თავისებურებაზე და შენახვაზე. საგაზაფხულო შვრიის, ჭვავის და ქერის ნამჯა ყვითელი ფერისაა. მუხლებთან – ღია რუხი ფერის, ფეტვის – მწვანე ფერის, მუხლებთან – მუქი რუხი ფერის. ახლად აღებული და კარგად შენახულ ნამჯას ახასიათებს თავისებური მზინვადობა. ბზინვადობის დაკარგვა და რუხი ან მუქი ნაცრისფერი შეფერილობა მიუთითებს მიკროორგანიზმების განვითარებაზე ტენიანობის მომატების ანხანგრძლივი ნალექების პირობებში. ნამჯაზე წითელი ლაქების ან მუხლებთან შავი ჭვარტლის გაჩენა მიუთითებს მისი შხამიანი სოკოებით – ფუზარიებით ან სტანდოტრიუქსებით დაზიანებაზე. ნამჯის სუნი დამოკიდებულია მის სახეობაზე. თვითჩახურებისას ნამჯას შეიძლება ჰქონდეს შმორის, ობის ან სიდამპლის სუნი. ნამჯის მტვრიანობა განპირობებულია მისი მიწით, ან სოკოს სპორებით დაჭუჭყიანებით. ნორმიდან ორგანოლეპტიკური გადახრების აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა ჩატარდეს ნამჯის ლაბორატორიული გამოკვლევა.

### V. 3. სილოსის ხარისხის შეფასება

სილოსის ხარისხის თრგანოლეპტიკურად გამოკვლევის დროს ადგენენ მის ფერს, სუნს, სტრუქტურას, საერთო და აქტიურ მეაგიანობას, რბის, მმრის, ცხიმოვანი მეაგიანობის შემცველობას და მათ თანაფარდობას. ამიაკის, გოგირწყალბადის,

ინდოლის, ქლორიდის და სულფატების, ნიტრატების, კაროტინისა და ციანწყალბადმჟავას კონცენტრაციას. ჩადებიდან 2 თვის შემდეგ იღებენ სილოსის ნიმუშებს ერთმანეთისაგან და კედლებიდან 3,5 მ-ის დაცილებით და ზედა და ქვედა ნიშნიდან 50 სმ-ის დაცილებით. თუ სასილოს მასა ერთგვაროვანია, დასაშვებია ერთი ნიმუშის აღებაც. სხვადასხვა სახის მასის შემთხვევაში იღებენ შემადგენელი კომპონენტების რაოდენობის დიდ სინჯებს. კოშკებში დასილოსებული მასიდან ნიმუშებს იღებენ მისი გადმოტვირთვის დროს. ორგანოლეპტიკურად საზღვრავენ ფერს, სუნს და სტრუქტურას, მის ბოტანიკურ შემადგენლობას, ობის არსებობას. ხარისხოვან სილოსს მომწვანო-მოყვითალო ფერი აქვს ან ზეთისხილის ფერი გადაკრაგს. ყვითელი ფერი მიუთითებს სილოსში ორგანული მჟავების მაღალ შემცველობაზე. საკვების ძლიერ ჩახურების შემთხვევაში სილოსი ღებულობს ყავისფერ, მუქ რუხ ან შავ ფერს.

კარგი ხარისხის სილოსს ხილის ან ახლად დამწილებული ბოსტნეულის სასიამოვნო სუნი აქვს. თაფლის სუნი ან ახლად გამომცხვარი ჭვავის პურის სუნი მიუთითებს სილოსის თვითჩახურებაზე. სილოსში ცხიმმჟავის ან ცილების დაშლა იწვევს არასასიამოვნო სუნს. საეჭვო სილოსის ხარისხის უფრო ზუსტი განსაზღვრისათვის ნიმუშები საანალიზოდ ლაბორატორიებში იგზავნება.

#### V. 4. სენაჟის ხარისხის შეფასება

სენაჟის სანიტარიული ხარისხიანობის ძირითადი მაჩვენებელია მისი ფერი, სუნი, სტრუქტურა, შხამოვანი სოკოების და ორგანული მჟავების არსებობა. პირუტყვის გამოკვებამდე, ყოველ ორმოდან იღებენ არა უმეტეს ორ სინჯს. ერთ სინჯს შუა ხაზიდან 5-6მ-მდე დაცილებით, ნახევარ მეტრ სიღრმეზე, მეორეს – იგივე ვერტიკალურ სიბრტყეში კედლიდან 0.5მ-ის დაცილებით, კოშკებში სინჯებს იღებენ მის ცენტრალურ ნაწილში, კედლიდან 0.5მ-ის დაცილებით, მკვდარი ფერის მოცილების შემდეგ.

პერმეტული კოშკებიდან სინჯებს იღებენ სენაჟის გამოდების დროს. ხარისხის მიხედვით სენაჟი შეიძლება შეფასდეს როგორც კარგი, საშუალო ან ცუდი ხარისხის. კარგი ხარისხის სენაჟის ბნევადია, აქვს არომატული ხილის სუნი, მწვანე, დია ყავისფერი (სამყურისათვის), ან ყვითელი ნამჯის ფერია. მისი ტენიანობა 45-55%-ია. პარკოსანი კულტურების სენაჟისათვის დასაშვებია 60%-იც. თავისუფალი და შებოჭილი რძემჟავის რაოდენობა (მშრალ ნივთიერებასთან) 3-7%, ძმრის მჟავა – 0.4-1.5%. დასაშვებია ცხიმმჟავას ნიშნებიც. მჟავების თანაფარდობა უნდა იყოს ასეთი: 75-85% რძემჟავა, 14-45% ძმარმჟავა და 0.2% ცხიმმჟავა. pH – 4,7 – 5,6.

საშუალო ხარისხის სენაჟი გამოირჩევა მცენარეთა კარგი სტრუქტურით, არომატით ან სუსტი, ახლად გამომცხვარი პურის, ან თაფლის სუნით. მას აქვს დია ყავისფერი, მუქი ყავისფერი (სამყურისათვის) ან მუქი მწვანე ფერი. ტენიანობა 60-69%. მჟავათა შემდეგი თანაფარდობით: რძემჟავა 50-60%, ძმარმჟავა 40-50%, ცხიმმჟავა 5%-მდე.

ცუდი ხარისხის სენაჟი მუქი ყავისფერია (გარდა სამყურასი), ან შავი ფერისაა ნეხვის სუნით, ხშირად დაობებულია. ასეთი სენაჟის გამოყენება არ შეიძლება.

ტოქსიკური სოკოების და ორგანული მჟავების შემცველობაზე არაკეთილ-საიმედო სენაჟის გამოკვლევა ხდება ლაბორატორიაში ისევე, როგორც უხეში საკვების და სილოსის შემთხვევაში.

#### V. 5. საფურაჟე მარცვლის ხარისხის შეფასება

მარცვლის ხარისხს საზღვრავენ ორგანოლეპტიკურად (ფერი, სუნი, გემო). ამის გარდა, მარცვლს იკვლევენ მჟავიანობის რიცხვის, ამიაკის შემცველობისა და ტოქსიკურობის დასადგეად.

მარცვლის სიახლის განსაზღვრისათვის საზღვრავენ ფერს, სუნს და გემოს, რომლებიც იცვლება მომწიფების, აღების და შენახვის პირობების ცვალებადობასთან ერთად. ფერი საფურავე მარცვლის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ის ახასიათებს მარცვლის ბუნებრივ თვისებებს და მის სიახლეს. ახალ მარცვლად შეიძლება ჩაითვალოს გლუვი ზედაპირის, ბუნებრივი ბზინვარების და ფერის (ამ კულტურისათვის დამახასიათებელი) მარცვალი. გარდამავალი ფერები (შავი, მოწითალო-რუხი და სხვა) ახასიათებს შრობის დროს გადახურებულ და აგრეთვე თვითჩახურებულ მარცვლეულს.

ხარისხოვან მარცვალს ან უნდა ჰქონდეს უცხო სუნი. სუნისა და სხვა მონაცემების მიხედვით არჩევენ მარცვლის გაფუჭების ოთხ სახეს: გაფუჭების პირველი სახეა, როდესაც მისი სუნი მუავეა, ფერი შეუცვლელია, გაზრდილია ფერმენტაციული აქტივობა, გაზრდილია ბაქტერიების რიცხვი. გაფუჭების მეორე სტადიაში მარცვალი არ ბრწყინავს, გამუქებულია, აქვს შმორის და ობის სუნი და გადაეცემა მარცვლის გადამუშავების პროდუქტებს, გაზრდილია სპოროვანი ბაქტერიების, სოკოების, აქტინომიცეტების რაოდენობა. მესამე სტადიაში მარცვალი მუქია, ჩანასახი დაზიანებული, აქვს შმორის და ობის სუნი. ბაქტერიების რიცხვი ჭარბობს სოკოებისას. გაფუჭების მეოთხე სტადიაში მარცვლის გარსი გაშავებულია, ენდოსპერმი - ყავისფერი. აქვს სიდამპლის სუნი. განვითარებულია ლპობის მიკროფლორა, სოკოები არ გვხვდება, გაზრდილია ამიაკის შემცველობა.

## V. 6. კომბინირებული საკვების ხარისხის შეფასება

ნებისმიერი კომბინირებული საკვების ხარისხი განისაზღვრება ზოოტექნიკური, ბიოქიმიური და ტექნოლოგიური მონაცემებით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ყუათიანობა. კომბინირებული საკვების ყუათიანობას აღვენენ ორგანოლეპტიკურადაც. აგრეთვე მიკოლოგიური და ბაქტეროლოგიური გამოკვლევების შედეგებით. კომბინირებული საკვების მიკოლოგიურ გამოკვლევას ახდენენ 1 თვით მისი შენახვის შემდეგ. თუ ორგანოლეპტიკური შეფასების დროს აღმოჩნდება გარკვეული გადახრები (ფერის და სუნის შეცვლა, ნაგვის ელემენტების შემცველობა, სოკოებით დაზიანება), კომბინირებული საკვების ბაქტერიოულ გამოკვლევას ახდენენ პირუტყვის დაავადების დროს ბაქტერიების პარატიფოზურ ჯგუფებზე ეჭვის შემთხვევაში. კომბინირებული საკვების ყუათიანობაზე გამოკვლევა უნდა პასუხობდეს პირუტყვის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შესაბამისი სახეობის, ასაკობრივი ჯგუფის, ფიზიოლოგიური მდგომარეობის და პროდუქტიულობის ნორმების შესაბამისად. კომბინირებული საკვები უნდა იყოს ერთგვაროვანი, ობის გარეშე. მისი ფერი და სუნი განისაზღვრება მასში კომპონენტების შემცველობის მიხედვით. კომბინირებული საკვების სიახლეზე მსჯელობენ მისი საერთო მდგომარეობის, აგრეთვე მისი მიკროორგანიზმებით და მავნებლებით დაზიანების ხარისხის მიხედვით. კონბინირებულ საკვებში მცენარის მომწამვლელი ნაყოფებისა და თესლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო სტანდარტით დადგენილ ზღვარს.

## V.7. საკვებში ნიტრატებისა და ნიტრიტების განსაზღვრა

თანამედროვე ფერმების უმრავლესობა აღჭურვილია მინილაბორატორიებით, სადაც საკვებში ნიტრატებისა და ნიტრიტების დასადგენად იღებენ ხარისხობრივ სინჯს და ახდენენ მასში ამ ნივთიერებათა რაოდენობრივ განსაზღვრას.

**ხარისხობრივი მეთოდები.** ნიტრატების ხინჯი. ხინჯარაში ან პატარა ფაიფურის ჯამში ასხამენ დაახლოებით 1 მლ კონცენტრირებულ მარილმუავას, დებენ მასში დეფინილამინის პატარა კრისტალს და ურუვენ მინის წკირით ან ანჯლრევენ. ამის

შემდეგ სინჯარაში ათავსებენ გამოსაკვლევი საკვების 1-2 წვეთ გამონაწურს. ნიტრატების არსებობის შემთხვევაში სითხე დებულობს ლურჯ ან მუქ ლურჯ ფერს.

გამოსაკვლევი საკვების გამონაწურს შემდეგნაირად ამზადებენ: იღებენ 10 გ საკვებს, აქცემაცებენ და ათავსებენ 100 მლ მოცულობის დანაყოფებიან კოლბაში. კოლბაში ასხამენ მცირე რაოდენობით გამოხდილ წყალს და აჩერებენ 1 საათის განმავლობაში, პერიოდულად ურევენ. ამის შემდეგ კოლბას ავსებენ ბოლომდე წყლით, ურევენ და ფილტრავენ. ფილტრატი, თუ ის შეფერილი არ არის, გამოიყენება წინასწარი დამუშავების გარეშე.

თუ ფილტრატს აქცვს შეფერილობა, მას უმატებენ ალუმინის ოქსიდს 0.1 გრამზე 100 მლ რაოდენობით, ურევენ და ტოვებენ 2 საათით. ამის შემდეგ ფრთხილად აცილებენ წყალს დანალექისაგან და დარჩენილ სითხეს იკვლევენ.

**რაოდენობრივი განსაზღვრა:** თანამედროვე პირობებში დამუშავებულია ნიტრატების და ნიტრიტების რაოდენობრივი განსაზღვრის საიმედო მეთოდები, მათ შორის ექსპრეს-მეთოდებიც სპეციალური ხელსაწყოებისა და ერთჯერადი ინდიკატორების გამოყენებით, რომელთა მაღალი ფასების გამო ისინი ჩვენი ფერმერებისათვის ჯერჯერობით მიუწვდომელია.

**საკვებში ნიტრატების განსაზღვრა.** ანალიზისათვის განკუთვნილ საკვებს მაკრატლით წვრილად აქცემაცებენ. შემდეგ წონიან 10 გრამს, ურევენ მასში 1-2 გ აქტივირებულ ნახშირს (ექსტრაქტის გაღიავებისათვის), რომელიც შემოწმებული უნდა იყოს ნიტრატზე. ამისათვის კი 1 გ ნახშირს ასხამენ 100 მლ 2%-იან ძმარმჟავას და ტოვებენ 15-20 წუთით. შემდეგ ნალექს ფილტრავენ და ფილტრატში საზღვრავენ ნიტრატებს. ნიტრატების აღმოჩენის შემთხვევაში ნახშირის გასაწმენდად მას ყრიან ჭიქაში ნახევრამდე და ასხამენ ჭიქის მოცულობის 3/4-მდე შესავსებად ძმარილმჟავას, განზავებულს თანაფარდობით 1:3. ნარევს აღუღებენ 30 წუთის განმავლობაში. აცილებენ, ფილტრავენ და რეცხავენ გამოხდილი წყლით 8-10-ჯერ. შემდეგ დანახშირებულ ფხვნილს აშრობენ მაღალ ტემპერატურაზე ფაიფურის ჯამში და განუწყვეტლივ ურევენ.

დაჭრილ საკვებს გულდასმით ურევენ და ნაყავენ აქტივირებულ ნახშირთან ერთად. მასას ასხამენ 200 მლ 2%-იან ძმრის მჟავის მაექსტრაგირებულ ხსნარს. თუ ნიტრიტების შემცველობას საზღვრავენ მშრალ საანალიზო სინჯში, დაფქვის დროს საფქვავში უმატებენ მცირე რაოდენობით განზავებულ ძმარმჟავას. ამ შემთხვევაში შემდგომში დასამატებელი ძმარმჟავის რაოდენობა მცირდება იმდენად, რომ საერთო მოცულობა არ აღემატებოდეს 200 მლ-ს. ნარევს სანაყში ტოვებენ 15-20 წუთით და პერიოდულად ურევენ. შემდეგ ფილტრავენ წახნაგოვან ფილტრში და გამონაწურს უმატებენ 2-3 წვეთ ანტისეპტიკს (ქლოროფორმს).

გამონაწურს ასხამენ 2-3 სინჯარაში 1-2 მლ ოდენობით (საკვებში მოსალოდნელი ნიტრატების რაოდენობის მიხედვით) უმატებენ 2%-იან 2 მლ-მდე ძმრის მჟავის ხსნარს (თუ ანალიზისათვის აღებულია 2 მლ გამონაწური, ძმარმჟავის ხსნარს აღარ უმატებენ).

პარალელურად ამზადებენ აზოტმჟავა კალიუმის სტანდარტულ ხსნარებს. ჯერ ამზადებენ ძირითად ხსნარს: 7.22 გ აზოტმჟავა კალიუმს KNO<sub>3</sub>, გამომშრალს 100-150<sup>0</sup>C ტემპერატურაზე, ათავსებენ 1 ლიტრიან, დანაყოფებიან კოლბაში, უმატებენ მცირე რაოდენობით გამოხდილ წყალს, ხსნიან მასში არევით და შემდეგ ავსებენ წყლით ლიტრიან დანაყოფამდე. 1 მლ ასეთი ხსნარი შეიცავს 1 მგ ნიტრატულ აზოტს. ამის შემდეგ 40 მლ ძირითადი ხსნარი გადააქვთ სხვა 1 ლიტრიან დანაყოფებიან კოლბაში და ავსებენ ძმარმჟავას 2%-იანი ხსნარით. მიღებულ 1 მლ სტანდარტულ ხსნარში 40 მგ ნიტრატული აზოტია. ეს სტანდარტული ხსნარი გამოიყენება სინჯარებში ნიტრატული აზოტის რაოდენობის სკალის შესადგენად (ცხრილი 37).

№	ხენარი	საკონტროლო	სინჯარის ნომერი						
			1	2	3	4	5	6	7
1	სტანდარტული, მლ	0	0.2	0.4	0.6	0.9	1.2	1.5	2.0
2	ძმრის მჟავის	2	1.8	1.6	1.4	1.1	0.8	0.5	2.0
3	ნიტრატული აზოტი სინჯარაში, მკგ	0	8	16	24	36	48	60	80

ნიტრატების აღდგენა ნიტრიტებამდე ხდება თუთით მჟავე არეში. ამიტომ, ერთნაირი პირობების შესაქმნელად, ყველა სინჯარაში, სადაც გამოსარკვევი ექსტრაქტი და სტანდარტული ხენარია, უმატებენ 2 მლ 10%-იან ძმრის მჟავას და სკალპელის წვერით ამოდებული თუთის მტვერი+გოგირდმჟავა მანგანუმს (1 გ თუთის მტვერი + 100 გ მანგანუმის სულფატი). სინჯარას ანჯლრევენ 20 წამის განმავლობაში.

ამის შემდეგ სინჯარას პიპეტით ან მიკრობიურეტით უმატებენ 0.5 მლ სულფანილის მჟავას ხენარს და ნაფტალინს. სინჯარებში არსებულ ხენარს - ნაფტალინის და სულფანილის მჟავას ხენარებს ამზადებენ შემდეგნაირად: 10 მგ - ნაფტალინისა და 20 მგ სულფანილის მჟავას ხენიან თითოეულს ცალ-ცალკე 50 მლ 10%-იანი ძმარმჟავათი. ხენარებს გადაურევენ ერთმანეთში და ტოვებენ 10 წუთს. შემდეგ ვიზუალურად ადარებენ საკვების გამონაწურის შეფერილობას სინჯარაში სტანდარტული ხენარების სკალას. ნიტრატული აზოტის შემცველობა შეიძლება განისაზღვროს მონაცემებით.

### ნიტრატული აზოტის შემცველობა 1 კგ საკვებში, მგ

აღებული გამონაწურის რაოდენობა, მლ	სინჯარაში გამონაწურის და სტანდარტული ხენარის თანაბარი შეფერილობის შემთხვევაში						
	I	II	III	IV	V	VI	VII
1	160	320	480	720	960	1200	1600
2	90	160	240	360	480	600	800

საკვებში ნიტრიტების განსაზღვრა. ეს მეთოდი დამყარებულია იმაზე, რომ ნიტრიტები მჟავე არეში გამოყოფენ აზოტმჟავას, რომელსაც სულფანილის მჟავა გადაჰყავს პარადიაზობენზოსულფომჟავად. ის უერთდება ნაფტალინს და წარმოქმნის წითელი ფერის აზოტურ შენაერთს. ნიტრიტებისათვის რეაქცია სპეციფიკურია:  $N_2O_3$  – ის განსაზღვრული მინიმუმი – 0.01 მგ 1 ლ ხენარში.

რეაქტივები. გრისის რეაქტივი. ამზადებენ ორ ხენარს: 1. სულფანილის მჟავის ხენარი: 0.5 გ. სულფანილის მჟავას ხენიან 150 მლ 12%-იან ძმარმჟავაში, 2. პიდროქლორიდ – ნაფტილამინის ძმარმჟავა ხენარი: 0.2 გ, ნაფტილამინს აღუდებენ 20 მლ წყალში გახსნადე, ფილტრავენ და ფილტრატს უმატებენ 150 მლ 12%-იან ძმარმჟავას. ხენარებს ინახავენ მუქშუშიან ჭურჭელში. ხმარების წინ შეურევენ თანაბარი მოცულობით.

გრისის რეაქტივი ასევე შეიძლება დამზადდეს გრისის მშრალი რეაქტივიდანაც: 5 გ ხენიან 100 მლ გამოხდილ წყალში. ძირითადი სტანდარტული ხენარი ნატრიუმის ნიტრიტი  $N_aNO_2$ :0.15 გ. ქიმიურად სუფთა ნატრიუმის ნიტრიტს ათავსებენ 1 ლ დანაჟოფიან კოლბაში, ხენიან გამოხდილ წყალში და ავსებენ 1 ლიტრამდე. მიღებული ხენარის 25 მლ გადააქვთ 500 მლ დანაჟოფებიან კოლბაში და განაზავებენ გამოხდილი წყლით კოლბის შევსებამდე. ასეთი ხენარის 1 მლ შეიცავს 0.0075 მგ ნატრიუმის ნიტრიტს.

ანალიზის ჩატარების მსვლელობა: ქიმიურ ჭიქაში ათავსებენ 10 გ გულდასმით დაქუცმაცებულ გამოსაკვლევ საკვებს, უმატაბენ 100 მლ გამოხდილ წყალს და აჩერებენ 40 წუთით, თან მინის წკირით ურევენ ან ანჯლრევენ (ყოველ 10 წუთში). ამ პერიოდში ჭიქა დახურული უნდა იყოს საათის შუშით. ხსნარის რაოდენობაზე დამოკიდებული ნატრიუმის ნიტრატის შემცველობა მოცემულია 39-ე ცხრილში.

### ცხრილი 39

სინჯარის №	ხსნარის რაოდენობა, მლ	შემცველობა, მგ	სინჯარის ნომერი	ხსნარის რაოდენობა, მლ	შემცველობა, მგ
1	0.2	0.0015	6	1.2	0.0030
2	0.4	0.0030	7	1.4	0.0105
3	0.6	0.0045	8	1.6	0.0120
4	0.8	0.0060	9	1.8	0.0135
5	1.0	0.0075	10	2.0	0.0150

ამის შემდეგ გამონაწურს ფილტრავენ ქაღალდის ფილტრით და ზომავენ ფილტრატის მოცულობას.

10 უფერო მინის სინჯარაში მიკრობიურეტიდან ასხამენ ნატრიუმის ნიტრატის წინასწარ მომზადებულ სტანდარტულ მუშა ხსნარს იმ რაოდენობით, რაც მოცემულია მე-3 ცხრილში. შემდეგ სინჯარებში უმატებენ 10 მლ-დე გამოხდილ წყალს. ერთდროულად სინჯარაში ასხამენ 10 მლ საკვლევ ფილტრატს და ყველა სინჯარას უმატებენ 0.5 მლ გრისის რეაქტივს. 15 წუთის შემდეგ ადარებენ გამონაწურის შეფერილობას ხსნარის სტანდარტულ შკალას.

გამოსაკვლევ საკვებში (მგ%) ნიტრიტების შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით.

$$x = \frac{M \cdot a \cdot 100}{10 \cdot H}$$

სადაც M არის ნიტრიტების შემცველობა 10 მლ საკვლევ გამონაწურში (ნიტრიტების შემცველობით სტანდარტული სკალის შესაბამის სინჯარაში), a – გაფილტრული გამონაწურის საერთო მოცულობა, მლ; H – გამოსაკვლევი საკვების წონაცის მასა, გ.

მწვანე საკვებში ციანწყალბადმჟავას განსაზღვრა.

საკვებში ცინწყალბადმჟავის შემცველობა განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდებით.

**ხარისხობრივი მეთოდები.** შესრულების შესაძლებლობის მიხედვით დაყოფილია საწარმოო და ლაბორატორიულ მეთოდებად.

**იოდის სინჯის მეთოდი.** ეს მეთოდი მეტად მარტივია და დამყარებულია მცენარის ლეროებში სახამებლის დაგროვებისა და მცენარეში ციანწყალბადმჟავას შემცველობას შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთკავშირზე. ის მცენარეები, რომლებიც მდიდარია ციანწყალბადმჟავათი, მდიდარია ლეროებში სახამებლითაც, მაშინ როცა ნორმალურად განვითარებული მცენარეები სახამებლისაგან თავისუფალია ან მისი შემცველობა მეტად უმნიშვნელოა.

სორგოში ციანწყალბადმჟავას საზღვრავენ შემდეგნაირად: ნათესი მინდვრის სხვადასხვა ადგილიდან იღებენ რამდენიმე სანიმუშო მცენარეს, რომლებსაც ფესვთან ახლოს ჭრიან. ამის შემდეგ მჭრელი დანით ან სამართებლით დეროს ქვედა ნაწილიდან იღებენ თხელ, გრძივ ნაჭრებს, რომლებსაც იოდის ხსნარით ამუშავებენ და მიკროსკოპში ან გამადიდებელი ლუპით სინჯავენ (თეთრ ფონზე). დეროებში სახამებლის დიდი რაოდენობით არსებობის შემთხვევაში, მიიღება მთლიანი ლურჯი ან

შავი შეფერილობა (შეუიარადებელი თვალით გასინჯვით კი უბრალოდ მუქი შეფერილობა). ასეთი მცენარეები შეიცავენ არანაკლებ 0.1% HCN-ს (მშრალ ნივთიერებაზე გაანგარიშებით) და სახიფათოა მათი პირუტყვისათვის გამოსაკვებად მიცემა.

თუ დეროებში სახამებლის მარცვლები მცირე რაოდენობითაა, მაშინ ლურჯი ან შავი შეფერილობა მთლიან სანიმუშო განაჭრებზე არ მიიღება, არამედ გამოხატულად ჩანს მხოლოდ ჭურჭელბოჭკოვანი კონების ირგვლივ. ამ შემთხვევაში სორგო შეიცავს 0.1% HCN-ზე ნაკლებს (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით) და პირუტყვის გამოსაკვებად დილის და საღამოს საათებში სახიფათო არ არის. თუ დეროების განაჭრები იოდით სრულად არ შეიღებება ლურჯ ფერად, ეს ნიშნავს, რომ სორგო HCN-ს არ შეიცავს და მისი პირუტყვისათვის საკვებად მიცემა სახიფათო სულაც არ არის.

ციანწყალბადმჟავას რაოდენობრივი განსაზღვრა ხდება დისტილიატიდან, რომლის დასამზადებლად წონიან 100 გ საკვებს, ათავსებენ 2 ლიტრიან გამოსახდელ კოლბაში, ასხამენ 500 მლ წყალს, ჟანგავენ დვინის ქვის მჟავათი (50 მლ 10%-იანი წყლის ხსნარით), გადაურევენ და ტოვებენ დღე-დამის განმავლობაში. მეორე დღეს ახდენენ ციანმჟავის გამოხდას, რისთვისაც კოლბას ხუფავენ საცობით, რომელშიც გაყრილია ორი მოდუნული მილი, ამასთან, ერთი მილი, რომელიც თითქმის ფსკერამდეა ჩაშვებული, შეერთებულია ორთქლის წარმომქმნელ წყაროსთან, ხოლო მეორე კი მაცივართან, ამის შემდეგ კოლბის მდუღარეწყლიან ჭურჭელში თანაბარი გახურებით ხდიან წყლის ორთქლიან ციანწყალბადმჟავას. გამოხდა უნდა ხდებოდეს ნელ-ნელა. აგროვებენ 300-500 მლ დისტილიატს, საიდანაც შემდგომში საზღვრავენ ციანწყალბადმჟავას შემცველობას.

საკვებში ციანწყალბადმჟავის განსაზღვრისათვის იყენებენ ორ მეთოდს: არგენტომეტრიულ და ბერკურმეტრიულ მეთოდებს.

**არგენტომეტრიული მეთოდი (ლიბისის მეთოდი).** გამოხდით მიღებულ დისტილიანტს ტიტრავენ 0.1 ნორმალობის აზოტმჟავა ვერცხლის ხსნარით, რამდენიმე წვეთით კალიუმ-იოდის (10%) დამატებით, მუდმივი, გაუმქრალი ბოლის წარმოქმნამდე. აზოტმჟავა – ვერცხლის წვეთების მიმატებით HCN ტუტოვან ხსნარში წვეთების დაცემის ადგილზე წარმოქმნება ვერცხლციანის თეთრი ლექი, რომელიც სითხის შენჯღრევისთანავე ქრება, ვინაიდან  $A_2CN$  ის სნება ჭარბ კალიუმის ციანში, ვერცხლციანწყალბადმჟავა კალიუმის მარილის წარმოქმნით:  $A_gCN + KCN \rightarrow A_g(CN)_2K$ .

როგორც კი მთელი ციანი გარდაიქმნება ვერცხლციანწყალბადმჟავა კალიუმის მარილად (კალიუმისციანო არგენტანტი), ამის შემდეგ  $A_gNO_3$  -ის წვეთები იძლევა გაუმქრალ ბოლს:  $A_g(CN)_2K + A_gNO_3 \rightarrow KNO_3 + A_gCN$ .

საკვებში ციანწყალბადმჟავას რაოდენობის გაანგარიშებას ახდენენ ფორმულით:  $x = \delta \cdot v \cdot 0.318$ ,

სადაც  $x$  არის ციანწყალბადმჟავას შემცველობა 100 გ საკვებში, %;  $\delta$  – ტიტრი, 0.1 ნ.  $A_gNO_3$  ხსნარი;  $v$  – 0.1 ნ.  $A_gNO_3$  ხსნარის რაოდენობა, რომელიც დაიხარჯა დისტილატის გატიტვრაზე, მლ. ; 0.318 – რიცხვია, რომელიც გამოხატავს ორმაგი მოლეკულის წონის მოლეკულურ  $A_gNO_3$  – დან დამოკიდებულებას.

იმ შემთხვევაში, თუ საკვლევი მასალის საწყისი წონაკი 100 გ-ს არ უდრის, ფორმულით მიღებული HCN-ის რაოდენობა უნდა გაიყოს წონაკის რაოდენობაზე და გამრავლდეს 100-ზე.

იმის გამო, რომ გამოსაკვლევ საკვებში HCN ძალიან მცირე რაოდენობითაა, დისტილიატის ტიტრირება უმჯობესია ჩატარდეს მიკრობიურეტიდან.

**სილოსის კეთილხარისხის შემოწმება (ა. მიხინის მეთოდით).**

სილოსის მჟავიანობის (pH) განსაზღვრისათვის გამოიყენება ა. მიხინის ხელსაწყო, მისი უქონლობის შემთხვევაში ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ლაბორატორიული ჭურჭლით.

ა.მიხინის ხელსაწყო წარმოადგენს ყუთს, რომელშიც მოთავსებულია 2 ჭიქა, პატარა ბოთლი ინდიკატორის მარაგით (ბრომტიმოლბლაუს და მეთილროტის თანაბარი რაოდენობის ნარევი), ორი დანაყოფებიანი საწვეოებელი ორი მინის პიპეტი 2 მლ დანაყოფებით. კედლის შიგნითა მხარეს დამაგრებულია თეთრი ფაიფურის პალიტრა 6-9 ბუდით. ასეთი ხელსაწყოს უქონლობის შემთხვევაში ამ მიზნისათვის უნდა გვქონდეს 250-300 მლ ჭიქა, მინის წკირი, ფაიფურის ჯამი 6-8 სმ დიამეტრით, 2 მლ პიპეტი, გასაფილტრი ქაღალდი.

**რეაქტივები.** ინდიკატორი (ბრომტიმოლბლაუს და მეთილროტის თანაბარი რაოდენობის ნარევი). ანალიზებისათვის საჭიროა აგრეთვე გამოხდილი წყალი.

ანალიზის ჩატარების მსვლელობა. სილოსის 100-150 გ წონაკს ათავსებენ ჭიქაში და უმატებენ იმდენივე მოცულობის გამოხდილ წყალს. ჭიქას პერიოდულად ურევენ და 20-30 წუთის ექსტრაგირების შემდეგ ექსტრაქტს ფილტრავენ. პიპეტით იღებენ 2 მლ ფილტრატს და ათავსებენ ფაიფურის ჯამში ან პალიტრაზე, უმატებენ 2-3 წვეთ ინდიკატორს.

წყალბადის იონების კონცენტრაციას საზღვრავენ ინდიკატორის ფერის შედარებით ჯამში ან პალიტრაზე ქაღალდის სკალით, რომელზედაც აღნიშნულია pH სიდიდე ან ცხრილის საშუალებით.

ორგანოლეპტიკური შეფასების შედეგებს (სუნი, ფერი) და pH -ის სიდიდეს გამოხატავენ ბალებში (ცხრილი 40-41).

### ცხრილი 40

სილოსის შეფასება სუნით და ფერით, ბალებში

№	სილოსის სუნი და ფერი	ბალი
	<u>სუნი</u>	
1	არომატული ხილის, სუსტი მჟავე პურის	4
2	სუსტი არომატით, ძმარმჟავა, კიტრის	3
3	მკვეთრი ძმარმჟავას, ერბომჟავას	2-1
	<u>ფერი</u>	
1	მწვანე	3
2	ყავისფერი ან მოყვითალო-მწვანე	2
3	შავი-მწვანე, შავი	1-0

### ცხრილი 41

სილოსის შეფასება მჟავიანობის მიხედვით, ბალებში

№	ინდიკატორის ფერი		ბალი
1	წითელი	4.2 და ქვემოთ	5
2	მოწითალო-ნარინჯისფერი	4.2-4.6	4
3	ნარინჯისფერი	4.6-5.1	3
4	ყვითელი	5.1-6.1	2
5	მოყვითალო-მწვანე	6.1-6.4	1
6	მწვანე	6.4-7.2	0
7	მომწვანო, ლურჯი	7.2-7.6	0

ბალების შეკრებით pH , სუნის და ფერის მიხედვით, სკალის შესაბამისად მიიღება სილოსის ხარისხის საერთო მონაცემები: ბალიან კარგი – 10-12 ბალი, კარგი – 9-10 ბალი, საშუალო ხარისხის – 7-8, ცუდი – 4-6 ბალი.

3 ბალზე ნაკლებად შეფასებული სილოსი უხარისხოა და მისი პირუტყვის საკვებად გამოყენება არ შეიძლება.

## V.8. სილოსის და სენაჟის მუავიანობის განსაზღვრა

თუ საჭიროა განისაზღვროს სილოსის მხოლოდ საერთო მუავიანობა, გამოიყენება შემდეგი მეთოდიკა: საკვების ზოგიერთი ორგანული მუავების შემცველობაზე ანალიზის დროს, სილოსის საერთო მუავიანობას საზღვრავენ თავისუფალი მუავების საერთო რაოდენობის გამოკვლევის მეთოდიკით. ეს ორივე მონაცემი ტოლფასოვანია.

სილოსის და სენაჟის საერთო მუავიანობის განსაზღვრის მეთოდი მდგომარეობს საანალიზო საკვებიდან გამოხდილი წყლით თავისუფალი მუავების ექსტრაქციაში გამონაწურის შემდგომი გატიტვრით 0.1 ან 0.05 ნორმალობის (ნ) ტუტე ხსნარით.

მოწყობილობა. 1. ტექნიკურ-ქიმიური სასწორი. 2. ბიურეტი ტიტრებისათვის; 3. წყლის შებრუნებული მაცივარი; 4. მაკრატელი; 5. კონუსური კოლბა 750-800 მლ. 6. მინის წკირი.

რეაქტივები. 1. 0.1 ნ. მწვანე კალიუმის KON ან მწვანე ნატრიუმის NaON ხსნარი. 2. ფენოლფტალეინი. 3. ლაკმუსის ქაღალდი.

ანალიზის ჩატარების მსვლელობა. 1. სილოსს ან სენაჟს აღებისთანავე სწრაფად აქცემაცებენ მაკრატლით, ტექნიკურ-ქიმიურ სასწორზე წონიან 20 გ-ს და წონაკი გადააქვთ 750-800 მლ მოცულობის კონუსურ კოლბაში. 2. კოლბაში წონაკზე ასხამენ 200 მლ გამოხდილ წყალს.

3. კოლბას უერთებენ წყლიან შებრუნებულ მაცივარს და კოლბას 1 საათის განმავლობაში აცხელებენ აზბესტის ბადეზე, აღუღებამდე. გახურების დროს ქროლადი მუავები გადადიან სითხედ, ამიტომ ისინი არ იკარგებიან, ვინაიდან მაცივარში კონდენსირების შემდგავრენაში გადავა კოლბაში ბრუნდებიან.

4. მაცივარს არ თიშავენ, კოლბას აცივებენ და ამის შემდეგ, ხელსაწყოს შლიან.

5. კოლბაში ამატებენ 3-5 წელ ფენოლფტალეინს, შემდეგ გაუფილტრავ ხსნარს ურევენ და ტიტრავენ 0.1 ნ. მწვანე კალიუმის ან ნატრიუმის ხსნარით. ტიტრირების დროს პერიოდულად წითელი ლაკმუსის ქაღალდზე 1 წელ გატიტვრულ ხსნარს აწვეთებენ და როცა მის გარშემო მოლურჯო რკალი წარმოიქმნება, გატიტვრას წყვეტენ.

6. სილოსის საერთო მუავიანობას რძემუავის შემცველობაზე საზღვრავენ ფორმულით:

$$x = \frac{a \cdot 0.009 : 100}{20}$$

სადაც X არის საერთო მუავიანობა, %; a – ტუტე რაოდენობა, დახარჯული გატიტვრაზე, მლ; 0.009 – რძის მუავის რაოდენობა, რომელიც შეეფარდება 1 მლ 0.1 ნ ტუტეს, გ; 20 – სილოსის წონაკი, გ;

აუცილებლად ატარებენ პარალელურ განსაზღვრებს, რომლის შედეგების მიხედვით დასაშვებად ჩაითვლება მათ შორის სხვაობა 1%-ის ფარგლებში.

სილოსში რძეს, მმარ და ერბომუავების განსაზღვრა. ამჟამად კიდევ მოქმედი სტანდარტის (23638-79) შესაბამისად თავისუფალი და შებოჭილი რძეს, მმარ და ერბომუავების რაოდენობას საზღვრავენ ლეპერ-ფლიგის მეთოდით. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სილოსის ნაყენის გახურებით წყლის ორთქლთან ერთად გამოიხდება მმრის და ერბოს მუავები, ზუსტად განსაზღვრული რაოდენობით.

რძემუავა ოქრომუავას და გოგრდმუავას ზემოქმედებით იუანგება მმარმუავამდე, რომელიც ასევე იხდება.

რეაქტივები, ჭურჭელი, მოწყობილობა. კალციუმის ოქსიდის 10%-იანი წყალსნარი და 5 წყლიანი გოგირმუავა სპილენბი (ანალიზისათვის სუფთა), 50%-იანი გოგირდმუავას ხსნარი (ქიმიურად სუფთა), 0.05 ნ. მწვანე ნატრიუმის ხსნარი, ფენოლფტალეინის ხსნარი (1 გ ფენოლფტალეინს ხსნიან 100 მლ 70%-იან ეთილის საირგში); ოქრომუავა კალიუმის ხსნარი, 67 გ ოქრომუავა კალიუმის ოქსიდს ხსნიან ოდნავ გაცხელებულ გამოხდილ წყალში, შემდეგ აცივებენ ოთახის ტემპერატურამდე,

უმატებენ 45 მლ გოგირდმჟავას (სიმკვრივე 1.8 გ/სმ<sup>3</sup>) და გამოხდილი წყლით ხსნარის მოცულობას 1 მლ-მდე შეავსებენ. ანალიზის მსვლელობის დროს საჭიროა აგრეთვე გახურებული პემზა, ლაბორატორიული საფილტრის ქაღალდი, ლიბის მაცივარი, რომელიც მთელ სიგრძეზე უნდა იყოს კუთხეების და ნაოჭების გარეშე, მრგვალი ბრტყელირიანი შლიფიანი კოლბები 500 მლ მოცულობის, მრგვალი ბრტყელირიანი 1000 მლ კოლბები, ბიურეტები 10-20 მლ ან დანაყოფებიანი 10-20 მლ ცილინდრები. შუშის ძაბრები 12-15 სმ დიამეტრის, საზომი ცილინდრები 50, 100, 250 და 1000 მლ მოცულობის დანაყოფებიანი კოლბები. კონუსური 100 და 200 მლ მოცულობის კოლბები. ტექნიკური სასწორი  $\pm 0.1$  გ ცდომილების; კოლბის გამახურებელი ელექტროქურა 200 და 300 ვტ; შტატივები.

ანალიზის ჩატარების მსვლელობა. 1. სილოსის საშუალო ნიმუშს კარგად აქცევაცებენ, ურევენ, წონიან მასიდან 100 გ. ათავსებენ 1000 მლ მოცულობის კოლბაში, დანაყოფამდე ასხამენ გამოხდილ წყალს. კოლბას ხუფავენ საცობით და ანჯლრევენ, ხოლო შემდეგ 12 საათით (მთელი დამით) დგამენ გრილ ადგილას ნაყენის მისაღებად. ამ დროის გავლის შემდეგ კოლბაში არსებულ მასას ურევენ და გამონაწურს ბამბაში, ფართოყელიან ძაბრში ან მშრალ ფილტრავენ. 2. ფილტრატისათვის შაქრის მოცლა: მიღებული ფილტრატის 200 მლ გადააქვთ 250 მლ მოცულობის დანაყოფებიან კობაში, ავტომატური ბიურეტით ან ცილინდრით უმატებენ 20 მლ კალციუმის ოქსიდს და 10 მლ გოგირდმჟავა სპილენძს, ანჯლრევენ და ტოვებენ 1 საათით. გამოხდილი წყლით ხსნარის მოცულობას ავსებენ 1 ლიტრამდე, ურევენ და ფილტრავენ ქაღალდის გოფრირებული ფილტრით მშრალ კოლბაში. მიღებული ფილტრატი მზად არის გამოკვლევისათვის. 3. 200 მლ შაქარმოცლილ ფილტრატს ათავსებენ მრგვალ, ბრტყელირიან 500 მლ გამოსახდელ კოლბაში და შებოჭილი მჟავების თავისუფალ მდგომარეობაში გადასაყვანად კოლბას უმატებენ 5 მლ 50%-იან გოგირდმჟავას ხსნარს, ხოლო თანაბარი დუღილისათვის კოლბაში ათავსებენ 4-5 კვარცის ნატებს. კოლბას ანჯლრევენ, სწრაფად უერთებენ ლიბისის მაცივარს და აცხელებენ. 4. ჯერ 20-30 წუთის განმავლობაში (დუღილის დაწყებიდან) პირველ დისტილატს გამოხდიან 100 მლ ოდენობით, შემდეგ 10-15 წუთის გამავლობაში ხდიან სხვა კოლბაში კიდევ 50 მლ (მეორე დისტილატი; აკვირდებიან გამოხდის სისტრაფეს). მიმღებად მოსახერხებელია 50 და 100 მლ დანაყოფებიანი კოლბების გამოექნება, რომლებსაც აქვთ კარგად მორგებული საცობები. დისტილიატების გამოხდის შემდეგ, კოლბებს მაშინვე ჭიდროდ ხუფავენ. 5. პირველი და მეორე დისტილატის გამოხდის შემდეგ გამოსახდელ კოლბაში დარჩენილ სითხეს უმატებენ რძემჟავას ძმარმჟავად დასაუანგად 55 მლ ოქრომჟავა კალიუმს (მისი კოლბის შლიფებზე მოხვედრა დაუშვებელია), აგრეთვე 100 მლ გამოხდილ წყალს. 6. კოლბაში არსებულ სითხეს ახურებენ დუღილის დაწყებამდე და ამის შემდეგ 10-15 წუთის განმავლობაში ხდიან 50 მლ დანაყოფებიან კოლბაში (მეორე დისტილიატი). სილოსის ხარისხის შეფასება მასში მჟავების შემცველობის და მათი თანაფარდობის მიხედვით, %-ით მოცემულია 42-ე ცხრილში.

#### ცხრილი 42

სილოსის ხარისხი	სულ მჟავები	სილოსში მჟავების შემცველობა 18-22% მშრალი ნივთიერებების შემთხვევაში			მჟავათა თანაფარდობა		
		რძის	ძმრის	ერბოს	რძის	ძმრის	ერბოს

			ოსგილებელი	ოსგილებელი	ოსგილებელი	ოსგილებელი			
ძალიან კარგი	2.45	1.77	0.63	0.05	-	-	72	28	-
კარგი	1.71	0.76	0.70	0.16	-	-	44	56	-
საშუალო	1.83	1.14	0.59	0.01	0.04	0.10	62	30	8
ცუდი	2.50	0.59	0.20	0.06	0.26	1.39	24	10	66
საკვებად ვარგისი	0.22	0.09	0.09	0.01	-	0.09	-	-	-

7. ყველა დისტილატი მორიგეობით გადაქვთ კონუსურ კოლბებში. დანაყოფებიან კოლბებს ავლებენ 10-15 მლ წყალს (ყოვეთის წყლის ერთი და იგივე რაოდენობას) და წყალს ასხამენ დისტილატიან კოლბებში. დისტილატებს ტიტრავენ 0.05 ნ. მწვანე ნატრიუმის ხსნარით, რამოდენიმე წვეთი ფენოფტალეინის დამატებით ბაც მოვარდისფრო შეფერვამდე, რომელიც 1 წუთის განმავლობაში არ ქრება. გატიტვრაზე დახარჯული ტუტის რაოდენობას ამრავლებენ 1.25-ზე, ვინაიდან რეაქტივებით და წყლით 200 მლ ფილტრატის შაქრის მოცილებისათვის სითხის მოცულობა დაგვეავდა 250 მლ-მდე, ხოლო მჟავების განსაზღვრისათვის ვიღებდით მხოლოდ 200 მლ შაქარმოცილებულ ფილტრატს. მილილიტრ 0.05 ნ. ტუტის რაოდენობას, რომელიც დაიხარჯა პირველი, მეორე და მესამე დისტილიანტისათვის, აღრიცხავენ შესაბამისი ინდექსებით  $D_1$ ,  $D_2$  და  $D_3$ . სილოსში მჟავების შემცველობას %-ში საზღვრავენ შემდეგი ფორმულებით: ძმარმჟავას –  $0.096D_2 - 0.021 D_1$ , ერბომჟავას –  $0.043 D_1 - 0.068 D_2$ , ერბომჟავას –  $0.123 D_3 - 0.046 D_2 + 0.006 D_1$ .

**მაგალითი.** 0.056 ნ. ტუტე ხსნარის რაოდენობამ, რომელიც დაიხარჯა გატიტვრაზე, კოეფიციენტ 1.25-ზე გამრავლების შემდეგ, შეადგინა:  $D_1 = 21.50$  მლ;  $D_2 = 13.26$ ;  $D_3 = 21.99$  მლ. შესაბამისად, სილოსში მჟავეთის შემცველობა იქნება: ძმარმჟავის  $0.096 \times 13.26 - 0.02 \times 21.5 = 0.82\%$ ; ერბომჟავას  $0.043 \times 21.5 - 0.068 \times 13.26 = 0.023\%$ ; რძემჟავას  $0.123 \times 21.99 - 0.096 \times 13.26 + 0.006 \times 21.5 = 2.22\%$ .

გამოკვლევის საბოლოო შედეგად მიიჩნევენ ორი პარალელური განსაზღვრის საშუალო არითმეტიკულს.

პარალელური განსაზღვრის შედეგების დასაშვები სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს  $\pm 0.03\%$ .

სილოსის ხარისხის საორიენტაციოდ შეფასება მასში ორგანული მჟავების და მათი თანაფარდობის მიხედვით შეიძლება ჩატარდეს მე-6 ცხრილის მონაცემებით

წყლიან საკვებში მჟავიანობის განსაზღვრა. ენერ, ბუყი, ლუდის ხოტი, შაქრის ჭარხლის, ღვინის დუდილის და სახამებლის წარმოების ნარჩენებია. ისინი მეტნაკლებად შეიცავენ თავისუფალ მჟავებს, რომელთა სახეობასა და რაოდენობაზეა დამოკიდებული საკვების ლირსება.

საკვებში ორგანული მჟავების (ძმრის, მჟაუნმჟავას, ვაშლის, ღვინის) უმნიშვნელო რაოდენობა ხელს უწყობს მონელებას, ხოლო საშუალო და დიდი რაოდენობით შემცველობა მავნებელია. ისინი იწვევენ ორგანულის მოწამვლას, საკვებთან (სილოსი, სენაჟი, ენერ, ბუყი და სხვა) ერთად ორგანული მჟავების საერთო სადლედამისო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გგ ფურის მასაზე 1.5 გ-ს.

**მოწყობილობა.** 1. ტექნიკური სასწორი; 2. 1 ლიტრიანი კოლბა; 3. 100 მლ დანაყოფებიანი ცილინდრი; 4. კონუსური კოლბა 250 მლ; 5. ძაბრი; 6. 150 მლ ქიმიური ჭიქა.

**რეაქტივები:** 0.1 ნ. მწვანე კალიუმის ხსნარი. 2. ფენოფტალეინის ინდიკატორი.

ანალიზის ჩატარების მხევლელობა. 1. აწონიან კარგად არეულ 100 გ საკვებს და ათავსებენ ლიტრიან კოლბაში. 2. კოლბაში ასხამენ 300-400 მლ გამოხდილ წყალს, კარგად ურევენ, ავსებენ წყლით 1 ლიტრამდე. კვლავ ურევენ და ტოვებენ 4-5 საათით. 3. კოლბაში არსებულ მასას ურევენ და ფილტრავენ ქაღალდის ფილტრში; 4. იღებენ 100 მლ ფილტრატს, უმატებენ ფენოლფტალეინის ინდიკატორს და ტიტრავენ 0.1 ნ. მწვანე კალიუმის ხსნარით.

თავისუფალი მჟავას საერთო რაოდენობას გადაიანგარიშებენ რაოდენობრივად ჭარბი შემცველობის ძმარ და რძემჟავაზე. 1 მლ 0.1 ნ. მწვანე კალიუმის ხსნარი ანეიტრალებს 0.006 მმრის ან 0.009 გ მმრის მჟავებს.

საკვებში თავისუფალი მჟავების რაოდენობას საზღვრავენ შემდეგი ფორმულით:

$$x = \frac{0.009 \cdot \delta \cdot 10 \cdot 100}{\delta}$$

სადაც 0.009 არის უველა მჟავების რძის მჟავაზე გადასაანგარიშებელი კოეფიციენტი; δ – გატიტვრაზე დახარჯული 0.1 ნ. KOH ხსნარის რაოდენობა, მლ; δ – საკვების წონაკი, გ.

### V.9. საკვებში კაროტინის შემცველობის განსაზღვრა

*ხელსაწყოები, რეაქტივები.* 1. ფოტოელექტროკოლორიმეტრი. 2. ვაკუუმის დგუში. 3. ალუმინის მილები (ადსორბციის სვეტები). 4. ბენზინის კოლბა. 5. ფაიფურის სანაყი და როდინი. 6. კონუსური კოლბები ან 150 მლ მოცულობის ცილინდრული ჭიქები. 7. საზომი ცილინდრი. 8. ბიუხნერის ძაბრი. 9. 100 მლ დანაყოფიანი კოლბა. 10. ჰიგროსკოპიული ბამბა. 11. გამომწვარი და მარილმჟავათი და წყლით გაბრეცხილი თეთრი ქვიშა ან შუშის ფხვნილი. 12. ბენზინი E(super) – 93 ან ეთერი. 13. ალუმინის ოქსიდი 9-10% ტენიანობით. 14. მაგნიუმის ოქსიდი (ГОСТ 4526-75) 9-10% ტენიანობის. 15. უწყლო გოგირდმჟავა ნატრიუმი (ГОСТ 4166-76). 16. აზოტ-ბენზოლი (ГОСТ 13498-68). 17. 96 %-იანი სპირტი. 18. ვერცხლციანწყალბადმჟავა კალიუმის მარილი, ანუ კალიუმის ციანოარგენტანტი (შეიძლება აგრეთვე ფიქსანალის გამოყენებაც).

*გესაერიძენტისათვის* მომზადება. სტანდარტული ხსნარის დასამზადებლად გამოიყენება კალიუმის ბიქრომატი. მას ორ-სამჯერ გადაკრისტალებენ, რისთვისაც 10 გ-ს ხსნიან 25 მლ ცხელი (დაახლოებით 100°C) წყლის ფაიფურის ჯამში და ცივ წყალში დებენ. წარმოქმნილ პატარა კრისტალებს აცალკევებენ სითხისაგან ბიუხნერის ძაბრში გაფილტვრით. გამოყოფილი კალიუმის ბიქრომატის კრისტალებს კვლავ ხსნიან მცირე რაოდენობის ცხელ წყალში და იმეორებენ მის გადაკრისტალებას. გამოყოფილი დანალექი გადააქვთ ფაიფურის ჯამში და აშრობენ მუდმივ მასამდე საშრობ კარადაში 130°C ტემპერატურის პირობებში. შემდეგ 360 მგ კალიუმის ბიქრომატის სუფთა კრისტალებს ათავსებენ 500 მლ მოცულობის კოლბაში (ან 720 მგ-ს 1000 მლ მოცულობის კოლბაში) და ავსებენ მას გამოხდილი წყლით. 1 მლ მომზადებული ხსნარი შეფერილობით შეეფარდება 0.00416 მგ კაროტინს.

*გესაერიძენტის ჩატარება.* კაროტინის შემცველობას საზღვრავენ 2 პარალელურ წონაგში. ამისათვის 3 გ წონაცს ათავსებენ კონუსურ კოლბაში, რომლის ძირი დაფარულია წონაკთან შედარებით სამჯერ მეტი რაოდენობის გოგირდმჟავა ნატრიუმით, უმატებენ 50 მლ ბენზინს, საცობით ხუფავენ, ანჯლრევენ და დგამენ ბნელ ადგილას მეორე დღემდე.

ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ უველა კაროტინოიდი გადავიდეს ხსნარში. ამის შემდეგ იწყებენ ადსორბციას სვეტზე.

სვეტის შევიწროებულ ნაწილში ათავსებენ ტენიან ბამბას, რომელსაც ზემოდან აყრიან 3-5 სმ ადსორბენტის (ალუმინის ოქსიდი) ფენას. სვეტს ათავსებენ ბუნზების კოლბაში სუსტი ვაკუმის ქვეშ, გამონაწურს ატარებენ ადსორბენტში, მას მაშინვე

რეცხავებ ბენზინით მანამდე, სანამ ბოლო წვეთები არ გაუფერულდება. ადსორბციის დამთავრებისთანავე ექსტრაქტის მოცულობას საზღვრავენ საზომი ცილინდრით და იწყებენ კოლორიმეტრიებას ნებისმიერი მარკის ფოტოელექტროკოლორიმეტრზე.

კაროტინის შემცველობას (X) მილიგრამებში კგ საკვებში საზღვრავენ ფორმულით:

$$x = \frac{0.00416 \cdot a \cdot d \cdot 100 \cdot v}{H \cdot 100}$$

სადაც  $a$  არის სტანდარტული ხსნარის რაოდენობა, რომელიც მოძებნილია დაკალიბრებული გრაფიკით, მლ;  $v$  – გამოსაკვლევი ხსნარის მოცულობა, მლ; 0.00416 – 1 მლ სტანდარტული ხსნარის გადასაყვანი კოეფიციენტი მილიგრამი კაროტინის ექვივალენტურ რაოდენობაში. 100 – სტანდარტული ხსნარების მოცულობა, აღებული დაკალიბრებული შეალის მოსამზადებლად, მლ;  $H$  – საკვების წონაკის მასა, გ; 1000 – 1 კგ საკვებზე გადაყვანის კოეფიციენტი.

კაროტინის ფაქტიურ შემცველობად მიიღება ორი შედეგის საშუალო არითმეტიკული მონაცემები. პარალელური განსაზღვრის შედეგების ცდომილება არ უნდა აღემატებოდეს  $\pm 5\%$ -ს.

### თავი მეექსე. მემცნარეობის ნარჩენების საკვებად გადამუშავების ტექნოლოგია

#### VI.1. ხორბლის ნამჯის ნარჩენების საკვებად გადამუშავება მუავური ჰიდროლიზით

კაცობრიობისათვის უძველესი დროიდან იყო ცნობილი ცალკეული ბიოტექნოლოგიური პროცესები: პურის გამოცხობა, ლინის დაყენება, ყველის ამოყვანა, ქმრის დამზადება. მოგვიანებით, ადამიანებმა დაიწყეს ლინის სპირტის გამოხდა. ისტორიული ცნობით, 4 ათასი წლის წინ ჩინეთში სოიასგან ამზადებდნენ სხვადასხვა სახის სოუსებს, 6 ათასი წლის წინ ბაბილონში ხარშავდნენ ლუდს. მაგრამ მაშინ ადამიანებმა არ იცოდნენ ამ პროცესების ბიოლოგიური და ქიმიური მექანიზმი.

ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტებზე და პირუტყვის საკვებზე მოთხოვნილება მოსახლეობის ზრდასთან ერთად ინტენსიურად იზრდებოდა. ფაო-ს 2000 წლის მონაცემებით მოსახლეობის 85% ვერ დებულობს ფიზიოლოგიურ ნორმას, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ცილის დეფიციტი, მაშინ, როცა წარმოების ნარჩენების მხოლოდ 15%-ის გადამუშავებით შესაძლებელია მოსახლეობის ცილებით დაკმაყოფილება. განსაკუთრებით მაღალი ბიოტექნოლოგიების გამოყენებით, როდესაც გარდა ცილებისა, ნარჩენებიდან შეიძლება მიღებული იქნეს მაღალი გამოსვლის პროცენტით: ნახშირწყლები, ცხიმები, ვიტამინები და ფერმენტები. ამ რეზერვების გამოყენება ჩვენი ქვეყნის მომავალი ეკონომიკური განვითარების და ძლიერების საფუძველია, სადაც პირველადი პროდუქტების წარმოების პარალელურად ბიოტექნოლოგიის გამოყენებით უნდა გადამუშავდეს ძირითადი პროდუქციის ნარჩენებიც, პირუტყვის ენერგეტიკული საკვები რესურსების მისაღებად.

საქართველო ტრადიციულად კების მრეწველობის მაღალგანვითარებულ ქვეყნად ითვლება, სადაც დიდი რაოდენობით მიღებული ნარჩენების მეორადი გადამუშავება პრაქტიკულად არ ხორციელდება. ყოველწლიურად ქვეყანაში 1.2 მლნ ტონაზე მეტი ჩაის, ციტრუსების, მებაღეობა-მებოსტნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, ეთერზეთების, საკონსერვო, ზეთოვანი და სხვა წარმოების ნარჩენებია, რომლებიც პრაქტიკულად იკარგება.

90-იანი წლების დასაწყისში, მთელი მსოფლიოს კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში ტარდებოდა გამოკვლევები პიდროლიზის ტექნოლოგიაზე და მიღებული იქნა მის საფუძველზე მრავალი სახის საკვები საფუარი. ჩატარებული იქნა რამდენიმე გამოკვლევა და საწარმოო გამოცდები, რის შედეგადაც გამოიმუშავეს მჟავური პიდროლიზის ტექნოლოგიური მეთოდი ისეთი ნედლეულიდან, როგორიც არის: მარცვლოვანი კულტურების ნამჯა, მზესუმზირის ღერო, კაჭიჭი, ყურძნის ლერწი, აბუსალათინი. შემუშავებულია აგრეთვე ტუტე პიდროლიზის ტექნოლოგია, გამოსაკვლევი ნივთიერების გაზრდის მიზნით საკვები ცილის სინთეზისათვის.

ნამჯა არის თავთავიანი მარცვლეული კულტურების ყველაზე გავრცელებული ნარჩენი, რომელიც ძირითადად პირუტების საკვებად გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, ქიმიური შემადგენლობით იგი მიეკუთვნება ნედლეულს, რომელიც მდიდარია ადვილად პიდროლიზური პოლისაქარიდების კომპლექსით.

ხორბლის ნამჯა საქართველოს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ზონაში შეიცავს საშუალოდ 40% ცელულოზას, 29% ჰემიცელულოზას, 17% ლიგნინს, ბზის ლიგნონი მჭიდროდაა დაკავშირებული ცელულოზა და ჰემიცელულოზასთან, რაც ხელს უშლის პოლისაქარიდების ფერმეტულ პიდროლიზს. ამასთან დაკავშირებით ნამჯის გამოყენებისას მიკრობიოლოგიური ცილის წარმოებისათვის მას ფიზიკურად, ქიმიურად და მიკროორგანიზმებით ამუშავებენ, რომლის ხარისხზე დამოკიდებულია ცელულოზის უტილიზაციის ხარისხი.

საქართველოში ჯერ კიდევ 70-იან წლებში იყო დაწყებული მარცვლოვანთა ნამჯის გამოკვლევა საკვების საფუარის წარმოებისათვის. სამუშაოები ჩატარებული იქნა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყნებშიც. გამოკვლეული იქნა ბზის პიდროლიზიგური გადამუშავების რამოდენიმე ხერხი, რომელთაგანაც ყველაზე უფექტურია პერკორაციული პიდროლიზი, პიდროლიზი ვალცევის პიდროლიზატორზე და ვიბროწისქვილზე, აგრეთვე კონცენტრირებული  $H_2SO_4$ , HCE -ის მცირე დოზებით. ასე შემუშავდა მარცვლოვანთა ნამჯისა და ბზის პერკოლაციური პიდროლიზი გამოსაცდელ პიდროაპარატზე, მოცულობით 2.8 მ<sup>3</sup>. რედუცირებული ნივთიერებების გამოსავალმა შეადგინა 41.2% აბსოლუტურად მშრალი ნივთიერების მასასთან. ნამჯის პიდროლიზი მცირე დოზებით კონცენტრირებული  $H_2SO_4$ -ით გვაძლევს რედუცირებული ნივთიერების 51% გამოსავალს მთლიანი მასიდან. ვიბროწისქვილზე პიდროლიზის მეთოდი წარმოადგენს მასის დაჭუცმაცებას, რომელიც შეიცავს 0.1  $MH_2SO_4$  შემდგომი 80°C –ზე თერმოდამუშავებით, ან ხანგრძლივი დაყოვნებით 23°C –ზე. რედუცირებული ნივთიერების გამოსავალი შეადგენს 60% ნედლეულის მასიდან. შესწავლილია კინეტიკა პოლისაქარიდების პიდროლიზისა განსაზღვრული გოგირდმუაგათი. ყურადღებას იმსახურებს პიდროლიზის ორტაქტიანი მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენება პიდროლიზის ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზას წარმოადგენს და შესაძლებლობას გვაძლევს მნიშვნელოვნად გაგაუმჯობესოთ მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვნებლები. ჰემიცელულოზისა და ჰექსობოს პიდროლიზატორების განცალკევებული მიღება შესაძლებლობას გვაძლევს მიღებული შაქარი გამოვიყენოთ არა მარტო სპირტისა და საკვები საფუარის წარმოებისათვის, არამედ სხვა ძვირფასი პროდუქტებისათვის, მაგალითად, ფურფუროლი, გლუკოზა და სხვ.

ნამჯის პერკოლაციური პიდროლიზის გამოკვლევა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვნებლების გაუმჯობესების მიზნით, საკვები საფუარის წარმოებაში საჭიროებს შემდეგი პარამეტრების შეცვლას: პროცესის ხანგრძლივობა, პიდროლიზის ქიმიური კრიტერიუმი, გოგირდმუაგას დანახარჯი, რედუცირებული ნივთიერების გამოსავალი და მათი შემცველობა პიდროლიზატორში. აგრეთვე პიდროლიზ-აპარატის დატვირთვის სიმკვრივის გაზრდა.

პერკოზური პიდროლიზის განხორციელებისათვის იქნა შერჩეული უწყვეტი მოქმედების შეკრული ტიპის პიდროლიზატორი. უწყვეტი პროცესი გვაძლევს საშუალებას შევამციროთ წარმოებაში უარყოფითი მოქმდება ისეთი ფაქტორებისა,

როგორც არის ნედლეულის დატვირთვის მცირე მასა. კატალიზატორად იქნა შერჩეული HCE და  $H_2SO_4$ -ის ხსნარები.

ჰიდროლიზის წინა პროცესის გამოკვლევას წინ უძღვდა ხორბლის ნამჯისა და ბზის ცელოლიგნინის ფიზიკური, ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებების გამოკვლევა.

### ხორბლის ნამჯის ქიმიური შედგენილობა

#### ცხრილი 43

№	კომპონენტები	%-ული შემცველობა აბსოლუტურად მშრალი ნივთიერებების მასასთან
1	ნივთიერებათა ექსტრაქირება ეთერით	8.18
2	ნივთიერებათა ექსტრაქირება წყლით:	ცვალებადი
3	პოლისაქარიდები: ადვილად ჰიდრ. ქნელად ჰიდრ.	24.2 39.3
4	ლიგნინი	19.81
5	პენტოზა	27.00
6	ცვილი და ფისი	2.73
7	აზოტშემცველი ნივთიერება	1.66
8	ცელულოზა	38.00
9	შარდმჟავა	5.06
10	ნაცარი	7.8

ცელოლიგნინი შეიცავს დაახლოებით 55% პოლისაქარიდებს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდგომი ჰიდროლიზისათვის. პექსოზური შაქრის მისაღებად, მისი დატვირთვის მასა გადაყვანილია აბსოლუტურად მშრალ ნივთიერებაზე და შეადგენს 180-200 კგ/მ<sup>3</sup>.

შესწავლილია ხსნადობა ნამჯისა და ბზის ადვლადჭიდროლიზებული პოლისაქარიდებისა გოგირდ და მარილმჟავებში, რომლებიც ჰიდროლიზის სიჩქარის მიხედვით იყოფიან ფრაქციებად.

ტექნოლოგიურობა ბზისა და ცელულიგნინისა ხასიათდება მისი დატვირთვის გზითა და შიგა ჰიდრომოდულით.

ნამჯის მასის ჩატვირთვის და ჰიდრომოდულის  
დამოკიდებულება დაქუცმაცების ხარისხთან

#### ცხრილი 44

მაჩვენებელი	ნაწილაკების ზომა, სმ					
	5.0	2-5	3-4	3-4 სს. გაუდენით	0.5-1	0.5-2 სს. გაუდენით
ჩატვირთვის მასა კგ.	45.0-55.0	64.0-75.0	85.0	92.0	127	138
შიდა ჰიდრომოდული	-	-	3.8-8.0	-	7.0-7.8	-

პრაქტიკული გამოყენებისათვის უფრო მისაღებია ნამჯის დაქუცმაცება 3-4 სმ ნაწილებამდე, რომელიც ჩაყრილია ჰიდროლიზის აპარატში. ერთდროულად დასველებულია მჟავით, რომელთანაც უნდა მოიხარშოს. 0.5-1.0 სმ ნაწილაკების მიღება დაკავშირებულია მთელ რიგ ტექნიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებთან.

ნამჯის პირველადი ჰიდროლიზი წარმოებს უწყვეტი მოქმედების შეცვალი ტიპის აპარატში, რომელიც შეიმუშავეს დაბალმოდულიანი ჰიდროლიზისათვის ატმოსფერული

წნევის პირობებში. ხორბლის ნამჯა საწყობიდან გადადის საჭრელში, საიდანაც 3-4 სმ-ზე დაქუცმაცებული გადადის ბუნკერში, შემდეგ ამრევში. ამრევში შეერევა გოგირდმჟავას, გაფლენთილი ნამჯა დოზატორის საშუალებით მიღის პიდროლიზაპარატში, სადაც მიღება ადვილად პიდროლიზებადი პოლისაქარიდები. პიდროლიზა აპარატიდან ნამჯა ხვდება გამტუტიანებელ აპარატში, სადაც მისგან წყლით გამორცხავენ შაქარს 90-95°C ტემპერატურაზე. გარეცხილი და გაწურული ცელოლიგნინი შენებით მიემართება შემდგომი გადამუშავებისათვის თერმულ კამერაში, სადაც ცივდება და გადადის ნეიტრალიზატორში, აქედან კი სალექში. დალექვის შემდეგ გადაეწყოდება დროკამცლელ ჩანში. დროკის სუსპენზია გადადის სეპარატორში, სადაც ნაწილდება სითხედ და პასტად. პასტა მიღის გამშრობში და შრება 10% ტენიანობამდე. საკვები საფუარი დაფასოვდება ტომრებში და ეგზავნება მომხმარებელს.

#### ცხრილი 45

ნამჯის პიდროლიზის შედეგად მიღებულ ნივთიერებათა შემცველობა, %

№	კომპონენტები	შემცველობა, %
1	რედუცირებული ნივთიერება	1.52
2	მჟავები: მინერალური ორგანული ბრომირებული ნივთიერება	0.096 0.020 0.115
3	ფურცუროლი	0.026
4	ლიგნოგუმინური ნივთიერება	0.087
5	დექსტრინები	0.050
6	კოლოიდები	0.056
7	ნაცარი	0.250
8	მიკრო და მაკრო ელემენტები	
9	ფოსფორი	22.9
10	აზოტი	70.0
11	კალიუმი	85.4
12	კალციუმი	148
13	მაგნიუმი	180
14	მონოსაქარიდები	
15	ქსილოზა	79.4
16	არაბინოზა	11.25
17	გლუკოზა	8.94
18	გალაქტოზა	0.25

#### VI.2. მზესუმზირას ღეროს გადამუშავება საკვებად

პიდროლიზის ნედლეულად გამოიყენება აგრეთვე მზესუმზირას ღერო, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ნედლეულის წყაროებისაგან. მზესუმზირის ღეროს ახასიათებს უფრო მაღალი აქტიური ნაცრის შემცველობა. გამოსავალი მცირდება პიდროლიზის დროს 20%-მდე და აქვს პენტოზების დაბალი შედგენილობა 10%-მდე. პრაქტიკულად არა აქვს ჰემიცელულოზის პირველი ფრაქცია ადვილად პიდროლიზებულ პოლისაქარიდებში. აქვს უფრო მაღალი შედგენილობის ცელულოზის ფრაქცია მაღალი პოლიმერაციის ხარისხით და საუკეთსო გაფილტვრის შესაძლებლობა პიდროლიზის ხარშვის პროცესში.

დეროს ქიმიური შედგენილობა ასეთია: ტენიანობა ადებისას 32-38%, აბსოლუტურად მშრალი ნივთიერებაზე გადაანგარიშებით ცვილი და ფისი 1.62%, აზოტოვანი ნივთიერება 1.64%, ნაცარი 4.87%, ცელულოზა 36.78%, ლიგნინი 23.55%, პენტოზინი 10.31%, შარდმეავა 8.36%, ადვილად ჰიდროლიზებადი პოლისაქარიდები 16.58%, ძნელად ჰიდროლიზაბადი პოლისაქარიდები 39.76%.

მზესუმზირის დეროს ჰიდროლიზის რეაქტორის პარამეტრების გამოკვლევისათვის ტარდებოდა მთელი რიგი ლაბორატორიული ცდები ავტოკლავში საფეხურებრივი ჰიდროლიზით. ჰიდროლიზის აპარატის დატვირთვის გაზრდის მიზნით, დეროვები ქუცმაცდება 3-4 სმ-მდე, რის გამოც ჩასაყრელი მასა იზრდება 90 კგ/მ<sup>3</sup>. შეთბობა მიმდინარეობს 30 წუთის განმავლობაში, 6 ატ. წნევის პირობებში, რომლის პერკოლაციის დრო 150 წუთი გრძელდება. H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის კონცენტრაცია შეთბობის დროს 1.5%, პერკოლაციის პერიოდი 0.5-0.6%. რედუცირებადი ნივთიერების გამოსავალი ლაბორატორიულ პირობებში შეადგენს ნედლეულის მასის 45-50%, პილოტის დანადგარზე 38-40%.

ცდები პერკოლაციურ ჰიდროლიზისა და საკვები საფუარის მიღებისათვის ტარდება 17% ტენიანობის პირობებში. დატვირთვის მასა შეადგენს 100 კგ/მ<sup>3</sup>. ჰიდროლიზის დაწყებამდე 40 მ<sup>3</sup> ტევადობის აპარატში წინასწარ იტვირთება მზესუმზირის ჩენჩო.

ჰიდროლიზის პექტოზური ნაწილი შეადგენს: ქსილოზა 52.2%, გალაქტოზა 22.2%, პექტორზური ნაწილში აღმოჩენილია ქსილოზის 21.1%, 4.6% არაბინოზა, 2% გალაქტოზა და 61.5 გლუკოზა.

მზესუმზირის დეროს სამრეწველო გადამუშავება გართულებულია ეფექტური ტექნიკის უქონლობის გამო. ამასთან დაკავშირებით მზესუმზირის დერო საჭიროა განვიხილოთ როგორც პოტენციური ნედლეული საკვები ცილის მისაღებად.

### VI.3. დაფნის კაჭიჭის გადამუშავება საკვებად

ჰიდროლიზის მრეწველობის ნედლეულად ამ კულტურისადმი ინტერესი დიდი ხანია ყურადღების ცენტრშია. მისი გამოყენება საკვები ცილის მიკრობიოლოგიურ სინთეზში დაწყებული იქნა 60-იან წლებში, მაგრამ დრმა გამოკვლევები, მისი ქიმიური, ტექნილოგიური და ჰიდროლიზური თვისებების შესასწავლად სამრეწველო მიზნით გამოყენებისათვის ადრე არ სწარმოებდა.

დაფნის კაჭიჭი დარჩა პოტენციური სახეობის ნედლეულად ჰიდროლიზ-საფუარიანი ქარხნებისათვის.

განსაზღვრულია ქიმიური და გრანომეტრული შედგენილობა დაფნის კაჭიჭისა, აგრეთვე მისი მოძრაობა, აქტიური ნაცარი, წყლის ელემენტების შედგენილობა, ჩატვირთვის მასა, სამუშაო სითხის მარაგი, ნედლეულის მოცულობის შემცირება ჰიდროლიზის პროცესში, ბრიკეტების ეფექტურობა, ფილტრაციული შესაძლებლობები, პოლისაქარიდების ჰიდროლიზის კინეტიკური თავისებურება, ფრაქციული შედგენილობა, ემიცელულოზა, ცელულოზას პოლისაქერსიულობა, მისი ცვლილება სფერობრივი ჰიდროლიზის დროს და სხვა თვისებები. ამ ნედლეულის ჰიდროლიზის დროს დადგენილია, რომ დაფნის კაჭიჭი ახლოს არის ქიმიური შედგენილობით, აგრეთვე ტექნილოგიური თვისებებითაც მზესუმზირის ჩენჩოსთან, კერძოდ, კი პოლისაქარიდებისა და ლიგნინის შემცველობით, აქტიური ნაცრის ელემენტებით, ნედლეულის ნაწილების მოძრაობით. ჩასატვირთო მასა მერყეობს 104-108 კგ/მ<sup>3</sup>. უნდა აღინიშნოს მისი უფრო დაბალი გაფილტვრის შესაძლებლობა ჰიდროლიზის ბოლოს. ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ დაფნის კაჭიჭი ხასიათდება პოლისაქარიდების დაშლისა და ჰიდროლიზის უფრო დაბალი სიჩქარით.

№	კომპონენტები	კანაფის კაჭიჭი,%	სელის კაჭიჭი,%
1	ტენიანობა	7.02	9.06
2	ცვილი და ფისი	2.04	4.84
3	აზოტოვანი ნივთიერება	1.03	1.25
4	ცელულოზა	28.23	26.15
5	ლიგნინი	27.40	32.80
6	ჰენტოზები	15.48	11.96
7	შარდმჟავა	5.80	5.37
8	ადვილადპიდროლიზებადი პოლისაქარიდები	20.38	17.97
9	ძნელადპიდროლიზებადი პოლისაქარიდები	39.30	33.82
10	ნაცარი	3.20	3.97
11	აქტ. ნაცარი	2.93	1.64

ჰერკოლაციური ჰიდროლიზის დროს ეს კულტურები უფრო ტექნოლოგიურია, ვიდრე სიმინდის ნაქურჩალი, ნამჯა, ბზე ან მზესუმზირის ღერო. შაქრის შემცველობით ის არ ჩამორჩება ტრადიციულ ნედლეულს; ჰემიცელულოზის ნაკრები შეიცავს 60%-მდე ქსილოზს. ძნელად ჰიდროლიზაბადი პოლისაქარიდების ჰიდროლიზის დროს წარმოიქმნება 80%-მდე გლუკოზა. მინერალური ნივთიერებების შემადგენლობაში შედის მაგნიუმი, ფოსფორი, კალიუმი და სხვ. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით გამოკვლეული იყო მისი ბრიკეტირების შესაძლებლობა და გამოკვლეულებმა ცხადყო, რომ ბრიკეტირება უფრო მიზანშეწონილია ნედლეულის ტრანსპორტირების დროს, ვიდრე მისი ჰიდროლიზისათვის, აპარატში ჩატვირთვის დროს, ვინაიდან ბრიკეტები აუარესებენ მის პერკოლაციურ თვისებებს.

ტექნოლოგიურად გასუფთავებულ ჰიდროლიზატს, მიღებულს ჰიდროლიზატში აქვს შემდეგი შემადგენლობა: რედუცირებული ნივთიერება 1.94-2.27%, მინერალური მჟავები 0.50-0.58%, ორგანული მჟავები 0.47-0.46%, ფურფუროდი 0.6547-0.06300, ბრომირებადი ნივთიერება 0.24-0.25%, კოლოიდები 0.093-0.012%, pH 1.6-1.62. ამ კულტურების მთლიანი ჰიდროლიზატი კეთილთვისებიანია, შედარებით დაბალი საფუარის ზრდის ინპიბიტორების გამოყენების შემთხვევაში.

#### VI.4. ვაზის ლერწის გადამუშავება

ვაზის ლერწი მიიღება მისი საგაზაფხულო და საშემოდგომო გასხვლის შედეგად. მისი გამოსავალი ნორმალური ტენიანობის დროს შეადგენს 2-4 ტ/ჰა-ს. ვაზის ძირითადი ვეგეტატიური მასა გახევებულია, რომელიც შედგება ქერქისაგან, შუაგულისაგან, ჰიდროლიზისათვის ის უნდა დაქუცმაცდეს 20-25 მმ. ამასთან მისი ჩასაყრელი მასა მერყეობს 140-160 კგ/ტ<sup>3</sup>. ვაზის ლერწმის ქიმიური შედგენილობა არის მუდმივი და იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ჯიშისაა ყურძენი, დამოკიდებულია აგრეთვე წარმოების ადგილზე, მოჭრის დროზე და სხვა ფაქტორებზე.

#### ვაზის ლერწის ქიმიური შედგენილობა

ცხრილი 47

№	კომპონენტები	%, შემცველობა
1	ნაცარი	2.90
2	ადვილად პოლ.	26.10
3	ძნელად პოლ.	34.50

4	ცელულოზა	33.01
5	პენტოზინი	17.95
6	ფურფუროლი	14.01
7	ლიგნინი	28.28
8	მონოსაქარიდ. ადვილადპიდ.	
	პოლისაქარიდები	
	გალაქტოზა	1.52
9	გლუკოზა	3.76
10	მანნოზა	1.12
11	ქსილოზა	15.02
12	არამინოზა	1.23
13	რამნოზა	0.84
14	ურონის მჟავა	1.92
15	მონოსაქ. მნელადპიდ.	
	პოლისაქარიდები	
	გლუკოზა	30.98
16	ქსილოზა	2.46

ვაზის ლერწის ძირითად ნაწილს შეადგენს პოლისაქარიდები, საშუალოდ 53-61%. შეფარდება ადვილად ჰიდროლიზებად და მნელადპიდროლიზებად პოლისაქარიდებს შორის არის 1:1.2. პოლისაქარიდების შედგენილობით ვაზის ლერწი უახლოვდება ხორბლისა და ბრინჯის ნამჯას, რომელთა პოლისაქარიდების რაოდენობა მერყეობს 25-27%-მდე, ხოლო ჰიდროპოლისაქარიდები ერთნაირია. ვაზის ლერწის ჰიდროლიზის პარამეტრების გამოკვლევის დროს ჩატარებული იქნა ერთსაფეხურიანი და მრავალსაფეხურიანი ლაბორატორიული გამოკვლევები პერიოდული მოქმედების ავტოკლავში. რედუცირებული ნივთიერებების ტემპერატურაზე და დროზე დამოკიდებულების გრაფიკს აქვს ორი მაქსიმუმი, რომლებიც მდებარეობენ ზღვრებში 140-160. ასეთ ერთსაფეხურიანი ჰიდროლიზის დროს შაქრის დაბალი გამოსავლიანობაა, რომელიც მნიშვნელოვნად იზრდება მრავალსაფეხურიანი ჰიდროლიზის დროს. ვაზის ლერწის ჩატვირთვის წინ აქცემაცებენ 30-120 მმ-მდე. ჰიდროლიზის ახორციელებენ ჰიდროლიზ-აპარატში მოცულობით 40 მ³. გამოიყენება მზესუმზირას ჩენჩოს და ვაზის ლერწის ნარევი თანაფარდობით 1:1. მაქსიმალური გამოსავალი რედუცირებული ნივთიერებისა მზესუმზირის ჩენჩოსა და ვაზის ლერწის ნარევის შემთხვევაში 2.7%-ია, რომელიც მიიღება 60 წუთის შემდეგ, ხოლო მხოლოდ მზესუმზირის ჩენჩოს შემთხვევაში გამოსავალი 2.1% და მიიღება 90 წუთის შემდეგ. ჰიდროლიზი ხორციელდება განზავებული  $H_2SO_4$ -ის დამატებით. გამოსავალი რედუცირებადი ნივთიერებისა 1 ტ აბსოლუტურ მშრალი ლერწიდან საშუალოდ 40%-ია, ხოლო ვაზისა და მზესუმზირას ჩენჩოს ნარევის დროს, 38%. ეს გამოწვეულია აპარატის ნაკლები დატვირთვით.

ვაზის ლერწის ჰიდროლიზით მიღებული საკვების  
ქიმიური შედეგებისა

#### ცხრილი 48

№	კომპონენტები	%, შედგენილობა
1	რედუც. ნივთიერება	2.57
2	მჟავები: ორგანული	1.92
3	მინერალური	0.54
4	ორგანული	0.84
5	ბრომირებული ნივთიერება	0.146
6	ფურფუროლი	0.096
7	კოლიօდები	0.3355
8	კალციუმი	485.77 მგ/ლ

9	გაგნიუმი	282.4 მგ/ლ
10	კალიუმი	340.0 მგ/ლ
11	მონოსაქარიდები: ქსილოზა	34.2
12	გლუკოზა	44.5
13	არამონზა	8.0
14	გალაქტოზა	6.8
15	რამნოზა	4.2

ვაზის ლერწის ჰიდროლიზის მონოსაქარიდების ხარისხობრივი შედგენილობა ანალოგიურია ისეთი ჰიდროლიზისა, როგორიცაა მზესუმზირას ჩენჩოს, სიმინდის ნაქურჩის, ბრინჯისა და შვრის ბზე.

#### VI.5. ვაშლის ხის ნასხლავის გადამუშავება საკვებად

ვაშლის ხის ნასხლავი მიიღება საგაზაფხულო და საშემოდგომო სხვლის შედეგად. ნასხლავის გამოსავალი ნატურალური ტენიანობის (40-50%) დროს შეადგენს 3-5 ტონას პექტარზე. სამრეწველო გამოყენებისათვის იგი უნდა დაქუცმაცდეს. ჩასაყრელი მასა აბსოლუტურად მშრალი ხის ნაფოტების ზომით (20-50 მმ) შეადგენს 150-165 კგ/მ<sup>3</sup>. ქიმიური შედგენილობა ნასხლავისა ისევე როგორც ყურძნის ლერწისა დამოკიდებულია ჯიშზე, სახეობაზე. პოლისაქარიდების საერთო შემცველობით ისინი ჩამოუვარდებიან ვაზის ლერწს, მაგრამ უახლოვდებიან ბრინჯისა და მზესუმზირის ჩენჩოს.

ხეხილის ნასხლავი განსხვავდება ერთმანეთისაგან ადვილად და ძნელად ჰიდროლიზაბადი პოლისაქარიდების შემცველობით. პენტოზების ოროდენობით ის მიეკუთვნება პენტოზაშემცველ ნედლეულს. ვაშლის ხის ნასხლავი შეიცავს 10% ექსტრაგირებად ნივთიერებას, რომლებიც ახდენენ მასტიმულირებელ მოქმედებას საკვები საფუარის მიღების დროს. ვაშლის ხის ნასხლავის ქიმიური შედგენილობა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: ნაცარი 3.14%, ადვილად ჰიდროლიზაბადი საქარიდები 22.64%, ძნელად ჰიდროლიზებადი პოლისაქარიდები 28.82%, ცელულოზა 26.47%, პენტოზები 16.34%, ფურფუროლი 13.38%, ლიგნინი 20.16, მონოსაქარიდები, რომლებიც შედიან ადვილად ხსნად ჰიდროპილისაქარიდების შემადგენლობაში: გალაქტოზა 1.12%, გლუკოზა 4.18%, ქსილოზა 11.27%, არამონზა 1.45%, შარდმჟავა 5.62%. მონოსაქარიდები, რომლებიც შედიან ძნელად ჰიდროლიზებად პოლისაქარიდების შემადგენლობაში: გლუკოზა 20.45%, ქსილოზა 6.15%, ადსანიშნავია რომ ადვილად ჰიდროლიზებად პოლისაქარიდების ჰიდროლიზატში გლუკოზის შედგენილობა ორჯერ მეტია, ხოლო ქსილოზა 2-3-ჯერ ნაკლები ვიდრე არყის ხის შესაბამის ჰიდროლიზატში.

ხეხილის ხეების გასხვლის ჰიდროლიზური კომპლექსური გამოკვლევები ტარდება ჰიდროლიზაპარატში მოცულობით 40 მ<sup>3</sup>. მისი ქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლებია: რედუცირებული ნივთიერებები 3.28%, ფურფუროლი 0.048%, ბრომირებული ნივთიერება 0.169%, მინერალური მჟავეები 0.40%, ორგანული მჟავეები 0.76%, დექსტრინები 0.09%, აწონილი ნივთიერებები 0.98 გ/ლ, აზოტი 406 მგ/ლ, ფოსფორი 180 მგ/ლ, შარდმჟავა 0.280%, ოლიგოსაქარიდების კვალი, გალაქტოზა 0.450%, გლუკოზა 0.830, არაბონზა 0.765, ქსილოზა 0.435, რამნოზა 0.030, ბრომირებადი ნივთიერებები 0.275%.

#### VI.6. ბოსტნეულის საწყობების ნარჩენების გადამუშავება საკვებად

ბოსტნეულის საწყობის და საკონსერვო წარმოების ნარჩენები - ხილი და ბოსტნეული, არის წყარო მრავალი ნივთიერებისა, რომლებიც აუცილებელია ადამიანის და პირუტყვის სიცოცხლისუნარიანობისათვის. მასში შედიან

ნახშირწყლები, ორგანული მჟავები, მინერალური, არომატული და მდებავი ნივთიერებები, სხვადასხვა ვიტამინები, ნარჩენების წარმოიშობა-შენახვის, ტრასპორტირებისა და ნედლეულის გადამუშავების დროს მიღებული ანარჩენები.

მარტო კომბოსტოს გადამუშავების დროს ანარჩენი შეადგენს ნედლეულის მასის 30%-ს. ისინი შეიცავენ: წყალს 90%, ცილებს 1.6%, შეუცვლელ ამინომჟავებს ( $\text{მგ}/100\text{გ}$ ): ვალინი 59, იზოლეიცინი 50, ლეიცინი 66, ლიზინი 61, მეთიონინ 22, ალანინი 45, ტრეფტოფანი 10, ფენილალანინი 30, აგრეთვე ვიტამინი C – 45  $\text{მგ}/100\text{გ}$ , ლისიდები 0.1, გლუკოზა 0.2, ფრუქტოზა 1.6, საქართვა 0.4, სახამებელი 0.1, პექტინი 0.6, კალიუმი 0.85, კალციუმი 0.048, მაგნიუმი 0.016, ნატრიუმი 0.013, გოგირდი 0.037, ფოსფორი 0.013, ქლორი 0.037.

სტაფილოს ნარჩენები შეადგენენ ნედლეულის მასის 17-20%-ს. ისინი გამოირჩევიან მინერალური ნივთიერებების მრავალფეროვნებით  $\text{K}_2\text{O}$  – 37,  $\text{Na}_2\text{O}$  – 21.9,  $\text{CaO}$  – 11.3,  $\text{P}_2\text{O}_5$  – 13,  $\text{PgO}$  – 44,  $\text{F}_2\text{O}_3$  – 1.01,  $\text{SiO}_2$  – 4.6,  $\text{SO}_3$  – 6.5 და სხვა.

კარტოფილის გადამუშავების დროს სახამებდად ნარჩენი შეადგენს ნედლეულის მასის 10-24%-ს. საერთო დანაკარგები შეადგენენ კარტოფილის მასის 40-50%-ს. ქიმიური შედგენილობა კარტოფილის მაგარი ნარჩენისა არის %-ში სახამებელი 50, უჯრედანა 25, ნახშირწყლები 2.5, მინერალური ნივთიერებები 6.2, ნედლი პროტეინი 6.0.

ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო გადამუშავების ყველა ნარჩენები შეადგენს სრულყოფილი ნედლეულის მოკროორგანიზმების ზრდის ხელსაყრელ ნედლეულს, რადგანაც შეიცავს ამისათვის საჭირო ყველა ელემენტს.

### ბოსტნეულის ანარჩენების ქიმიური შედგენილობა

ცხრილი 49

კომპონენტები	ხილის ნარჩენი	ბოსტნეულის ნარჩენები
ნახშირწყლები	8.3-19.0	3.0-17.0
ცილები	0.3-1.3	0.2-6.7
ცხიმები	0.2-0.6	0.1-0.5
ნაცარი	0.3-0.6	0.6-1.2
ვიტამინები, მგ%		
A	0.05-1.75	7.2
B	0.02-0.75	0.03-0.36
C	0.0-0.07	0.02-0.25
D	4-200	6-68

როგორც ქიმიური შედგენილობის 21-ე ცხრილიდან ჩანს, ამ ნარჩენების შემდგომი გადამუშავებით შეიძლება მივიღოთ მთელი რიგი ძვირფასი პროდუქტებისა. ლიტერატურაში აღწერილია მრავალი მეთოდი მცენარეული ნედლეულის გადამუშავებისა, მათ შორის ზოგადი ჰიდროლიზი მაღალი ტემპერატურის პირობებში, (მჟავების კონცენტრაცია – 3%-მდე,  $130^{\circ}\text{C}$  ტემპერატურა).

გამოკვლევები კარტოფილის, კომბოსტოს და სტაფილოს ჰიდროლიზაცია, (რომლებიც შეიცავენ მასით 25-50% სიდამპლის სოკოებს), გვიჩვენებს რომ შედარებით თბილი ჰიდროლიზის რეზიმის დროს  $120-140^{\circ}\text{C}$  პირობებში მიიღება სუბსტრაქტი, რომელიც არ შეიცავს მავნე მინარევებს. მათი მომზადება მიკრობიოლოგიური სინეზისათვის წარმოადგენს ნეიტრალიზაციას გოგირდ მჟავათი, რომელიც წარმოადგენს კატალიზატორს, მას ემატება გარკვეული რაოდენობით საკვები მარილიც.

ბოსტნეულის ნარჩენების ჰიდროლიზის ქიმიური შედგენილობა  
მასის 25-50% სიდამპლით

კომპონენტები	ჰიდროლიზაციის ნარჩენები		
	კარტოფილი		სტაფილო
	25% სიდამპლე	50% სიდამპლე	50% სიდამპლე
რედუც. ნივთიერება	9.86	10.98	3.73
ორგ. მჟავები	0.43	2.1	1.7
ფურფუროლი	ნიშნები	ნიშნები	ნიშნები
ბრომის ნივთ.	ნიშნები	0.53	0.43
ფოსფორი მგ/ლ	500	673	-
აზოტი მგ/ლ	520	620	-
მონოსაქარაროზა;	30.04	32.8	16.4
ქსილოზა			
მანნოზა	8.0	8.6	12.4
გალაქტოზა	8.6	9.1	11.1
გლუკოზა	-	-	-
სპირტები: ინოზიტი	53.0	49.5	50.3

#### VI.7. შაქრის ქარხნების, სახამებლისა და საფუარის მრეწველობის ანარჩენების გადამუშავება

მელასა ანუ საკვები ბადაგი კვების თვალსაზრისით, ყველაზე ძვირფასი შაქრის ჭარხლის მრეწველობის ანარჩენია. ის ნახშირწყლებით მდიდარი საკვებია და უზრუნველყოფს შარდოვანას აზოტის შეთვისებას მცონნავი პირუტყვის მიერ. კომბისაკვებში მელისას არსებობა უზრუნველყოფს ნარევის ერთგვაროვნობას, ხელს უშლის კომბისაკვების ფრაქციებად დაყოფას და გამოიყენება უმაღლესი ხარისხის კომბისაკვების გრანულირების დროს; ამაღლებს გრანულიანტების წარმოებას, აუმჯობესებს მიკროინგრედიანტების კომბისაკვებში შეყვანის ტექნიკურობის, საშუალებას იძლევა შემცირდეს თერმული დამუშავების დონე კომბისაკვების გრანულირების პროცესში; ამით ამცირებს ინაქტივაციურ გავლენას და ბიოლოგიურად ძვირფასი საფუაოო ნივთიერებების დანაკარგებს.

ჰიდროლი არის გლუკოზის წარმოების თანმხლები პროდუქტი სახამებლისა და ბადაგის მრეწველობაში. ის შეიცავს 50%-მდე შაქრებს, 10%-ზე მეტ სუფრის მარილს. ჰიდროლი შედარებით ნალებად ბლანტია, ვიდრე მელისა, ამიტომ კარგად შეერევა კომბინირებულ საკვებში და ფართოდ გამოიყენება გრანულირებული კომბისაკვების მრეწველობაში.

შაქრის ჭარხლის უმი მიიღება როგორც თანმხლები პროდუქტი შაქრის ჭარხლის გადამუშავების დროს. კომბისაკვების დასამზადებლად გამოიყენება მშრალი ჟომი. მას აშრობენ შაქრის ქარხნებში, რომელიც წარმოადგენს ნეზვების, სასუქი ღორების, მეწველი ძროხების და სუქებაზე მყოფი მხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის კომბინირებული საკვების დასამზადებლად. კომბისაკვებში შეტანამდე ჟომს აქცენტირებენ, რომლის საფუძველზე შეიძლება შარდოვანათი და სხვა სინთეტიკური აზოტოვანი ნივთიერებებით გამდიდრებული ბრიკეტების და გრანულების დამზადება.

ძუები მიიღება სპირტის წარმოებისას ხორბლისა და კარტოფილის ნარჩენის სახით, რომელიც 95%-მდე წყალს შეიცავს. გამშრალი ძუები წარმატებით შეიძლება შეტანილი იქნეს ღორებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კომბინირებული საკვების ერთერთ კომპონენტად.

ლუდის ალათს ნაწური ლუდის წარმოების თანმხლები პროდუქტი (მირითადად ქერის). ნაწური მდიდარია B და E ჯგუფის ვიტამინებით, გამოშრობის შემდეგ იგი გამოიყენება სუქებაზე მყოფი პირუტყვის კომბისაკვების დასამზადებლად.

**თავი მეშვიდე. მეცხოველეობაში გამოყენებული ქიმიური  
და მიკრობიოლოგიური მრეწველობის პროდუქტები.**

### VII.1. საკვები საფუარი

საკვები საფუარები ძვირფასი ცილოვანი და ვიტამინოვანი საკვებია. იგი წარმოადგენს საფუარების საშრობ აგრეგატებზე გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქტს. მას ამზადებენ მერქნის გადამუშავების, სულფიტ-ცელულოზისა და სპირტის გამოხდის შედეგად მიღებული ნარჩენებისაგან. ბოლო დროს საფუარებს ღებულობენ ნავთობის და ბუნებრივი გაზის ნახშირწყლებისაგან. საფუარებში დაახლოებით 40% პროტეინი და B ვიტამინის ჯგუფის ფართო კომპლექსია. საფუარების ულტრაიისფერი სხივებით დამუშავებით მათში წარმოიქმნება ნივთიერება, რომელიც ხასიათდება D ვიტამინის აქტივობით. ფერმერული მეურნეობები, როგორც წესი, განიცდიან მაღალპროტეინული საკვების დეფიციტს, რომლის მოგვარება შეიძლება პიდროლიზური საფუარების საწარმოებელი მინი დანადგარის მოწყობით. საფუარები კომბინირებულ საკვებში შეაქვთ 5%-მდე ყველა სახის პირუტყვის და ფრინველის კომბინირებული საკვების დასამზადებლად.

### VII. 2. შეუცვლელი ამინომჟავები.

მცენარეული ცილების შედარებით დაბალი ბიოლოგიური აქტივობა, პირველ რიგში, განპირობებულია მასში შეუცვლელი ამინომჟავების -ლიზინის, მეთიონინის, და ტრიფტოფანის დაბალი შემცველობით.

მცენარეული საკვები რაციონის დაბალანსება ამ ამინომჟავებით საშუალებას იძლევა შემცირდეს პირუტყვის მოთხოვნილება პროტეინზე, აუმჯობესებს მის გამოყენებას და ამაღლებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პროდუქტიულობას. შეუცვლელი ამინომჟავების მიკრობიოლოგიური სინთეზი უფრო იაფია და მარტივი, ვიდრე ქიმიური. მიკრობიოლოგიური სინთეზის შედეგად მიღებულ ამინომჟავების საკვებ კონცენტრატებში შეუცვლელ ამინომჟავებთან ერთად შედის სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებიც: ვიტამინები, ანტიბიოტიკები, ფერმენტები, სხვა ამინომჟავები, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ცხოველთა ორგანიზმზე.

### VII.3. სინთეტიკური აზოტოვანი ნივთიერებები.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვებაში ყველაზე დიდი პრობლემაა მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება პროტეინით. საკვების ძირითად სახეებში პროტეინის შემცველობა საკმარისი არ არის, ამიტომ სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს სინთეტიკური აზოტოვანი ნივთიერებები. სინთეთიკური აზოტოვანი ნივთიერებების აზოტი მცოხნავი პირუტყვის კუჭში მიკროორგანიზმების მიერ გამოიყენება თავის სხეულის ცილების სინთეზისათვის.

მიკრობული ცილა მონელება ცხოველების მიერ ისევე, როგორც წვეულებრივი საკვები საშუალებების ცილები. სინთეტიკური აზოტოვანი ნივთიერებები უფექტურად შეითვისება რაციონში ადვილად მონელებადი ნახშირწყლების საკმაო რაოდენობის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, მცოხნავი პირუტყვის რაციონში პროტეინის 30-40% შეიძლება შეიცვალოს სინთეთიკური აზოტის შემცველი ნივთიერებებით.

აზოტოვანი სინთეთიკური ნივთიერებებიდან ყველაზე დიდი გამოყენება აქვს შარდოვანას, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს აგრეთვე დორების და ქათმების რაციონის ცილების ნაწილიც. ამასთან, პირუტყვის და ქათმების მოწამვლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შემცირდეს საჭმლის მომნელებელ ტრაქტში პიდროლიზის სისწრაფე, მათი სხვადასხვა ნივთიერებებთან (ნახშირწყლები, პექტინები) შეერთებით გრანულირების, ბრიკეტირების და სხვა მეთოდების და ხერხების გამოყენებით.

ყველაზე მეტი სიზუსტით სინთეტიკური აზოტოვანი შენაერთების გამოყენების ინსტრუქცია დაცული უნდა იყოს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შემთხვევაში.

#### VII.4. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფართოდ გამოყენება, რომლებსაც უნარი აქვთ ცხოველებში ნივთიერებათა ცვლის სტიმულირება, ხელს უწყობს მაქსიმალური პროდუქტიულობის მიღწევას საკვების მინიმალური დანახარჯებით.

ფერმენტები და ფერმენტული პრეპარატები. ცხოველთა საჭმლის მომნელებელი ორგანოები არ გამოიმუშავებენ მტელ რიგ ფერმენტებს, როგორიც არიან ცელულაზები, პექტინაზები, ჰემიცელულაზები, და სხვ. რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარი ფერმენტებით არ შეუძლიათ ცელულოზის, ჰემიცელულოზის, პექტინური ნივთიერებების მონელება. ეს ნივთიერებები მოინელება იმ მიკროორგანიზმების ფერმენტების საშუალებით, რომლებიც სახლობენ ცხოველთა კუჭნაწლავის ტრაქტში. პირუტყვის რაციონში ფერმენტული პრეპარატების დამატება აუმჯობესებს საყუათო ნივთიერებების მონელებადობას და შეთვისებას.

ამ მიზნით გამოიყენება კომპლექსური ფერმენტების შემცველი სხვადასხვა ფერმენტული პრეპარატები. ქერის მაღალი შემცველობის კომბინაციებში მიზანშეწონილი არ არის ამილორიზინის, ამილოსუბტილინის, გლუკავამორინის ტიპის ფერმენტული პრეპარატების დამატება, ხოლო ქომის და უურძნის ჭაჭის დიდი რაოდენობით შემცველ კომბინაციებში უკელაზე უკეთეს შედეგს იძლევა პექტავამორინის დამატება.

#### VII.5. ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები

ვიტამინების შემცველობით დაბალანსებული კვება არის აუცილებელი პირობა მოდუნებასთან, აბორტებთან, მწარმოებელების ცუდი განაყოფიერების უნარის, სხვადასხვა დაავადებების და პირუტყვის დაცემის წინააღმდეგ საბრძოლველად. ის ასევე ხელს უწყობს ცხოველთა პროდუქტიულობის ზრდას. განსაკუთრებით ზუსტად უნდა იქნას დაბალანსებული ვიტამინებით ფრინველებისა და დორების კომბინაციები. ცხოველთა ვიტამინებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოებს როგორც ბუნებრივი რესურსებით (ვიტამინოვანი ბალახის ფქვილი, წიწვების ფქვილი, თევზის ქონი, საფუარები და სხვ), ასევე სინთეტიკური ვიტამინებით და ვიტამინოვანი კონცენტრატებით. მცოხნავი პირუტყვი ვიტამინებზე მოთხოვნილებას გარკვეული დონით იქმაყოფილებს კუჭის მიკრიფლორის დახმარებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ვიტამინების და ბიოლოგიური აქტიობის დაკარგვის დაცვა ნედლეულში და კომბინაციების წარმოებისა და შენახვის დროს.

მინერალური ნივთიერებები ცხოველთა ორგანიზმში ასრულებენ ძალზე ფართო ფუნქციებს. ისინი შედიან ძვლების, კბილების, მრავალი ცილის, შემადგენლობაში, მონაწილეობას დებულობები საკვების მონელების პროცესში, საყუათო ნივთიერებების შეთვისებაში და სხვ. აქედან გასაგებია თუ რატომ არიას საჭირო ცხოველთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის და მაღალი პროდუქტიულობისათვის, მინერალური ნივთიერებები. კომბინირებული საკვების წარმოების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ვიტამინების, ანტიბიოტიკების, ფერმენტული პრეპარატების და სხვა ნივთიერებების დაცვას მათზე მინერალური ნივთიერებების უარყოფითი ზემოქმედებისგან.

ანტიბიოტიკები. პირუტყვის გამოზრდისა და სუქების დროს დასაშვებია საკვებში ისეთი ანტიბიოტიკური პრეპარატების გამოყენება, როგორიცაა ბაციტრაცინი, გრიზინი, ტეტრაციკლინი. ანტიბიოტიკების ზრდის სტიმულატორებად და პროდუქტიულობის ასამაღლებლად გამოყენების დროს ძირითადი მოთხოვნებია: პრეპარატების დოზირება დადგენილი ნორმების შესაბამისად, კომბინაციებში თანაბარი გადარევა, პირუტყვისათვის შეუწყვეტლად მიცემა, პირუტყვის დაკვლის წინ მათი ხმარებიდან

დროულად ამოღება (დაკვლამდე არანაკლებ 6 დღით ადრე). დაუშვებელია კომბისაკვებში, პრემიქსებში, რძის შემცვლელებში, სხვადასხვა შემადგენლობის რაციონებში 2 და მეტი ანტიბიოტიკის შეტანა, აგრეთვე ისეთი ანტიბიოტიკების შეტანა, რომლებიც არ არიან შეტანილი გამოსაყენებლად დასაშვებ ნუსხაში. შესაბამისი მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში პირუტყვის რაციონში ანტიბიოტიკების დამატება ხელს უწყობს მათ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას და საკვების გამოყენების ეფექტურობის ამაღლებას, დაავადებებისადმი მდგრადობას.

## VII.6. ჰორმონები და ჰორმონალური პრეპარატები.

ჰორმონები ახდენენ დაღებით ზეგავლენას ცხოველების ზრდაზე, მონელებადი ნივთიერებების შემთხვევაში გაუმჯობესებით. მიზანშეწონილად არის მიწნეული ფერმენტული პრეპარატების, ჰორმონების და ანტიბიოტიკების კომპლექსური გამოყენება პირუტყვის გამოკვების პროცესში. პრემიქსებში და კომბისაკვებში შესაძლებელია ისეთი ჰორმონების გამოყენება, რომლებიც შენახვის და მონელების პროცესში არ კარგავენ თავიან აქტივობას, ხოლო მოღებული პროდუქცია უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ანტიდამუნიტერულები გამოიყენება ცხიმების, ვიტამინების და სხვა მსგავსი ნივთიერებების დაუანგვისაგან დასაცავად. მათგან ყველაზე ფართოდ გამოიყენება ეტოქსიქინი, დილუდინი და სხვ.

## VII.7. კომბისაკვებში შესატანად გამოყენებული ნედლეული

ცხოველთა კვებაში მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს მეტად მრავალფეროვანი საკვების გამოყენების შესაძლებლობა.

საკვები პროდუქტების ანარჩენები მიიღება საზოგადოებრივი კვების ობიექტების და საწარმოების, აგრეთვე მოსახლეობისაგან. ისინი შეიძლება შეადგენდნენ ფერმების საკვები ბალანსის მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც განლაგებული არიან დიდი ქალაქებისა და საკურორტო ზონების მახლობლად. სამზარეულოს ანარჩენების გარდა, ქალაქებში გროვდება კვებითი ღირებულების თვალსაზრისით დიდი რაოდენობით მეტად ძვირფასი თანმხლები ანარჩენები საცხობებიდან, საკონდიტროებიდან, და კვების მრეწველობის სხვა ობიექტებიდან. გაშრობის წინ ასეთ ანარჩენებს ახარისხებენ, რათა მოაცილონ უვარგისი, ნაკლებად ფასეული და წყლის შემცველი ნაწილები. გამშრალი საკვების ანარჩენები თავისი ყუათიანობით უტოლდება მარცვლის ყუათიანობას და როგორც წესი, მათ იყენებენ დორების გამოსაკვებად.

მინერალური ნივთიერებებიდან იყენებენ: ცარცს, ხამანწყებს, კირქვებს, საკვებ ფოსფატებს, სხვადასხვა დალუქილ წარმონაქმნებს, თიხას.

ტექნიკურ ცხიმებს იყენებენ რაციონში ენერგიის დონის ასამაღლებლად. დამძაღების თავიდან ასაცილებლად ახდენენ ცხიმების სტაბილიზაციას ანტიდამუნიტერულებით (სანტოქინი, დილუდინი, ბუტილოკსიტოლუოლი და სხვ.). ყველაზე ხშირად ცხიმები შეაქვთ ფრინველების რაციონში.

ბოლო წლებში ფართო გამოყენება პოვა ცხოველთა კვებაში ქათმის და პირუტყვის ექსკრემენტებმა. განსაკუთრებით პერსპექტიულად არის მიწნეული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვებაში ფრინველების სკორის გამოყენება. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აწარმოებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კომბინირებულ საკვებს, რომელშიც 30-40% ფრინველის სკორეა. წიწილების და ბროილერების ახალი სკორის აზოტი წარმოდგენილია დაახლოებით 50% ამიაკის მუავით, რომელიც საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, ისევე როგორც შარდოვანა, იშლება და წარმოიქმნება ამიაკი. ამის შემდეგ ამიაკი უერთდება მიკრობულ ცილას და გამოიყენება ცხოველების მიერ. ფრინველის სკორე შეცაგს დიდი რაოდენობით B ჯგუფის ვიტამინებს, სხვა

ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს – მიკროორგანიზმების სინთეზის პროცესებს. ისინი შეცავენ 30-35%-მდე პროცენტს, საკვების ნარჩენებს, ბუმბულს და სხვ.

ცხოველების კვებაში ფრინველის სკორეს ფართოდ გამოყენების ძირითადი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ რაციონში შეიძლება მოხვდეს დაავადებების გამომწვევი მიკრობების ორგანიზმები და ჰელმინტების კვერცხები, შეამიანი ნივთიერებები და სხვ. ამის ტავიდან ასაცილებლად უნდა ჩატარდეს სკორის ორმული დამუშავება 30 °C-ის განმავლობაში 70-105°C ტემპერატურაზე. ამასთან დაკავშირებით, მიზანს ეწოდება ითვლება სკორის გრანულირებულ საკვებში შეტანა.

### VII.8. ცილებით დასაბალანსებელი საკვები

პირუტყვისა და ფრინველის ცილებით დაბალანსებული საკვები რაციონის შედგენა წარმოუდგენელია სოიას შროტის გარეშე, რომელიც სოიას მარცვლიდან ზეთის ექსტრაქციის შედეგად მიიღება. ამ გზას დაადგა თითქმის მთელი მსოფლიოს მეცხოველეობა, რომელსაც ჩვენს ქვეყანაშიც სოიას მოყვანის პერსპექტიულობის გამო დიდი მომავალი აქვს. სოიას შროტთან ერთად აღსანიშნავია სოიას კანის გამოყენების შესაძლებლობები. ექსტრაქციის წინ ხდება სოიას კანის და ნასკვის მოცილება, რომელიც ცილის შემცველობით მარცვლის შიგთავსს მხოლოდ 15-16%-ით ჩამორჩება, მაგრამ ნედლი პროტეინის შემცველობით თუ კიმსჯელებთ, მასში ეს ნივთიერება 2.7-3.2-ჯერ მეტია, ვიდრე ქერის გადაუმუშავებელ საღ მარცვალში.

სხვადასხვა ცილოვან საკვებში საყუათო  
ნივთიერებების შემცველობა

ცხრილი 51

Nº	ცილოვანი საკვების შემცველობა	ერთეული	სოიას შროტი	სოიას კანი და ნასკვი (თერმულა დ დამუშავებ ული)	სოიას მარცვალი (თერმულად დამუშავებული)	თევზის ფქვილი (#64 ტიპი)	მოხდილი რძის ფხვნილი
1	მიმოცვლის ენერგია (მე)	მჯ/კგ	12.93	10.88	16.58	14.15	14.90
2	ნედლი პროტეინი	ბ/კგ	442	278	364	637	364
3	ლიზინი	ბ/კგ	26.6	20.3	22.6	48.2	28.3
4	მეთონინი /ცისტინი/	ბ/კგ	12.9	8.8	10.8	23.7	11.9
5	ტრიფტოფანი	ბ/კგ	5.9	4.2	5.2	7.4	5.1
6	კალციუმი	ბ/კგ	2.7	15.8	2.6	43.1	12.4
7	ფოსფორი	ბ/კგ	6.2	8.9	5.5	25.3	9.7
8	ნატრიუმი	ბ/კგ	0.2	1.7	2.4	8.7	3.6
9	რკინა	ბ/კგ	0.1	1.8	0.4	0.5	0.1
10	ვიტამინი B <sup>12</sup>	მგ/კგ	-	82	-	190	38

როგორც ცხრილიდან ჩანს, პროტეინისა და ამინომჟავების შემცველობა ყველაზე მაღალია თევზის ფქვილში, მაგრამ სოიას კანის და ნასკვის ფქვილი ცილის ხარისხით ფასდება უფრო მეტად: მისი შეთვისება წიწილებისა და გოჭების მიერ 8%-ით, ხოლო ამინომჟავების შეწოვა 16%-ით მეტია, ვიდრე თევზის ფქვილის ცილებისა. მინერალური ნივთიერებების, განსაკუთრებით 2-ვალენტიანი რკინის შემცველობით, სოიას კანის და ნასკვის ფქვილს ვერ შეადრება ვერც ერთი ცხრილში

მოტანილი ცილოვანი საკვები, მასში თევზის ფქვილთან შედარებით, ეს ნივთიერება 3.6-ჯერ მეტია.

## თავი მერვე. პროდუქტის უვნებლობისა და ხარისხის საერთაშორისო სისტემები

### VIII.1. სასურსათო-საკვები კოდექსი ალიმენტარიუსი (*Codex Alimentarius*)

სასურსათო კოდექსი ანუ კოდექსი ალიმენტარიუსი (*Codex Alimentarius*) გახდა არსებითი, გლობალური მნიშვნელობის მქონე ორიენტირი მომსმარებელთათვის, სურსათის და საკვების მწარმოებელთათვის, მემკვნარეობის და მეცხოველეობის ნედლეულის გადამამუშავებლებისთვის, სურსათის და საკვების მაკონტროლებელი სახელმწიფო სააგენტოებისა და სურსათით და საკვებით საერთაშორისო ვაჭრობისათვის. კოდექსი უდიდეს ზეგავლენას ახდენს სურსათის მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებზე, ასევე საბოლოო მოსარგებლებზე, ანუ მომსმარებელზე. მისი გავლენის სფერო მოიცავს ყველა კონტინენტს, მისი წვლილი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სურსათით ვაჭრობის მოწესრიგების საკითხებში უდაფოდ დიდია.

კოდექსი ალიმენტარიუსის სისტემა წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას ყველა ქვეყნისთვის, შეუერთდეს საერთაშორისო საზოგადოებას სასურსათო სტანდარტების ფორმულირების, ჰარმონიზებისა და, ასევე, მათი გლობალური გავრცელების უზრუნველყოფის საქმეში. იგი ასევე აძლევს საშუალებას ამ ქვეყნებს, განსაზღვრონ ისეთი სტანდარტები, რომლითაც ისარგებლებენ პიგიენური გადამუშავებისას, აგრეთვე, შეიმუშაონ აღნიშნულ სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

კოდექსი ალიმენტარიუსი დაკავშირებულია სურსათით და საკვებით საერთაშორისო ვაჭრობასთან. განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება უნივერსალური სასურსათო სტანდარტების გამოყენების უპირატესობა მომსმარებელთა დაცვის თვალსაზრისით მუდმივად მზარდ გლობალურ ბაზარზე. სულაც არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ შეთანხმება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული დონისძიებების შესახებ (SPS) და, აგრეთვე, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ (TBT) მხარს უჭერს სასურსათო სტანდარტების საერთაშორისო ჰარმონიზაციას. SPS შეთანხმება, როგორც ურუგვაის რაუნდის საერთაშორისი მოლაპარაკების შედეგი, აღიარებს კოდექსის სტანდარტებს, ინსტრუქციებსა და რეკომენდაციებს, როგორც სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემწყობ, უპირატეს საერთაშორისო დონისძიებებს. კოდექსის სტანდარტები, თავისი არსით, იქცა იმის მაჩვენებლად, თუ რამდენად შეესაბამება ურუგვაის რაუნდის შედეგად მიღწეული შეთანხმებების სამართლებრივ ჩარჩოებს სხვადასხვა ქვეყნის სასურსათო დონისძიებები და რეგლამენტები.

### კოდექსი ალიმენტარიუსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ სასურსათო სტანდარტები სასაქონლო პროდუქციაზე;
- ✓ პიგიენური და ტექნოლოგიური პრაქტიკის წესები;
- ✓ პესტიციდების შეფასება;
- ✓ პესტიციდების ნარჩენების დაშვებული ზღვრები;
- ✓ ინსტრუქციები დამბინძურებლების შესახებ;
- ✓ საკვებდანამატების შეფასება;
- ✓ გეტერინარიული პრეპარატების შეფასება.

კოდექს ალიმენტარიუსი, თავისი არსით წარმოადგენს დირშესანიშნავ საერთაშორისო დონის მიღწევას. ეყრდნობოდა რა კოდექსს, მისმა კომისიამ მიაღწია სხვა მნიშვნელოვან შედეგსაც, კერძოდ, აამაღლა საზოგადოებრივი მთლიანობის მგრძნობელობა საშიში სასურსათო პროდუქციის მიმართ, რის შედეგადაც გაიზარდა საკვების ხარისხის მნიშვნელობა და შესაბამისად, აუცილებელი გახდა სასურსათო სტანდარტებით სარგებლობა. კოდექს ალიმენტარიუსის კომისიამ მიმართა საერთაშორისო ყურადღება სურსათის საკითხებთან დაკავშირებული მოლაპარაკებისაკენ, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა საკითხის მოგვარების პროცესისათვის. სასურსათო სტანდარტებთან და პროცედურებთან დაკავშირებული დონისძიებების წარმატებით შესრულების ნიშნად, კოდექს ალიმენტარიუსის კომისია აერთიანებს მაღალი ღირსების მეცნიერულ ნაშრომებს, იწვევს ექსპერტთა კომისიებს, სურსათთან დაკავშირებულ საკითხებზე გამართულ საერთაშორისო კრებებზე მონაწილე საუკეთესო სპეციალისტებს (იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი) და უზრუნველყოფს კონსულტაციებს. ამის პასუხად ბევრმა ქვეყანამ ან დაასრულეს გაჭიანურებული სასურსათო კანონმდებლობის შემუშავება, ან შემოიღო კოდექსის მიხედვით გათვალისწინებული სტანდარტები, ანუ შექმნეს და გააძლიერეს სასურსათო მონიტორინგის სამსახურები სასურსათო პროდუქციის რეგლამენტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კოდექს ალიმენტარიუსის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

- ✓ კარი 1 ა – ზოგადი მოთხოვნები;
- ✓ კარი 1 ბ – ზოგადი მოთხოვნები (სურსათის ჰიგიენა);
- ✓ კარი 2 ა – პესტიციდების ნარჩენი სურსათში (ზოგადი ტექსტი);
- ✓ კარი 2 ბ – პესტიციდების ნარჩენი სურსათში (ნარჩენთა შესაძლებელი მაქსიმალური ზღვარი);
- ✓ კარი 3 – გეტერინარიული პრეპარატების ნარჩენები სურსათში;
- ✓ კარი 4 – განსაკუთრებული დიეტური სახის სასურსათო პროდუქცია (ჩვილ და მოზარდ ბაგშვთა საკვების ჩათვლით);
- ✓ კარი 5 ა – გადამუშავებული და ახლად გაყინული ხილი და ბოსტნეული;
- ✓ კარი 5 ბ – ახალი ხილი და ბოსტნეული;
- ✓ კარი 6 – ხილის წვენები;
- ✓ კარი 7 – მარცვლოვნები, პარკოსნები, მიღებული პროდუქტები და მცენარეული ცილები;
- ✓ კარი 8 – ცხიმები, ზეთები და მსგავსი პროდუქცია;
- ✓ კარი 9 – თევზი და მეთევზების პროდუქცია;
- ✓ კარი 10 – ხორცი და ხორცეული, ბულიონი და წვნიანი;
- ✓ კარი 11 – შაქარი, კაკაოს პროდუქცია, შოკოლადი და სხვა პროდუქტები;
- ✓ კარი 12 – რძე და რძის პროდუქტები;
- ✓ კარი 13 – ანალიზისა და შერჩევის მეთოდები.

თითოეული კარი აერთიანებს ზოგად პრინციპებს, სტანდარტებს, გვთავაზობს ცნობებსა და განმარტებებს, სასაქონლო პროდუქციის სტანდარტებს, მეთოდებსა და რეკომენდაციებს. როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, 13 კარიდან საკვებად გამოიყენება თანაბარი რაოდენობის ის ანალოგიური პროდუქცია, რომელსაც სასურსათო გამოყენება აქვს. თითოეულ კარს ახლავს შინაარსი, რომელიც გამოირჩევა ორგანიზებულობით და უფრო ადვილს ხდის საკითხის მოძებნას. ასე გამოიყურება მაგალითად პირველი კარის შინაარსი: 1. კოდექს ალიმენტარიუსის ზოგადი პრინციპები, მისი მიზანი, ეთიკური პროცედურები სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის დრო, სურსათის მარკირება, საკვებდანამატები – საკვებდანამატების ზოგადი სტანდარტის ჩათვლით, სურსათის დამბინძურებლები – სურსათის დამბინძურებლების და

ტოქსინების ზოგადი სტანდარტის ჩათვლით, რადიაციული საკვები, სასურსათო ექსპორტ-იმპორტის სასურსათო ინსპექციისა და სერტიფიცირების სისტემა.

კოდექსის აღმიმენტარიუსი გამოქვეყნებულია ინგლისურად, ფრანგულად და ესპანურად, ინდივიდუალური სტანდარტები განთავსებულია მსოფლიოს ინტერნეტ-საიტებზე ([www.codexalimentarius.net](http://www.codexalimentarius.net)) და კომპაქტურ (CD) ფისკებზე.

კოდექსის სტრუქტურა *Codex Alimentarius*-ის კომისიის (CAC) საქმიანობის წინსვლას უძღვება სპეციალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს მხარდაჭერას გადაწყვეტილების მიღების საკითხები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მუშრობის ორგანიზაცია/ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (FAO/WHO) სამდივნო.

CAC-ის დამხმარე ორგანოები მოიცავს მთელს მსოფლიოში შესაბამის გენერალურ (გაეროს ფარგლებში) და ფართო მოხმარების საქონლის კომიტეტებს, სპეციალურ სამთავრობათაშორისო კომისიებს კონკრეტული საკითხების შესასწავლად და გადასაჭრელად, აგრეთვე რეგიონალურ საკოორდინაციო კომიტეტებს.

მსოფლიოს მასშტაბით გენერალური კომიტეტები მოიაზრება კომიტეტები შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- პესტიციდების ნარჩენები;
- სურსათის იმპორტისა და ექსპორტის ინსპექციები და სერტიფიცირების სისტემები;
- გეტერინარული წამლების ნარჩენები სურსათში;
- კვება და სურსათი სპეციალური დიეტური გამოყენებისთვის;
- სურსათის ეტიკეტირება;
- ანალიზისა და ნიმუშების აღების მეთოდები;
- ზოგადი პრინციპები;
- საკვები დანამატები და დამაბინძურებელი ნივთიერებები;
- სასურსათო პიგიენა.

ფართო მოხმარების საქონლის კომიტეტები მსოფლიო მასშტაბით მოიცავს შემდეგ კომიტეტებს:

- გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული;
- მცენარეული ცხიმები და ზეთები;
- ახალი ხილი და ბოსტნეული;
- ნატურალური მინერალური წყლები;
- კაკაოს პროდუქტები და შოკოლადი;
- თევზი და თევზეული პროდუქტები;
- შაქარი;
- რძე და რძის პროდუქტები;
- ხორცის პიგიენა;
- მარცვლოვნები, პარკოსნები და სამარცვლე პარკოსნები;
- ბოსტნეულის პროტეინები;
- სუპები და ბულიონები.

სპეციალური სამთავრობათაშორისო კომისიები კონკრეტული საკითხების შესასწავლად და გადასაჭრელად მოიცავს შემდეგს:

- ბიოტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი სასურსათო პროდუქცია;

- პირუტყვის და ფრინველის საკვები;
- ხილისა და ბოსტნეულის წვენები.

რეგიონალური საკოორდინაციო კომიტეტები მოიცავს შემდეგ ქვეყნებს:

- აფრიკა;
- აზია;
- ევროპა;
- ლათინური ამერიკა, კარიბის ზღვის კუნძულები;
- ახლო აღმოსავლეთი;
- ჩრდილოეთ ამერიკა, წყნარი ოკეანეთი;

### VIII.2. სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO)

სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მართვის სისტემური სტანდარტებით სარგებლობს 158 ქვეყანაში არსებული 430 000-ზე მეტი ორგანიზაცია. ISO 9000-სა და ISO 14000-თან დაკავშირებულ სიახლეებს მსოფლიო მასშტაბით უკავშირდება „ISO მართვის სისტემები“ ("ISO Management Systems") აქვეყნებს.

ISO-ს სტანდარტებს შორის ISO 9000 და ISO 14000 ჯგუფის სტანდარტები ყველაზე ცნობილი და წარმატებული სტანდარტებია. ISO 9000 გახდა ხარისხის საერთაშორისო მაჩვენებელი საქმიან წრეებში და გარიგებების დროს. ISO 14000 მიზანია, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ დაეხმაროს ორგანიზაციას გარემოსთან დაკავშირებული სიმნივეების გადაღახვაში. ISO სტანდარტები გამოირჩევა დიდი მოცულობით, თითოეული მათგანი დამახასიათებელია გარკვეული პროდუქციისთვის, ნივთიერებისთვის ან თავად საწარმოო პროცესისათვის. ISO 9000 და ISO 14000 ჯგუფის სტანდარტებმა მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, როგორც „მართვის საერთო სისტემურმა სტანდარტებმა“. „საერთო“-ში იგულისხმება, რომ ამავე სტანდარტებით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას, იქნება იგი მსხვილი თუ წვრილი საწარმო, მიუხედავად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურებისა ნებისმიერ სფეროში, მიუხედავად იმისა, ეს ორგანიზაცია წარმოადგენს ბიზნეს-საწარმოს, სახელმწიფო მართვის რგოლს თუ სამთავრობო დეპარტამენტს. „მართვის სისტემები“ სწორედ იმაზე მიუთითებენ, თუ რა უნდა გააკეთოს ორგანიზაციამ, რათა წარმატებულად განავითაროს საქმიანობა. ტერმინი „საერთო“ ნათლად მეტყველებს იმაზეც, რომ ორგანიზაციის ფორმა და მისი საქმიანობის სფერო არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია ამ ორგანიზაციას სურდეს მართვის ხარისხიანი სისტემის ან გარემოს მართვის სისტემის შექმნა. ასეთ სისტემას უამრავი აუცილებელი ნიშან-თვისება აქვს. ISO 9000 და ISO 14000 ჯგუფის სტანდარტები კი სწორედ ამ მახასიათებლების დეტალურ ანალიზს გვთავაზობენ.

ISO 9000 სტანდარტი უკავშირდება „ხარისხის მართვას“. საკითხი შემდეგნაირად დგას: რა უნდა გააკეთოს ორგანიზაციამ იმისათვის, რომ უკეთ დააკმაყოფილოს მომსმარებელთა მოთხოვნილებები. ამისათვის ორგანიზაციას უნდა პქმნდეს მუდმივი ურთიერთობა მომსმარებლებთან, უნდა დაემორჩილოს კანონმდებლობის მოთხოვლილებებს და გააკეთოს ყველაფერი ამ მიმართულებით. ორგანიზაციამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს იმისათვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ზეწოლა გარემოზე და გააუმჯობესოს გარემოსდამცავი ღონისძიებები.

ISO 9000 და ISO 14000 - ეს ის პრაქტიკული ინსტრუმენტებია, რომლებიც საქმიან და სამთავრობო წრეებს ეხმარებიან, რათა მომსმარებელმა მიიღოს მაღალი

ხარისხის საქონელი და მომსახურება, ამასთან, აკონტროლონ მათ მიერ გატარებულ დონისძიებათა ზეგავლენა გარემოზე. ისევე, როგორც სხვა ISO სტანდარტები, მათი გამოყენებაც ნებაყოფლობითია. მათი გამოყენება იძულებითი ხდება მაშინ, როცა საქმიანი წრე ასეთ სტანდარტს საბაზრო მოთხოვნად აქცევს, ან თვით მთავრობა მიანიჭებს მათ იძულებით სტატუსს. ამრიგად, ის ორგანიზაციები, რომლებიც ნებაყოფლობით სარგებლობენ ISO 9000 და ISO 14000 სტანდარტებით, ამას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ იმედოვნებენ, რომ ეს სტანდარტები მათ უკეთესი პროდუქციისა და იმიჯის შექმნასა და რეალური სარგებლის მიღებაში დაეხმარება.

### **VIII.3. პროდუქციის საფრთხის შეფასების კრიტიკული საკონტროლო წერტილები (HACCP)**

HACCP წარმოადგენს საწარმოში (მეცხოველეობის ფერმაში) საწარმოო პროცესის კონტროლის სისტემას, რომელიც ადგენს, თუ რამდენად მოსალოდნელია რისკის წარმოშობა, აგრეთვე უვნებელი სასურსათო პროდუქტების უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრავს მაკონტროლებულ დონისძიებებს.

აღნიშნული სისტემა ინსპექტირების ტრადიციულ (არაეკონომიურ) სისტემასთან შედარებით უფრო პროფილაქტიკურ ხასიათს ატარებს. HACCP-ის სისტემა ჩამოყალიბდა 1960 წელს, რომლის შექმნა უკავშირდება *Phillsbury Company*-ს, როდესაც აშშ-ს არმია და NASA ცდილობდნენ პილოტირებული კოსმოსური ხომალდებისა და სამხედრო პერსონალისათვის სურსათის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას.

HACCP-ის მთავარი უპირატესობა ის გახდავთ, რომ ეს სისტემა გვთავაზობს ძალზე ეფექტურ და შედარებით მარტივ მეთოდოლოგიას წარმოებული პროდუქტის უვნებლობის უზრუნველსაყოფად შედავათიან პირობებში. დასავლეთ ევროპაში HACCP სისტემა ემყარება *Codex Alimentarius* კომისიისა და ევროკომისიის დადგენილებას საკვები პროდუქტების პიგიენის შესახებ. ევროკომისიის # 93/43 დადგენილების თანახმად, სასურსათო წარმოებამ ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი საქმიანობის თითოეული წვრილმანი, რაც უზრუნველყოფს სურსათის უსაფრთხოებას. ამასთანავე, აუცილებელია სურსათის უსაფრთხოების ეველა პროცედურა ზუსტად განისაზღვრებოდეს, სრულდებოდეს და იცვლებოდეს.

HACCP-ის პრინციპები შემდგომში მდგომარეობს:

- პროდუქტის საფრთხის შეფასება;
- კრიტიკული საკონტროლო წერტილების განსაზღვრა;
- კრიტიკული საკონტროლო ლიმიტების დადგენა;
- კრიტიკული საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სისტემის შემოდება;
- კორექტირების სისტემის ჩამოყალიბება;
- საადრიცხო პროცედურების განსაზღვრა;
- HACCP-ის სისტემის ფუნქციონირების შესამოწმებლად პროცედურების განსაზღვრა.

საფრთხე შეიძლება იყოს ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური. საფრთხეებს გვიჩვენებს HACCP-ის სისტემით გათვალისწინებული საწარმოო ოპერაციების გრაფიკული დიაგრამა. მისი მეშვეობით შესაძლებელია HACCP-ის მოთხოვნების შესრულება საფრთხის, კრიტიკული ლიმიტების, მონიტორინგის სამუშაოების, ოპერაციათა სისტემისა და კორექტირების ლონისძიებათა განსაზღვრის თვალსაზრისით.

HACCP-ის სისტემის სრულყოფილად განხორციელებამდე, უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

- წარმოების მისაღები ტექნოლოგიები;
- ჰიგიენის ნორმები;
- მავნებლების კონტროლი;
- გეგმით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები;
- პროდუქტის არმიღების პროცედურები;
- მიმწოდებელთა მიერ პროდუქტის ხარისხის დამადასტურებელი მექანიზმები;
- კადრების სასწავლო პროგრამები.

ამრიგად, HACCP სისტემის ფუნქციონირებისათვის, საჭიროა:

- სათანადო ქმედებების გატარება თავად პრობლემის აღმოცენებამდე;
- საკონტროლო ღონისძიებათა სიმარტივე მონიტორინგისათვის;
- ხარისხის შემოწმება არა მხოლოდ ლაბორატორიაში, არამედ ფერმაშიც, ფაბრიკაშიც, ქარხანაშიც;
- კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
- მომხმარებელთა მოთხოვნების დაქმაყოფილება.

#### ვორმა

პრიტიპული საკონტროლო წერტილების განსაზღვრა

გადამამუშავებელი მრეწველობა/შემოსული მასალები	კატეგორია და განსაზღვრული რისკი	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	კრიტიკული საკონტროლო წერტილების რიცხვი

#### 06სტრუქციები:

- **კატეგორია და გამოვლენილი საფრთხე:** განსაზღვრეთ, თუ რამდენად შეესაბამება საფრთხის კონტროლი ჰიგიენის კოდექსის ზოგად პრინციპებს. შესაბამისობის შემთხვევაში, წარმოადგინეთ მანუფაქტურის საუკეთესო ტექნოლოგიების აღწერილობა და გადადით შემდეგ რისკ-ფაქტორზე. თუ არ შეესაბამება, უპასუხეთ შეკითხვა 1-ს.
- **შეკითხვა 1: არსებობს თუ არა წინასწარი საკონტროლო ღონისძიებები?** შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, საკითხი არ ეხება კრიტიკულ საკონტროლო წერტილებს. განსაზღვრეთ, თუ როგორ შეიძლება საფრთხის კონტროლირება საწარმოო პროცესის დაწყებამდე ან მის შემდგომ. თუ მიმართავთ ასეთ ღონისძიებებს, აღწერეთ ისინი და გადადით შემდეგ რისკ-ფაქტორზე.
- **შეკითხვა 2: არის თუ არა ეს ღონისძიებები საგანგებოდ შემუშავებული საფრთხის აღმოფხვრის ან დასაშვებ ზღვრებამდე შემცირების მიზნით? ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გადადით შეკითხვა 3-ზე. კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ადგილი ექნება კრიტიკულ საკონტროლო წერტილებს (CCP). აღნიშნული ინფორმაცია შეტანილი უნდა იყოს ბოლო ცხრილის სვეტში.**
- **შეკითხვა 3: გამოიწვევს თუ არა პროდუქტის გაფუჭებას გამოვლენილი რისკ-ფაქტორის (რისკ-ფაქტორების) დასაშვებზე მაღალი დონე ან როგორ შეიძლება, რომ რისკ ფაქტორებმა გადააჭარბოს დასაშვებ ზღვრებს. ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, საქმე არ ეხება კრიტიკულ საკონტროლო**

- წერტილებს. გადადით შემდგომ რისკ-ფაქტორზე. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გადადით შეკითხვა 4-ზე.
- **შეკითხვა 4:** შესაბამისი ღონისძიებების გატარების შემდეგ მოხდება ოუ არა გამოვლენილი რისკ-ფაქტორების აღმოფხვრა ან მათი შემცირება დასაშვებ ნორმებამდე? შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში საქმე ეხება კრიტიკულ საკონტროლო წერტილებს, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში კი - ადგილი არა აქვს კრიტიკულ საკონტროლო წერტილებს. გადადით შემდეგ ეტაპზე.

### ვორმა

სხვა რისკის ვაჭრობები  
კროდუქტის დასახელება (დასახელებები)

ის ბიოლოგიური, ქიმიური და/ან ფიზიკური რისკ-ფაქტორები, რომლებიც არ ექვემდებარება კონტროლს

რისკ-ფაქტორები, რომლებიც არ შედის ზემოთ მოცემულ ჩამონათვალში	რისკ-ფაქტორების რეგულირების დადგენილი მეთოდები (მაგ. მომზადების ინსტრუქციები, საზოგადოებრივი განათლება, ვადების მიხედვით გამოყენება, ა.შ.)

თარიღი ----- დამტკიცებულია:

### ვორმა

HACCP-ის გება  
კროდუქტის დასახელება (დასახელები)

წარმოების ეტაპი	კრიტიკული საკონტროლო წერტილის No	საფრთხის აღწერა	კრიტიკული ლიმიტები	მონიტორინგის პროცედურები	პარამეტრებიდან გადახრასთან დაკავშირებული პროცედურები	HACCP დოკუმენტაცია

თარიღი ----- დამტკიცებულია:

აღნიშნული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ევროპავშირის მიერ შექმნილია დამატებითი სამსახურები - RASFF- (სწრაფი განგაშის სისტემის კავშირების დამყარება), INFOSAN – (სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ქსელი) და EFSA – (ევროპის სასურსათო უვნებლობის წარმომადგენლობა).

### VIII.4. კროდუქტის HACCP –ის სისტემის ფარგლებში არსებული პარამეტრები

რა საჭიროა ფერმერულ მეურნეობებში ნებაყოფლობით დაგნერგოთ კროდუქტის პარამეტრები?

ამ კითხვას შესაძლოა ერთადერთი პასუხი გაეცეს. ნებისმიერ განვითარებულ, სურსათის მწარმოებელ ქვეყანაში პარამეტრების დადგენა ფერმერულ მეურნეობებში უკავშირდება გადამამუშავებლებისა და საცალო მოვაჭრეების ინტერესებს, რომლებსაც განაპირობებს მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნები. მომხმარებელები ითხოვენ, რომ შეძენილი სურსათი და ნედლეული, რომლის გადამუშავება ან რეალიზაციაც ხდება, იყოს უვნებელი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ საჭიროა გადაისინჯოს პროდუქციის ხარისხის რეგულირების გზები. მიჩნეულია, რომ აუცილებელია პროდუქტის სერტიფიცირების სისტემიდან საწარმოო პროცესის აკრედიტაციის მექანიზმზე გადასვლა

პარამეტრების დანერგვა ითვალისწინებს იმ ცვლილებების გატარებასაც, რომელთა საჭიროება უმარტივდება. აღნიშნული ცვლილ ებები მწარმოებლებისგან მკაცრად მოითხოვს „სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების“ შესახებ კანონის ფარგლებში მოქმედებას. სურსა თის უვნებლობისა და ხარისხის თვალსაზრისით, საქართველოს კანონი სურსათისა და თამბაქოს შესახებ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს. დადგენილ პარამეტრებთან შეგუება მწარმოებელთა მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება.

აგრობიზნესის მთელმა სექტორმა უნდა იმოქმედოს იმ ახალი პრობლემების კვალდაკვალ, რომლებიც წარმოიშვება მაღალი ხარისხის პროდუქციაზე მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე. ნედლეულის მწარმოებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის ზოგიერთი წარმომადგენელი საკმაოდ წარმატებით ართმევს თავს არსებულ სირთულეებს. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლები აგრძელებენ ფუნქციონირებას და გადამამუშავებელი მრეწველობისთვის თავისი პროდუქციის მიწოდებას, მწარმოებელთა წინაშე ძირითადად დგას მაღალი ხარისხის ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების წარმოების ამოცანა, ვინაიდან გადამამუშავებელი მრეწველობა მზარდი საბაზრო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ცდილობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, გადამამუშავებელი საწარმოები ითხოვენ მაღალი ხარისხის ნედლეულს, რომლისთვისაც დიდი თანხის გადახდაზე არიან მზად. მაგალითად, მაღალი საფასურის სანაცვლოდ, მწარმოებლებისგან გადამამუშავებელი მრეწველობა ითხოვს მაღალი ხარისხის - სტანდარტის რეგების მიზნით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არსებობს იმის მიზეზი, რომ საქართველოში მწარმოებლებმა არ უზრუნველყონ მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი პროდუქცია. მართლაცდა, ზოგიერთი მეწარმე გადამამუშავებელი მრეწველობის სეგმენტს უკვე აწვდის ხარისხოვან პროდუქციას.

იმისათვის, რომ მწარმოებელმა გადამამუშავებელი მრეწველობას მიაწოდოს პროდუქტი მაღალ ფასად, საჭიროა, მომხმარებელი ამ პროდუქტს მიიჩნევდეს უვნებელ, მაღალი ხარისხის და საუკეთესო ტექნოლოგიით დამზადებულ საქონლად.

პროდუქტის საიმედობაში მომხმარებლის რწმენა, პროდუქტში საშიში პათოგენების, მძიმე ლითონების ნარჩენებისა და მომწამვლელი ნივთიერებების არარსებობა, სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს საბაზრო პროდუქციის შემთხვევაში როგორც საქართველოს, ისე საექსპორტო ბაზრებზეც, სადაც კვლავაც არსებობს მაღალი ხარისხის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია. იქიდან გამომდინარე, რომ გადამამუშავებელი მრეწველობა და მომხმარებლები მაღალ ხარისხს ითხოვენ, აუცილებელია ნედლეულის გაძლიერებული შემოწმება-ინსპექტირება.

მწარმოებლების ლავირება ბაზარზე ორი კუთხით უნდა წარიმართოს: პირველ რიგში, მათ გადამამუშავებელ მრეწველობასა და მომხმარებლებს უნდა დაანახონ, რომ წარმოდგენილი პროდუქცია უსაფრთხო და მაღალი ხარისხისაა. გარდა ამისა, მეწარმეებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ მიერ წარმოებული საქონელი აბსოლუტურად შეესაბამება სტანდარტებს.

უველა არსებული პარამეტრის დაცვით, მწარმოებლები ადასტურებენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია მათი კლიენტების ინტერესები. ამგვარად, მაღალი ხარისხის, სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის საუკეთესო ტექნოლოგიებით წარმოების გზით, ისინი ემისანებიან მომხმარებელთა საჭიროებებსა და ინტერესებს.

დადგენილი პარამეტრები არ წარმოადგენს ყოველმხრივ სახელმძღვანელოს წარმოების სფეროში. აღნიშნული გულისხმობს ზოგად პრინციპებს, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც მიიღება მაღალი ხარისხის პროდუქცია. ეს პარამეტრები ახალისებს მწარმოებლებს, რომ მაღალი ხარისხის პროდუქციის საწარმოებლად მაქსიმალურად სასურველი ტექნიკური მიღგომა, ანუ ტექნოლოგიები გამოიყენონ.

დადგენილი პარამეტრების დაცვით პროდუქციის წარმოებისას, მეწარმეებს თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ტექნიკური საშუალება ან ტექნოლოგია, რომელიც შეესაბამება არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოწინავე ტექნოლოგიებს.

არსებული პარამეტრები განისაზღვრა მწარმოებელთა წახალისების მიზნით, რათა მათ გადასინჯონ თავიანთი საწარმოო საქმიანობა და გადაწყვიტონ, თუ რამდენად შეესაბამება ის ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება, უვნებელი და მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას.

დადგენილი პარამეტრები ხელს უწყობს რისკის ფაქტორების შემცირებას წარმოებაში. აქვე დავძენთ, რომ სურსათის უსაფრთხოება და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ხარისხისა და გარემოს დაცვაზე უფრო უზენაესი ცნებებია.

დადგენილი პარამეტრები არ ითვალისწინებს არსებული იურიდიული ინსტრუმენტების ან კანონების შეცვლასა თუ უარყოფას. ისინი არ გულისხმობს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების უფლებამოსილების უზურპირებას. პარამეტრები მწარმოებლებს არწმუნებს კანონის ჩარჩოებში მოქმედების აუცილებლობაში.

მწარმოებლები, რომლებიც პროდუქციას სხვადასხვა დადგენილი ნორმისა და წესის თანახმად აწარმოებენ, უნდა არწმუნებდნენ მომხმარებლებს იმაში, რომ საკვების დასამზადებელი ნედლეული მოყვანილია საუკეთესო ტექნოლოგიებით. ამდენად, მწარმოებლები თავიანთ მაღალხარისხოვან, სტანდარტებთან შესაბამის საქონელს გაყიდიან მაღალ ფასებში.

განსაზღვრულ პარამეტრებთან შეესაბამისობა. სისტემური მიღგომა მწარმოებლებს საშუალებას მისცემს, განსაზღვრონ და მართონ წარმოებაში არსებული რისკის ფაქტორები.

